ჰაქიქათ ქითაბევის გამომცემლობა

ნამაზის წიგნი



ჰასან იავაშ

გამოცემლობა ჰაქიქათი

ქითაბუ'უს-სალათ

ნამაზის წიგნი

ჰასან იავაში

გამომცემლობა ჰაქიქათი
დარუშშეფექა გამზირი No: 53
ტელ: 0212 523 45 56-532 58 43 ფაქსი: 0212 523 36 93
htt://www.hakikatkitabevi.com.tr
ელ – ფოსტა: bilgi@hakikatkitabevi.com.tr
ფათიჰ – ისტანბული
ნოემბერი – 2014

ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ

ადამიანისათვის სამი სახის სიცოცხლე არსე-ბობს: ამქვეყნიური, სასაფლაოსი და იმქვეყნიუ-რი. ამქვეყნად სული სხეულთან ერთადაა, ადამ-იანს სიცოცხლეს სული ანიჭებს, როდესაც სუ-ლი სხეულს განშორდება ადამი-ანი კვდება. სხე-ული საფლავში, რომ დალპეს, ან ცეცხლში და-იწვას, ფერფლად იქცეს, ან მტაცებელმა ცხოვე-ლმა გაანადგუროს, სული არ გაქრება, საფლა-ვის ცხოვრება დაიწყება სადაც შეგრძნება არის, მოძრაობა კი არა. ყიამეთის (წარღვნის) შემდეგ სული და სხეული ერთად სამოთხეში ან ჯოჯო-ხეთში სამუ-დამოდ იარსებებენ.

ადამიანი, ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ბედნი-ერი, რომ იყოს მუსლიმნად ყოფნაა საჭირო. ამქ-ვეყნიური ბედ-ნიერება კარგ, მშვიდობიან ცხოვრ-ებას, იმქვეყნიური ბედ-ნიერება კი სა-მოთხეში მოხვედრას ნიშნავს. ალლაჰუ თეალამ შეიბრალა ადამიანები და მათ ფეიღამბრების შუამავლობით ბედნიერების გზა ამცნო. რადგანაც ად-ამიანები ამ გზას დამოუკიდებლად ვერ მიაგნე-ბდნენ. არცერთი ფეიღამბერი თავისი ფიქრებს არ გად-მოგვცემს, ყველა ალლაჰუ თეალას ბრძა-ნებებს გად-მოგვცემენ. ფეიღამბრების გადმოცემ-ულ ამ ბედნიერე-ბის გზას რელიგია ჰქვია. ჰაზ-რეთი მუჰამმედის (სალ-ლაჰუ ალეიჰი ვე სელლ-ემ) გადმოცემულ რელიგიას ის-ლამი ჰქვია. ჰაზ-რეთი ადემიდან ბოლო ფეიღამბერ ჰაზრეთი მუჰამმედამდე, ათასობით ფეიღამბერია მოსული. სხვა ფეიღამბრების გადმოცემული რელიგიები დროთა განმავლობაში შეიცვალა და სწორ გზი-დან გადავიდა. ეხლა ბედნიერების გზა მხოლოდ ისლამის შესწავლასა და მის შესრულებაშია. ისლამი, გულით იმანს (რწმე-

---

წიგნი დაიბეჭდა: შპს იჰლას სტამბაში.
29 ექიმ გამზირი. ნომერი: 23.
იენიბოსნა – ისტანბული

ნას) და სხეულით შესასრულებელ იბადეთებს (ღვთისმსახურებას) გვასწავლის. ისლამი ეჰლი სუნნეთის ალიმების დაწერილი წიგნებიდან ისწავლება. უცოდინარების, არანორმალურების წიგნებიდან არ ისწავ-ლება. ადრეულ დროს ბევრი ეჰლი სუნნეთის ალიმი იყო ეხლა საერთოდ არაა. ამ ალიმების დაწერილი წიგნები არაბულ და სპარსულ ენებ-ზე და მათგან ნათარგმნები, მსოფლიოს ყველა მხარეს არის. გამომცემლობა "ჰაქიქათ ქითა-ბევი" ის ყველა წიგნი ამ წყაროებიდანაა აღე-ბული. ბედნიერების მოსაპოვებლად ჰაქიქათ ქითაბევის წიგნები წაიკითხეთ.

მისიონერები, ქრისტიანობის, ებრაელები იაუ-დიზმის, ისტანბულში არსებული ჰაქიქათ ქითა-ბევის გამომცემლობა კი ისლამის გასავრცე-ლებლად, და მასონები კი ყველა რელიიგის გასანადგურებლად მუშაობენ.

ჭკვიანი, განათლებული და სამართლიანი პი-როვნება მათგან სწორს შეიცნობს და მიჰყვება. ამის გავრცელებას თუ ხელს შეუწყობს და დაეხმარება ყველა ადამიანის ამქვეყნიურ და იმ-ქვეყნიურ ბედნიერების მოპოვებაში დამხმარე იქ-ნება. პიროვნებისთვის ამაზე ძვირფასი და სასარგებლო სამსახური არ იქნება. დღეს-დღე-ობით ქრიტიანების და ებრაელების თევრათი და ბიბლია ადამიანების მიერ, რომ არის დაწერილი თავიანთი მიმდევრებიც ამბობენ. ყურანი ქერიმი კი ალლაჰუ თელადან როგორიცაა გამოგზავნილი დღესაც ისე სუფთაა. ყველა, მღვდელებისა და ჰამამების ჰაქიქათ ქითაბევის გამოცემული წიგნების ყურადღებითა და სამართლიანად, მიუკერძოებლად წაკითხვა და გაგებაზე მუ-შაობაა საჭირო.

წინასიტყვაობა

ნამაზის წიგნის წერას ეღუზუ ბისმილის კი-თხვით ვიწყებ. ალლაჰუ თეალას უამრავ მადლ-ობას ვწირავ მის შერჩეულ და საყვარელ მონა-მორჩილ და მათ შორის ყველაზე მაღლა მდგომ ჰაზრეთი მუჰამმედს სელათი და სელამი იყოს. უკეთილშობილეს ფეიღამბრის სუფთა ეჰლი ბე-ითს, სამართლიან და ერთგულ ესჰაბი ქირამს (რადიელლაჰუ თეალა ალეიჰიმ ეჯმაინ) ყველაზე ხეი-რიანი ლოცვები იყოს.

ამქვეყნად კარგი სასარგებლო საქმეები ცუდ საზიანო საქმეებშია გარეული. ბედნიერებისთვის და და მშვიდო-ბის მისაღწევად სულ სასარგებლო საქმეების კეთებაა საჭირო. ალლაჰუ თეალა ძალიან შემბრალებელია ამიტ-ომ, კარგი საქმე-ების ცუდისაგან განმასხვავებელი ძალა გააჩინა. ამ ძალას **გონება** ჰქვია. სუფთა და ჯანსაღი გონება, ამ საქმეს ძალიან კარგად გააკეთებს, არასოდეს მოტყუვდება. ცოდვის ჩადენა, ცუდ ზრახვებზე აყოლა გონებას და გულს ავად გახ-დის. კარგს ცუდისგან ვერ გაარჩევს. ალლაჰუ თეალა შემწყნარებელია, ამიტომ ადამიანებს ფე-იღამბრების საშუალებით კარგ საქმეებს ამცნო-ბს და მათ გაკეთებას ბრძანებს, ხოლო ცუდ სა-ქმეებს ამცნობს და მათ გაკეთებას უკრძალავს. ამ ბრძანებებს და აკრძალვებს **რელიგია** ჰქვია. ჰაზრეთი ფეიღამბრის გადმოცემულ რელიგიას **ისლამი** ჰქვია. დღეს დედამიწაზე შეუცვლელი, სწორ გზაზე მდგარი ერთადერთი რელიგიაა და ეს ისლამია. მუსლიმანი რომ იყოს ამისათვის საჭიროა ჯერ გულით დაჯერება შემდეგ ისლა-მის ბრძანებების და აკრძალბების შესწავლა და შესრულება.

იმანისთვის (რწმენისთვის) **ქელიმეი შეადეთის** თქმა და მისი მნიშვნელობის გაგებაა საჭირო. ქელიმეი შეად-ეთის სწორად დაჯერებისთვისაც ეჰლი სუნნეთის ალ-იმების წიგნები, როგორც გვ-ასწავლიან ისე დაჯერებაა საჭირო. ეჰლი სუნნეთის ალიმების მიერ დაწერილი

წიგნებზე მიმყოლებს ასი შეჰიდის მადლი მიეცემა. ოთხივე მესების ალიმები **ეჰლი სუნნეთის ალიმები** არი-ან. იმანის პირობები, (ყველასათვის საჭირო იმანი) წიგნში სრულად არის ახსნილი. ამ წიგნის წაკითხვას გირჩევთ.

დღეს მსოფლიო მუსლიმანები სამ ნაწილად არიან დაყოფილი. პირველი ნაწილი, ესჰაბი ქირამის გზაზე მყოფი მართალი და სწორი ნაწი-ლია. ესენი **(ეჰლი სუ-უნეთის)** მუსლიმანები, **(სუ-უნი)**, **(ფიქრა-ი ნაჯიიე)**, ჯოჯოხეთიდან გადარჩენილი ნაწილია. მეორე ნაწილი ესჰაბი ქირამის მტრები არიან. მათ **(შია)**, **(ფიქრა-ი დალლე)** დამახინ-ჯებული ნაწილი ჰქია. მესამე ნაწილი კი სუნებისა და შიების მტრები არიან. ამათ ვეჰაბები **(ნეჯდი)** ჰქვია. პირველად არაბეთში ქალაქ ნეჯდში გამოჩნდნენ. მათ ფიქრაი მელუე ჰქვია რადგან ესენი რომ მუსლიმანებს მუშ-რიქებს ეძა-ხიან **(ქიამეთ ვე აირეთ)** და **(სეადეთ-ი ებედიეს)** წიგნებშია გადმოცემუ-ლი. მუსლიმანზე ქააფი-რის (ურწმუნოს) მთქმე-ლი ჰაზრეთი ფეიღამბერს დაუწყევლია. მუსლი-მანების ამ სამ ნაწილად გა-მყოფი ებრაელები და ინგლისელები არიან.

რომელ ნაწილიდანაც არ უნდა იყოს ნეფსზე, (ცუდ ზრახვებს) ამყოლი ჯოჯოხეთში წავა. ვე-ლა მუსლიმანმა ნეფსის სისუფთავისთვის ქუფ-რისა და ცოდვებისაგან გასუფთავებისათვის ხშ-ირად **(ლა ილაჰე ილლალლაჰ)** უნდა იკითხოს. გულის გასუფთავება, ცუდი ამხანაგე-ბისაგან, და არასწორი საზიანო წიგნებისაგან დასაცავად ხშირად **(ესთაუღფირულლაჰ)** უნ-და იკითხოს. ის-ლამზე მიმდევრის ვედრებანი აუცილებლად მი-ღებული იქნება. ნამაზის არ მლოცველები, ჰარამის მჭამელ-მსმელები, ქალებზე შემხედველის ვერდებანი მიღებული არ იქნება.

იმანის მიღების შემდეგ ყველაზე მნიშვნელო-ვანი ბრძანება ნამაზია. ხუთი დროის ნამაზის ლოცვა ყველა მუსლიმანზე ფარძი აინია. არ ლოცვა დიდი ცოდვაა. ჰანბელი მესებში კი ქუფ-რის ტოლფასია. ნამაზის სრულად და სწორად შესრულებისთვის ჯერ მისი შესწავლაა საჭირო. ამ წიგნში ისლამში გამოცემული ნამა-ზის შესა-

ხებ მოკლედ და კონკრეტულად გადმოცემა სასაგებლოდ მივიჩნიეთ. ეს წიგნი რამდენიმე ის-ლამის ალიმის წიგნების გამოყენებით მომზა-დდა. ამ წიგნში გადმო-ცემული ცოდნა, აუცილე-ბელია ყველა მუსლიმანმა ისწავლოს და სხვებ-საც ასწავლოს.

ნამაზის სწორად შესრულებისათვის, ნამაზის ლოცვის დროს საკითხავი სურეებიც აუცილებ-ლად უნდა დაისწავლოს. ყურანი ქერიმის სწო-რად წაკ-ითხვისთვის, ყურანის სასწავლო კურსე-ბში უნდა წა-ვიდეს, და აუცილებლად სწორად კითხვა უნდა ისწავ-ლოს.

ყურანი ქერიმის ისლამის ასოებისგან სხვა ასოებით დაწერა შეუძლებელია, ამიტომ არაბუ-ლიდან უნდა იკ-ითხებოდეს. ყურანი ქერიმის კით-ხვა ძალიან ადვილია. ჰაზრეთი ფეიღამბერი (სა-ლლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გადმოგვცემს. **“ბავ-შვებზე ყურანის მსწავლებელი ან მასწავლებელთან გამგზავნს, ნასწავლი ყურანის ყველა ასოზე ათჯერ ქაბებზე მისვლის მადლი მიეცემა. და ყიამეთის დღეს თავზე გვირგვინი და-ედგმება. ყველა დაინახავს და შეშურდებათ.”**

ალლაჰუ თეალამ სწორი იმანის შემდეგ, ნა-მაზის სწორად მლოცველ და ყოველთვის კარგ და სასარგებლო ადამიანების რიცხვიდან გვამ-ყოფნოს.

ჩვ.წ	ჰიჯრი შემსი	ჰიჯრი ყამერი
2001	1380	1422

სარჩევი

წინასიტყვაობა 4
ნამაზი მნიშვნელოვანი ბრძანებაა 13

პირველი ნაწილი

ჩვენი რწმენა და ნამაზი 17
უპირველესად ყველას უნდა სწამდეს 17
რწმენა სწორი უნდა იყოს 19
ეჰლი სუნნეთის ითიქადი 22
რწმენის პირობები 25
1 ალლაჰუ თეალას რწმენა 25
ზაათი თვისებები 27
სუბუტი თვისებები 27
2 მელეიქების რწენა 29
3 წმინდა წიგნების რწმენა 30
4 ფეიღამბრების რწმენა 32
ჩვენი ფეიღამბერი 34
ესჰაბი ქირამი 38
ოთხი მეზების იმამები და სხვა ალიმები 39
5 საიქიოს რწმენა 41
6 ბედისწერის რწმენა 43
იბადეთი (ღვთისმსახურება) და ნამაზი 45
ვის ეწოდება მუქელლეფი 46
ეფღალი უქელლეფინ 47
1 – ფარძი 47
2 – ვაჯიბი 47
3 – სუნნეთი 48
4 – მუსთეჰაბი 48

5 – მუბაჰი 49
6 – არამი 49
7 – მუქრუჰი 50
8 – მუფსიდი 50
ისლამის მტრები 51

მეორე ნაწილი

ისლამის პირობები 52
1 - ქელიმეი შეჰადეთი 52
2 – ნამაზი 52
3 – ზექათი 52
4 – მარხვა 53
5 – ჰაჯზე წასვლა 53

მესამე ნაწილი

ნამაზის ლოცვა 54
ვისთვისაა ნამაზი ფარძი 56
ნამაზის მლოცველთა მდგომარეობანი 57
ციხიდან დამხსნელი ნამაზი 57
სახლი დასწვოდა 58
წყალი ქვაბში 59
ისარი ფეხში 59
გულის შემაღონებელი წამალი 60
თავგანწირვა ნამაზისათვის 60

მეოთხე ნაწილი

ნააზის სახეობები 61
ხუთი დროის ნამაზი 62
ნამაზის ფარძები 63
ჰადესთენ თაჰარეთ 66

აბდესის აღება 66
აბდესის ფარძები 67
როგორ აიღება აბდესი 68
აბდესის სუნნეთები 70
აბდესის აღების წესები (ადაბი) 71
აბდესის აღებისას აკრძალული ქცევები 73
მისვაქის ხმარება 74
აბდესის აღებისას რასუნდა მივაქციოთ ყურადღება 75
აბდესის მომშლელი ფაქტორები 77
ფაქტორები, რომელიც არ შლის აბდესს 78
მესთებზე მესის გაკეთება. 80
შეხვეულზე მესი 80
ღუსლი 83
ღუსლის ფარძები 84
ღუსლის სუნნეთები 84
როგორ სრულდება ღუსლი 85
განმარტება დაპლომბილი და ჩასმული კბილი 86
ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობანი 87
თეიმუმი 88
თეიმუმის ფარძები 89
თეიმუმის სუნნეთები 90
თეიმუმის რდოს შემდეგს უნდა მივაქციოთ ყურადღება 91
როგორ სრულდება თეიმუმი 93
თეიმუმის მომშლელი ფაქთორები 94
აბდესის ღუსლისა და თეიმუმის სარგებლობანი 94
ნეჯასეთთენ თაჰარეთ 96
ისთინჯა 97

ისთიბრა 98
სეთრ-ი ავრეთი 98
ისთიყბალ ყიბლე 103
ვაქით 104
(განმარტება) პოლუსებზე ნამაზი 106
ეზანი და ყამეთი 107
როდის იკითხება ეზანი და ყაეთი 107
განმართბა (ეზანი მიკტოფონით იკითხება?) 108
როგორ იკითხება ეზანი 109
ნიეთი 110
იფთითახ თექბირი 111
ლოცვისას შესასრულებელი ფარძები (რუქნები) 111
ყიამ 111
ყირააათ 112
რუქუღი 113
სეჯდე 113
ყერდე-ი აახირე 114
როგორ ილოცება ნამაზი 114
ნამაზის ვაჯიბები 119
სეჰივ სეჯდე 120
თილავეთ სეჯდე 121
ნამაზის სუნნეთები 123
ნამაზის მუსთეჰაბები 124
ნამაზის მექრუჰები 125
ნამაზის გარეთ მექრუჰი ქცევები 128
ნამაზის მომშლელი ფაქტორები 128
ნამაზის მოშლა (მუბაჰია) შესაძლებელია შემდეგ შეთხვევებში 130

შემთხვევები რომლის დროსაც ნამაზის მოშლა ფარძია 130
ჯემაეთით ჯგუფურად ნამაზზის ლოცვა 131
იმამობისთვის საჭირო პირობები 131
მესბუქის ნამაზი 136
იფთითაჰ თექბირის მნიშვნელობა და მადლი 138
სასახლეში გაკეთებული მესჯიდი 139
ჯუმა ნამაზი 139
ჯუმა ნამაზის ფარძები 141
ჯუმა ნამაზი როგორ ილოცება 143
პარასკევ დღეს შესასრულებელი სუნნეთები 144
ბაირამ ნამაზები 145
ბაირამ ნამაზი როგორ ილოცება 146
თეშრიყ თექბირი 146
მზადება სიკვდილისთვის 147
რა არის სიკვდილი 148
სიკვდილი სინადვილეა 149
მიცვალებულის ნამაზი 149
მიცვალებულის ნამაზის ფარძები 150
მიცვაალებული ნამაზის სუნნეთები 150
როგორ სრულდება მიცვალებულის ნამაზი 151
თერავის ნამაზი 152
როგორ სრულდება თერავი ნამაზი 152

მეხუთე ნაწილი

ნამაზი მგზავრობისას 153
ავადმყოფობის დროს ნამაზი 156
გავლილი (ყაზა) ნამაზები 160

განმარტება(სუნნეთების ადგილზე გავლილი ილოცე-ბა?) 163
როგორ სრულდება გავლილი ნამაზი 164

მეექვსე ნაწილი

ვინც ნამაზს არ ლოცულობს 166
ნამაზის მლოცველთა მიღებული სარგებლობანი 169
ნამაზის ჭეშმარიტება 176
უპირატესობანი ნამაზის შესრულებისას 178
ნამაზის საიდუმლო 186
ნააზის შემდეგ დუა 191
ნამაზის სარგებელი 194

მეშვიდე ნაწილი

ნამაზის ისქათი. ისქათი და დევრი 196
ისქათი და დევრი როგორ კეთდება 199

მერვე ნაწილი

ოცდათორმეტი და ორმოცდათოთხმეტი ფარძი 207
ოცდათორმეტი ფარძი 208
ორმოცდათოთხმეთტი ფარძი 210
ქუფურის შესახებ 213
დიდი ცოდვები 231
ცუდი ქცევები 237

მეცხრე ნაწილი

დაიწერება თუ არა ნამაზის ლოცვები და სურეები არაბულის გარდა სხვა ასოებით 241
ნამაზის ლოცვები და მათი მნიშვნელობები 243

ლოცვა მნიშვნელოვანი ბრძანებაა

ადემ ალეიჰისელამიდან მოყოლებული ყველა რელიგიას თავისი ლოცვა აქვს. ლოცვა ბოლო ფეიღამბრის ჰაზრეთი მუჰამმედის (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) (უმმეთისთვისაც) მიმდევრებისთვისაც (ფარძია) აუცილებელია. ლოცვა რწმენის აუცი-ლებელ პირობათგანი არ არის, მაგრამ ის, რომ ალლაჰუ თელას ბრძანებაა და სავალდებულოა ამის გულით დაჯერება რწმენის აუცილებელი პირობაა. ესეიგი ვისაც ნამაზის არ სწამს მუს-ლიმანი არ არის.

ნამაზი რჯულის საფუძველია, დასაყრდენია, ღირსეულია, ვინც გულით სწორად და მუდმი-ვად ნამაზს ლოცულობს. ნამაზის არ მლოცვე-ლი რელიგიის დამრღვევია. ჰაზრეთი ფეიღამ-ბერმა ბრძანა: **"ნამაზი ისლამის სათავეაო"**. ისევე, როგორც არ არსებობობს უთავო ადამია-ნი, ასევე არ არსებობს უნამაზო ისლამი.

ნამაზი უპირველესი ვალდებულებაა. ალლაჰუ თეალამ იგი დააწესა, რათა ადამიანებს მხოლ-ოდ მისთვის ელოცათ. ყურანი ქერიმის ასსზე მეტი აიათი ნამაზის ლოცვას გვიბრძანებს. ჰა-დისში ვკითხულობთ: **"ალლაჰუ თეალამ ყო-ველდღიურად ხუთჯერ ნამაზის ლოცვა გვიბრძანა და ჰპირდება სამოთხეში მოახვედროს ისინი, ვინც ნამაზს სწორად და სისტემატიურად შეასრულებს"**.

რელიგიურ ბრძანებებს შორის, ნამაზი ყველა-ზე ღირებულია. ჰაზრეთი ფეიღამბერი (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) "ვინც ნამაზს არ ლოცულობს ისლამისა არა სცხია რა". სხვა ჰადისში ასეა ნაბრძანები **"მორწმუნეს ურწმუნოსაგან ნა-მაზი განასხვავებს"**. ესეიგი, მორწმუნე ნა-მაზს ლოცუ-ლობს ურწმუნო კი არა. მუნაფიყები (ორპირები) ხან ლოცულობენ ხან არა. მუნაფიყებს ჯოჯო-ხეთში დიდი ტანჯვა მოელით ჰაზრეთი

ფეიღამბერი (სალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანებს: “ვინც ნა-მაზს არ ლოცულობს ყიამეთის დღეს ალლაჰუ თეალას გაბრაზებული დაინახავენ”.

ნამაზის ლოცვა ნიშნავს გაიზიაროთ ალლაჰუ თეალას სიდიადე და თქვენი უმწეობა. მისი მიმ-ხვედრი ბოროტებას არ ჩაიდენს, მხოლოდ სი-კეთეს დასთესს. რადგან იცის, რომ დღეში ხუ-თჯელ ალლაჰუ თეალას წინაშე წარსდგება და სული ნათელით ევსება. ნამაზის ლოცვისას ყვე-ლა მოძრაობა სულისა და სხეულისთვის სასარ-გებლოა.

მესჯიდებში, ჯემაეთით ნამაზის ლოცვა მუს-ლიმანებს ერთმანეთთან აახლოებს, ურთიერთ სიყვარულს ჰბადებს, ძმობის გრძნობას აღვივე-ბს. უმცროსი უფროსს პატივის-ცემით, უფროსი უმცროსს კი მოწყალებით ექცევა. მ-დიდრები ღა-რიბებს ეხმარებიან. ვისაც მესჯიდში ვერ ნახა-ვენ, სახლში მიაკითხავენ რადგან: **“რწმენის მოძმეს ვინც დაეხმარება ალლაჰუ თეალა იმას დაეხმარება”** ბრძანებს ჰაზრეთი ფეიღამ-ბერი. მუ-სლიმანები ერთ-მანეთს სიკეთეში ეჯიბ-რებიან რათა ამ ჰადისის მადლს ეზიაროს.

ნამაზი იცავს ადამიანს ცოდვისა და ბოროტე-ბისაგან და წინ აღუდგება მათ. **“დღეში ხუთ-ჯერ ნამაზის ლოც-ვა კარების წინ ჩამომ-დინარ მდინარეს ჰგავს, ვინც ხუთ-ჯერ განიბანება და სიბინძურე არ დარჩე-ბა. ასევე ნა-მაზის ლოცვით მცირე ცოდ-ვები მიეტევება”** ვკითხუ-ლობს ჰადის-ში. ნამაზი ალლაჰუ თეალას რწმენის წინაშე ყველაზე დიდი იბადეთია (ღვთისმსახუ-რე-ბაა), ამიტომაც ნამაზის ყველა ვალდებულებას (ნა-მაზის ფარძებს, ვაჯიბებს, სუნნეთებს, მუქრუ-ჰებს, მუსთეჰაბებს) უნდა მივაქციოთ ყურადღება. ერთ-ერთი ჰადისი გვასწავლის: **“მორწმუნე მუს-ლიმანებო, თავის დროზე და სწორად შესრულებული ნამაზი, მუსლიმანებისათ-**

ვის ალლაჰუ თეალას წინაშე ყველაზე კარგი შესრულებული საქმეა, ჰაზრეთი ფეიღამბრის სუნნეთია, მელე-იქების მხრიდან მოწონებულია, სინათლეა, ცოდ-ნისა, მიწისა და ცისა, სხეულის ძალა და სარჩოს ბარაქაა. საშუალებაა იმისა, რომ ვედრება შესმენილი იქმნეს, ნამაზი სიკ-ვდილის მელეიქებზე პასუხის გაცემისას დამხმარეა, სასაფლაოში სინათლეა, ყია-მეთის (წარღვნის) დღეს მუსლიმანების ჩრდილია, ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან დამცველია, ბეწვის ხიდზე ელვისებურად გადამყვანია, სამოთხის გასაღებია, სა-მოთხეში თავზე გვირგვინია. ალლაუ თე-ალამ მუსლიმანებს რაც უბოძა ამათში ყველაზე ძვირფასი ნამაზია, სხვა რაიმე მასზე ძვირფასი, რომ ყოფილიყო ალლაჰუ თეალა ჯერ მას მისცემდა მუსლიმანებს, ნამაზი რწმენის სათავეა, ისლამის და-საყრდენი, ზეცის სინათლე და ჯო-ჯოხეთისაგან ხსნის გზაა".

ერთხელ ჰაზრეთი ალის (რადიელლაჰუან) გამო-რჩა იქინდი ნამაზის ლოცვა. დიწყო მოთქმა და-რდისაგან და მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, კვნესითა და ვედრებით ალლაჰუს თეალა მოიხ-სენიებდა. როდესაც ეს ამბავი ჰაზრეთი ფეიღამ-ბერმა (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გაიგო, ესჰაბი ქირამთან ერთად ჰაზრეთი ალისთან მივიდა. როდესაც დაინახა რადღეში იყო ჰაზრეთი ალი, მასაც ტირილი მოეძალა, ვედრება დაიწყო დ მზე ხელახლა ამოიწვერა, შემდეგ კი ჰაზრეთი ალის მიმართა "ეი ალი! თავი მაღლა აღმართე და შეხედე, მზე ისევ მოსჩანს". ჰაზრეთი ალის ძალიან დაუხადრა და მაშინვე იქინდი ნამაზი ილოცა.

ერთხელ ჰაზრეთი ებუ ბექირმა (რადიელლაჰუან) ძალიან ბევრი ილოცა და ღამის დასასრულს ძი-ლი მოერია და ვითირ ნამაზი გამორ-ჩა. დილის ნამაზის დროს მესჯიდ-ში ჰაზრეთი ფეიღამბერს (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) შეხვ-

და და დარდისგან ტირილი დაიწყო: “ეი, ალლაჰის რესულო! წუხელ ვითირ ნამაზი გამომრჩა”. შეევედრე ალლაჰუ თეალას მიტევებისთვის ასეთ ტირილმა ჰაზრეთი ფეირამბერიც აატირა, მათ ჯებრაილ ალეიჰისელმი მიუახლბდა და უთხრა: “ეი ფეი-ღამბრო გადაეცი მას, რომ ალლაჰუ თეალამ აპატია მას”.

ალლაუ თეალას მოყვარე (ევლია) ბაიეზიდ ბისტამი, ერთ ღამეს ძალიან გადაღლილი იყო და დილის ნამაზის სალოცავად ვერ გაიღვიძა. გულით და დიდხანს მოთქვამდა, რომ ბოლოს ხმა შემოესმა: “ეი. ბაიეზიდ, ეს შეცდობა გეპა-ტია და გარდა პატიებისა სამოცდაათიათასი ნა-მაზის მადლიც ჩაგეთვალაო”. რამდენიმე თვის მერე ისევ დაღლილს ძილი მოერია. დილით მივიდა ეშმაკი მასთან ფეხზე შეეხო და გააღვი-ძა: “ადექი ნამაზი უნდა გამოგრჩესო”. ბაიეზით ბისთამი გაოცდა: “შენ ეშმაკი ხარ ამას როგორ აკეთებ. ყველას რაც უფრო მეტი ნამაზი გამორ-ჩება, მით უფრო გიხარია და რისთვის მაღვიზე-ბო?” ამაზე ეშმაკმა უპასუხა: “ამას წინათ, დი-ლის ნამაზი რომ გამოგრჩა იმდენი იტირე რომ სამოსდაათი ათასი ნამაზის მადლი მოიგე, დღეს ეს მომაგონდა და გაგაღვიძე, რათა სამოცდაა-თიათასიის ნაცვლად ერთი ნამაზის მადლი მო-იგოო”.

ბრძენმა ჯუნეითი ბაღდადმა ბრძანა ამქვეყნის ერთი საათი წარღვნის ათას წელს სჯობია, რა-გდან ამ ერთ საათში მრავალი ღირსეული და სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება, ხოლო წარღვნის ათას წელიწად-ში არც ერთი.” ჰაზრე-თი ფეიღამბერიმა (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრ-ძანა: **“თუ ვინმე განგებ ნამაზს მეორე ნა-მაზთან გააერთიანებს, ოთხმოცი ჰუქბე ჯოჯოხეთში დაიწვება.”** ერთი ჰუქბე, ოთხმოცი საიქიოს წე-ლია. საიქიოს ერთი დღე ამქვეყნიური ათასი წე-ლია.

მაშინ მორწმუნე ძმებო ფუჭ ამბებზე დრო არ დახარ-

ჯოთ, დროის ყადრი იცოდეთ და ზომიე-რად ხარჯეთ რადგან ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა: **“დროის ფუჭად და უვარგისად ხარჯვა უდიდესი უბედურებაა”**.

დროულად ილოცე ნამაზი, რათა მადლი მოიგო და წარღვ-ნის მერე არ ინანო **“ვინც განძრახ სიზარმა-ცით ნამაზს დროულად არ ილოცავს, მის საფლავში ჯოჯოხ-ეთის 70 ფანჯარა გაიხსნება და წარღვნის დღემდე ტან-ჯვა წამება არ აგცდებათ”**. ამბობს ხადისი. ვინც შეგ-ნებულად არ ილოცავს ნამაზს და არ იდარ-დებს რომ ნამაზი გამორჩა, ის ურწმუნოს ტოლფასია და სიკვდილის დროსაც ურწმუნოდ მოკვდება. მაშ რა ელით მათ, ვისაც არც ეშინია მომავალის ტანჯვისა, ვინც არ ცნობს ნამაზს საჭიროდ და სავალდებულოდ, ვინც შეგ-ნებუ-ლად უარყოფს ნამაზს, ამ თემის შესახებ ყველა ალიმი ერთი აზრისაა: “ასეთი ადამიანი **(მურ-თედი)** ურ-წმუნოა.“

პირველი ნაწილი
ჩვენი რწმენა და ნამაზი
უპირველესად ყველას უნდა სწამდეს

ალლაჰუ თეალას სურს, რომ ადამიანებმა ამ ქვეყნად კეთილად და ლაღად იცხოვრონ და სა-იქიოშიც სიმშ-ვიდე და ბედნიერება მოიპოვონ ამისათვის კი გვიბრძანა გავაკეთოთ კეთილი და სასარგებლო საქმეები. ხოლო უბედურების მომ-ტანი ბოროტი საქმეები აკრძალა. ალ-ლაჰუ თე-ალას პირველი ბრძანება რწმენაა. ალლაჰის რწმენა ყველა ადამიანს სჭირდება, ყველა ადა-მიან-ისათვის აუცილებელია.

სიტყვასიტყვით რწმენა, სრულ დაჯერებას და მის სიმართლეში ეჭვიმუტანლობას ნიშნავს. ის-ლამში კი რწ-მენა ალლაჰუ თეალასი და ჰაზრე-თი ფეიღამბრის და-

ჯერებას ნიშნავს. გვჯერა, რომ ჰაზრეთი მუჰამმედი (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) არის ჭეშმარიტი რესული ალლაჰუ თეალასი და გადმოგვცემს მის რჩევებსა და ბრძანებებს, რწ-მენა ნიშნავს გულით რწფელად გვწამდეს. რამ-დენადაც ძალა შეგვწევს ვიღვაწოთ რწ-მენისათის სიტყვითა და საქმით. ძლიერ რწმენსა მივ-ყავართ ნათელ მომავლამდე და როგორც გა-ვურბივართ ცეცხლს ან შხამიან გველს, ისე უნდა ვისწრაფოდეთ მივუახლოვდეთ ალლაჰის ჭეშმარიტებას. რადგანაც გააზრებული გვაქვს ალლაჰუ თეალას სიბრძნე და დიდებულება, გავრბივართ რა ტანჯვისაგან და უცოდინაროებისაგან რწმენას შევეკედლებით. ამ რწმენას ვინახავთ გულის ფიცარზე დაწერილს ურყევად და სამუდამოდ, მსგავსად მარმარილოზე ამოტ-ვირფლური ნაწერისა. ღწ-მენა, ეს არის გა-ვითავისოთ და გურწფელად დავი-ჯეროთ ყო-ველი სიტყვა ჰაზრეთი მუჰამმედისა (სალ-ლაჰუ ალ-ეიჰი ვე სელლემ) ასეთ მორწმუნეებს მუსლი-მანი ეწოდება საჭიროა, ყველა მუსლიმანმა ჰაზრეთი ფეიღამბრის ნაჩვენები გზით იაროს. ეს გზა ყურანი ქერ-იმის ნაჩვენები გზაა და ამ გზას ის-ლამი ეწოდება. ამ გზის მისაყოლად საჭიროა ჯერ ვიწამოთ და შემდეგ შე-ვისწავლოთ ისლამი. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი, მოვერიდოთ ჰარამს, რჯულით აკრძალულ საქმეებს შევასრუ-ლოთ სასიკეთო საქმეები და მოვიქცეთ რჯულის წესების შესაბამისად.

რწმენა ჩვენი რელიგიის საფუძველია. ურწმუ-ნოთა არანაირ სიკეთესა და მადლს ალლაჰუ თეალა არ სცნობს და არ იღებს. ვისაც სურს გახდეს მუსლიმანი უპირველეს ყოვლისა უნდა ირწმუნოს, შემდეგ ფიზიკურად დასუფთავდეს (ღუსლი შეასრულოს). აბდესი, ნამაზი, ფარძი, არამი, ალალი და სხვა ისლამის საკითხები შე-ისწავლოს.

რწმენა სწორი უნდა იყოს

გონებისა და გრძნობისაგან აღქმული იმფორ-მაცია გვეხმარება მივაგნოთ ჭეშმარიტ რწმენას. ყველანაირი მეცნიერება კიდევ ერთხელ ადას-ტურებს, რომ ტყუილად არაფერი არ ხდება და ყველაფერს თავისი გამჩენი ჰყავს. რწმენა ნიშ-ნავს შევისაწვლოთ და გავითავისოთ ის რასაც ბოლო ფეიღამბერი ჰაზრეთი მუჰამმედი (სალლა-ჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გვირჩევს. თუ ზოგიერთ ცნობებს ეჭვის თვალით შევხედავთ და მხოლოდ ლოგიკუდარ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდე-ბა, რომ ეს ურწ-მუნოების ტოლფასია. ზოგი რამ გონებასთან პირდაპირ კავშირში არ არის. ჰაზრთი ფეიღამბრის ჰადისები: **"ეჰლი სუნნეთის ალიმების წიგნებიდან უნდა შე-ვისწავლოთ და უნდა ვირ-წმუნოთ"**.

ნამდვილი რწმენა ქვემოთ მოყვანილი პირო-ბებს უნდა შეიცავდეს

1 – რწმენა მუდმივი და მყარი უნდა იყოს ყოველ წამ-შიც კი. "სამი წლის შემდეგ მუსლმანობას ვუარყოფ" თუ კაცი იტყვის, ის იმწამშივე ურწმუნო გახდება ესეიგი ის-ლამისაგან უარყოფილი იქნება.

2 – მორწმუნე მუსლიმანი რიდით სავსე უნდა იყოს, ალლაჰუ თეალას რისხვისა უნდა ეშინო-დეს, და შეწყალებას მუდმივად უნდა იმედოვნე-ბდეს. ცოდვას თუ ჩავიდენ, რწმენა დამეკარგე-ბააო უნდა ეშინედოს ამიტ-ომ ცოდვას უნდა გა-ურბოდეს. ჩადელილი ცოდვების ალლაჰუ თეა-ლას მხრიდან პატიების კი ყოველთვის უნდა სჯეროდეს. ცოდვები გულით უნდა მოინანიოს, რადგან მომნანიებელი უცოდველის მსგავსა.

3 – სულის ყელში ამოსვლამდის უნდა იწა-მოს. რწ-მენა სიცოცხლეში უნდა გაითავისოს ადამიანმა, რადგან საიქიოში მისვლისას ყველა შესაძლო მდგომარეობა

თვალნათელი გახდება. სიკვდილის პირას ყველა ურწ-მუნო მორწმუნე ხდება, მაშინ როდესაც თუ ადამიანი მორწმუნეა, ურყევი უნდა იყოს და უნახავადაც, სიკვდილამდე უნდა ირწმუნოს. როცა თვალით ნახავს, ყველა იმის რწმენა მიღებული აღარ იქნება. მაგრამ მუ-მინების ვედრება მიღებული იქნება.

4 – მზის დასავლეთიდან ამოსვლამდე უნდა ვირწ-მუნოთ. წარღვნის ერთერთ თვანლაჩინო ნი-შანი მზის დასავლეთიდან ამოსვლაა. მის მნა-ხველი ყველა ადამი-ანი იწამებს, მაგრამ ეს რწ-მენა ალლაჰის მხრიდან აღარ მიიღება და მაშინ პატიების და მონანიების კარი მათთვის დახუ-რული იქნება.

5 – უნდა გვწამდეს, რომ გარდა ალლაჰუ თე-ალასი არავინ არ იცის უხილავი სამყაროს (საიქიოს) შესახებ. მელეიქებმა, ჯინებმა, ეშმაკმა და ფეიღამბრებ-მაც კი არ იციან უხილავი სამყა-როს შესახებ, მაგრამ ფეიღამბრებს და ალლაჰუ თეალას საყვარელ ადამიანებს თვით ალლაჰუ თეალა ზოგიერთ ამბებს აცნობებს.

6 – რჯულში რწმენისა და იბადეთების შე-სახებ არ-სებული კანონები უყოყმანოდ უნდა ვირწმუნოთ. ისლა-მი სარჯულო კანონების ერ-თობლიობაა. ამიტომ ალ-ლაჰის, მელეიქების, წმი-ნდა წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეყნის, ფარძის, ჰარამის ერთბაშად უნდა გვწამდეს. ისლამის რომელიმე ბრძანების ან აკრძალვის მნიშვნელოვ-ნად არ ჩათვლა, ყურანი ქერიმზე, მელეიქე-ბზე ან ფეიღამბრებზე დაცინვა, რწმენი-დან გასვლის ტოლფასია. ვისაც ალლაჰუ თეა-ლა სწამს, მაგრამ ფეიღამბრებს უარყოფს, ურწმუნოა.

7 – ისლამის რწმენის კანონები უყოყმანოდ უნდა დავიჯეროთ. უნდა გვწმდეს, რომ ნამაზის ლოცვა ფარძია, ალკოჰოლური სასმელების და-ლევა, აზარტული თამაშები, მევახშეობა, და პრ-ოცენტი ჰარამია. თუ

ალალს ჰარამად, ან ჰარამს ალალად მივიჩნევთ რწმენას დავკარგავთ.

8 – რწმენა, ისლამის რჯულის საერთო წე-სებს უნდა ექვემდებარებოდეს. უნდა გვწამდეს ისე, როგორც მიგვითითებს ჰაზრეთი ფეიღამბე-რი და არა ისე, როგორც ხსნიან ფილოსოფოსე-ბი და მეტაფიზიკოსები.

9 – მორწმუნეს მხოლოდ ალლაჰუ თეალას გულისთვის უნდა უყვარდეს ან სძულდეს სხვე-ბი. ალლაჰის მორწმუნე მუსლიმანები უნდა უყ-ვარდეს, ისლამისთვის სიტყვითა თუ საქმით ზი-ანის მომტანები უნდა სძულდეს. და ეს მტრობა გულით უნდა ატაროს (არამუსლიმან მოქალაქე-ებისა და ტურისტებს მომღიმარი და სიკეთით სავსე უნდა მიეგებოს და თავისი მაღალი ზნე-ობით მათ ისლამის რელიგია შეაყვაროს).

10 – იმ ჭეშმარიტი მუსლიმანების მსგავსად უნდა გვწამდეს, რომლებიც ფეიღამბრის გზას მიჰყვებიან სწორი რწმენის მისაღებად რწმენა ეჰლი სუნნეთის წიგნებიდან უნდა შევისწავლოთ. ”ეჰლი სუნნეთის ალიმების დაწერილ წიგნებზე მიმდევარს ასი შეჰიდის მადლი დაეწერება.” ოთხივე მესების ალიმები ეჰლი სუნნეთის ალიმები არიან. ეჰლი სუნნეთის ალიმებთა შორის ყველაზე თვალსაჩინო იმამი ებუ ჰანიფეა. ამ ალიმება ესჰაბი ქირამდან გაგონილი დაწერეს, ესჰაბი ქირამმა კი ჰაზრეთი ფეიღამბრიდან (სალ-ლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გაიგონეს.

ეჰლი სუნნეთის ითიქადი

მუსლიმანობის პირველი პირობა, რწმენაა. სწორი რწმენა კი, ეჰლი სუნნეთის კანონების და წესდებულებების შესაბამის დაჯერებაზეა დამოკიდებული. ჭკუათმყოფელი და სქესობრივად მომწიფებული კაცისა და ქალის პირველი ვალდებულება, ეჰლი სუნნეთის სწავლულების წიგნებში დაწერილი რწმენის თემების შესწავლა და მათზე შესაბამისად დაჯერებაა. აღსარუ-ლისას ჯოჯოხეთის სასჯელისგან გადარჩენა, მათი ნაცნობების დაჯერებაზეა დამოკიდებული. ჯოჯოხეთიდან გადარჩენილები, მხოლოდ მათი გზით მსვლელები არიან. მათ გზაზე მიმავალთ **(სუნნიი)** ანდა **(ეჰლ-ი სუნნეთ)** ითქმება. (ის-ლამ აჰლაქ) 553-ე გვერდზე 46-ე წერილში ნახეთ!

ერთ-ერთ ჰადისი შერიფში, **(ჩემი მიმდევრე-ბი სამოცდაცამმეტ ჯგუფად დაიყოფა. ამათგან მხოლოდ ერთი ჯგუფი ჯო-ჯოხეთის ტანჯვას გადაურჩება, დანარჩე-ნები კი იმედგაცრუებულნი დარჩებიან, ჯოჯოხეთში წავლენ)**. ამ სამოცდაცამმეტი ნაწილიდან ერთერთი, რომ ისლამის შესაფერის მიმდევრობაა და ჯოჯოხეთიდან გადარჩენის მაცნობებელი ერთი სწორი მიმართულება, ყვე-ლა თავის ჯგუფს თვლის ამ სწორ მი-მართულებად. სურა მუყმინის 54-ე და სურა რუ-უმ-ის 32-ე აიათებში ასე ბრძანებს: **(ყველა ჯგუფი, სწორ გზაზე ყოფნით ხარობს)**, მაგრამ ამ სხვადასხვა ჯგუფებს შო-რის, გადარჩენილი, ფეიღამბერი (სალალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ასე ბრძანებდა: **(ამ გზაზე მყოფნი, ჩემი და ჩემს შემდგომ საჰაბეების მავალ გზაზე მყოფნი არიან)**. საჰაბეებიდან თუგინდ ერთის უარმყომი ვინმე, ეჰლი სუნნეთიდან გარიცხული იქნება. ეჰ-ლი სუნნე-თის კანონების უარმყოფელი, ქააფირი ანდა **(ბიდათ ეჰლი)** ურწმუნო იქნება.

ეჰლი სუნნეთის მიმდევრობაში ყოფნის ნიშნები:

ალლაჰუ თეალა, ეჰლი სუნნეთის განაწესის შესაბამისად დამჯერებლ მუსლიმანებიდან კმა-ყოფილია. ამდაგვარი დაჯერების რამოდენიმე პირობას ეჰლი სუნნეთის სწავლულები ამდაგ-ვარად ხსნიან:

1 – რწმენის ექვსი პირობის უნდა გვწამდეს. გვწამდეს ალლაჰის, მისი ერთადერთობის, მსგა-ვსის და თანატოლის არ მყოლის. მელეიქების, წმინდა წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეყნის, კარ-გისა და ცუდის ალლაჰის-გან მოსვლის. ყველა ეს პირობები **"ამენთუ"**-შია თავმოყრილი.

2 – უნდა გვწამდეს, რომ ალლაჰის ბოლო წიგნში, ყურანი ქერიმში არის ალლაჰუ თეალას სიტყვები.

3 – მორწმუნემ, საკუთარ რწმენაში ეჭვი არა-სოდეს არ უნდა შეიტანოს.

4 – უნდა გვწამდეს ჰაზრეთი ფეიღამბრის (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ), და ესჰაბი ქირამდან ყველა უნდა გვიყ-ვარდეს. პატივით უნდა მოვიხ-სენიოთ ოთხი ხალიფე და მათი ახლო ნათესა-ვები. ეჰლი ბეითზე (ფეიღამბრის შთა-მომავლო-ბაზე) და მის დალოცვილ მეუღლეებზე ცუდი და არ უნდა ვთქვათ.

5 – უნდა ვიცოდეთ, რომ იბადეთი (ღვთის-მსახურე-ბა) რწმენის შემადგენელი ნაწილი არაა. ვისაც რწმე-ნის პირობები გულით სწამს, მაგრამ სიზარმაცის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით იბა-დეთს არ ასრულებს ურწ-მუნოდ არ ითლება. ას-ეთი ადამიანი მაინც მუსლიმანია, მაგრამ ცო-დვიანი.

6 – სწორი ყიბლის არსებობის მთქმელნი, ალლაჰუ თეალას და ფეიღამბრებზე დაჯერების მიუხედავად არას-

წორი ითიქადის მიმყოლებზე ქააფირს არ უნდა ვამბობდეთ.

7 – თუ იმამი ღიად. ყველას დასანახად ცოდ-ვას არ ჩადის, და მის შესახებ არ ვიცით ცოდ-ვიანია თუ არა, მასზე მიყოლით ნამაზის ლოცვა შეიძლება. ეს კანონი ჯუმა და ბაირამ ნამაზის მლოცველ მართველებზეცაა.

8 – მუსლიმანებმა, მმართველებს, უფროსებს არ უნდა აუჯანყდნენ. ინტრიგის, განხეთქილე-ბის მიზეზი არ უნდა გახდენ. მათთვის კარგი სასარგებლო საქმეების გაკეთებისთვის შეძლე-ბისდაგვარად რჩევა-დარიგებები უნდა მისცენ. წინ გასულ წინამძღოლებზე, მმართველებზე წინაა-ღმდეგობის გაწევა არ უნდა ხდებოდეს. აჯანყება ინტრიგის გამოგონება სხვადასხვა ცუდ საქმეებს გზას უხსნის. მათ სამადლო საქმის გაკეთებით ვედრება უნდა გააკეთოს და ბინძურ, ცოდვიან საქმეებიდან განშორებისთვის ტკბილი ენით უნდა მოუწოდოს.

9 – აბდსის აღებისას ფეხების დაბანის ად-გილზე, საერთოდ პატიება და საპატიებელი რო-მც იყოს, ცალი ხელით ერთხელ, მესთის ზემო-დან მესის გაკეთება, კაცისთვისას და ქალისთ-ვისაც დაშვებულია. შიშველ ფეხზე და წინ-დებზე მესის გაკეთება არ შეიძლება.

10 – ფეიღამბერის სულიერად და სხეულით მირაჯის (ცათ ამაღლება) გაკეთებაზე დაჯერება. (მირაჯი, წარმოსახვითი შემთხვევაა, ანუ სიზმარში განხორციელდა) მთქმელები, ეჰლი სუნნეთიდან გარიცხულები არიან.

სამოთხეში მორწმუნეები ალლაჰუ თეალას პირისპირ დაინახავენ. აღსასრულის დღეს, ფეი-ღამბერები და სწორი საქმის მკეთებლები დაცუ-ლნი იქნებიან შვებას იგრძნობენ. საფლავში კითხვები არსებობს. საფლავში ტანჯვა სულის და სხეულის იქნება. ევლიების ქერამეთი (სას-წაული) სწორია. საფლავში

სულები, სიცოცხლეში ჩადენილ და ნათქვამ საქმეებს მოისმენენ.

ყურანი ქერიმის კითხვის, მოწყალების გაღე-ბის და ყველა მსახურებისგან მიღებული მად-ლის, მიცვალე-ბულების სულებისთვის გაგზავნა, მათზე სარგებლის მიცემაზე, ტანჯვის შემსუ-ბუქებაზე ანდა ტანჯვისგან განთავისუფლების საბაბი გახდება. ამათი ყველაფრის დაჯერება, ეჰლი სუნნეთის მიმყოლების თვისებებია.

რწმენის პირობები

რწმენის პირობა ექვსია და ამენთუშია თავ-მოყრილი. ეს პირობები ჰაზრეთი ფეირამბერმა (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გვამცნო. ყველა მუ-სლიმანმა ბავშვს რწმენის ექვსი პირობა (ამენ-თუ) უნდა დააზეპირებინოს და მისი აზრი გა-აგებინოს. რწმენის პირობები ესენია: **"მე მრწანს ალლაჰის, მის მელექების, წმინდა წიგნების, ფეიღამბრების, იმქვეყნის, ბე-დისწერის ხეირისა და შერის (კარგისა და ცუდის) ალლაჰის მიერობის და მწამს რომ ალლაჰი ერთია და მუჰამმედი მისი რესულია"**.

პირველი პირობა
ალლაჰუ თეალას რწმენა

(ამენთუ ბილლაჰი) ალლაჰუ თეალას რწმე-ნა ნიშნავს, რომ მე გულით მწამს ალლაჰის არსებობისა, მისი ერთადერთობისა. ალლაჰუ თეალა არსებობს და მხოლოდ ერთია. არ არის მისი მსგავსი და თანამეუფლებე. მას უფლება-მოსილე-ბაში არანაირი მოცილე არ ჰყავს. ის გაჩენილებს არცერთი თვისებით და ფორმით არ ჰგავს.

ყველა არსების, მათი ყველა ორგანოსა თუ უჯრედის გამჩენი მხოლოდ ალლაჰუ თეალაა. ალლაჰის ნამდვილი

ცნობა და დახასიათება არ-ავის არ შეუძლია, რადგანაც ეს გონებრივ შესა-ძლებლობებს აღემატება. მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შესახებ ყურანი ქერიმში მოცემული სიტყვები (თვისებები და მნიშვნელობები) უნდა დავიზეპიროთ უნდა გავიაზროთ, რაგდან ყველა მათგანი მყარი და სამარადისოა. ალლაჰუ თეა-ლა მხოლოდ მაღლა ან დაბლა, მარჯვნივ ან მარცხნი არ არის, **(ის ყოველთვის და ყველგანაა)**.

ალლაჰუ თეალას 14 თვისება გააჩნია. 6 მათ-განს **ზაათი**, 8 მათგანს **სუბუთი** თვისება ჰქ-ვია. ყველა მათგანის მნიშვნელობების გაგება და დაზეპირება ძალიან კარგია.

ზაათი თვისებები
(მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის თვისებები)

1 – **ვუჯუდ (არსებობა)** "ალლაჰი არსებობს, მისი არსებობა აუცილებელია

2 – **ყიდემ (დასაწყისის უქონლობა)** ალ-ლაჰის არსებობას დასაწყისი არ გააჩნია.

3 – **ბეყა (დასასრულის უქონლობა)** ალ-ლაჰის არსებობას დასასრული არ გააჩნია. არა-სოდეს გაქრება, არასოდეს მეტოქე არ ეყოლება, ვერასოდეს ვერავინ ვერ შეედრება.

4 – **ვაჰდანიეთ (ერთადერთობა)** ალლაჰი ერთადერთია არ ჰყავს ბადალი მოწილე ან მო-ნახევრე სიტყვაში, საქმეში ან უფლებამოსილე-ბაში.

5 – **მუხალეგეთუნ–ლილხავადის (უმსგავსობა)** ალლაჰი გაჩენილებს შორის არცერთ არსებას არ ჰგავს

6 – **ყიამ ბი-ნეფსიჰი (არსებობის სხვაზე დამოუკიდებულება)** ალლაჰი საკუთარი ძა-ლით, სხვაზე დამოკიდებული არარის. მას არ სჭირდება დრო და ადგილი. სხვა რამე არაფე-რი, რომ არი იყო ალლაჰი ყოველთვის იყო, არის და იქნება კიდე, რადგანაც ის ვინმესაგან რაიმეს არ საჭიროებს.

სუბუთი თვისებები
(თვისებები რომ-ლებიც ალლაჰუ თეალას გაჩენილებსაც გა-აჩნიათ. მაგ: სმენა, გაგონება. მაგრამ ალ-ლაჰს ეს თვისებები სხვებს არ ჰგავს)

1 – **ჰაიათ (სიცოცხლე)** ალლაჰუ თეალა ცოცხალია. მისი სიცოცხლე სხვა არავის სიც-ოცხლეს არ ჰგავს. მისი სიცოცხლე მუდმივი და სამარადისოა.

2 – **ილიმ (სიბრძნე)** ალლაჰმა ყველაფერი იცის და მისი ცოდნა არცერთ არსების ცოდნას არ ჰგავს. ალლაჰი წყდიად ღამეში შავ ქვაზე შავ ჭიანჭველის ცოცვას ხედავს და მისი ფე-ხების ბაქუნის ხმა ესმის. მან იცის ადამიანთა ზრახვები. რასაც ადამიანები გულში ან გონება-ში გაივლებენ ხოლმე. მისი ცოდნა არ იცვლება მუ-დმივი და სამარადისოა.

3 – **სემღ (სმენა)** ალლაჰუ თეალა ისმენს, ისმენს ყოველგვარი საშუალების გარეშე. მისი გაგონილი და მოსმენილი არცერთ არსებისა არ ჰგავს. მისი ეს თვისებაც მუდმივი და სამარადი-სოა.

4 – **ბასარ (მხედველობა)** ალლაჰუ თეალა ხედავს, ხედავს ყოველგვარი პირობისა და საშ-ვალების გარეშე. მისი დანახული ადამიანის თვ-ალით დანახულ არ ჰგავს.

5 – **ირადე (ნება სურვილი)** მისი ნება უსას-რულოა და გააჩენს რასაც მოისურვებს. ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით ჩნდება. არ არ-ის ძალა რომელიც მის ნებას წინ აღუდ-გება.

6 – **ყუდრეთ (ძლევამოსილება)** ალლაჰუ თეალა ყოვლისშემძლეა, უძლეველია. არ არსე-ბობს რაიმე სირთულე ან დაბრკოლება მისთვის.

7 – **ქელამ (მეტყველება)** ალლაჰუ თეალა წარმოთქვამს და ლაპარაკობს. მისი ნათქვამი ენით ასოებითა და ხმებით არ გამოიხატება. ყუ-რანში ალლაჰის სიტყვებია.

8 – **თექვინ (გაჩენა)** ერთადერთი გამჩენი ალლაჰია. ის რასაც მოისურვებს იმას გააჩენს. არ არსებობს სხვა გამჩენი გარდა ალლაჰისა, რაგდანაც ყველაფერს ალლაჰი აჩენს. (სხვა ყველა-ზე გამჩენია ამის თქმა არ შეიძლება).

არავინ და არაფერი ალლაჰუ თეალას თვისე-ბებს არ ჰგავს.

მეორე პირობა
მელეიქების რწმენა

(ვე მელაიქეთიჰი) მელეიქების რწმენა ნიშ-ნავს, რომ მე მწამს ალლაჰუ თეალას მე-ლეიქებისა. ისინი ალლაჰის მონამორჩილნი, მსახურნი არიან და ყველა მათგანი ალლაჰის ბრძანებას ემორჩი-ლება. მელეიქები სინათლის სხივისაგან (ნურისაგან) არიან გაჩენლი, ცოცხლები არიან, ცოდვას არ სჩადიან, ქალი ან მამაკაცი არ არიან, არ იქორწინებენ, არ ჭამენ, არ სვამენ, არ იძინებენ, ჭკვიანები და ნათლით სავსე არიან. მათ შორის არის 4 რჩეული მელეიქი.

1 – **ჯებრაილი** ალეისსელამ მისი მოვალე-ობაა "ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები აცნობოს ფეიღამბრებს.

2 – **ისრაფილი** ალიჰისსელამ "მისი მოვალე-ობაა სურაში ჩაბერვა. სურაში ორჯელ ჩაბერა-ვს: პირველი ჩაბერვის მერე ალლაჰის გარდა ყვ-ელა ცოცხალი არსება მოკვდება. მეორე ჩაბერ-ვის მერე კი ყველა მკვდარი ხელახლა გაცოც-ხლდება".

3 – **მიქაილი** ალეიჰისსელამ "მისი მოვალე-ობაა ბარაქის გამოგზავნა, სიძვირე, სიიაფე, გაჭირვე-ბა, ყველა ბუნებრივი მოვლენების მართვა, გამო-გვიგზავნოს პური არსებობისა. სიაფე, სიძვირე, ხვავი და ბარაქა ყვეაფერს ის განაგებს".

4 – **აზრაილი** ალეიჰისსელამ "მისი მოვალე-ობ-აა მიიბაროს ადამიანის სულები".

ამის გარდა ოთხი ჯგუფის მელეიქები არიან. **ჰამელეი არშის** მელეიქების რაოდენობა ოთხია. ჰუზურ-ი ილაჰ-ში მყოფ მელეიქებს **მუქარეებინ** ეწოდა. ტანჯვა-წამების მელეიქების მთავარს **ქე-რუბიან ეწოდება.** წყალობის

მელეიქებს **რუჰანიან** ეწოდება. სამოთხის მელეიქების მთავარი **რიდვანი**, ჯოჯოხეთის მელეიქების მთავარი **მალიქი** და სხვა. ჯოჯოხეთის მელეიქებს ზებანი ეწოდება. ცაში მელეიქების იბადეთის გაუკეთებელი ადგილი არ არის.

მესამე პირობა
წმინდა წიგნების რწმენა

(ვე ქუთუბიჰი): წმინდა წიგნები მწამს, ნიშ-ნავს რომ მე ვირწმუნე იმ წმინდა წიგნებისა, რომლებიც ალლაჰმა დედამიწაზე გამოგზავნა. ალლაჰუ თეალამ ზოგ ფეიღამბერს ჯებრაილ მელეიქის მეშვეობით ვაჰით ანუ წაკითხვით, ზოგს დაწე-რილად ზოგს გაგონევით. ყველა ალლაჰუ თეალას სიტყვებია. წმიდა წიგნები ყველა ჭეშმარიტია. წმინდა წიგნები 104–ია. მათ შორის 4 დიდი წიგნია, 100 კი ბროშურა. ამათ-გან ალლაჰუ თეალამ. **10 ბროშურა** ჰაზრეთი ადემს, **50 ბროშურა** ჰაზრეთი შიითს, **30 ბროურშურა** ჰაზრეთი იდრისს, **10 ბროშურა** ჰაზრეთი იბრაჰიმს გამოუგზავნა. 4 დიდ წიგნს შორის: **თევრათი** ჰაზრეთი მუსას, **ზებური** ჰაზრეთი დავუდს, **ინჯილი** ჰაზრეთი ისას, **ყუ-რანი ქერიმი** ჰაზრეთი მუჰამმედს გაოუგზავნა.

დაწყებული პირველ ფეიღამბერ, ჰაზრეთი ადემიდან დამთავრებული ბოლო ფეიღამბრ ჰაზ-რეთი მუჰამმედამდე, ალლაჰუ თეალამ ეს წმინდა წიგნები გამოგზავნა რათა ადამიანებს მშვიდო-ბიანად, ბედნიერ-ად ეცხოვრათ ამ ქვეყნად და შესძლებოდათ სამოთხე-ში შესვლა. ალლაჰმა ამ წმინდა წიგნებში ადამიანებს აცნობა, განუ-მარტა ყველა საჭირო თეამა და საკითხი.

წმინდა წიგნებს შორს ყურანი ქერიმი უკანა-სკნელია. მისი გამოგზავნის შემდეგ სხვა წმინდა წიგნებმა აქტუ-

ალობა დაკარგა და გაუქმნდა კი-დეც. ყურანი დედამი-წაზე ერთბაშად არ ჩამოსულა, ჰაზრეთი ფეირამბერი მას 23 წლის მანზილზე ღებულობდა. ყურანი ქერიმი 114 სურესა და 6236 აეთისაგან შესდგება. ზოგჯელ აეთე-ბის რაოდენობა იცვლება, რაც ზოგიერთი გრძელი აეთე-ბის რამოდენიმე აეთად ჩათვლით არის გამოწვეული. ყუ-რანი ქერიმში ალლაჰის სიტყვებია ის ჰაზრეთი ფეიღამ-ბრის უდიდესი სასწაულია. ყურანი ქერიმის სიდიადემ მის წინაშე დააჩოქა იმდროინდელი არაბეთის ლიტერ-ატურა თუ მწე-რლები, რადგანაც ვერავინ ვერ შესძლო ყურანის მსგავსი ერთი აეთის შექმნაც კი. ანდა როგორ შესძლებდა ყურანში ხომ თავიდან ბოლომდიის ალლაჰი-ის სიტყვებია და ადამიანის ხელი არ ურევია. ყურანი ქერიმს ალლაჰუ თეალა იცავს, რასაც ადასტურებს ის, რომ დღემდე მასში ერთი ასობგერაც არ შეცვლილა. ყუ-რანი დღესაც ისეთია, როგორიც დედამიიწაზე ჩამოვი-და და ქვეყნის ბოლო დღემდის ასეთი ფაქიზი და უცვლელი იქნება.

ჰაზრეთი მუჰამმედ (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ფეიღამბრის გარდაცვალებიის შემდეგ, მისმა პი-რველ-მა დამხმარემ ჰალიფამ, ჰაზრეთი ებუ ბექი-რმა (რადიელ-ლაჰუან) ყურანის აეთები ერთბაშად შეკრიბა და ერთ წიგნში მოუყარა თავი. იმ წიგ-ნს **"მუსხაფი"** უწოდეს. მესამე ჰალიფემ ჰარეთი ოსმანმა (რადიელლაჰუან) 6 ცალი კიდე დააწერინა და სხვადასხვა რეგიონებში გაგზავნა.

ყურანი არაბული ასოებით უნდა წავიკითხოთ. სხვა ასოებით დაწერილს ყურანი არ ეთქმის.

ა) კითხვის დროს აბდესი აღებული უნდა გვქო-ნდეს, ყიბლის მხარეს უნდა ვიდგეთ და ყურადღებით უნდა წავიკითხოთ.

ბ) ნელ ნელა და გამოთქმით უნდა წავიკით-ხოთ.

გ) ყურანის კითხვისას მისი ყველა აეთის მნიშ-ნელვობა ღრმად უნდა გავიზიაროთ.

დ) ყველა სიტყვა ზუსტად, გამოთქმით უნდა წავიკითხოთ.

ე) წაკითხული, რომ ალლაჰის სიტყვებია კარ-გად უნდა გავითავისოთ.

ვ) ყურანის ყველა ბრძანებებსა და აკრძალ-ვებს უნდა დავემორჩილოთ.

მეოთხე პირობა
ფეიღამბრების რწმენა

(ვე რესულიჰი). ფეიღამბრების რწმენა ნიშ-ნავს, რომ მე მწამს ალლაჰის ფეიღამბრების. ისინი შერჩეული არიან ფეიღამბრებად, რათა გვიჩვენოს სწორი გზა და ალაჰის მსახურების, ყველა ფეიღამბერმა ერთი და იგივე რწმენა მოიტანა. ფეიღამბრები ზოგიერთი თვისებით ხასიათდე-ბიან. ამ შვიდი ნიშანთვისების დაჯე-რებაა საჭირო. ესენია:

1 – **ისმეთ (უცოდველობა)**: ფეიღამბრები არასოდეს ჰარამს, აკრძალულ საქმეს არ მოიმოქმედებენ, არასოდეს პატარა ან დიდი არა-ნაირ ცო-დვას არ ჩაიდენენ. ისინი უცოდველნი არიან.

2 – **ემანეთ (სანდოობა)**: ფეიღამბრები ყო-ველმხრივ სანდოები არიან და არასოდეს მათთ-ვის ჩაბარებულ ამანათებს არ უმუხთლებენ.

3 – **სიდყ (სიმართლე)**: ფეიღამბრები არა-სოდეს ტყუილს არ იტყვიან, ყველა სიტყვის და საქმე-ში გულახდილი დ მართალნი არიან.

4 – **ფეთანეთ (ნიჭიერება)**: ფეიღამბრები ძალიან ჭკვიანი და გამგებნი არიან. სიბრმავე, სი-ყრუე ან მსგავსი

ნაკლოვნებების მქონე და ქა-ლებიდან ფეიღამბრები არ ყოფილან.

5 – **თებლიღ (ცნობა)**: ყველაფერი რასაც ფე-იღამბრე-ბი ხალხს აცნობენ მათ ალლაჰისგან შეისწავლეს. წარ-მოთქმული არცერთი აკრძალვა ან ბრძანება მათი საკუ-თარი ნებასურვილი არ არის. ისინი მხოლოდ ალლაჰის ბრანებებს გვამ-ცნობენ.

6 – **ადალეთ (სამართლიანობა)**: ფეიღამბ-რები არა-სოდეს სჩადიან უსამართლობასა და სისასტიკეს, ჭეშ-მარიტებასა და სამართალს არავის ხათრისთის არ გადაუხვევენ.

7 – **ემნულ-ღაზმნ (ალლაჰი მათ ფეი-ღამბრობის ტიტულს არ ჩამოართმევს)**: სააქაოშიც და საიქიოშიც მუდმივად ფეიღამბ-რები არიან.

ახალი რჯულისა და შერიათის მომტან ფეი-ღამბრებს **რესული** ეწოდება. ხოლო იმ ფეიღამ-ბრებს რომელიც წინა ფეიღამბრის შარიათს აგ-რძელებს **ნები** ეწოდება. არასოდეს ფეიღამბ-რები ერთმანეთიაგან არ უნდა გამოვარჩიოთ. ყველა ისინი ალლაჰის მხვრივ შერჩეული, მარ-თალი და ღირსეულნი არიან. თუ ვინმეს რომე-ლიმე მათგანია არ სწამს, ის ხვა დანარჩენების მორწმუნედაც არ ჩაითვლება, ესეიგი ურწმუნოა, ვინაიდან ყველა ფეიღამბრის რწმენა, როგორც ზემოთ აღ-ვნიშნეთ რწ-მენის მეოთხე პირობათა-განია.

ადამიანი ბევრი იბადეთით, ბევრი ლოცვით, შიმშილ-ისა და ტნჯვის გამოცდით ფეიღამბერი ვერ გახდება. ალლაჰუ თეალა ვისაც შეარჩევს, მხოლოდ ის იქნება ფეიღამბერი. ფეიღამბრების რაოდენობა ზუსტად ცნო-ბილი არაა. ითვლება რომ 124000-ზე მეტი არიან. აქედან 313 ან 315 რესულია. ამათგან 6 უფრო დიდი ფეიღამბე-რია, მათ **ულულაზმ** ეწოდება. ესენია **ადემ, ნუჰ, იბრაჰიმ, მუსა,** ისა. და **მუჰამმედ მუსტა-ფა** (ალეიჰიმუს-

სელამ). ფეიღამბრების 33 სახელი ცნობილია ესენია: **ადემ, იდრის, შით, ნუჰ, ჰუდ, სალიჰ, იბრაჰიმ, ლუტ, ისმაილ, ისჰაყ, იაყუფ, ისუფ, ეიუბ, შუაიბ, მუსა, ჰარუნ, ჰიდირ, იუშა ბინ ნუნ, ილიას, ელიას, ზულქიფრ, შემუნ, იშმოილ, იუნუს ბინ მეთა, დავუდ, სულეიმან, ლოყმან, ზექერია, იაჰია, უზეირ, ისა ბინ მერიემ, ზულ-ყარმეინ, და მუჰამმედ (ალეიჰი ვე ალეიჰიმუსსალათუ ვესსელამ)**.

აქედან ყურანში მარტო 28 სახელია მოხსენე-ბული. (ზულყარნეინ, ლოყმან, უზეირ, ჰიდირ). ზუსტად ცნო-ბილი არ არის ფეიღაბრები იყვნენ თუ არა. მუჰამედ მა-სუმი მეორე ნაწილის ოც-დაეთექვსმეტე წერილში ჰიდირ ალეისელამის ფეიღამბრობის ალბათობა უფრო ძლიერია გად-მოგვცემს.

ჩვენი ფეიღამბერი
ჰაზრეთი მუჰამმედი

ჰაზრეთი მუჰამმედი (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ალლაჰუ თეალას რესულია, ჰაბიბია (საყვარე-ლია). ფეიღამბერთაგან ყველაზე უპირატესი და უკანასკნელია. მამის სახელია აბდულლაჰი. 571 წლის 20 აპრილს ორშაბათ დღეს გამთენიისას მექაში დაიბადა. მამა დაბადებამდის გარდაეც-ვალა. 6 წლისას დედა. 8 წლისას ბაბუა გარდა-ეცვალა. შემდეგ ბიძის ებუ თალიბის გვერდით იზრდებოდა. 25 წლის ასაკში ჰაზრეთი ხატი-ჯეს-თან (რადიელლაჰუან) დაქორწინდა, მისგან 4 ქალი-შვილი და 2 ვაჟი შეეძინა. პირველ ვაჟიშ-ვილს ქასიმი. მის გამო ფეიღამბერს **(ებ-ულ ქასიმს)** ერქვა ქასიმის მამა ეთქმის. 40 წლის ასაკში ყვ-ელა ადამიანს და ჯინს ეცნოდა მისი ფეიღამბრობა. ფეიღამბრობიდან სამი წლის შემდეგ ყვე-ლას რწმენისაკენ მოუწოდა. 52 წლის ასაკში ერთ ღამეს ალლაჰმა იგი მექქადან

იერუსალიმში მდებარე “აყსას” მეჩეთში და იქიდანაც ზეცაში აიყვანა და უკან დედამიწაზე დააბრუნა. ამ მგზავრობას **(მირაჯი)** ეწოდება. ამ მგზავრობისას ფეიღამბერმა სამოთხე, ჯოჯოხეთი და ალლაჰუ თეალა იხილა. იმ ღამით ალლაჰისაგან მუსლიმანებისათვის დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვის ბრძანება მიიღო.

ჩ.წ 622 წელს ალლაჰის ბრძანებით ჰაზრეთი ფეიღამბერი მექქადან მედინაში წავიდა. ამ მგზავრობას **(ჰიჯრეთი)** ეწოდება. მუსლიმანური წელთაღრიცხვა ამ წლიდან იწყება, ამას **(ჰიჯრის წელთაღრიცხვა)** ეწოდება. ჰიჯრის წელთაღრიცხვით 11, ჩ.წ 632 წელს ორშაბათ დღეს 63 წლის ასაკში ჰაზრეთი ფეიღამბერი გარდაიცვალა.

ჰაზრეთი ფეიღამბერი თეთრი იყო. ყველაზე მშვენიერი იყო, მაგრამ ამას ყველას არ აგრძნობინებდა. ვინც ერთხელ მაინც, ნახავდა მის სილამაზეს (თუნდაც სიზმარში), მთელი მისი ცხოვრება მხიარულობაში და ბედნიერებაში გაივლიდა. იგი ყველა გაგებით დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე უფრო მშვენიერი და აღმატებული იყო. მისი ფიქრი, აზრი, ქცევები, ხასიათი, აგებულება და ძალა ყველა ადამიანს აღემატებოდა.

ბავშვობისას ორჯერ ვაჭრებთან ერთად და-მასკოს მახლობლად ბუსრაში წავიდა და უკან დაბრუნდა. ამის გარდა არსად და არსოდეს არ წასულა. ბრძენი იყო, მაგრამ სკოლაში არასო-დეს არ წასულა, არავის გაკვეთილებს არ დას-წრებია, მაგრამ ყველაფერი იცოდა, რადგან ალ-ლაჰუ თეალამ მას ყველაფერს ატყობინებდა. მე-ლეიქი ჯებრაილიც მას ყველაფერს ატყობინებ-და. მისი ნათელი გული სხივეებს აფქრვევდა. მისმიერ გაცემული ცოდნა და სიბრძნე რა-დიოს ტალღების მსგავსად ყველა ადგილზე აღწევდა: მთებ-

ში, ცაში, ზღვებში, ტბებსა და სხვა. ეხლაც მისი საფლავიდანაც იფრქვევა მი-სი ცოდნა, ისლამი დღითი დღე იზრდება. რა-დიოტალღების დაჭერისთვის მიმღებია საჭირო ხოლო ფეიღამბრის სიბრნის ზიარებისათვის მიმნდობი, მორწმუნე, სწორი გზით მავალი და ცოდვებისაგან განწმენდილი გულია საჭირო. ასეთი ადამიანი ფეიღამბრისეულ ნათელს მიი-ღებს და აავრცელებს. მათ **"ევლია"** ეწოდებათ. რიგითმა ადამიანებმა გულით რომ უსმინონ და მისიდან ევლიას, მათი გულიც განიწმინდება, განივრცობა, ჩამოყალიბდება და გაუმჯობესდე-ბა. ალლაჰუ თეალამ გააჩინა მზე, რათა მივი-ღოთ მისი სითბო და ენერგია და გავიზიაროთ, როლო ჰაზრეთი ფეიღამბერი ჩვენი სულისა და გონების მასაზრდოებლად გამოგვიგზავნა. რო-გორც მზე კვებავს ყველაფერს, მატერიალურსა და სხეულებრივს ისევე ევლიათა საუბრები სიტ-ყვები და ნათელი ჰკვებავს სულსა და გონებას, რამდენადაც ის ჰაზრეთი ფეირამბრისგან მომ-დინარეობს.

ალლაჰუ თეალამ ჯებრაილ მელეიქის მეშვე-ობით ჰაზრეთი მუჰამმედს (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) **(ყურანი ქერიმი)** გამოუგზავნა და ადამიანებს უბრძანა ეკეთებიანათ სასარგებლო და სასიკეთო საქმეები სააქაოშიც და საიქიო-შიც, ხოლო ყველაფერი რაც მავნებელია აკრძალა. ამ აკრძალვებსა და ბრზანებებს **(ის-ლამი)**, **(ისლამური რელიგია)** ანდა **(ისლა-მური ზნეობა)** ეწო-დება.

ჰაზრეთი ფეიღამბრის ყველა სიტყვა სწორია, ჭეშმარიტი და სასარგებლოა. ვისაც ასე სწამს, მას (მუმინი) (მუსლიმანი) ეწოდება. ხოლო ვისაც ფეიღამბრის არ სწამს, მას ურწმუნო ანუ (ქაფი-რი) ეწოდება. ალლაჰს მუსლიმანი უყვარს და მას სამუდამუდ ჯოჯოეთისთვის არ იმეტებს ანუ სულ არ მოახვედრებს იქ, ან და თუ ცოდვიანია, ცოდვის შესაბამისად მცირე ხანს ჯოჯოხ-

ეთში მოხვედრის მერე გაათავისუფლებს. ხოლო ურწმუნო სამოთხეში ვერ მოხდება. პირდაპირ ჯოჯოხეთში წავა და სამუდამოდ იქ დარჩება. სამოთხეში მოხვედრის საფუძველი ფეიღამბრის რწმენაა, ფეიღამბრის მიმართ ურწმუნოება მრავალ ტანჯვასა და უბედურებას მოიყოლიებს ხოლმე.

ჰაზრეთი ფეიღამბერს ყველა სხვა ფეიღამ-ბერზე მეტი ჭკვა, გონება, სილამაზე, მჭერმეტყ-ველობა, მოთმინება, გამჭრიახობა, შემწყალებ-ლობა, გულუხვობა, სიკეთე, სიყვარული და შემ-ბრალებლობა ჰქონდა. მეგობარსა თუ მტერს მი-ყენებულ ზიანსა და ბოროტებას პატიებდა. არასოდეს საპასუხოდ არ მტრობდა. როდესაც ურწ-მუნოებმა მას კბილები ჩაუმტრიეს ალლაჰს ასე შეევედრა: **(ეი ალლაჰ მიუტევე მათ, რად-განაც ამას უვიცობის გამო სჩაადიან)**.

ჰაზრეთი ფეიღამბერს ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა. საჭიროა მუსლიმანებმა შეისწავლონ და მიჰბაძონ - ფეიღამბერს. ამ გზით ადამიანები სი-კეთისა და ბედნიერების სათავეს მიაგნებენ და ფეიღამბრის შუამდგომლობას ეღირსებიან. რად-განაც ჰადისში ვკთხულობთ: **“იცხოვრეთ ალ-ლაჰის ზნეობით”**.

იმ მუსლიმნებს, რომლებსაც ხვდათ პატივი ენახათ და ესაუბრათ ჰაზრეთი ფეიღამბერთან **“ესჰაბი ქირამი ანუ სააჰაბე”** ეწოდე-ბათ. ყველა დროის ყველაზე საუკეთესო ესჰაბი არის **ებუ ბექრ-ი სიდდიქ**. იგი პირველი ჰა-ლიფეა. მას მოჰ-ყვებიან ჰალიფე **ომერ ბინ ჰატტაბ**, მესამე ჰალიფე **ოსმან ბინ ღაფფან** და მეოთხე ხალიფე **ალი ბინ ები ტალიბ**. ჰაზრეთი ფეიღამბრის ჰა-დისის მიხედვით მსოფ-ლიო ქალებს შორის ყველაზე უპირატესი არიან: **“ფატმა, აიშე, ხატიჯე, მერიემი და ასიე”**. კვლავ ერთერთ ჰადისში ჰაზრეთი ფეი-ღამბერი ასე ბრძანებს: **“ფატმა სამოხთის ქალბატონებს შორის ყველაზე აღმატებუ-ლია, ხოლო ჰასანი და ჰუსეინი ვაჟიშ-ვილებს შორის ყველაზე საუკეთესონი არიან”**.

ამათ შემდეგ ესჰაბი ქირამის ყველაზე საუკე-თესო რიგით **“აშერეი მუბეშერე”** მოჰყვება აშერეი მუბეშერე არიან 10 საჰაბე რომლებსაც სიცოცხლეშივე სამოთხ-ეში წასვლა ემახარობ-ლათ. ესენია: **“ებუ ბექრ-ი სიდ-დიქ, ომერ-ულ-ფარუქ, ოსმანიბინ ღაფფან, ალი ბინ ებუ ტაალირ, ებუ უბეიე ბინ ჯერრაჰ, ტალჰა, ზუბეირ ბინ ავვამ, სად ბინ ები ვაქასი, სადიბ ბინ ზედი და აბდუ-რაჰმან ბინ ავფი**. (რიდვანულლაჰი თეალა ალეიჰი ეჯმაინ). შემდეგ **ბედრის** ბრძოლაში მონაწილეები შემ-დეგ **უჰუდის** და **ბიათურრიდვანში** მონაწილ-ლები არიან.

ჩვენ მოვალენი ვართ სიყვარულით და პატი-ვისცემით მოვიხსენიოთ ყველა საჰაბე, ვინც ჰაზ-რეთი ფეიღამბერს დაეხმარა ძნელ გზაზე და მი-სთვის ქონება და სიც-ოცხლე მსხვერპლად გა-იმეტა. აკრძალულია და დიდი ცოდვად ჩაგვეთვ-ლება მათი აუგად მოხსენიება და არასერიო-ზულობა.

ვისაც ჰაზრეთი ფეიღამბერი უყვარს, მისი ეს-ჰაბიც

უკლებლივ ყველა უნდა უყვარდეს, რად-გან წმინდა ჰა-დისი ბრძანებს რომ: **“თუ კი ვინმეს ჩემი ესჰაბი უყვარს ეს ჩემი სიყ-ვარულისთვის უყვარს, ხოლო ვისაც საჰა-ბეები არ უყვარს მეც არ ვუყვარვარ, ვინც მათ აწყენინებს მე მაწყენინებს, ხოლო ვინც მე მაწყენინებს ალლაჰს აწყენი-ნებს. ალლაჰის გამნრისხნებელი კი უეჭველია დაიტანჯება”**. ასევე სხვა ჰადისში ვკითხუ-ლობთ: **“როდესაც ალლაჰს სურს ჩემი უმმეთიდან სიკეთით დააჯილდოვოს ვინმე, მაშინ მას საკუთარ სიც-ოცხლეზე მეტად ჩემს საჰაბეებს შეაყვარებს”**. ფეი-დამ-ბრის გარდაცვალების დღეს მედინეში 33 000. სულ საა-ბეთა რიც-ხვი 124 000 - ზე მეტი იყო.

ოთხის მეზების იმამები და სხვა ალი-მები (სწავლულები)

არსებობს რწმენის ერთადერთი ჭეშმარითი გზა ეს **(ეჰლი სუნნეთ ველჯემაღეთ)**-ის მე-ზებია. არის ეჰლი სუნ-ნეთის ოთხი იმამი, რომ-ლებიც მუსლიმანებს ასწავლიან ჭეშმარიტ მუსლიმანობას ჭეშმარიტ გზას, რომელიც მიგ-ვითითა ჰაზრეთი ფეიღამბერმა. ესენია: პირველი, **იმამი აზამ ებუ ჰანიფე ნუმან ბინ საბიტი. მეორე, იმამი მალიქი ბინ ენეს,** მესამე, **იმამი მუჰამმედ ბინ იდრის შაფი,** მეოთხე, **იმამი აჰმედ ბინ ჰანბელი**. (რაჰმეთულლაი-ჰი ალეიჰიმ ეჯმაინ)

დღეს, ვინც ამ ოთხ იმამდან ერთ-ერთს არ მისდევს დიდ საფრთხეში იმყოფება. რადგანაც ფეიღამბრის ჭეშ-მარიტ გზას ესენი გვასწავლიან. ჩვენ ამ წიგნში ჰამე-ფი მესების მიხედვით ნამა-ზის შესახებ საკითხები ამ მესების დიდი ალი-მების წიგნებიდან ამოვიღეთ, გავა-მარტივეთ და თქვენ გთავაზობთ.

ოთხ იმამის მოსწავლეებიდან ორმა, იმანის (რწმენის)

საკითხებში ძალიან წინ წაიწია. ამგ-ვარად ითიქადის მიხედვით მესები ორი გახდა. ყურანისა და ჰადისს შესაფერის რწმენა ამ ორი პირვნების მიერ გადმო-ცემული რწმენაა. ეჰლი სუნნეთის იმანის საკითხების დედამიწაზე გა-მავრცელებელი ეს ორი პიროვნებაა. ერთი **ებუ მანსური მათურიდი**. მეორე **ებულ ჰასენ ალი ეშარი**.

ეს ორი იმამი ერთი და იგივე იმანს გვამც-ნობენ. მათ შორის რამოდენიმე განსხვავება ნი-შვნელოვანი არ არის. ყურანი და ჰადისი ცოდ-ნასა და მცოდნელებს აქებს, ერთ აეთში ვკით-ხულობთ **"განა შეიძლება უცოდინარი და მცო-დნე ერთი იყოს."** სხვა აეთში **"მუსლი-მანებო მცოდ-ნელებისაგან შეისწავლეთ ის რაც არ იცით"** ნაბრძანებია.

ჰადისებში ნაბრძანებია: **"(ალლაჰი და მე-ლე-იქები ადამიანებისათვის სიკეთის მასწავლებლებს ლოცავენ). (წარღვნის დღეს გადარჩებიან ჯერ ფეიღამბრები, შემდეგ სწავლულები და შე-მდეგ შეჰიდე-ბი). (ადამიანებო იცოდეთ რომ ცო-დნა ბრძენთა მოსმენით შეიძინება). (ისწავლეთ, რადგანაც ცოდნა იბადეთის ტოლფასია, მცოდნეებს ჯიჰადის მადლი დაეწერებათ). (სწავლა ქველ-მოქმედების (სადაყის გაცემის) გაწევის ტოლფასია, ბრძენისაგან ცოდნის შეძენა ღამის (თეჯუდ) ნამაზის ლოცვის მსგავსია). (ცოდნა ყველა ნაფილე ნამაზების ლოცვაზე უფრო მად-ლია), (რაგდანაც ცოდნა სასარგე-ბლოა სწავლუ-ლისთვისაც და მასწავლებელისთვისაც). (ბევრ მადლს მოიგებს ის, ვინც სწავლობს იმისათვის, რათა სხვებსაც შეასწავლოს). (სიბრძნე საუნჯეა მისი გასაღები კი შეკითხა და შესწავლაა). (ის-წავლეთ და სხვასაც ასწავლეთ), (ყველაფერს სათავე აქვს, ცოდნის სათავე კი ბრძენთა გულე-ბია), (ცოდნის გაცემა ცოდ-ვების გამოისყი-დის)**

მეხუთე პირობა
საიქიოს რწმენა

(ველ იევმილ ახირი): საიქიოს რწმენა ნიშ-ნავს რომ მე მწამს იმ ქვეყნის სამოთხისა და ჯოჯოხეთის, სიქიოს ცხოვრება ადამიანის სიკ-ვდი-ლის დღეს იქნება. არ არის ცნობილი რო-დის მო-ხვდება წარღვნა, მაგრამ ჰაზრეთი ფეი-ღამბერმა წარღვნის ზოგიერთი ნიშნები გვამც-ნობა: მოვა ჰაზრეთ მეჰდი, ჰაზრეთი ისა ციდან დამასკოში ჩამოვა დედჯალი გამოჩნდება, ეჯუ-ჯი და მეჯუ-ჯი ყველა ადგილს აურევ დაურე-ვენ, მზე დასავ-ლეთიდან ამოვა, დიდი მიწისძვრები მოხდება, ხალხს რწმენა და-ავიწყდება. ყველგან ბოროტება დაისადგურებს. ცოდ-ვიანები მომრავლდება ჰარამი საქმე და ლუკმა მომ-რავლდება. იემენიდან ცეცლი წამოვა, მთები და ცა დანაწევრდება, მზე და მთვარე დაბნელდება და სხვა.

არსებობს სასაფლაოს დაკითხვა. მათ მუნქერი და ნექირი მელეიქები იძლევიან. შემდეგი სიტყ-ვები უნდა დავიზეპიროთ და ბავშვებსაც უნდა დავაზეპირებინოთ: (ჩემი ილაჰი ალლაჰია, ფეი-ღამბერი მუჰამმედია, რჯული ისლამია, წმინდა წიგნი ყურანი ქერიმია, ყიბლე ქააბეა, ითიქადის მეზები ეჰლი სუნნეთი ველ ჯემაეთი, ამელის მესები იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მეზებია). წარ-ღვნის დღეს ყველა მკვდარი ხელახლა გაცოც-ხლდება და ერთ ტიალ ადგილზე მოიყრის თა-ვს. ამ ადგილს **მაჰ-შერი** ჰქვია. მადლიანებს, ცო-დვა მადლის რვეულს მარ-ჯვნიდან, ცოდვია-ნებს, ცუდ ადამიანებს კი მარ-ცხნიდან მისცემენ. ურ-წმუნოების და ფარისევლობის გარდა სხვა ყველა ცოდვა ალლაჰუ თეალა ისურვებს აპა-ტიებს ისურვებს პატარა ცოდვებისთვისაც სამა-გიერო ტანჯვას მისცემს.

მის შემდეგ ცოდვა მადლის ასაწონად სას-წორს

(მიზან) დადგამენ და ალლაჰის ბრძანე-ბით ჯოჯოზეთ-ზე ბეწვის **(სირათის)** ხიდს გადგამენ. ამ ხიდზე ყველა გაივლიან, ვინც სა-მოთხის ღი-რსი არ იქნება ხიდზე გადასვლას ვერ შეძლებს და ჯოჯოხეთში ჩავარდება. იმქვეყნად ჰაზრეთი ფეიღამბრის წყლის აუზი არსებობს. ამ აუზს **"ქევსერი"** ჰქვია.

(შეფაღეთი) შუამდგოლობა ნამდვილია. იმ მუ-სლი-მანების ჯოჯოხეთიდან გადარჩენისათვის, ვინც ცოდვე-ბი ჩაიდინა და მონანიების გარეშე გარდაიცვალა, ფეიღამბრები, მელეიქები, ევლიე-ბი, ალიმები, შეჰიდები, ალლაჰს შეევედრებიან და ვისაც ალლაჰი ნებას დარ-თავს იმისი დიდი თუ პატარა ცოდვები მიტევებული იქნე-ბა.

(სამოთხე და ჯოჯოხეთი) ეხლაც არის. სამოთხეს რვა კარი აქვს ყოველ მათგანს სამო-თხეში მივყავართ. ჯოჯოხეთს შვიდი ქვესკნელი აქვს და პირველიდან მეშვიდემდე ტანჯვა წამება უფრო და უფრო მატუ-ლობს.

მეექვსე პირობა
ბედისწერის რწმენა

(ვე ბილ-ყადერი. ხეირიჰი ვე შერრიჰი მინალლაჰი თელ-ალა): ბედისწერის რწმენა ნიშნავს, რომ მე მწამს ალ-ლაჰის მიერ გან-საზღვრული ბედისწერისა, ხეირსა და შერრისა ალლაჰის მი-ერობის. ადამიანების თავს მოვლე-ნილი ყველა სიკეთე თუ ბოროტება, მადლი თუ ცოდვა მხო-ლოდ ალლაჰის ნება სურვილით ხორციელდ-ება.

ალლაჰმა ადამიანებს ნება-სურვილი მისცა. ადამიანი რაიმე საქმის გაკეთებს როცა დააპი-რებს, ალლაჰი გაა-ჩენს. ადამიანი თუ არ ისურ-ვებს ალლაჰი არ გააჩენს

აქ გადმოცემული ეჰლი სუნნეთის ზოგადი ცნობები ვისაც დაწვრილებით შესწავლა უნდა, ჰაქიქათის გამომ-ცემლობის მიერ გამოცემული, ისლამის ალიმებიდან მევლანა ჰალიდ ბაღდადი ფარისის **(ითიქადნამე)** და ქალი ფეიზულლაჰ გადათარგმნილი **(ყველასათვის საჭირო იმა-ნი)** წიგნები წაიკითხონ.

ალლაჰუ თეალამ ყველას მორჩილება უბრძა-ნა. **(მორ-ჩილება იმანის პირობებიდანაა)** აეთი ამ ბრძანებებიდან ერთერთია. მაიდეს სუ-რეში **(თუ იმანი გაქვთ ალლაჰუ თეალას დაემოდჩილეთ)**. ალი ირან სურეში, **(ალლუ თეალას მორჩილები უთუოდ ეყვარება)**. თალაყის სურე-ში, **(ვინც ალლაჰის მორჩი-ლია, ალლაჰი მისგან კმაყ-ოფილია)**. ასეთი ნიშვნელობის მრავალი აეთია.

ადამიანს ალლაჰმა ჭკუა და გონება იმიტომ მისცა რომ თავისი მომავალი თვითონვე განსაზ-ღვროს და გაანალიზოს, აწონ დაწონოს ყველა-ფერი და იფიქროს გადაგგმულ ნაბიჯის შედეგ-ზე. მიენდოს ალლაჰს და იცხოვრო ბედნიერად ყურანი ქერიმში ალლაჰი ასე ბრძანებს: **"ვინც ალლაჰს მიენდობა ის ალლაჰს უყვარს".**

“ვინც ალლაჰს მიენდობა იმისთვის ალ-ლაჰი ყველაფრისათვის საკმარისია”.

ჰაზრეთი ფეიღამბერი კი ასე ბრძანებს: **“მე მორწმუნეთა ერთი ჯგუფი მიჩვენეს მთები და ველები გაევსო, მათ სიმრავლის გა-მიკვირდა და გამიხარდა, გაგიხარდაო? შემეკითხნენ, დიახ გამიხარდა. ამათგან სამოთხეში მხოლოდ 70 000 დაკითხვის გარეშე შევლენო. რომლები შევლენ მეთქი ვკითხე. “ვინც თავის ცხოვრებაში შელოცვას, ჯადოს, მარჩიელებს არ ურევს და მთელი არსებით მხოლოდ ალლაჰს ენდობაო”**. მიპასუხეს. მომსმენთა შორის უქაშე რადიელლაჰუანჰ ფეხზე წაოდგა და (ეი რესუ-ლალლაჰ! და-მლოცე რომ მეც იმათგანი ვიყო), **(ეი რაბბი ესეც იმათით ამყოფე)** ბრძანა. სხვა წამოდგა და დალოცვა ითხოვა ფეიღამ-ბერმა **(უქაშე შენზე სწრაფად მოიქცა)** ბრძანა.

მეორე ნაწილი
იბადეთი (ღვთისმსახურება) და ნამაზი

რა არის იბადეთი (ღვთისმსახურება)?

იბადეთი ჩვენი გამჩენის, სიკეთის, ხვავისა და ბარაქის მომცემის, ყოველგვარი უბედურებისაგან დამცავი ალლაჰის ბრძანებების შესრულება და აკრძალვებისაგან თავის არიდებაა. გარდა ამისა ფეიღამბრებზე, ევლიებისა დასწავლულე-ბზე მიბაძვაა.

ალლაჰუ თეალამ ადამიანებს უთვალავი წყა-ლობა (ნიმმეთი) და სიკეთე უბოძა. ამიტომ შეძ-ლებისდაგვარად ალლაჰის დიდება ადამიანთა წმინდა მოვალეობაა. მაგრამ ადამიანები თავიან-თი ნაკლოვნებებით ვერ იპოვიან საჭირო სიტყ-ვებს ალლაჰის სადიდებლად. ზოგჯელ კარგს ვამბობთ და სინამდვილეში ცუდი აღმოჩნდება.

ალლაჰის სადიდებლად გაკეთებული სასიკე-თო საქმეები და მოვალეობანი ჰაზრეთი ფეიღამ-ბრის საშულებით ალლაჰმა ადამიანებს აცნობა. ალლაჰის ნაბრძანებ ამ მოვაალეობებს **"ისლა-მი"** ეწოდება. ფეიღამბრის გზის მიყოლა ალლა-ჰის ბრძანებას ნიშნავს. ხოლო ამ გზას აცდ-ენის იბადეთებს ალლაჰი არ მიიღებს, რად-განაც ადამიანების მოწონებულ ბევრ საქმეს ისლამი ჰკიცხავს და იწუნებს.

აქედან ვხედავთ, რომ ვისაც გონება აქვს ალლაჰისა და ფეიღამბრის გზიდან არ გა-დაუხვევს და ის ადიდებს ალლაჰს.

ვინც ჰაზრეთი ფეიღამბრზე მიყოლით ცხოვ-რობს მუსლიმანიც იმას ეწოდება. **იბადეთიც** ალლაჰის მადლიერებას და ფეიღამბრის შესაბა-მის ცხოვრებას ეწოდება. ისლამი ორ ნაწილისა-გან შესდგება:

1 – რისი რწმენაც გულით არის საჭირო.

2 – რისი გაკეთებაც გულითა და სხეულით-თაა საჩირო.

სხეულით შესრულებულ იბადეთებს შორის ყვე-ლაზე საუკეთესო არის ნამაზი. ნამდვილმა მუს-ლიმანმა დღეში ხუთჯელ ნამაზი უნდა ილო-ცოს.

ვის ეწოდება მუქელლეფი ? (ვალდებული)

მოწიფულობის ასაკში მიღწეულ, ქალებსა და მა-მაკაცებს **(მუქელლეფი)** ეწოდებათ ასეთი ადამიანი ვალდებულია ჯერ რწმენა მიიღოს, შემდეგ კი იბადე-თები შეასრულოს. გარდა ამისა ჰარამ და აკრძალულ საქმეებს თავი უნდა მოა-რიდოს.

ჭკუა აღიქვამს და არჩევს ერთმანეთისაგან კარგს და ცუდს. ჭკუა ზომავს ორი კარგი რამი-საგან უფრო კარგსა და ორი ცუდი რამისაგან უფრო ცუდს. ჭკვიანი ადამიანი კარგისა და ცუ-დის განსხვავებით კი არ კმაყ-ოფილდება, არა-მედ კარგს ღებულობს და ცუდს უარყ-ოფს. ჭკუა თვალს გავს, ისლამი კი სინათლეს თუ სინათ-ლე არ იქნება თვალი ვერ დაინახავს.

მოწიფულობის ასაკი გარდამავალი პერიო-დის დასას-რულს ნიშნავს. ვაჟებისათვის ეს პე-რიოდი 12 წლის შემდეგ იწყება. არსებოს ზოგიერთი ნიშნები რითაც მოწ-იფულობა დგინ-დება. ეს ნიშნები რომაც არ გამოჩნდეს 15 წლის ვაჟი მოწიფულად ითვლება. გოგონების გარ-დამავალი პერიოდი კი 9 წლის მერე იწყება. გოგონების ასევე მოწიფულობის ნიშნები რომც არ ჰქონდეთ 15 წლის მერე მოწიფულად ით-ვლებიან.

ეფღალი მუქელლეფინ

ეფღალი მუქელლეფინი ეწოდება იმ საქმეებს, რომელთა შესრულებისთვისაც ვალდებულია ყვე ლა მუსლიმანი, ეფღალი მუქელლეფინი რვაა, ესენია: **ფარძი, ვაჯიბი, სუნნეთი, მუსთეჰაბი, მუბაჰი, ჰარამი, მექრუჰი და მუფსიდი**.

1 – **ფარძი**: ალლაჰუ თეალას მიერ ყურანი ქე-რიმში ღიად, კატეგორიულად ნაბრძანებია, რომ-ლის შესრულე-ბაც აუცილებელია, შეუს-რულებ-ლობის შემთხვევაში ადამიანს პასუხი მოეთხოვ-ება. არ გამკეთებელი და მნიშვნელო-ბის არ მიმნიჭებელი (ქააფირი) ურწმუნო გახდე-ბა. ფარძი ორნაირია:

ფარძი ღაინი: ყველა მოწიფული მუსლიმა-ნის მიერ შესასრულებელი ბრძანებაა. რწმენა, აბდესის აღება ღუს-ლის აღება, ხუთი დროის ნამაზის ლოცვა, რამაზანი, ჰაჯობა (32 და54 ფარძი ცნობილია)

ფარძი ქიფაე: ამ შემთხვევაში ზოგი მუსლი-მანის შეს-რულებული იბადეთით დანარჩენები თავისუფლდებიან. მაგალითად მიცვალებულის (ჯე ნაზე) ნამაზი. თუ ერთ ადგილზე მიცვალე-ბუ-ლის ნამაზის ლოცვა საჭიროებს ყველა მუსლიმანის ვალია, რომ ილოცოს, მაგრამ თუ ზოგი მათგანი ილოცავენ დანარჩენებზე ფარძი აღარ იქნება. ყურანის მთლიანი დაზეპირება.

2 – **ვაჯიბი** (საჭირო): ვაჯიბი ისეთი საქმეა, რომლის გაკეთება ფარძის ნაირად ღიად კატე-გორიულად ნაბრძანები არ არის. შესრულება საჭიროა, შეუსრულე-ბლობა კი აკრძალულია მა-გალითად: ვითრი ნამაზის ლოცვა, ბაირამ ნამა-ზის ლოცვა, ყურბანის დაკლა, ფითრის გაცემა და სხვა. ვაჯიბი ფარძთან ახლოს დგას. ვაჯი-ბის არ დამჯერებელი ურწმუნო არ გახდება, მა-გრამ ჯოჯოხეთში წავა.

3 – **სუნნეთი**: ალლაჰუ თეალას არ უბრძანე-ბია, ჰაზრეთი ფეიღამბრის მიერ შესრულებული, ნათქვამი, ან სხვისი გაკეთებული საქმეები რომ-ლებიც არ უკრძალია, სუნნეთი ეწოდება. სუნნე-თის არ მოწონება ქუფურია. თუ მუსლიმანს მო-სწონს და ვერ აკეთებს სასჯელი არ ექნე-ბა. მაგრამ უმიზეზოდ თუ არ შეასრულებს მადლს ვერ მიიღებს. მაგ: ეზანის კითხვა, ჯემაეთით ნა-მაზის ლოც-ვა, აბდესის აღებისას მისვაქის ხმა-რება, ბავშვის და-სუნნეთება (წინწაწვეთა) და სხვა. სუნნეთი ორი სახისაა:

სუნნეთი მუექქედე: (უწყვეთი სუნნეთი) ფარძისა და ვაჯიბის გარდა ჰაზრეთი მუჰამმე-დის (სა-ლლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) მიერ თითქმის ყოველთვის შეს-რულებული, სულ მცირე შემთხვევებში შეუსრულებელი საქმეებია. მაგა-ლითად დილის ნამაზის ორი მუხლი სუნ-ნეთი, შუადღის ნამაზის სუნნეთები საღამოს და იათ-სი (დამის) ნამაზის ბოლო სუნნეთები ასეთია. ამ სუნ-ნეთების უმიზეზოდ მიტოვება არ შეიძლება. არ მომწო-ნებელი ურწმუნო გახდება.

სუნნეთი ღაირი მუექქედე: (წყვეტილი სუნ-ნეთი): ჰაზრეთი ფეიღამბრის მიერ ზოგჯელ შესრულებული, ზოგჯელ შეუსრულები საქმეებია. მაგალითად იქინდი ნამაზის სუნნეთი, იასი ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთი და სხვა.

სუნნეთი ქიფაე (საკმარისი სუნნეთი): მი-სალმება, ეზა-ნის კითხვა, ნამაზის ლოცვისას ყამმეთი. მაგალითად რამდენიმე კაციდან ერთი რომელიმეს მისალმება საკ-მარისია ყველა მათ-განის მისალმება საჭირო არ არის. აბდესის აღებისას, ჭამისას და ყველა სასიკეთო საქმის დაწყებისას ბისმილის თქმა.

4 – **მუსთეჰაბი**: ჰაზრეთი ფეიღამბრის მიერ ზოგჯელ გაკეთებული და ზოგჯელ გაუკეთებე-ლი კარგი საქმეე-ბია. ახალ დაბადებულ ბავშვ-ზე მეშვიდე დღეს სახელის

დარქმევა, ლამაზად ჩაცმა, კარგი სუნის წასმა, ამის შემ-სრულებლე-ბი მადლს მოიგებენ და განკითხვის დღეს შეფა-ღეთს მიიღებენ. არ შემსრულებლები პასუხს არ აგებენ და შევაღეთიდანაც არ გამორჩებიან.

5 – **მუბაჰი**: ისეთი საქმეები, რომლის გაკე-თება ნაბრძანები არ არის და არც აკრძალუ-ლია. თუ კარგი მიზნისთვის გაკეთდება მადლი მოიგება თუ ცუდი მიზნებისთვის გაკეთდება ცოდვა. ადამიანის სურვილ-ისამებრ გასაკეთებე-ლი საქმეები. მაგალითად ალალი ჭამა-სმა, ჩაც-მა, სხვადასხვა ქონების მფლობელობა, დაჯ-დომა ადგომა და სხვა.

6 – **ჰარამი**: აკრძალულია. ალლაჰუ თეალას მიერ სასტიკად აკრძალული საქმეებია. ვინც ჰარამ საქმეებს ჩადის ამქვეყნად განსჯილი იქნება, ჯოჯოხეთში კი საშინელ ტანჯვა-წამებაში ჩავარდება. ვინც ჰარამს ალალს და ალალს, ჰარამს ეტყვის ქააფირი გახდება. არამი ორი სახისაა:

ჰარამი ლი-აინიჰი: კაცის მოკვლა, ალკო-ჰოლური სას-მელების დალევა, ღორის ხორცის ჭა-მა, ზინის გაკეთე-ბა, აზარტული თამაშების თამაში, სისხლის დალევა მკვრადი საქონლის ხო-რცის ჭამა, ტყუილის თქმა, ქალების, თავი მკ-ლავები, ფეხები გახსნილი ქუჩაში გან-მოსვლა. თუ ვინმე ასეთი საქმის გაკეთებისას ბისმილ-ლაჰს იტყვის, ან ალლაჰუ თეალას აკ-რძალვებს მნიშვნელობას არ მიანიჭებს ურწმუ-ნო გახდება. თუ იცის , რომ ჰარამია და შიშით აკეთებს ურ-წმუნო არ გახდება, მაგრამ იმქვეყ-ნად ტანჯვა-წამების ღირსი გახდება. თუ ასეთ საქმეებს ჯიუტად გააგრძელებს პატიების გაკე-თების გარეშე, ურწმუნოდ სიკვდილის მიზეზი იქნება.

ჰარამი ლი-ღაირიჰი: ესენი თვითონ ალა-ლია მაგრამ სხვის საკუთრების გამო ჰარამია მაგ: სხვის ბაღიდან

მოპარული ხილის ჭამა. სხვისი ქონების მოპარვა. მის გაკეთებისას თუ ვინმე ბი-სმილლაჰს იტყვის და ალალია იტყვის ქააფირი არ გახდება, რადგან ის ადამიანის საკუთრებაა და შეუძლია უკან აიღოს. ხუთნახევარი ქერის ოდენა ვერცხლის ოდენა უფლე-ბისთვის, წილი-სთვის წარღვნის დღეს შვიდასს უნაკლოდ შესრულებულ ჯემაეთით ნალოცი ნამაზის მადლს ალლაჰუ თეალა აიღებს და უფლების პატრონს მისცემს. ჰარამიდან თავის არიდება იბადეთის გაკეთებაზე უფრო დიდი მადლია. ამიტომ ჰარამი უნდა შევისწავლოთ და თავი ავარიდოთ მის გაკეთებას.

7 – **მექრუჰი**: ალლაჰუ თეალას და ჰაზრეთი ფეიღამბრის მიერ მოუწონარი საქმეა. რომელიც მუსლიმანს მადლს შეუმცირებს. მექრუჰი ორად იყოფა:

თაჰრიმენ მექრუჰი: რომელიმე ვაჯიბი საქმის მიტოვებაა. თაჰრიმენ მექრუჰი ჰარამთან ახლოსაა. მათ გაკეთებას სასჯელი მოჰყვე-ბა. მზის ამ-ოსვლისას. ზენიტში ყოფნისას და ჩასვლისას ნამაზის ლოცვა, ამათი შეგნებულად გამკეთებე-ლი ჯოჯოხეთის ღირსი გახდება. ნა-მაზის ლოცვის დროს ვაჯიბების მიტოვება თაჰ-რიმენ მექ-რუჰია და ამ ნამაზის ხელახლა ლოცვა ვაჯიბია.

თენზიჰენ მექრული: თეზიჰი მექრუჰი ალალთან ახლოსაა. ან გაუკეთებლობა გაკეთე-ბაზე უფრო კარგია.

8 – **მუფსიდი**: დაწყებული რომელიმე იბადე-თის შეწყვეტაა. რწმენის. ნამაზის, ზექათის და სხვა. მაგალითად: ალლაჰზე ან ყურანზე შეუ-რაცყოფა ქუფური იქნება. იმანს დაკარგავს. ლო-ცვისას სიცილი ნამაზსაც და აბდესსაც მოშ-ლის. მარხვისაას შეგნებულად ჭამასმა და სხვა.

ფარძების, ვაჯიბების, სუნნეთების გამკეთე-ბელს

ხოლო არამებიდან და მექრუჰებიდან თა-ვის ამ-რიდებელს მადლი მიეცემა. ჰარამების, მექ-რუჰების გამკეთებელს ხოლო ფარძების, ვა-ჯი-ბების და სუნნეთე-ბის არ გამკეთებელს ცოდვა მიეცემა. ერთი ჰარამიდან თავის არიდე-ბის მადლი ერთი ფარძის გაკეთების მადლზე დიდია. ერთი ფარძის მადლი ერთი მექრუჰიდან თავის არიდების მადლზე დიდია. მექრუჰიდან თავის არიდების მადლი და სუნნეთის გაკეთე-ბის მადლზე დიდია. მუბაჰის გაკებისთვისაც მადლი მიეცემა, მაგრამ ეს მადლი სუნნეთის მადლზე ცოტაა.

ისლამის მტრები

ისლამის მტრები, ისლამის განადგურებისთ-ვის ეჰლი სუნნეთის წიგნებს მტრობენ. ყურანი ქე-რიმში მაიდე სურეს მეექვსე ჯუზის ბოლო **გვე-რდზე (ისლამის ყვე-ლაზე დიდი მტრები, ებრა-ელები და მუშრიქები არიან)** მუშრიქი, კერპთაყვანისმცემელი, ურწმუ-ნოა. ქრის-ტიანების უმეტე-სობა, რომ მუშრიქია ნათლად ჩანს. იემენელმა აბდულლაჰ ბინ სებე სახელის ებრაელმა, ეჰლი სუნნეთის განადგურებისთვის **(შია)** ჯგუფი ჩამოაყალიბა. შიები თავიან თავს (ალევი) - საც უწოდებენ. ისლამის მტერი ინგლისელები, მთელი თა-ვიანთი იმპერიალისტური შესაძლებლობე-ბით შექმნილი **(ვეჰაბი)** ჯგუფით და დაწერილი ტყუილით სავსე წიგნებით, ეჰლი სუნნეთის გა-ნადგურებას ცდილობენ. სამუდამო ბედნიერების მსურველებს, ვაჰაბების და შიაე-ბის წიგნებზე არ უნდა მოტყუვდნენ და ეჰლი სუნნეთის სწავ-ლულების (ალიმების) წიგნების წაკითხვას ვურ-ჩევთ.

მეორე ნაწილი
ისლამის პირობები

ისლამის პირობა ხუთია. ისლამის მიმდევარს მუსლიმანი ჰქვია. ყველა მუსლიმანს ევალება ამ ხუთი პირობის შესრულება:

1 – ისლამის უპირველესი პირობა **(ქელიმე-ი შეჰადეთია)**. ეს კი ნიშნავს წარმოვთქვათ და გუ-ლით ვირწმუნოთ სიტყვები: **"ეშჰედუ ენ ლაა ილლაჰე ილლელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუხამმედენ ღაბდუჰუ ვრ რესულუჰ". (მე მწამს ერთადერთი ალლაჰისა და მწამს რომ მუჰამმედი ალლაჰის რესულია). დე-დამიწაზე და ცაში არსად, გარდა ალლა-ჰისა არ არსებობს ლოცვისა და თაყვანისცემის ღირსი ვინმე. ერთადერთი და ჭეშმარიტი მხოლოდ ალლაჰია.** იგი ყო-ველთვის ცოცხლობს და ყველა უპირატესობას ფლობს. არ აქვს არანაირი ნაკლი. ჰაზრეთი მუჰამმედი მისი რესულია.

2 – ისლამის ხუთი პირობიდან მეორე, დღეში ხუთჯელ, **განსაზღვრულ დროში (დროის მოს-ვლისას) ნამაზის ლოცვაა**. საჭიროა ყველა მუს-ლიმანმა იცოდეს, რომ დღეში ხუთჯელ ნამაზის ლოცვა ფარძია. ნამაზის დროს უნდა გვახსოვ-დეს შესაბამისი ფარძი, ვაჯიბი, სუნნეთი და გუ-ლით ალლაჰს მივება-როთ. ყურანი ქერიმში ნამაზს **"სალააათი"** ეწოდება, რაც ადამიანების ვედრებას მე-ლეიქების მონანიებასა და ალლაჰის წყალობას, მიტევებას ნიშნავს. ისლამის მიხედვით კი სარ-ჯულო წიგნებში მითითებული მსვე-ლობების შესრულებით ლოცვას ნიშნავს.

3 – ისლამის ხუთი პირობიდან მესამე, **(ქონების ზექთის გაცემაა)**. სიტყვასიტყვით ზექათი ქებას, სილამაზეს, სისუფთავესა და კარგად ყო-ფნას ნიშნავს. ისლამის მიხედვით კი აუცილებე-ლზე მეტი **(ნისაბ)** ქონების გან-

საზღვრული ნა-წილის, ყურანი ქერიმში მოხსენებულ მუსლი-ანებზე დადგენილი ნაწილის გადახდას ნიშნავს. ზექათი შვიდი ჯგუფის მუსლიმანზე გაიცემა. ოთხივე მეზებში არსებობს ზექათის ქონების ოთხი ფორმა: ოქროსა და ვერცხლის ზექათი, მოგებული ვაჭრობიდან ზექათი, მსხვილფეხა სა-ქოლნიდან ზეგათი, და მიწათ-მოქმედბიდან მო-სულის ზექათი. მეთხე ზექათს **"ოშური"** ეწოდება. ოშური მოსავლის აღებისთანავე მიიცემა. და-ნადჩენი სამი აუცილებლობაზე მეტის დაგროვების ერთი წლის მერე მიიცემა.

4 – ისლამის ხუთი პირობიდან მეოთხე **(წმი-ნდა რა-მაზნის თვეში ყოველდღიური მარხვის დაცვა)**. მარხვის დაცვას **(სავმ)** ეწოდება. სავმ სიტყვასიტყვით რაღაცა რაღაცი-დან დაცვას ნიშ-ნავს. ისლამის მიხედვით მარხვა, ალლაჰის ბრ-ძანებისამებრ ყოველდღე საკუთარი თავის სამი რამისაგან თავის დაცვას ნიშნავს. ეს სამი რამეა: ჭამა, სმა და სქესობრი-ვი კავშირი. რამაზანის თვე ცაში მთვარის გა-მოჩენისას დაიწყება. (კალენდარის მიხედვით წინასწარი გამოკვლევით არ დაიწყება)

5 – ისლამის ხუთი პირობიდან **მეხუთე (თუ ძალა შეგ-წევს ცხოვრებაში ერთხელ ჰა-ჯობაზე წასვლაა)**. იმ პირობებით რომ მგზავრობა იქნება სანდო და უხიფა-თო და თქვენს უკან დაბრუნე-ბამდე თქვენს ოჯახობას არც რამე დააკლდება და არც რამე დაუშავდე-ბა, სიც-ოცხლეში ერთ-ხელ არაბეთში, მექაში წასვლა მუსლი-მანისათვის ფარძია.

ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ პირობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი **(ქელიმეი შეჰადეთის)** თქმა და დაჯერე-ბაა. ამის შემდეგ ნამაზის ლოცვაა. შემდეგ მარხვა. შემდეგ ჰაჯზე წასვლა. და ბო-ლოს ზექათის მიცემა. ქე-ლიმეი შეჰადეთი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის-ლამის ალიმების ერთსულვანი შეთანხმებით ცხადია. ქე-

ლიმეი შე-ჰადეთი ისლამის დასაწყისში პირველი ფარძი გახდა. ხუთი დროის ნამაზი ფეიღამბრობის მე-თორმეტე წელს, ჰიჯრეთიდან ერთი წლის და რამოდენიმე თვით ადრე მირაჯის ღამეს ფარძი გახდა. მარხვა, ჰიჯრეთის მეორე წელს, შაბანის თვეში, ზექათის მიცემა, მარხვის ფარძის გახდომის წელს რამაზნის თვეში ხოლო ჰაჯზე წასვლა კი, ჰიჯრეთის მეცხრე წელს ფარძი გახდა.

მესამე ნაწილი
ნამაზის ლოცვა

ჩვენს რელიგიაში რწმენის შემდეგ ნამაზი ყვე-ლაზე მნიშვნელოვანია. ნამაზი რელიგიის დასა-ყრდენია. ის-ლამის მეორე პირობაა, და საუკეთესო იბადეთია. მას არაბულად **(სალათ)** ეწოდება და ლოცვას, პატიებას და შეწყალებას ნიშნავს.

ნამაზის ლოცვა ალლაჰის ყველაზე მოწონე-ბული იბადეთია. მუსლიმანობის მიღების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანება ნამაზის ლო-ცვაა. პირველი ფარძიც ნამაზია. წარღვნის დღესაც რწმენის მერე პირველი შე-კითხვა ნამაზის შესახედ იქნება. ვინც ნა-მაზის გამოცდას გაივ-ლის სამარადისო ბედნიერებას მოიპოვებს. ჟო-ჯოხეთის ტანჯვისადან გადარჩენა და სამოთხეში მოხვედრაც ნამაზის სწორად შესრულებაზეა დამოკიდებული. სწორი ნამაზისათვის ჯერ სრუ-ლი აბ-დესის აღებაა საჭირო. ნამაზი სიზარმაცის გარეშე ხალ-ისით უნდა დაიწყოს. ნამაზის ყველა მოქმედება უნ-აკლოდ და საუკეთესოდ უნ-და იქნეს შესრუ-ლებული.

ნამაზი ყველა იბადეთს მოიცავს და ადამია-ნებს ალ-ლაჰთან აახლოებს. ჰაზრეთი ფეიღამბე-რმა ბრძანა: **(ნა-მაზი რელიგიის დასაყრდე-ნია. ნამაზის მლოცველი რე-ლიგიას აძლი-ერებს და მისი უარმყოფი რელიგიას**

ასუსტებს). ნამაზის სწორად მლოცველი ცუდი და ბოროტი საქ-მის კეთებისაგანაც დაცუ-ლია. ყურანი ქერ-იმში ალლაჰი ასე ბრძანებს: **(სწორი ნამაზი ადამიანებს ბინძური, მდა-ბალი და ბოროტი საქმეებისაგან იცავს)**. ნამაზი, რომელიც ადამიანს ბოროტებისაგან ვერ იცავს მოჩვენებითი ნამაზია და სწორი არ არის. ჩვენ ნამაზის სწორად ლო-ცვას უნდა ვცდილობდეთ, რადგან ბრძენთ უთქ-ვავთ (თუ ყველაფერს ვერ ფლობთ მცირედიც არ უნდა დავკარგოთ) არასწორი ნამაზის ლოცვას სულაც ნუ ილოცავთ, ამას არაოდეს გეტყვით. პირიქით უფრო სწორად და კარგად ილოცეთ. თუ ილო-ცავთ გეტყვით, ეს პატარა ნი-უანსი კარგად უდა გავიაზროთ.

ნამაზი ჯემაეთით (ჯგუფურად) ილოცეთ ასე უფრო დიდი მადლის მომტანია. ნამაზის დროს გულები რიდითა და ალლაჰის სიყვარულით სავ-სე უნდა გქონ-დეთ. რადგანაც ადამიანის საიქი-ოს ტანჯვისაგან გადამრჩენი საშვალება ნამაზია. ალლაჰი მუინის სურე-ში ასე ბრძანებს: **(მუ-სლიმანები ტანჯვას გადაურჩებიან რადგან ისინი ნამაზზს რიდითა და მორ-ჩილებით ას-რულებენ)**.

საფრთხით სავსე ადგილებში ნამაზის ლოცვა კიდე უფრო მადლია. ბრძოლის დროს ჯარი-სკაცის სულ მცირე ნამაზსაც კი დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭება. ახალ-გაზრდების ნამაზის ლო-ცვა უფრო მიღებულია, რადგანაც ისინი მრავალი ცდუნებით დაძლევის ფასად ნამაზს ასრუ-ლებენ.

ახალგაზრდების ნამაზს სამი მტერი ჰყავთ. ეშმაკი, ცუდი სურვილები და ცუდი ამხანაგი. ამათგან ყველაზე საშიში ცუდი ამხანაგია. თუ ახალგაზრდა მათ არ აყვე-ბა და ილოცავს მისი ფასი უფრო აიწევს. ხანდაზმულ ადამიანზე უფ-რო მეტ მადლს მოიგებს და ამ მადლის სა-პასუხო ჯილდოც გაცილებით დიდი იქნება.

ვისთვისა ნამაზი ფარძი?

მოწიფულობის ასაკში შესულს და ჭკუა-გონების მქონე მუსლიმანი კაცისთვის და ქალი-სთვის ნამაზი ფარძია. მას სამი პირობა აქვს:

1– მუსლიმანობა. 2– ჭკუა-გონება. 3– მოწიფულობა

ჩვენი რელიგიის მიხედვით გიჟისა და მცირე-წლოვანი ბავშვებისთვის ნამაზი ფარძი არ არის, მაგრამ დედ-მამამ ლოცვები პატარაობი-დანვე უნ-და დაასწავლოს და შეაჩვიოს ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა: **“ყველანი მწყემსის მსგავსნი ხა-რთ და როგორც მწყემსი იცავს თავის ფარას, თქვენც თქვენი ახლობლები ჯოჯოხეთისგან უნ-და დაიცვათ, მათ მუსლიმანობა უნდა ასწავლოთ წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდვას მოიმატებთ.”** ხოლო სხვა ჰადისში ბრძანა: **“ამ ქვეყნად ყველა ბავშვი მუსლიმანად იბ-ადება. მას შენ-მდეგ დედ-მამა ებრაელად, ქრისტიანად ან ურწ-მუნოდ აქცევს.”**

მაშასადამე, ყველა მშობლის უპირველესი მოვალეობაა ბავშვს ყურანი ქერიმის კითხვა და სწორი მუსლიმანობა შეასწავლოს. ეს მოვალე-ობა უნდა შეასრულოს ყველა მშობელმა, ვისაც სურს, რომ სააქაშიც და საიქიოშიც მოსვენე-ბული იყოს. ამბობენ: “ხე ნერგობისას მოიღუნე-ბაო.” თუ გაზრდილს მოღუნვას დავუპირებთ გა-ტყდება და დაზიანდება.

ბავშვი, რომელსაც მითვისებული არ აქვს ისლამური სიბრძნე, ცრუ ამხანაგებს იოლად აყვე-ბა და იოლად მოტყუვდება. აქედან გამომდინარე კი დედ-მამისათვის თავისი ქვეყნისთვის და ხა-ლხისათვის მავნებელი გახდება.

ნამაზის მლოცველთა მდგომარეობანი ციხიდან დამხსნელი ნამაზი

ჰარასინის გუბერნატორი აბდულლაჰ ბინ თაჰირი ძალიან მკაცრი იყო. ჟანდარმამ რამდე-ნიმე ქურდი დააკავა ამათგან ერთი გაიქცა რამდე-ნიმე დროის შემდეგ ერთი მეფოლადე დააკავა და გუბერნატორს წარუდგინა, ციხეში ჩასვითო ბრძანა გუბერნატორმა. მეფოლადემ საკანში ნა-მაზი ილოცა და ალლაჰს შეევედრა: "ო, დიდებულო ალლაჰო დამიხსენი ამ ტანჯვისაგან, რადგან შენ ერთადერთმა იცი, რომ მე უცოდველი ვარ, გემუდარები გადამარჩინეო." ამ დროს გუბე-რნატორმა სიზმარში ნახა, თითქოს ოთხმა კაცმა მისი ტახტი თავდაყირა გადმოაბრუნა, გამო-ელვიძა, ნამაზი ილოცა და ისევ დაიძინა ისევ იგივე სიზმარი ესიზმრა და მიხვდა, რომ ვიღაცა უდანაშაულოს ცოდვა ჰქონდა.

ეი, ალლაჰო შენ ერთადერთი და დიდებული ხარ რომ დიდი თუ პატარა მხოლოდ შენ ერთა-დერთს გევედრება და მხოლოდ შენი მავედრებე-ლი მიაღწევს საწადელს.

გუბერნატორმა მაშინვე ციხის უფროსს დაუ-ძახა და ჰკითა: ვინმე უდანაშულო ხომ არ არი-სო. ციხის უფროსმა უპასუხა მე ეს არ ვიცი, მაგრამ ერთი ტუსაღი ნამაზს ლოცულობ, ალ-ლაჰს ბევრს ევედრება და გაუთავებლად ტირის. დააძახებინა ტუსაღი, გამოჰკითხა უდანაშაულო-ბა მიხვდა. ბოდიში მომიხდია ეს ათასი ვერც-ხლიც ჩემგან საჩუქრად აიღე და თუ რაიმე დაგჭირდეს მოდი და მთხოვე მაშინ მეფოლადემ უპასუხა მიპატიებია ამ საჩუქრსაც მადლიერე-ბისთვის ვღებულობ, მაგრამ შენთან რაიმეს სათხოვნელად ვერ მოვალო. რატომო ჰკითხა? რადგანაც შენი ტახტის გადმომყირავებელ ჩემს ალლაჰს განვუდგე და სხვას შევთხოვო მე არ შემეფერებაო. მე ნამაზის ლოცვის შემდეგ სიმ-

შვიდე მოვიპოვე და როდესაც ალლაჰმა მოწყა-ლებისა და მადლის თვალით გადმომხედა, ეხლა სხვას რაიმე როგორ შევევედროო? ან არის ვინ-მე ვინც შეთხოვა და ვერ მიიღო? თუ თხოვნა არ იცის მაშინ ვერ მიიღებ.

დიდი ევლიებიდან რაბიე ადვიემ ერთი კაცის ასეთი ლოცვა გაიგონა: ეი ალლაჰ მოწყალების კარი გამოღეო და უთხრა: "ეი, უგუნურო დღე-ვანდლამდე ალლაჰის კარი დახშული იყო მაგას რომ ამბობ?"

გულის კარების გახსნისა და გასუფთავები-სათის უნდა ვილოცოთ. ალლაჰო ყველას დარ-დისაგან დამხსნელი მხოლოდ შენ ხარ! ნუ გაგ-ვიმეტებ საიქიოს ტანჯვისათვის ყველა გაჭირვე-ბულის დამხმარე მხოლოდ შენ ხარ. გთხოვ ამქვეყნადაც და საიქიოშიც ჩვენთვის სასარგე-ბლო და სასიკეთო საქმეები გამოგვიგზავნე. ამ ქვეყნად და საიქიოში არავისზე დამოკიდებული არ გაგვხადო ეი ალლაჰ. აამინ.

სახლი დასწვოდა

ევლია ქირამდან ხამიდ თავილი ერთხელ ნა-მაზს ლოცულობდა, მის სახლს ცეცხლი წაეკი-და. ხალხი მოცვივდა და ცეცხლი ჩააქრო. ევლი-ას ცოლი გაუბრაზდა: სახლი იწვის ხალხი ცე-ცხლს აქრობს, ათასი საქმეა შენ კი თითსაც არ ანძრევო. ევლიამ უპასუხა: რომ არაფერი არ გა-მიგიანო. აი, ამდენად ჩაღრმავებოდა იგი ალლა-ჰს და ცდილობდა მასთან მიახლოვებას ამ მცდელობაში კი საკუთარი თავიც დაჰვიწყებოდა.

წყალი ქვაბში

ესჰაბი ქირამიდან აბდულლაჰ ბინ სეირი ყვე-ბა ჰაზრეთი ფეირამბრის გვერდით ნამაზ ვლოცულ-ობდი მის მკერდიდან ადუღებული წყლით სავ-სე ქვაბიდან გამოსული ხმის მსგავსი ხმები ისმოდა.

ისარი ფეხში

ჰაზრეთი ფეიღამბრის რჩეული სიზე, ჰაზრეთი ალი ნამაზის ლოცვის დროს ისე გამოეთიშებოდა, რომ დედამიწაც რომ დანგრეულიყო ვერაფერს ვერ მიხვდებოდა. ერთერთ ბრძოლაში ჰაზრეთი ალის ფეხში ისარი შეესო და ძვლამდის ჩაესო ექიმს როცა აჩვენა, ექიმმა ურჩია ძალიან გეტკინებაო ამიტომაც ძლიერი გამაყუჩებელი წამალი უნდა გაგიკეთოო თორემ ტიკივილასაგან გაგიჟდებიო. წამალი რა საჭიროა ცოტა და-იცადეთ ნამაზის დრო მოვიდეს და მაშინ გამიკეთეო. მართლაც ნამაზის დრო მოვიდა ექიმმა ალის ფეხი გაუჭრა და ისარი ამოიღო. როდესაც დაამთავრა, ალი მიუბრუნდა ექიმს და შეეკითხა: რა ქენით ისარი ამიოღეთ თუ არა. ამოვიღეთ უპასუხა ექიმმა. მე კი არ გამიგია რამე გაიღიმა ჰაზრეთი ალიმ.

ამაში საკვირველი არაფერია!. იუსუფ ფეიღამ-ბრის სილამაზეს ეგვიპტელი ქალები ისე მოე-ხიბლა რომ ხახვის დაჭრისას ხელის თითები როგორ დაიჭრეს ვერც კი გაიგესო. თუ ალლა-ჰის სიყვარულმა საკუთარი თავის სიყვარული დაავიწყდა აქ საკვირველი არაფერი არ არის. ასევე მუსლიმანების სიკვდილის დროს ასე სიკ-ვდილის ტკივილებსაც დაავიწყებენ.

გულის შემაღონებელი წამალი

ერთერთ ევლიას, ამირ ქაისის ფეხზე კეთრის ავადმყოფობა დაეწყო. ექიმმა, უნდა მოიჭრასო, კარგი გემორჩილებითო მიუგო ამირმა და მოჭრეს კიდეც. რამოდენიმე ხნის შენდეგ ავადყო-ფობა მთელ ფეხს მოედო ამისათვის ქირურგიაა საჭიროო თქვეს და დაამატეს, ძლიერი გამა-ყუჩებელია საჭირო თორემ ტკივილისაგან ავანდყოფი გაგიჟდებაო. ამაზე ამირმა უპასუხა რა საჭიროა წამალი, მოიყვანეთ ვინმე ვინც ყურანი ქერიმს კარგად კითხულობს, მართლაც ასეთი კაცი მოიყვანეს და ქირურგმაც თავისი საქმე დაიწყო ფეხი მოჭრა, გაკერა, გააუსუფთავა და შეუხვია. როდესაც ყურანი ქერიის კითხვა დაა-მთავრა ამირმა იკითხა რა ქენით მოჭერით ფე-ხიო და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო მოჭრილი ფეხი ხელში დაიჭირა და ალლაჰ ასე მი-მართა: “ო, ჩემო ალლაჰო ამ ფეხის მომცემი შენ ხარ მე შენი მონა ვარ ყველა უფლება შენია და როდესაც წარღვნის დღეს შენ შემეკითხები: შენ არც ერთ ცოდვაში არ ჩაგიდგამსო მე გიპასუხებ ო ალლაჰო მე არცერთ ცოდვაში ფეხი არ ჩამიდგამსო.

თავგანწირვა ნამაზისათვის

მანამ, სანამ ბურსა ოსმალების ხელში გადა-ვიდოდა, ქლაქში მცხოვრები ერთი ბერძენი მუს-ლიმანი გამხდარა. მისი ახალი მეგობარი ბერძე-ნს გამუსლიმანების საბაბი შეეკითხა: დედმამის რჯული ასე მალე როგორ გასცვალეო? ამაზე ბერძენმა მრავალმნიშვნელობად უპასუხა: ტყვედ ჩავარდნილ მუსლიმანებიდან ერთერთი ჩემთან იყო დატოვებული. ვხედავ რომ ეს ტყვე ჩაკე-ტილ ადგილას იხრება და იმართება რას აკეთებ მეთქი შევეკითხე ტყვემ სახეზე ხელები გადაის-ვა და მითხრა ნა-

მაზს ვლოცულობ და თუ ნებას მომცემ ყოველ ნამაზისათვის ერთ ოქროს გაჩუქებო. მეც სიხარბემ მძლია და დავთანხმდი. მე-რე და მერე ფასი ავუწიე და ერთ ნამაზის საფა-სურს ათ ოქროს ვიღებდი. ტყვე ამაზეც თანახმა იყო. ნამაზისათვის ყტვეს თავგანწირვა ძალიან მაკვირვებდა და როდესაც შენ გაგათავისუფლებ მეთქი ვუთხარი ასე დამლოცა: "ეი ალლაჰო ეს ადამიანი შენი რწმენით დააჯილდოვე" მეც იმ დროს ისლამის მიღება გავივლე გულში ეს სუ-რვილი ისე გაძრიელდა, რომ მაშინვე ქელიმეი შეჰადეთი წარმოვთქვი და ისლამი მივიღე.

მეოთხე ნაწილი
ნამაზის სახეობები

მუსლიმანებისათვის ნაბრძანები ნამაზი სამი სახისაა:

1 – **ფარძი ნამაზები**: მასში შედის ყო-ველდღიური ხუთი ნამაზი, ჯუმა ნამაზის ორი მუხლი და მიცვალებულის ნამაზი (ფარძი ქიფაე).

2 – **ვაჯიბი ნამაზები**: მასში შედის ვითრის, ბაირამის, შეპირებული ნამაზები და დაწყებუ-ლი, მაგრამ დაუმთავრებელი ნაფილე ნამაზები. გამოტოვებული ვითირ ნამაზის ლოცვაც ვაჯიბია.

3 – **ნაფილე ნამაზები**: მასში შედის ხუთი დროის ნამაზის სუნნეთები, თერავი ნამაზი და მადლის მომრავლების მიზნით შესრულებული: თჰეჯუდის, იშრაყის, დუჰა, ევაბინ და ისთიხარ ნამაზები. ნაფილე ნამაზის ლოცვა ფარძი არ არის. ვაჯიბი და ფარძი ნამაზების დავალიანე-ბის არამქონე ნაფილე ნამაზს შეასრულებს, მა-დლად ჩაეთვლება.

ხუთი დროის ნამაზი

ნამაზის ლოცვა ალლაჰუ თეალას ბრძანებაა. ყურანი ქერიმში ალლაჰუ თეალა ასზე მეტ ად-გილას ბრძანებს **"ნამაზი ილოცეთ!"** მოწი-ფული და გონებრივად სრულ-ფასოვანი ყველა მუსლიმანისთვის ყოველდღეს ხუთჯერ ნამაზის ლოც-ვა, ყურანი ქერიმში და ჰადისი შერიფში ნაბრძანებია.

ღუმ სურეს მეჩვიდმეტე და მეთვრამმეტე აეთ-ში: **"ადიდეთ, ახსენეთ ალლაჰი დილაობით და სამ-ღამოობით. ყოველი თაყვანისცემა მხოლოდ ალ-ლაჰისთვისაა განკუთვნილი."** ბაყარა სურეს ორასოც-დამეცხრამმეტე აეთში: **"ნამაზები და იქინდი ნამაზი დაიცავით"**. ანუ ნამაზები სისტემატურად ილოცეთ. ალლა-ჰის განდიდება სწორედ ნამაზის ლოცვას გუ-ლისხმობს. "დღეში ხუ-თჯერ ნალოცი ნამაზის მადლი ცოდვებს სპობს. ეს კეთილი რჩევა ყვე-ლა მუსლიმან-ისათვის."

ჰაზრეთი მუჰამმედმა (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელ-ლემ) ბრძანა: **"ალლაჰუ თეალამ მუსლიმა-ნებს დღეში ხუთ-ჯელ ნამაზის ლოცვა უბრძანა ალლაჰუ თეღალა სრულ-ად აბ-დესი ამღებსა და გულმოდგინედ ნამაზის მლოცველებს შეიწყალებს და ცოდვებს მიუტევებს."**

ხუთი დროის ნამაზი 40 მუხლს უდრის. აქედან 17 მუხლი ფარძია, 3 მუხლი ვაჯიბია 20 კი სუნ-ნეთია.

1 – **დილის ნამაზი**: 4 მუხლია პირველი 2 მუ-ხლი სუნ-ნეთი. მეორე 2 მუხლი ფარძია. ეს სუნნეთი ძალიან ძლიერია და მას ვაჯიბსაც უწო-დებენ.

2 – **შუადღის ნამაზი**: 10 მუხლია. პირველი 4 მუხლი სუნნეთია. მეორე 4 მუხლი ფარძი, ფარძის მერე 2 მუხლი სუნნეთი.

3 – **იქინდი ნამაზი**: 8 მუხლია. პირველი 4 მუხლი სუნნეთია, მეორე 4 მუხლი ფარძია.

4 – **საღაოს ნამაზი**: 5 მუხლია. პირველი 3 მუხლი ფარძია მეორე 2 მუხლი სუნნეთია.

5 – **ღამის ნამაზი**: 13 მუხლია პირველი 4 მუხლი სუნნეთია, მეორე 4 მუხლი ფარძია შემ-დეგ 2 მუხლი სუნნეთია, ამის შემდეგ 3 მუხლი ვითირ ნამაზია.

იქინდისა და ღამის პირველი სუნნეთები ღაი-რი მუექქედე სუნნეთებია. მათი ლოცვისას მეო-რე მუხლზე ეთოეხიათს, ალლაჰუმე სალის, ალ-ლაჰუმე ბარიქის ლოცვები დუები წაიკითხება. მესამე მუხლზე ფეხზე წამოვდგებით და ბისმი-ლასა და სუბხანეს წავიკითხავთ, როდესაც პირ-ველი მუხლი ნამაზი სრუნდება სხვა მუხლები წამოდგომით იწყება და ახლიდან ფეხზე წამოდგომამდი გრძელდება. ხოლო მუხლი მისალ-მებით მთავრდება. წყვილ მუხლზე მეორე სეჯ-დეს მერე დაჯდომა ნებადართულია.

შუადღის და ღამის ნამაზის ფარძის შემდეგ ოთხი მუხლის ლოცვა და საღამოს ნამაზის ფა-რძის შემდეგ ექვსი მუხლის ლოცვა მუსთეჰაბია. დიდი მადლია.

ყველა მუხლის შესაბამისად არსებობს ფარძი, ვაჯიბი, სუნნეთი და მექრუჰი. შემდეგ ქვესათა-ურებში ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით.

ნამაზის ფარძები

ფარძი არის ალლაჰუ თეალას ბრძანება და ჩვენ მისი შესრულება გვაკისრია. ფარძის შეუს-რულებლად იბადეთი სწორად არ ჩაითვლება. ნამაზის შესრულებისას 12 ფარძის შესრულება სავალდებულოა ამ ფარძებს შორის 7 ნამაზის დაწყებამდე, ხოლო 5 კი ნამაზის

ლოცვის პე-რიოდში სრულდება. ნამაზის დაწყებამდის შეს-რულებულ ფარძებს **შართი** ეწოდება. ნამაზის ლოცვისას შესასრულებელს **რუქუნ**. (ზოგი სწა-ვლულების მიხედვით თაჰრიე თექბირი ნა-მაზის ლოცვისას შესასრულებელია ამის მიხედ-ვით შა-რთიც და რუქუნ ექვს ექვსია.

ა) **ლოცვის დაწყებადის შესასრულებელი ფარძები (შართ)**

1 – **ჰადესთენ თაჰარეთ**: აბდესის აღებისას და სქე-სობრივი კავშირის შემდეგ (ღუსლის მთე-ლი ტანის და-ბანას) შესრულებას ნიშნავს.

2 – **ნეჯასეთთენ თაჰარეთ**: ორგანიზმის, ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გა-სუფთავე-ბას ნიშნავს.

3 – **სეთრი ავრეთ**: სასირცხო ადგილების დაფარვას ნიშნავს. სასირცხო ადგილების დაფრვა ალლაჰუ თეალას ბრძანებაა. ნამაზის ლოცვისას და ყველა დროს სხვაზე დანახვა აკრძალულია, მამაკაცებს ჭიპი-დან მუხლის თა-ვებამდის, ხოლო ქალებს სახის ხელებისა და ფეხების გარდა მთლიანი სხეული უნდა ჰქონ-დეთ დაფარული.

4 – **ისთიყბალ ყიბლე**: ყიბლეს მიმართუ-ლებით (ქააბესკენ ლოცვას ნიშნავს. ყიბლე ქააბეშია ქააბე კი მექქეში.

5 – **ვაქით**: ნამაზის ლოცვის დროს ნიშნავს. ყველა ნამაზს თავისი დრო გააჩნია. დროის მო-სვლამდის ნა-მაზის ლოცვა არ შეიძლება.

6 – **ნიეთი**: ნამაზის სალოცავად გადაწყვე-ტილების მიღებას ნიშნავს. ნიეთის გულით თქმაა საჭირო. პირ-ით ნიეთი არ ითქმება. თექბირის აღების შემდეგ გაკეთე-ბული ნიეთი არ ითვლე-ბა და ნამაზი მიღებული არ ჩაითვე-ლება. ნიეთს ასე ვამბობთ: "ნიეთი ვქენი ალლა-

ჰის მორჩი-ლებისთვის მაგალითად დღევანდელი დილის ნა-მაზის ფარძის სალოცავად.”

7 – **თაჰრიმე თექბირი**: პირველ თექბირს ნიშნავს ამას (იფთითაჰ თექბირსაც უწოდებენ. ნამაზის ლოცვის და-საწყისში ხელებს ყურებამ-დის ავიტანთ და ვამბობთ (ალლაჰუ ექბერ). სხვა სი-ტყვის თქმა არ შეიძლება.

ბ) ლოცვისას შესასრულებელი ფარძები (რუ-ქნ)

ნამაზის დადგომის შემდეგ ხუთი ფარძია შე-სას-რულებელი. ნამაზის ლოცვისას შესასრულე-ბელი ფარძები ესენია:

1 – **ყიამ**: ნამაზის ლოცვისას ფეხზე დგომას ნიშნავს. ფეხზე დგომა თუ არ შეუძლია დამჯ-დარი ილოცავს თუ დაჯდომაც არ შეუძლია, დაწოლილი მი-ნიშნებით ილოცავს. სკამზე დამ-ჯდარი ნამაზის ლოც-ვა ნებადართული არ არის.

2 – **ყირაათ**: პირით კითხვის მნიშვნელობა აქვს. ლოცვისას ყურანის კითხვას ნიშნავს. ნა-მაზის ლოცვისას ყურანიდან აეთების კითხვა ფარძია.

3 – **რუქუ**: ნამაზის ლოცვისას წელში მოხრას ნიშ-ნავს. წელში მართი კუთხით მო-ვიხრებით და ხელებს მუხლზე დავიწყობთ და სამჯელ **“სუბჰანერობიელლაზ-იმ”** ვამბობთ. გაშლის დროს **(სემიელლაჰუ ლიმენ ჰამი-დეჰ)** გასწორებისას **(რაბბენა ლექელ- ჰამდ)** ითქმება.

4 – **სეჯდე**: სალოცავ ადგილზე თავის და-დებით თაყ-ვანისცემას სეჯდეს ნიშნავს. ორჯელ ერთმანეთი მიყ-ოლებით კეთდება. სეჯდეს შეს-რულებისას შუბლი, ცხვირი, მუხლები და ხელე-ბი სალოცავ ადგილს უნდა შეეხოს ყველა სეჯ-დედე სულ ცოტა სამჯელ (სუბჰანე რაბ-ბიელ-ალა) ითქება.

5 – **ყაღდეი ახირე**: ნამაზის ლოცვისას ბო-ლო ჯდო-მას ნიშნავს. ოთხმუხლიანი ნამაზების ლო-ცვისას მეო-

რე ჯდომა ორ მუხლიანი ნამა-ზებისას კი ერთხელ ჯდო-მა ფარზია. ლოცვისას "ეთთეჰიათუს" ბოლომდის ჩაკ-ითხვის ტოლი დრ-ოით დაჯდომა ფარძია.

ნამაზის დიდი მნიშვნელობა მისი შესასრულ-ებელი პირობების სიმრავლითაც ნათელი ხდე-ბა. მას თუ ვა-ჯიბებს, სუნნეთებს, მუსთეჰაბებს, მექრუჰებს, მუფსიდებს მივუმატებთ კიდევ ერთ-ხელ მთელი მისი სიდიადით ვიხ-ილავთ. ადამია-ნები უმწეო და უსუსური არსებები არ-იან. ყოვე-ლი ამოსუნქვისას თავიანთი გამჩენის ალლაჰუ თეალას დახმარებას საჭიროებენ. ნამაზი არის იბადე-თი რომელიც ადამიანებს თავიანთ უმწეო-ბასა და უსუსურობა შეაგრძნობინებს.

განვიხილოთ ნამაზის ფარძები უფრო დაწ-ვრილებით.

ლოცვის დაწყებამდიის შესასრულე-ბელი ფარძები (შართ)

1 – ჰადესთენ თაჰარეთ:

ამ ქვეთავში; აბდესი, ღუსლი (მთელი სხეუ-ლის და-ბანა), სხეულის აბდესი და თეიმუმი (მტ-ვერიანი ხელის მოსმა) განვმარტოთ.

აბდესის აღება

აბდესის აღება ნამაზის ფარძებიდან ერთერ-თია. ყუ-რანი ქერიმის ხელში აღების, ქაბბეს თა-ვაფის დროს, სეჯდეს შესრულებისა და მიცვა-ლებულის ნამაზის ლოცვის წინაც აბდესის აღე-ბა ფარძია. ყოველ დროს აბდესიანი ყოფნა, აბ-დესიანი დაწოლა და აბდესიანი ჭამა-სმა მად-ლია.

თუ ადამიანმა აბდესიანი გარდაიცვალა შეჰი-დის

მადლით წავა. ჰაზრეთი ფეიღამბერმა (სა-ლლაჰუ ალეი-ჰი ვე სელლემ) ბრძანა:

“თუ ადმიანი აბდესიანი გარდაიცვალა სიკვდილის ტკივილებს არ გამოცდის, რადგან აბდესი მორწმუნეობის მიმანიშნე-ბელია, ნამაზის გასაღები და სხეულის ცოდვებისაგან განწმენდი საშვალებაა.”

“როდეაც მუსლიმანი აბდესს იღებს მას ცოდვები ყურებიდან, ცხვირიდან, თვალე-ბიდან, ხე-ლებიდან და ფეხებიდან და-შორდება და დაჯდომისას ცოდვა მიტევე-ბული დაჯდება.”

“იბადეთებს შორის ყველაზე ხეირიანი ნამაზია. აბ-დესის სისტემატუდარ ამღები მხოლოდ მუ’მინია. მუს-ლიმანი დღისითაც და ღამითაც აბდესიანი უნდა იყოს. თუ ასე მოიქცევა ალლაჰის დაცული იქნება. საჭმელი და სასმელი კარგად შეერგება. საჭმელი და სასმელი მის მუცელში ყოფ-ნის განმავლობაში მისთვის ცოდვების მიტევებისათვის ალლაჰს შეევედრებიან.”

არის აბდესის ფარძები, სუნნეთები, აღების წესები, ამკრძალველი და მომშლელი ფაქტორე-ბი. აბდესის გარეშე შეგნებულად ნამაზის მლო-ცველი ურწმუნო გახდება. თუ ნამაზის დროს აბდესი დაერღვება ადამი-ანმა მაშინვე უნდა შეწ-ყვიტოს ნამაზი, აბდესი უნდა აიღოს და ნამაზი ხელახლა ილოცოს.

აბდესის ფარძები

აბდესის ფარძი ჰანეფი მეზებში ოთხია:

1 – პირსახის ერთჯელ დაბანა

2 – ორივე ხელისა და მკლავის ინდაყვების ჩათვლით ერთჯელ დაბანა.

3 – თავის ერთი მეოთხედი ნაწილის ერთ-ჯელ მესი

(სველი ხელით შეხება).

4 – ორივე ფეხის ერთჯელ დაბანა კოჭების ჩათვლით.

შაფი მეზების მიხედვით ნიეთი და თანმიმდევ-რობა ფარძია. ნიეთი სახის დაბანის დროს უნდა გაკეთდეს. წყლის სახეზე შეხებამდის თუ ნიეთი გაკეთდა აბდესი სწორი არ იქნება. სახეზე წვერის დაბანა ფარძია. მალიქი მეზების მიხედვით აბდესის აღებისას დაზელა და (სწრა-ფად და ერთმანეთის მიყოლებით აღება) ფარძია. შიები ფეხებს არ იბანებენ შიშველ ფეხზე მესს იკეთებენ.

როგორ აიღება აბდესი?

1 – აბდესის დაწყებისას (ერუზუბისმილლას) ვამბობთ და ხელები სამჯერ კარგად უნდა და-ვიბანოთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდება და თაყვანისცემა ალლაჰს, რომელმაც გვაჩუქა ჩვენ რწმენა და ისლამის რელიგია. დიდება ალლაჰს, რომელმაც ისლამი გან-მანათებლად და წყალი გამწმენდად გააჩინა.”**

2 – მარჯვენ ხელით სამჯელ პირს წყლით გამო-ვივლებთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“ყოვ-ლისშემძლე ალ-ლაჰო! მე, შენს უმწეო მო-ნას, მასვი ერთი ჯამი წყალი ჰაზრეთი ფეიღამბრის აუზიდან რათა მეტი აღარა-სოდეს მომწყურდეს.”**

3 – მარჯვენ ხელით სამჯერ ცხვირს წყლით გამო-ვივლებთ და მარცხენა ხელით მოვიწმენ-დთ. ამ დროს ასე ვკითხულობთ: **“დიდო ალ-ლა-ჰო მაგრძნობინე მე სამოთხის სურნე-ლება, მიბოძე სამოთხის წყალობა და მა-შორე სუნი ჯოჯოხეთისა.”**

4 – პირსახეს სამჯელ ვიბანთ, ისე, რომ წვე-რის ძირე-ბიც დასველდეს. ამ დროს ასე ვიკით-ხავთ **“დიდო ალ-**

ლაჰო! გაათეთრე ჩემი სახე ისევე, როგორც შენი ნათელით გაათეთრე ევლიების სახეები. და როდესაც ჩემს მტრებს სახე შავი ექნებათ ჩემს სახეს ჩადენილი ცოდვებიდან გამომდინარე შა-ვად ნუ მიიღებ.”

5 – მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავი ინ-დაყვების ჩათვლით უნდა დავიბანოთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდო ალლაჰო მომეცი მე ცოდვა მადლის რვეული მარ-ჯვენა მხრდან და ჩემი ანგარიშგება დამიადვილე.”**

6 – მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავით ინ-დაყვის ჩათვლით უნდა დავიბანოთ ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდო ალლაჰო! ცოდვა-მადლის რვეული უკნიდან და მარცხენა მხრიდან არ მომაწოდო და საიქიოს ანგარიშ-გება არ გამიძნელო.”**

7 – ორივე მკლავის დაბანის შემდეგ სველი ხელი თავის 1/4 ნაწილზე უნდა გადავუსვათ (მე-სი). ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდო ალლაჰო! ჩემი სხეული და თმები ჯოჯოხეთში არ დაწვა. წარღვნის დღეს, როცა საშინელი სიცხე იქნება მე ჩრდილის ქვეშ გამაგ-რილე და მო-მასვენე.”**

8 – შემდეგ ყურებზე მოვისვამთ სველ თი-თებს. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდო ალლა-ჰო! მაქციე მე ჭკ-ვიანი სიტყვის მსმენელად და ყველაზე საუკეთესოს შემ-სრუ-ლებლად.”**

9 – შემდეგ კისერზე სველ ხელებს მოვის-ვამთ. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდო ალლა-ჰო! დაიფარე ჩემი კისერი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან.”**

10 – მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხი უნდა დავიბან-ოთ სამჯელ კოჭის ჩათვლით. ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდება ალლაჰო! ფეხები გამიმაგრე ბეწვის ხიდზე იმ დღეს, როდე-საც მრავალს ფეხი დაუცურდებათ.”**

11 – მკლავ მარცხენა ხელით მარცხენა ფეხი უნდა

დავიბანოთ სამჯელ კოჭის ჩათვლით ამ დროს ასე ვიკითხავთ: **“დიდება ალლაჰო! ურ-წმუნოების ბეწვის ხიდზე ფეხების დაცურების დღეს ჩემი ფეხები ხიდზე და-ამაგრე”.**

ჰაზრეთი ფეიღამბერმა ასე ბრძანა: **“ვინც აბდესის აღების შემდეგ “ინნაენზელლაჰუ” სურეს ერთხელ ჩაიკითხავს. ალლაჰი მას მართალი ხალხის მადლს მისცემს, თუ ორჯელ ჩაიკითხავს შეჰდების მადლს მისცემს და თუ სამჯელ ჩაიკითხავს კია-მეთის დღეს ფეიღამბერთან ერთად აღს-დგება.”**

სხვა ჰადისში ასეა ნაბრძანები: **“ვინც აბდე-სის აღების შემდეგ ათჯელ “ალლაჰუმე-სალს” ჩაიკითხავს მისი დარდსა და ტკი-ვილებს ალლაჰი მოსპობს და კაცს გაა-ბედნიერებს, მის ვედრებასაც მიიღებს.”**

თუ ეს ლოცვები (დუები) არ იცით მათ გარე-შეც შეიძლება აბდესის აღება, მაგრამ ამათი კითხვა ძალიან დიდი მადლია. ვინც აბდესის დუები არ იცის **ქელიმეი შეადეთი** წარ-მოსთქვას. ასეც მადლად ჩაეთვლება.

აბდესის სუნნეთები

1 – აბდესის დაწყებისას ბისმილის თქმა.

2 – ხელების მაჯებიანად სამჯელ დაბანა.

3 – პირის სამჯელ ახალ-ახალ წყლით გა-მოვლება.

4 – ცხვირის სამჯელ ახალ-ახალი წყლით გა-მოვლება.

5 – პირის დაბანისას წარბების, წვერის, ულ-ვაშების დასველება.

7 – წვერის სიღრმეში სველი ხელით შეხება. (მესი).

8 – წვერის სველი თითებით ჩამოვარცხნა.

9 – კბილების გამოწმენდა, გასუფთავება. (მისვაქის ხმარება აუცილებელი სუნნეთია).

10 – მთლიან თავზე მესი, სველი ხელის გადასმა.

11 – ორივე ყურზე ერთხელ სველი ხელით შეხება.

12 – კისერზე სამი ერთმანეთზე მიტყუპებუ-ლი თითის გადასმა.

13 – ხელისა და ფეხის თითებს შუა დასუფთავება.

14 – დასაბანი ადგილების სამჯელ დაბანა.

15 – პირის დაბანის დროს მთელი გულით ნიეთის თქმა.

16. – თანმიმდევრობის დაცვით დაბანა.

17 – დასაბანი ადგილების მაგრად გაწმენდა.

18 – ყველა ორგანოს სწრაფად და ერთმანე-თის მიყოლებით დაბანა.

აბდესის აღების წესები (ადაბი)

აბდესის წესებს აბდესის მუსთეჰაბებსაც უწ-ოდებენ. ამათი გაკეთება მადლია არ გაკეთება ცოდვა არ არის. ხოლო სუნნეთი გაკეთება მად-ლი, არ გაკეთება მექრუჰია. ესენია:

1 – ნამაზის დროის მოსვლამდის აბდესის აღება.

2 – ტუალეტში ყიბლეს მარჯვნივ ან მარ-ცხნივ ყოფნა. აბდესისი დარღვევის დროს ყიბ-ლეს წინ ან უკანა მხარეს შემობრუნება თაჰრი-მენ მექრუჰია. (ჰარამთან ახლოს)

3 – დაბინძურებული ადგილების კარგად და-ბანა.

4 – დაბანის შემდეგ ნაჭრით შემშრალება.

5 – დაბანის შემდეგ სასწრაფოდ სასირცხვი-ლო ადგილების დაფარვა.

6 – სხვებისაგან დაუხმარებლად, დამოუკი-დებლად აბდესის აღება.

7 – ყიბლეს პირდაპირ აბდესის აღება.

8 – ყოველ ორგანოს დაბანისას ქელიმეი-შჯა-დეთის წარმოთქმა.

9 –აბდესის ლოცვების (დუების) კითხვა.

10 – პირში წყლის გამოვლებისას მარჯვენა ხელის ხმარება.

11 – ცხვირის გამოვლებისას მარჯვენა ხელის ხმარე-ბა.

12 – ცხვირის მოწმენდისას მარცხენა ხელის ხმარე-ბა.

13 – პირის გამოვლებისას კბილების მის-ვაქით გასუფ-თავება თუ მისვაქი არ არის ჯაგ-რისის ხმარება.

14 – პირის გამოვლებისას თუ მარხვა არ არ-ის, პირ-ში წყლის ღრმად გამოვლება, ყელში წყ-ლის გამოვლე-ბა აბდესისა და ღუსლის დროს მადლია მარხვის დროს მექრუჰია.

15 – ცხვირის გამოვლებისას წყლიანი ხელის ცხვირთან ახლოს მიტანა.

16 – ყურის დაბანისას ერთი თითის ყურის ღრმულ-ში შეყოფა.

17 – ფეხის თითებს შუას დასუფთავებისას მარცხე-ნა ხელის ნეკა თითის გამოყენება.

18 – ხელების დაბანისას ბეჭედის მოხსნა თუ ბეჭე-დი ძალიან ვიწროა მოხსნა ფარძია.

19 – წყალი ბევრიც, რომ იყოს ეკონომიურად ხარ-ჯვა.

20 – ცხიმის წასმის მსგავსად წყლის ძალიან მცირე რაოდენობით არ ხმარება (სამ-სამჯერ დასაბანი ადგილე-ბზეც კი მინიმუმ ორ-ორი წვე-ტი წყალი უნდა მოხდეს).

21 – თასით აბდესის აღების შემდეგ იმ თასის სავსე დატოვება.

22 – აბდესის აღების მერე ორი მუხლი ნა-მაზის ლოცვა.

23 – ნამაზის ლოცვის შემდეგ ახალი აბდე-სის აღება.

24 – პირსახის დაბანისას, თვალის მიდამოე-ბის, ქუთუთოების დასუფთავება.

25 – სახის, ხელებისა და ფეხების მსგავსი დასაბანად ფარძი ადგილების საჭიროზე მეტი დაბანა.

26 – აბდესის წყლით ტანსაცმელი და თავ-ფეხი არ უნდა დასველდეს არ უნდა შეეშხეფოს.

27 – თქვენს მეზებში რაც მექრუჰი არ არის და სხვა მეზებში ფარძია იმის გაკეთება მუსთე-ჰაბია.

28 – აბდესის დამთავრებისას ან შუაში (ალ-ლაჰუმ-მეჯღელნი ინეთთევაბინ) დუის კითხვა.

აბდესის აღებისას აკრძალული ქცევე-ბი

აბდესის აღებისას ზოგიერთი ქცევები ჰარამი ან მექრუჰია.

1 – აბდესის დარღვევის დროს ყიბლე ჩვენს წინ ან უკან არ უნდა მოვიქციოთ.

2 – ტუალეტის დროს სხვასთან სასირცხო ადგ-ილების გამოჩენა ჰარამია.

3 – ტუალეტში სისუფთავის ჩატარების დროს მარ-ჯვენა ხელი არ უნდა ვიხმაროთ.

4 – წყლის უქოლნობის შემთხვევაში ტუა-ლეტში სისუფთავის ჩასატარებლად სხვისი კუ-თვნილი ნივთე-ბის ხმარება, ასევე საქოლნის სა-კვებით, ნეხვით, საკვე-

ბი პროდუქტებით, კრამი-ტის ნატეხით, ბალახით, ნაჭრით, ფოთლებითა და ქაღალდით გასუფთავება მექრუჭია.

5 – აუზში, სადაც აბდესს ვიღებთ არ უნდა ჩავა-ფურთხოთ და ცხვირი არ უნდა მოვიხოცოთ.

6 – დასაბანი ადგილები ნაკლებად ან გადა-ჭარბებით არ უნდა დავიბანოთ სამზე მეტად ან ნაკლებად არ უნდა დავიბანოთ.

7 – აბდესი სასირცხო ადგილების სისუფლა-ვისთვის ნახმარი ნაჭრით არ უნდა მოვიმშრა-ლოთ.

8 – პირის დაბანისას წყალი პირზე არ უნდა შევიშხე-ბოთ. შუბლიდან ქვემოთკენ უნდა დავი-ბანოთ.

9 – წყალს არ უნდა შევუბეროთ.

10 – პირი და თვალები მარგად არ უნდა დავხუჭოთ. ტუჩებისა და თვალების მიდამოებში დაუსველებელი პატარა ადგილიც, რომ დარჩეს აბდესი სრულად არ ჩაითვლება.

11 – მარჯვენა ხელით ცხვირი არ უნდა მოვი-ხოცოთ.

12 – თავზე, კისერზე და ყურებზე ხელი ერ-თზე მეტად არ უნდა დავასველოთ. ხელის შე-ხების გამეო-რება დაუსველელად ნებადართუ-ლია.

მისვაქის ხმარება: აბდესის აღებისას მისვაქის ხმარე-ბა სუნნეთი მუქქედეა. ჰადისში ვკი-თხულობთ: **“მისვაქის ხმარებით ნალოცი ნამაზი მისვაქის გარეშე ნალოც ნა-მაზზე სამოცდაათჯერ უფრო ღირებულია.”**

ხოლო წიგნში **“სირაჯ-ულ-ვეჰჰაჯ”** მოთხრობილია მისვაქის ხმარების 15 სარგებ-ლობის შესახებ:

1 – სიკვდილის დროს “ქელიმეი შეჰადეთის” თქმის საბაბი გახდება.

2 – ღრძილებს გააძლიერებს.

3 – ლორწოს მოსპობს.

4 – ამონახველს მოსპობს.

5 – პირის ღრუს შიდა ტკივილებს მოსპობს.

6 – პირის სუნს მოსპობს.

7 – ალლაჰუ თეალა მისგან კმაყოფილი იქნება.

8 – თავის ძარღვებს გააძლიერებს.

9 – შეითანი დაღონდება.

10 – თვალებს ნათელი მოემატება.

11 – მადლი და სიკეთე გამრავლდება.

12 – სუნნეთის შემსრულებელი გახდება.

13 – პირის ღრუ სუფთა ექნება.

14 – ლამაზად და კარგად ილაპარაკებს.

15. მისვაქის გამოყენებით ნალოცი ორი მუხლი ნამაზის მადლი, მისვაქის ხმარების გა-რეშე ნალოცი 70 ნამაზის მადლზე მეტია.

მისვაქი არაბეთში არსებული ერთერთი ხის სახეობის (ერაქ) ტოტიდან მზადდება. ეს ხე თუ არ ინახება ზეითინის ხის ტოტიც შეიძლე-ბა. ქალებმა მისვაქის ადგილას სუნნეთის ნიე-თით საღეჭი რეზინი უნდა გამოიყენონ.

აბდესის აღებისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღებას

თუ ძალიან გამოვუალი მდგომარეობა არ არ-ის ქვემოთ ჩამოთვლილ წესებს უნდა მივსდი-ოთ.

1 – ორივე ხელით საბყარი (მახინჯი) სისუ-ფთავეს ვერ შეასრულებს მხოლოდ მიწაზე, ხო-ლო სახეს

კედელზე შეახებს და ასე თეიმურს ჩაატარებს და თუ სახეზე ჭრილობები აქვს აბ-დესის გარეშე ილოცავს ნამაზს და ნამაზს არ მიატოვებს.

2 – ავანდყოფს მისი მეუღლე, ბავშვები, ოჯა-ხის წევრები და ახლობლები დაეხმარებიან აბ-დესის აღებაში

3 – უწყლობიის შემთხვევაში ქვის ან ქვის მსგავსი საგნებით ტვალეტში სისუფთავის ჩატა-რება შეიძლება, წყლის მაგივრობას გასწევს.

4 – გიჟი ან დაბნედილი ადამიანი ოცდაოთხი საათი გონს ვერ მოეგო ამ პერიოდში გავლილ ნამაზებს ხელახლა აღარ ილოცავს. ნარკოტიკუ-ლი საშვალებებით ან სასმელით გაბრუებულმა ყველა გავლილი ნამაზი უნდა აანაზღაუროს. თუ ავანდყოფი ძალიან ცუდადაა ნამაზი გადავა-დდება და შემდეგ ანაზღაურდება.

5 – აბდესის ასაღებ ადგილას შესვლისას სპეციალური შარვლის ჩაცმა და თავის დახურ-ვა მუსთეჰაბია.

6 – ტუალეტში შესვლისას შიშველ ხელში ალლაჰის სახელნახსენები წარწერა ანუ ყურანი ქერიმის აეთები არ უნდა გვქონდეს.

7 – ტუალეტში მარცხენა ფეხის შედგმით და მარჯვენა ფეხის გადადგმით გამოდით.

8 – ტუალეტში არ ილაპარაკება

9 – სასირცხვილო ადგილებს არშეხედოთ და ტვალეტში არ ჩააფურთხოთ.

10 – არცერთ წყალში, მეჩეთის კედელზე სასაფლაოზე ან გზაზე არაფითარ შემთხვევაში არ მოიშარდება.

აბდესის მომშლელი ფაქტორები

ეს შვიდი ფაქტორი აბდესს მოშლის:

1 – ტუალეტის პროცესები.

ა) დიდი და პატარა ტუალეტის გაკეთება აბ-დესს მოშლის, გაზების გამოსვლაც აბდესს მო-შლის.

ბ) კლიზმის ან სველი თითის სასირცხო ად-გილებ-ში შეყოფა, თუ ხმელია აბდესის ხელა-ხლა აღება კარ-გი იქნება.

გ) შარდის არ გამოდენისთვის გაკეთებული ბამბა თუ გარეთ დარჩენილი ნაწილი დასველ-დება

2 – პირისავსე ღებინება, თუ ნერწყვზე მეტი იქნება. კუჭინად ან ფილტვებიდან ამოსული სისხლი ცოტა რაო-დენობითაც რომ იყოს, ყუ-რებში ჩაწვეთებული ცხიმი თუ პირიდან გად-მოიღვრება.

3 – კანიდან გამონადენები:

ა) ჩირქისა და სხვა გამოდენა. თუ სისხლი აქეთ-იქეთ არ გადაიღვრება აბდესი არ მოიშლე-ბა. თუ ჯაგრის და მისვაქის ხმარებისას პირის ღრუს მოედო აბდესი მოიშლება. თუ ჭიპიდან ყურიდან ან მკერდიდან (ძუძუ-დან) ავანდყოფო-ბის გამო რაიმე სითხე მოედინება აბ-დესი მოიშ-ლება. თუ ცხვირიდან გამონადენს სისხლი მო-ჰყვება აბდესი მოიშლება.

4 – ძილი. გვერდზე ან რაიმეზე მიყრდნო-ბით დაძინებისას აბდესი მოიშლება.

5 – გულის წასვლა დაბნედა, სულიერი ავადმყოფო-ბა, და სიმთვრალე აბდესს მოშლის.

6 – ნამაზის ლოცვისას ხმამაღალი სიცილი აბდესსაც და ნამაზსაც მოშლის. მაგრამ თუ ბა-ვშვი გაიცინებს არ მოიშლება. ხმადაბალი სი-ცი-ლით ნამაზი მოიშლება.

უხმო ღიმილი არც აბდესს და არც ნამაზს არ მოშლის.

7 – გაშიშვლებული ფორმით სამარცხვინო ადგილების რაიმეზე შეხება ქალისა და მამაკა-ცის აბდესს მოშლის.

თუ აბდესის აღების შემდეგ დარღვევაში ეჭ-ვი შეგვეპარა აბდესი აღებულად ითვლება. თუ ვი-ცით რომ აბდესი მოიშალა, და აბდესის აღება-ში ეჭვი გვეპარე-ბა ახალი აბდესის აღებაა სა-ჭირო.

ფაქტორები რომლებიც არშლის აბ-დესს

ესენი აბდესს არ მოშლიან:

1 – პირიდან, ყურიდან და სხეულზე გაჩენი-ლი ჭრილობებიდან გამოსული მატლები.

2 – ნახველის ღებინება,

3 – სისხლის ღებინებისას, თუ სისხლი ნე-რწყვის ნახევარზე უფრო ცოტაა.

4 – კბილებიდან გამოსული სისხლი თუ ნერ-წყვის ნახევარზე უფრო ცოტაა.

5 – თავიდან გამოსული შედედებული სის-ხლი, ბევრიც რომ იყოს.

6 – კუჭიდან და ფილტვებიდან გამოსული შედედებული სისხლი. პირი სავსე თუ არ იქნე-ბა.

7 – თუ ყურებში ჩაწვეთებული სისხლი ყუ-რიდან ან ცხვირიდან გადმოიღვარა.

8 – ცხვირში ჩაწვეთებული რამე თუ რამო-დენიმე დღის შემდეგ გამოვა.

9 – ვაშლის ჩაკბეჩის დროს თუ მასზე სის-ხლს დავინახავთ.

10 – თუ ტკივილის გარეშე ხახვის, კვამლის, გაზის ან სხვა მიზეზით ცრემლები წამოვიდა.

11 – თუ ქალი ჩვილს ძუძუს აწოვებს.

12 – ოფლის დენა, ბევრიც რომ იყოს.

13 – ბუზმა, რწყილმა და ტილმა რომ უკბი-ნოს და სისხლი სწოვოს.

14 – მცირედი სისხლდენა თუ სისხლი აქეთ-იქით არ დაგაიღვრება, მცირედი ღებინება.

15 – დაძინებისას მიყუდებული საგნის გა-მოწევისას თუ არ დავეცემით.

16 – ნამაზის ლოცვისას დათვლემა

17 – მოკეცილ მუხლებზე თავის ჩამოდებით დაძინება.

18 – ძირს დაჯდომით დაძინება, თუ არაფერს არ მივეყრდნობით.

19 –უნაგირო ცხოველზე დაძინება, ცხოველი თუ სწორ, აღმართში ან დაღმართში მიდის

20 – ნამაზის დროს გაღიმება.

21 – ნამაზის დროს გაცინება, თუ მხოლოდ ჩვენ გავიგონებთ მხოლოდ ნამაზი მოიშლება.

22 – თმის, ულვაშის ან წვერის შეჭრა.

23 – ჭრილობის გარეთა კანის მოძრობა.

1 – მესთებზე მესის გაკეთება

რა არის მესი?

მესთი არის თხელი ტყავისაგან დამზადებუ-ლი ყელიანი ფეხზე ჩასაცმელი, რომელსაც წინდებთან ერ-თად ვიცმევთ ფეხსაცმელში. მეს-თის ჩაცმის შემდეგ აბ-დესის აღებისას ფეხების დაბანა საჭირო არაა, მესთე-ბზე მესის გაკეთება საკმარისია.

მესი არის არაბული სიტყვა და გაწმენდას გასუფ-თავებას ნიშნავს. ისლამში კი მესთებზე სველი ხელის მოსმას მესი ჰქვია.

ისლამის კანონების შესრულება ძალიან ად-ვილია. აბ-დესის აღებისას თუ მესთი გვაცვია, ფეხებს აღარ დავიბანთ მესთეზე მხოლოდ მესს გავაკეთებთ. მესთე-ბზე მესის გაკეთება მხოლოდ აბდესის აღების შემდეგ შეიძლება. ტანის დაბა-ნისას (ღუსლის შესრულებისას) მესთების გახ-და და ფეხების დაბანა აუცილებელია.

მესთებზე მესის გაკეთება სუნნეთია.

მესჰის გაკეთების წესები

აბდესის დროს ფეხებს წყლით აღარ დავი-ბანთ მესთების გაუხდელად ხელის თითებს სუ-ფთა წყლით დავისველებთ, მესთებზე ფეხის თი-თებიდან უკანა მი-მართულებით მოვისვამთ. ხე-ლის თითები გაშლილი უნდა იყოს. მარჯვენა და მარცხენა ხელების მინიმუმ სამ-სამი თითი უნდა გამოვიყენოთ. მესთი ტყავის ან სხვა წყა-ლგაუმტარი მასალისაგან უნდა იყოს დამზადე-ბული მესთი კოჭებს უნდა ფარავდეს და შიგ ფეხი თავისუ-ფლად უნდა იყოს.

მესისათვის განკუთვნილი დრო

აბდესს ავიღებთ და მესებს ჩავიცვამთ. მეს-თების ჩაცმის შემდეგ აბდესის მოშლიდან 24 საათის განმავლობაში მესთებზე მესჰის გაკეთე-ბა შეიძლება. მგზავრებს კი 72 საათის განმავ-ლობაში სამი დღედამის განმავლობასი შეუძ-ლიათ მესის გაკეთება. ის რაც აბდესს მოშლის მესთსაც მოშლის. მის გარდა ერთი ან ორივე მესჰის გახდა, მესთისათვის განკუთვნილი დრო-ის ამოწურვა მესთს მოშლის. გარდა ამისა თუ მესთი იმდენად გახეულია, რომ ფეხის სამი თი-თი ნახევში ეტევა აბდესი მოიშლება.

აბდესის მოშლამდე თუ მესთს გავიხდით ან მესთისათვის განკუთვნილი დრო გავა ხელახლა აბდესის აღება არაა საჭირო, მხოლოდ ფეხების დაბანა საკმარისია მაგრამ 24 საათის გასვლის შემდეგ მესთებზე მესის გაკეთება აღარ შეიძ-ლება.

მგზავრობაში თუ მესთები ჩავიცვით და მესი გავაკეთეთ და 24 საათის განმავლობაში სახლში დავბრუნდით, 24 საათის გასვლამდის მესთის გაკეთებას გავაგრძელებთ. თუ სახში დაბრუ-ნებამდე 24 საათზე მეტი დრო გავიდა, მესთებს გავიხდით და ფეხებს დავიბანთ.

ქუდზე, თავსახვევსა და ხელთათმანებზე მე-სთის გაკეთება არ შეიძლება.

2 – შეხვეულებზე მესჰი

ჭრილობა, მოტეხილობა და სხვა. თუ წყლის შეხებით გაღიზიანდება, აბდესის ან ტანის და-ბანისას მესთს გავიკეთებთ.

თუ ჭრილობა ან მოტეხილობა სველი ხელის მოსმითაც (მესთითაც) გაღიზიანდება მაშინ მხო-ლოდ შეხვეულზე გავიკეთებთ მესთს. ანუ თუ შეხვეულზე მესთის გაკეთება უარყოფით ზეგავ-ლენას ახდენს მაშინ მესთსაც აღარ გავიკეთებთ.

მთლიან ჭრილობაზე ან შეხვეულზე მესთის გაკეთე-ბა აუცილებელია არ არის, ნახევარზე უფრო მეტ ადგ-ილზე საკმარისია.

შეხვეულზე მესთის გაკეთებას განკურნებამ-დე, ჭრილობის მოშუშებამდე გავაგრძელებთ.

თუ ჭრილობაზე შეხვეულს მესთს გაკეთებულ ნაჭ-ერს გამოვიცვლით ახალ ნაჭერზე მესთის გაკეთება საჭირო არ არის.

თუ ჭრილობის ან მოტეხილობის გამო ერთ ფეხზე მესთს გავიკეთებთ მეორეს დაბანაა საჭ-ირო, მესთის გაკეთება არ შეიძლება, ან კიდე ორივე ფეხზე მესთს ჩავიცვამთ და აბდესის აღებისას მესთს გავიკეთებთ.

თუ ჭრილობაზე ან მოტეხილობაზე მესთის გაკეთე-ბა უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს, ან საკმარისად განიკურნება, შეხვეულ ნაჭერზე მე-სთის გაკეთება არ შეიძლება, თვით ჭრილობაზე უნდა გავიკეთოთ მესთი.

ღუსლი
(მთლიანი სხეულის დაბანა)

ნამაზი სრულად რომ ჩაითვალოს აბდესისა და ღუსლის სწორად შესრულებაა საჭირო, სქე-სობრივი კავშირის, პოლუციის, ქალებში მენს-ტურაციის ციკლისა და მშობიარობის შემდეგ, ადამიანი (ჯანაბეთი) დაბინძურებული ხდება. ჯანაბეთ ადამიანმა ღუსლის აბდესი უნდა აი-ღოს ესეიგი პირი და ცხვირი ღრმად უნდა გა-მოივლოს და მთლიანი ტანი კარგად უნდა დაი-ბანოს.

ჰაზრეთი ფეიღამბერმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრძანა: **"ღუსლის შემსრულებელ ადამიანს სხეულზე არსებული ბეწვივით ბევრი მადლი დაეწერება, ამდენივე ცოდვა მიეტევა. სამოთხეში წოდება აუმაღლდება, ღუსლის სამაგიერო მადლი მისთვის განკუთვნილი მადლი ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასია. მაშინ ალლაჰი მელეიქებს ასე მიმართავს, შეხედეთ ამ ადამიანს ღამე წამოდგომა არ დაეზარა, გაიხსენა ჩემი ბრძანება და ღუსლი არ დაიზარა, თქვენ იყავით მოწმენი, რომ მე მას ცოდვები მი-ვუტევე."**

სხვა ჰადისში ვკითხულობთ: **"დაბინძურები-სას სასწრაფოთ ღუსლი შეასრულეთ, რადგანაც ამ ტიპის სიბინძურისაგან (ქირმენ ქათიბინ) მელეიქებს სული უწუხდებათ."** იმამი გაზალმა ბრ-ძანა: "ერთმა კაცმა სიზმარში მითხრა ერთხელ სქესობრივი კავშირის შემდეგ არ გავსუფთავდი ეხლა ტანზე ცეცხლის პერანგი ჩამაცვეს და იმ ქცევისათვის ვიტანჯებიო." ჰაზრეთი ფეიღამბრის სხვა ჰადის-ში წერია: **"სახლში სადაც სურათები, ძაღლები და სქესობრივი კავშირის შემდეგ დაუბანელი ადამიანები იმყოფებიან, წყალობის მელეიქები არასოდეს შევლენ."**

ვინც ერთი ნამაზის დროს ჯანაბეთი გაატა-რებს იმ

ქვეყნად ძალიან დიდ ტანჯვას მიიღებს. წყლით დაბანა თუ შეუძლებელია მაშინ თეიმუმი უნდა გაკეთდეს. დასაბანი ამათ ვერ გააკეთებს: 1 – ნამაზს ვერ ილოცავს. 2 – ყურანი ქერიმსა და აეთებს ხელს ვერ გაა-კარებს. 3 – ქაბბეს თავაფს (შემოვლა) ვერ გააკეთებს. 4 – ჯამეში ვერ შევა.

ღუსლის ფარძები

1 – **პირის წყლით კარგად გამოვლება**. თუ პირის ღრუში ნემსის წვერის ოდენა ადგილი დაუსველებელი დარჩა ღუსლი არ ჩაითვლება.

2 – **ცხვირის წყლით კარგად გამოვლება**, ისე რომ ნემსის წვერის ოდენა ადგილიც არ უნდა დარჩეს დაუსველებელი.

3 – **სხეულის ყველა ადგილის კარგათ დაბანა**. ჭიპს, ულვაშებს, ყურადღება უნდა მივაქცი-ოთ. თუ ფჩხილებზე თვალის ქუთუთო-ებზე, ტუ-ჩებზე ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილზე არის ნივთიერებები რომლებიც წყალს არ ატარებენ, მაგალითად ფრჩხილების ლაქი ღუსლი ქმედითად არ ჩაითვლბა.

ღუსლის სუნნეთები

1 – ხელების დაბანა.

2 – სასირცხვილო ადგილების დაბანა.

3 – მთელი სხეულის საგულდაგულოდ გა-სუფთავება, დაბანა

4 – ღუსლზე ადრე ჩვეულებრივი აბდესის აღება. პირის დაბანისას ნიეთის გაკეთება. შაფი მეზების მიხედვით ნიეთი ფარძია.

5 – მთელის სხეულის კარგად შეჩაჩქნით და-ბანა

6 – მთელი სხეულის კარგად დაბანის შემდეგ ერთხელ კიდევ ორივე ფეხის დაბანა.

როგორ სრულდება ღუსლი?

სუნნეთის მიხედვით ღუსლი ასე აიღება:

1 – პირველად ორივე ხელი და სასირცხვი-ლო ადგილები კარგად დაიბანება და სხეულზე არსებული სიბინძურე დაიბანება

2 – შემდეგ ჩვეულებრივი აბდესი ღუსლის ნი-ეთით აიღება. თუ ფეხებში წყალი არ გროვდება ფეხებიც დაიბანება, თუ გროვდება ფეხები ბოლოს დაიბანება.

3 – მთელ სხეულზე სამჯერ წყალი გადაივ-ლება. ჯერ თავზე მერე მარჯვენა მხარზე მერე მარცხენა მხარზე. პირველი დასხმის დროს ტანი კარგად უდნდა გაიჩაჩქნოს ისე რომ ნემსის ოდ-ენა ადგილი მშრალი არ უნდა დარჩეს.

ღუსლის დროს ერთ ადგილას დასხმული წყალი თუ სხვაგანაც მოხდება იმ ადგილსაც გაასუფთავებს რადგანაც ღუსლის შესრულები-სას მთელი სხეული ერთ სხეულად ითვლება, აბდესის აღებისას კი ასე არ არის. ღუსლის და-სრულების შემდეგ აბდესის აღება მექრუჰია. აბდესი დასაწყისში უნდა ავიღოთ, მაგრამ აბდესი თუ მოგვეშალა მისი გაახლებაა საჭირო.

განმარტება (დაპლომბილი და ჩასმული კბილი)

ჰანეფი მეზებში, კბილებს შორისი და ამოხ-რული ადგილები რომ არ დასველდეს ღუსლი აღებულად არ ითვლება. ამიტომ დაპლომბილი ან ჩასმული კბილით ღუსლი შესრულებულად არ ითვლება. ოქროთი, ვერ-ცხლით და ან სხვა მასალებით გაკეთებული ან გადაკრული და დაპ-ლომბილი კბილი რომლის ქვეშაც წყალი ვერ ეხება ჰანეფი მეზების ყველა ალიმის (ბრძე-ნის) მიხედვით ღუსლი შესრუებულად არ ითვლება.

თაჰთავი **(მერაქილ-ფელაჰ)** ჰასიეში ოთხმოცდამეტე-ქვსმეტე გვერდზე და აქედან გა-დათარგმნილ **(ნიმეთი ისლამის)** წიგნში ასე წერია: თუ ჰანეფი მეზებზე მიმყ-ოლი პიროვნება, თავის მეზების მიხედვით ვერ გააკეთებს შეუძ-ლია შაფი მეზებზე მიყოლით გაკაკე-თოს. **(ბაჰრ-ურ-რაიქ)** და **(ნეჰრ-ულ-ფაიქ)** წიგნებშიც ასე წერია. მა-გრამ ამ რომელიმე საქმის გაკეთების დროს იმ მეზე-ბის პირობების გაკეთებაცაა საჭირო. დაპ-ლომბილი, ჩას-მული კბილის მქონე ჰანეფი მეზე-ბის მიმდევარი ღუს-ლის, აბდესის და ნამაზის ნიეთის გაკეთე-ბისას იმამი შაფი ან იმამი მალი-ქიზე მიყოლით გააკეთებს მაგ. **(ნი-ეთი ვქვნი ღუ-სლის აბდესის ასაღებად მალიქის ან შაფის მეზებზე მიყოლით)**. შაფი მეზებზე მიმყოლი ჯე-მაეთით ნამაზის ლოცვის დროს ფათიხას იკითხავს ყუ-რანი ქერიმის ხელში აღებისასს აბ-დესის აღებაა საჭირო, და იმ თვრამმეტ ქალიდან როლმებზეც დაქორ-წილება არ შეიძლება სხვა ყველას რომელსაც გაეკარე-ბა ანუ კანი კანს შეეხება აბდესი მოშლილად ითვლე-ბა.

ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობანი

მენსტრუაციის ციკლი:

თერთმეტი სახის ღუსლის აბდესია, ხუთი ფარძია. აქედნ ორი: ქალის მენსტრუაცია და მშობიარობაა.

იბნი აბიდინი **(მენჰელ-ულ-ვარიდინ)** ნაწარმოებში ამბობს რომ: ყველა მუსლიმანისთ-ვის, ქა-ლისთვისაც და კაცისთვისაც ილმიჰალის სწა-ვლა ფარძია. ყველა მუსლიმანი ქალისთვის მშო-ბიარობის და მენსტრუაციის ცოდნა ფარძია.

მენსტრუაცია. მენსტრუაცია ეწოდება სისხლ-დენას რომელიც ცხრა წლის ზემოთმყოფ გო-გონას ეწყება და სულცოტა სამ დღეს გძელდება. თეთრის გარდა სხვა ფერის სისხლი ან ამღ-ვრეულიც რომ იყოს მაინ მენსტრუაციის სის-ხლია. როდესაც გოგონაც მენსტრუაციის **(თვიური)** ციკლი ეწყება, უკვე სქესობრივად მომწიფებულია და რელიგიური კანონების შესრულება ევალება, და ყვე-ლაფრისათვის პასუხის-მგებელია. ამ ასაკიდან რელიგიული წესების შესრულება სავალდებულო ხდება. მენსტურაცი-ის პერიოდი მინიმუმ სამი მაქსიმუმ ათი დღეა. ყველამ თავისი მენსტრუაციის დრო უნდა იცო-დეს. გოგონამ დედისაგან, დეიდისაგან, ბებისა-გან და სხვა ახლო ნათესავებისაგან უნდა შე-ისწავლოს. მენსტრუაციის ციკლს სხვანაირად "ჰაიზი" ეწოდება.

მშობიარობა. მშობიარობის შემდეგ ქალებში რამოდენიმე დღეს სისხლდენა შეინიშნება. ამ პერიოდს "ნიფასი" ეწოდება და მინიმალური დრო არ აქვს მაქსიმუმ კი 40 დღეა. 40 დღის შემდეგ სისხლი რომც არ შეწყდეს ღუსლი აი-ღება და ნამაზის ლოცვა დაიწყება. 40 დღეზე დიდხანს სისხლის დენა ავანდყოფობის მიმანიშნებელია.

ამ დროში ქალი ნამაზს ვერ ილოცავს, ვერ იმარხებს, ყურანი ქერიმს ვერ შეეხება, სეჯდეს ვერ გააკეთებს, მეჩეთში ვერ შევა, თავაფს ვერ გააკეთებს. ქალებმა სასურველია მეუღლეებს შეატყობინონ მენსტრუციის დროები რადგანაც ჰაზრეთი ფეიღამბერმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) **"მენსტრუაციის მეუღლისგან დამმალავი ქალი ცოდვას იმატებს."** სისხლდენის დამთავრებისას ღუსლისს შესრულება ფარძია.

ციკლის დარღვევა

ციკლის დარღვევა ანუ **"ისთიჰაზა"** ეწოდება სისხლდენას, რომელიც ემართებათ ძირითადში ცხრა წელზე პატარებს და ორმოსდათხოტმედ წელს გდაცილებულ ქალებს. რომელიც სამ დღე-ღამეზე ცოტა და ათ დღე-ღამეზე ბევრს გრძელდება რომელიც მშობიარობის შემდეგ 40 დღეზე მეტს გრძელდება ეს სისხლდენა ავანდმყოფობის მანიშნებელია და საჭიროა მივმარ-თოთ ექიმს. ისთიჰაზას სისხლდენა ცხვირიდან სისხლდენას არ ჰგავს ამიტომ მის მქონეს ნამა-ზის ლოცვა შეუძლია.

თეიმუმი

თეიმუმი მიწით გასუფთავებას ნიშნავს, რო-დესაც აბდესის ასაღებად ან ღუსლის შესასრუ-ლებდად წყალი არ მოიძებნება ანდა სახმარად უვარგისია, მიწით, კრამიტით, ქვით და ქვიშით თეიმუმს ვასრულებთ. ჰანეფი მესებში თეიუმის აღება ნამაზის დრო-ის მოსვლამდის აღება შე-იძ-ლება, ხოლო დანარჩენ სამ მეზებში დროის მო-სვლამდის თეიმუის აღება არ შეიძლება.

შემთხვევები როდესაც თეიმუმის შესრულება შეიძლება:

1 – ღუსლისა და აბდესისათვის წყლის ვერ შოვნა (წყლის ძებნა ყოველთვის ფარძია)

2 – წყლის ხმარების შემთხვევაში გაციების, დავადებისა და სიკვდილის საფრთხის შემთხვე-ვებში

3 – წყლის მახლობლად მტრის, შხამიანი ან მტაცებელი ცხოველის ყოფნა

4 – ციხეში ყოფნისას წყლის ხმარების შეუძ-ლებლობა

5 – სიკვდილის მუქარის შემთხვევაში

6 – მგზავრობისას დასალევი წყლის გარდა სხვა წყლის არ ქონა

7 – ჭიდან წყლის ამოღების შეუძლებლობა

თეიმუმის ფარძები

თეიმუმის ფარძები სამია:

1 – ჯუნუბობიდან გასუფთავებისთვის ან აბდესისთვის ნიეთის თქმა. თუ მოსწავლისთვის მას-წავლებელი ასახსნელად თეიმუმს აიღებს ამით ნამაზი არ ილოცება.

2 – ორივე ხელის მიწაზე მოსმა, სახის მთლი-ანის მესის გაკეთება.

3 – ორივე ხელის სუფთა მიწაზე შეხება, ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა მკლავზე მესის გაკეთება.

თეიმუმის ფარძი ორია, მთქმელი ალიმებიც არიან მეორე და მესამე ფარძს ერთად ამბობენ. ორივე სწორია.

თეიმუმის სუნნეთები

1 – ბისმილით დაწყება

2 – მიწაზე ხელისგულის შიდა მხარის დადე-ბა

3 – ხელის გულების მიწაზე გასმა-გამოსმა

4 – თუ კი ხელის გულებზე მიწა დარჩა მი-წის მოცილებამდის ხელების ერთმანეთზე ტყა-პუნი

5 – ხელების მიწაზე დადებისას თითების გა-შლა

6 – მტვერიანი ხელების ჯერ სახეზე, მერე მარჯვე-ნა მკლავზე მერე მარცხენა მკლავზე შე-ხება

7 – აბდესის შესრულების მსგავსად თეიმუმი-საც სწრაფად შესრულება

8 – მკვლავედზე და სახეზე ხელშეუხებელი ადბილის არ დატოვება

9 – თეიმუმის აწყებამდე წყლის ნახვისათვის ყველა შესაზლო გზის ძიება

10 – ხელების მთელი ტანით მიწაზე მყარად დაბჯინე-ბა

11 – მკლავებზე ნასწავლი მეთოდით შეხება

12 – თითებს შორის ადგილების სეხება და ამ დროს ბეჭედის ადგილიდან დაძვრა

თეიმუმის დროს შემდეგს უნდა მივაქცოთ ყურადღება

1 – თუ ვინმე მოსწავლის საჩვენებლად თეი-მუმს ჩაატარებს ამით ნამაზს ვერ ილოცავს

2 – თეიმუმით ნამაზის ლოცვისათვის მარტო თეიმუ-მის ნიეთის თქმა საკმარისი არ არის, ნა-მაზის ნიეთის თქმაც არის საჭირო

3 – ერთი მიწისაგან რამოდენიმე ადამიანს თეიმუმის გაკეთება შეუძლია, რადგანაც თეიმუ-მის მიწა ნახმარად არ ჩაითვლება. ხელისგულე-ბიდან დაბერტყილი მიწა კი ნახმარად ითვლება

4 – შაფი და ჰანბელი მეზებში თეიუმი მარ-ტო მი-წით შეიძლება. სხვა მეზემში მიწის, კი-რის, ქვიშის მს-გავსი მასალებითაც შეიძლება თეიმუმის შესრულებაც. ქაღალდით, ნაფოტით, მადნით, ცხიმიანი საღებავით გაკეთება არ შე-იძლება თუ რამოდენიმე ნივთიერება შერეულია, რომელიც სჭარბობს, ის ითვლება. თუ მარ-ტო ტალახი ინახება და წყალი ნახევარზე ცოტაა თეი-მუმი აიღება.

5 – ერთი თეიმუმით სხვადასხვა ნამაზის ლოცვა შესაძლებელია.

6 – თუ ადამიანი ან ცოდნით ან ნიშანთვისე-ბებით ორ კილომეტრზე ნაკლებ ადგილებიდან წყლის ნახვას ვარუდობს ყოველ მხარეს ორასი მეტრი წასვლა და ძებ-ნა ფარძია. თუ წყლის ყო-ფნის გამოყენების შესაძლე-ბლობა არარეალუ-რია ძებნა საჭირო არ არის.

7 – თუ წყლის უკითხავად თეიმუმით ნამაზი დაიწყეთ და მერე სანდო კაცისაგან გაიგეთ რომ წყლის შოვნა შეიძლება ახლიდან აბდესი შეას-რულეთ და ნამაზიც ახალად ილოცეთ

8 – თუ წყალი ორ კილომეტრზე შორს არის თეიმუმის გაკეთება ნებადართულია.

9 – თუ ნივთებს შორის არსებული წყალი ადამიანს დაავიწყდა ქალაქში ან სოფელში თუ არ არის, შეიძლება თეიმუმი გააკეთოს.

10 – წყლის არარსებობაში დარწმუნებული კაცი თუ თეიმუმს აკეთებს და მერე წყალს წააწყდება ნამაზი ახლიდან უნდა ილოცოს.

11 – სტუმარმა საჭიროა მასპინძელს წყალი მოსთხოვოს, თუ არ მიცემეს თეიმუმი გააკეთოს. თუ წყალი იყიდება, უფრო ბევრი ფულის მქონე სტუმარმა უნდა იყიდოს. თუ მასპინძელი წყალს ძალიან ძვირად ყიდის მაშინ თეიმუმის აღება ნებადართულია. თუ ნორმალური ფასის მისაცე-მი ფულიც არ აქვს თეიმუმის აღება ნებადარ-თულია.

12 – თუ უდაბნოში მხოლოდ სასმელი წყა-ლია დადებული თეიმუმის შერულება ნებადარ-თულია.

13 – თუ წყალი ცოტაა სქსობრივი კავშირის მქონეებმა მენსტრუაციის მქონეებზე ადრე უნდა დაიბანოს, წყლის პატრონმა ყველაზე ადრე უნ-და დაიბანოს. ზოგჯელ წყლის პატრონებმა შე-იძლება მოტანილი წყლები გააერთიანონ და ისე დაიბანონ.

14 – სქსობრივი კავშირის მერე თუ თეიმუმს შეასრულებთ და აბდესი დაირღვა ჯანაბეთი არ გახდება თუ წყალი ცოტაა მაშინ მხოლოდ აბ-დესი აიღება.

15 – თუ ადამიანის სხეული ნახევარზე მეტი ავანდყოფია ან ჭრილობებით არის დაფარული და აბდესის დროს ამ ადგილების დაუსრულე-ბლად დაბანა შესაძლებელია ღუსლი ან აბდესი შეასრულოს. თუ არა თეიმუმი შეასრულოს.

როგორ სრულდება თეიმუმი?

1 – თავდაპირველად ნიეთს ვიტყვით.

თეიმუმით ნამაზის შესასრულებლად მხოლ-ოდ თეიმუმის ნიეთად თქმა საკმარისი არ არის ნამაზის ნიეთიც უნდა ვთქვათ. ამ დროს აბდე-სისა და ღუსლის ერთმანეთისაგან გამოყოფა საჭირო არ არის. ჯამრთელობისაგან გასაწმენ-დადნ თეიმუის შესრულებით ნამაზის ლოცვა შესასრულებელია. აბდესისათვის ხელახალი თეიმუმი საჭირო არ არის.

2 – ორივე მკლავი ინდაყვებამდის დაიკა-პიწეთ, ორივე ხელი მიწას, ქვას, ქვიშასა და სხვა. შეეხეთ და მინიმუმ სამი თითით სახეზე მოისვით ორივე ხელის გული. სახის სულ პა-ტარა ნაწილზეც კი თუ ხელი არ მოხვდა თეი-მუმი შესრულებლად არ ითვლება. რათა სახის ყველა ადგილას მოხვდეს, ხელები ერთმანეთან მიატყუფეთ, შუბლთან მიიტანეთ და ქვემოთ ყბებისაკენ ნელნელა ჩამოყევით. თითები უნდა შეეხოს შუბლს, თვალის ქუთუთოებს, ცხვირის ორივე მხარეს, ტუჩებსა და ყბებს. ამ დროს ხე-ლის გულები ლოყებს შეეხება.

3 – შემდეგ ხელის გულებით კვლავ შევეხოთ მიწაზე. ხელების მიწიდან აღების შემდეგ მარცხენა ხელის ცერა და ნეკა თითებს შუა სამი თითისაგან შორს დავიჭერთ, შუა სამ თი-თს დავისვამთ მკლავის გარეთა ნაწილზე მაჯი-დან ინდაყვის მიართულებით. შემდეგ მკლავს შემოვატრიელებთ და ნეკა თითებს დავისვამთ შიგნითა ნაწილზე ინდაყვიდან მაჯის მიმართუ-ლების. თუ ბეჭედი გვიკეთია უნდა მოვიხსნათ. იგივეს გავიმეორებთ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავზე მესის გაკეთებისათვის. ორივე მკლავზე მესჰის გაკეთებით თეიმუმი დასრულდება.

აბდესისა და ღუსლისათვის თეიმუმი იგივეა.

თეიმუმის მომშლელი ფაქტორები

თეიმუმის მომთხოვი გარემოებანი თუ შეიც-ვალა, წყალი თუ ინახა, ყველა ღუსლისა და აბ-დესის მომ-შლელ პირობებში თეიმუმიც მოიშ-ლება.

აბდესის, ღუსლისა და თეიმუმის სარგებლობანი

სხეულის გასუფთავების ყველა ეს ფორმები ძალიან დიდი სარგებლობის მომტანია. გარდა ამისა სულიერი ჯამრთელობის გამაძლიერებე-ლია. მრავალი სარგებლო-ბათაგან ზოგიერთს ჩამოვთლით.

1 – ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელმოუკიდე-ბელი რომ არ გვჩება და მიკრობების ბუდეებს ვემსგავსებით, აბდესის დროს პირის, ხელებისა და ფეხების დაბანა მიკრობებისაგან გაწმენდის საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო რომ ზოგი ბაქტერიები კანით გადამდები არიან.

2 – ჩვენ ვიბანთ ცხვირს, რომელიც მთელი სასუნ-თქი გზების მაკონტროლებელია და რომე-ლიც ორგა-ნიზმს მტვრისაგან და ბაქტერებისა-გან იცავს.

3 – პირის დაბანაც თავის ტკივილებისა და დაღლილობის საუკეთესო წამალია. ძარღვებსა და ნერვებს ამოძრავებს. ამიტომაა რომ მოხუცე-ბულ მორ-წმუნეებს სახე მუდამ ლამაზი აქვთ.

4 – სქესობრივი კავშირის დროს ადამიანის ორგანიზ-მი ზედმეტად იტვირთება მერე კი იღ-ლება და დუნდე-ბა. გულის მუშაობის რიტმი ირ-ღვევა. ხოლო ღუსლის მეშვეობით სხეულის წი-ნანდელი ფორმა უბრუნდება. სხეულის დაბანა არაჩვეულებრივი სამკურნალო საშ-ვალებაა.

5 – ჩვენს სხეულს გარკვეული ბალანსი გააჩნია და ჯამრთელობაც ამაზეა დამოკიდე-ბული. ზოგჯელ მრავალგვარი დაძაბულობის შედეგად ღუსლისათვის საჭირო პირობებში ეს ბალანსი ირღვევა. ცხოვრების სტრესისეული ტვირთი თუ ნორმალურ ვითარებაში ოთხ-მაგია ღუსლის საჭირო პირობებში (სექსუალური კავ-შირის დრ-ოს) თორმეტამდის იწევს. არსებობს ემფრარუშ სხივებით გამთბარი ადამიანის კანის ფოტოგრა-ფია და ვხედავთ რომ ადამიანის კანი უამრავი სტატიკური ელე-ქტრო ენერგიით იფა-რება და ეს ფენა ჟანგბადის თავი-სუალ მოძრაობას ეწინა-აღმდეგება. აფუჭებს კანის ფერ-სა და შემცვლე-ლობას და ასეთ მდგომარე-ობებში სულ მცირე ნაწილიც დაუბანელი არ უნდა დარჩეს. წყალს მიაქვს უარყოფითი ენერ-გია და სხეულს საჭირო ფორ-მას აძლევს. თუ ამ მხრიდან შევხედავთ ღუსლი სამედ-იცინო თვალსაზრისიდანაც აუცილებელი პროცედურაა.

6 – აბდესისა და ღუსლის დროს სის-ხლა-რღვები მო-ქმედებაში მოდის და ძარღვების შე-ვიწროვება გამორ-იცხულია. აბდესის დროს ცხ-ვირის უკანა მხარე და ლიმ-ფული ჯირკვლები იბანება და აქტიურ ფორმაშია. ასევე ლოყებისა და კისრის დაბანა ლიმფული ჯირკ-ვლებისათვის სასარგებლოა. ამავე დროს რიმფოციდად წოდებული მებრძოლი უჯრედები მიკრობებს ებრძვიან და სხეულს ავანდყოფობი-საგან იცავენ.

7 – წყლის არ ქონის დროსაც თეიმუში ასუფ-თავებს სხეულს უარყოფითი სტატიკური ელექ-ტრონისაგან.

2 - ნეჯასეთთენ თაჰარეთ
(სიბინძურისაგან განწმენდა)

ნამაზის მლოცველის სხეულზე ტანსაცმელზე სალოცავ ადგილზე სიბინძურე არ უნდა იყოს. თავსაბურავი და მესჰი ტანსაცმელად ითვლევა. თავზე ხვეული კაშნის ბოლოც კი სუფთა უნ-და იყოს. თორემ ნამაზი არ ჩაითვლება. სხეულთან კავშირში მყოფი ყველა სამოსი საგულდაგულოდ სუფთა უნდა იყოს, ამას გარდა თუ ჯიბეში გაქვთ სპირტი, სპირტნარევი ოდიკოლონი, სისხლიანი ცხვირსახოცი, ნამაზი ნებადართული არ არის. ორივე ფეხის დასადგამი და სეჯდეს შესასრულებელი ად-გილი სუფთა უნდა იყოს.

თუ კანზე, სხეულზე ან ნამაზის სალოცავ სხვა რომელიმე ადგილზე ხელისგულის ოდენა სიბინძურე მოიპოვება, ნამაზის ლოცვა თაჰრი-მენ მექრუჰია, გასუფთავება ვაჯიბია. თუ სიბინ-ძურე ხელის გულზე უფრო მეტია გასუფთავების გარეშე ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. ამ შემთ-ხვევაში გასუფთავება ფარძია. თუ სიბინძურე ხელისგულზე უფრო ცოტაა მაში ნამაზის ლოცვა შეიძლება. გასუფთავება სუნნეთია.

არსებობს ორი სახის სიბინძურე დი-დი სიბინძურე და პატარა სიბინძურე.

1 – დიდ სიბინძურეში შედის საქონლისა და ადამიანის განავალი ცხოველების ლეშები, ტყა-ვი და ხორცი, სისხლი, ყველანაირი სპირტიანი სასმელი, ღორის ხორცი, შინაური ცხოველების სკინტლები.

2 – პატარა სიბიძურეებში შედის ტანისამოს-ზე ლაქები, იმ ფრინველების სკინტლები რომ-ლის ხორციც არ იჭმება. ხოლო მტრედის, ბე-ღურასა და მის მსგავსი ხორცის საჭმელად ვარგისი ფრინველების სტინტლები სიბინძურებ არ ითვლება.

ღვინის გამოხდით და სხვა მიღებული სპირ-ტი და რახიც აკრძალულია. ნამაზის ლოცვისას ისე ადგილები სადაც ალკოჰოლი აცხია უნდა მო-იწმინდოს და გასუფთავდეს. ასევე ლოცვისას ალკოჰოლით სავსე ბოთლიც არ უნდა იდოს ჯიბეში.

სიბინძურის გასუფთავება ჩვეულებრივი წყ-ლით, ვარდის წყლით და ძმრით აბდესის აღე-ბული წყლითაც შეიძლება. მაგრამ ჩვეულებრივი წყლის გარდა სხვა ნარევი წყლით აბდესი და ღუსლი არ შესრულდება.

ისთინჯა: ტუალეტის შემდეგ სასირცხო ადგილების გასუფთავებას ისთინჯა ჰქვია. ის-თინჯა სუნნეთი მუე-ქქედეა. ტუალეტის შემდეგ ქვით ან წყლით წინა და უკანა მხარის გა-სუფთავება სუნნეთია. მაგრამ თუ ისთინ-ჯას გაკეთებისას სასირცხო ადგილების სხვასთან გომეჩენის სა-ჭიროებას მოითხოვს მაშინ ის-თინჯა არ გაკეთდება, რაგდან ავრეთი (სა-სირცხო) ადგილების გამოჩენა ჰარამია. **ამიტომ ერთი ბრძანების გაკეთებისას თუ ჰარამი უნდა გაკეთდეს, მაშინ ამ ბრძანების გა-კეთე-ბა გადაიდება**.

ძვლით, საჭამადით, აგურით, ნაკელით, ნახ-შირით, ცხ-ოველების საჭმელით, სხვისი ქონე-ბით, ზემზემის წყლით, ძვირფასუელობებით, ქა-ღალდით ისთინჯის გაკეთება თაჰრიმენ მექრუ-ჰია. სუფთა ქაღალდზეც პა-ტივისცემა საჭიროა. გაზეთით და რელიდიური ნაწერე-ბის გარდა სხვა ნაწერებიანი ქაღალდით ისთინჯის გაკეთე-ბა ნებადართულია. ისლამის (არაბული) ასოე-ბით და რელიგიური საკითხებიანი ქაღალდით არ შეიძლე-ბა. ტუალეტის გაკეთებისას წინა ან უკანა მხარის ყი-ბლის მხარეს შებრუნება არ შეიძლება. თუ სხეულის რომელიმე ნაწილზე ხე-ლის გულის ოდენა სიბინძრე დარჩა მისი დაბა-ნა ფარძია. ასე ნამაზის ლოცვა არ შეი-ძლება.

ისთიბრა: მოშარდვის შემდეგ აბდესის აღე-ბამდის ცოტა ხნით მოცდას, გავლა-გამოვლას ნიშნავს. განსაკუთრებით მამაკაცებმა მოშარდვის შემდეგ მაშინვე აბდესი არ უნდა აიღონ რა-დგანაც შესაძლოა, რომ საშარდო მილი მთლიანად არ იყოს დაცლილი, შარდის წვეთები შეიძლება იყოს დარჩენილი, რაც შემ-დეგში დაიცლება და აბდესს მოშლის. ასევე შეიძლება შარდის მილში ბამბის გაკეთბაც.

3 - სეთრ-ი ავრეთი
(რჯულით აკრძალული ადგილების დაფარვა და ქალების დახურვა)

დგილებს, რომლებიც სხვისთვის ჩვენება და რომლე-ბზედაც სხვისი შეხედვა ჰარამია **ავრეთი** ეწოდება. მა-მაკაცის ავრეთი მუცლიდან (ჭიპი-დან) მუხლისთავების ჩათვლითაა. ნამაზის ლო-ცვის დროს ამ ადგილების და-ფარვა ფარძია. თუ ნამაზის დროს ეს ადგილები და-ფარული არ არის ნამაზი არ ჩაითვლება. ნამაზის ლოცვისას სხეულის სხვა ნაწილების (მკვლავების თავის)დაფარვა (წინდების ჩაცმა) სუნნეთია ამათი ღი-ად ნა-მაზის ლოცვა მექრუჰია.

ქალებისათვის პირისახის და ხელის გულების გარა-და ყველა ადგილი ავრეთია. ხელების ზედა ნაწილი, ფეხები და თმები ოთხივე მეზების მი-ხედვით არამია. ამიტომაც ქალებს ავრეთსაც უწოდებენ. ამ ადგილების დაფარვა ფარძია. თუ ამ ადგილების ერთ მეოთხედზე მეტი დაუფა-რავი დარჩა ნამაზი ირღვევა, თუ უფრო ცოტა არა მექრუჰი იქნება. ძალიან თხელი და სიფრი-ფანა ნაჭრის ტანისამოსიც სულაც არ ჩაცმუ-ლად ითვლება.

ქალის, მარტო ყოფნისას, ნამაზის გარდა, მუ-ხლისა

და ჭიპის შორის ადგილის დაფარვა ფა-რძია, მუცლის და ზრუგის დაფარვა ვაჯიბი, სხ-ვა ადგილების დაფარვა მოკრზალება ზრდილობაა.

ჰაზრეთი ფეიღამბერი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრძანებს: **"უცნობი ქალისთვის ვნე-ბით შემხედი მამაკაცის თვალები ცეცხლით ივსება და ჯოჯოხეთში მოხვდება. ხოლო უცნობი ქა-ლისთვის ხელის ჩამომრთმეველი ორივე მკლა-ვებშეკრულს ჯოჯოხეთში ჩააგდებენო. ხოლო უცნობ ქალთან უსაფუძვლოდ ვნებიანად მოლაპარაკე თითოეული სიტყ-ვისთვის ჯოჯოხეთის ერთი წლით და-ისჯება."**

სხვა ხადისში ვკითხულობთ: **"მეზობელი ქალებისთვის ანდა ამხანაგების ქალე-ბისთვის ვნებიანი მზერა და საუბარი უცხო ქალებისაზე ათჯერ მეტი ცოდვაა. გათხოვილი ქალებისთვის შეხედვა გა-უთხოვრებთან შედარებით ათასჯერ დიდი ცოდვაა. უზნეო საქციელის ცოდვაც ასე-თია."**

ერთხელ ფეიღამბერმა ბრძანა: **"ეი, ალი! არასოდეს შენი სასირცხვილო ორგანოები არ გამოაჩინო. და ცოცხალსა თუ მკვდარს არავის ამ ადგილებზე არ შეხედო."**

სხვა ხადისში სწერია: **"არასოდეს სასირც-ხვილო ადგილები არ გამოაჩინოთ. რად-განაც მუდმივად თქვენს გვერდით მყოფნი არიან და მათი მოგერიდოთ და მათ პატივი მიაგეთ."** (ისინი მელეიქები არიან).

ასევე სხვა ხადისებში ვკითხულობთ: **"დაიფა-რეთ თქვენი სასირცხვილო ადგილები და არავის აჩვენოთ მეუღლის გარდა. მარტო დარჩენის დროსაც დიდი ალლაჰისა გე-რიდებოდეთ."**

"თუ ვინმე ლამაზი ქალის დანახვისას მას თვალებს უმალვე მოარიდებთ, დიდე-ბული ალლაჰი თქვენ უდიდეს

წყალობას გამოგიგზავნით და დიდ მადლად ჩაგითვლით.”

“დიდმა ალლაჰმა დასწყევლოს ყველა, ვინც არ იფარავს სასირცხვილო ადგი-ლებს და სხვის სასირცხვილო ადგილებს უყურებს.”

საჭიროა არასოდეს სხვებს არ მივამსგავსოთ ჩვენი ტანისამოსი და ჩაცმულობა. მოდას ამყო-ლები, ცოდვილობისათვის ხელოვნების სახელის მწოდებელი და ისინი, ვინც თავის თავს პროგრესულს და მოაზროვნეს უწოდებს კარგად ჩა-ფიქრდნენ, ამ ხადისების აზრს, მოერიდნონ და გამოფხიზლდნენ.

ასევე ჰარამია თუ მამაკაცი სხვა მამაკაცის სასირცხვილო ადგილებს შეხედავს, და ქალი სხვა ქალის სასირცხვილო ადგილებს შეხედავს. იგივე სქესისთვის ეს ადგილები ჭიპიდან მუხ-ლისთავებამდეა. უცნობი მამაკაცის შეხედვისას ხელებისა და სახის გარდა ყველა ადგილი ავ-რეთია. უცნობი ქალისთვის ავრეთის ადგილზე ვნების გარეშე შეხედვაც ჰარამია.

მწოლიარე ავადმყოფმა თუ იგი შიშველია, თა-ვი საბნიდან უნდა გამოყოს და ნამაზი ისე უნდა ილოცოს. ასეთ დროს დაფარულად ჩაითვლება და ნამაზიც ნებადართულია.

მამაკაცი ახლობელ ქალს, რომლის ცოლად თხოვნა ეკრძალება ვნების გარეშე შეხედვას თა-ვზე, სახეზე და წვივების დაბლა, მაგრამ მკე-რდზე, ზურგზე თეზოებზე ვერ შეხედავს.

ქალისათვის: დეიდაშვილები მამიდაშვილები და ბიძაშვილები უცნობ მამაკაცად ითვლება ასევე სიძე და მაზლიც უცხო მამაკაცებად ითვ-ლებიან. მათთან მარტო საუბარი და ხუმრობა არამია. მამაკაცებისათვისაც დეიდაშვილებთან, ბიძაშვილებთან, მამიდაშვილებთან,

რძალთან და ცოლის დასთან მარტო საუბარი არამია.

მამაკაცი აკრძალულ 18 კატერორიის ქალთან ვერასდროს ვერ იქორწინებს. მათთან მარტო და-რჩენა და ლაპარაკი ნებადართულია. ასევე ქა-ლიც 18 კატეგორიის ამამაკაცებთან ვერ იქორ-წინებს. ესენია:

სისხლით და გვარით მონათესავეები

კაცები:

1 – მამა.

2 – მშობლების მამები.

3 – ვაჟი. ვაჟის და გოგოს ვაჟიშვილები.

4 – ძმა.

5 – ძმიშვილი.

6 – დიშვილი.

7 – ბიძები. დედ-მამის ძმები.

ქალები:

1 – დედა.

2 – მშობლების დედები.

3 – ქალიშვილი, ვაჟისა და ქალიშვილის ქალიშვილები.

4 – და.

5 – დიშვილები.(გოგო)

6 – ძმიშვილები.(გოგო)

7 – დეიდა და მამიდა.

რძითა და ძუძუმტეობით მონათესა-ვეები

კაცები:

8 – ძიძის ქმარი.

9 – ძიძის ქმრის და ზიზის მამები.

10 – ძიძისშვილი, ძიძის შვილის შვილები.

11 – ძიძის მხრიდან ძმა.

12 – ძუძუმტე დის ვაჟიშვილები.

13 – ძიძით ბიძები ორივე ხრიდან.

ქალები:

8 – ძუძუსმაწოვებელი.

9 – ძუზუსმაწოვებელის დედის და მამის დედა.

10 – ძიძის გოგო, ძიძის ბიჭის და ძიძის გოგოს გოგონები.

11 – ძიძის მხრიდა და.

12 – ძუძუმტე დის გოგონები.

13 – ძუძუმტე ძმის გოგონები.

14 – ძიძით დეიდა და მამიდა.

ქორწინებით მონათესავები

კაცები:

15 – მამამთილი.

16 – გერი.

17 – მამინაცვალი.

18 – სიძე.

ქალები:

15 – დედამთილი.

16 – გერი (გოგო).

17 – დედინაცვალი.

18 – რძალი

ყველა ქალი და მამაკაცი, ვინც ქუჩაში სა-სირცხვილო ადგილების დაუფარავად გამოდის და სხვის სასირცხვილო ადგილებს უყურებს, ჯოჯოხეთის გავარვარებულ ცეცხლში დაიწვება

4 - ისთიყბალი ყიბლე
(ყიბლეს მხარეს დგომა)

ნამაზის ლოცვისას ქაბბეს მიმართულებით უნდა დავდგეთ. ქაბბე მექქაშია. ამ წმინდა ად-გილს **ყიბლე** ეწოდება. ადრე ყიბლე იერუსა-ლიმში იყო. ჰიჯრეთის 17 თვის თავზე სამშაბათ დღეს ქაღბეში გადაინაცვლა.

ყიბლე ქაბბეს შენობა არ არის, მიწის ნაკვე-თია. ამიტომაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ნა-მაზი ყიბლეს მიხედვით სრულდება.

მაგრამ არის გარემოებანი, რომელთა დროსაც როგორც და რომელ მხარეს დგომითაც შეგვეძ-ლება, ნამაზს იმ მხარეს ვილოცავთ და ეს ნა-მაზი ქმედითი იქნება. აი ეს გარემოებებიც:

1 – ავადმყოფობის დროს. 2 – ნივთების მო-პარვის საშიშროების დროს. 3 – მტაცებელი ცხოველის საფრთხის დროს. 4 – მტრის თავ-დასხმის საფრთხის დროს. 5 – თუ ჩამოქვეითე-ბის მერე ხელახლა ცხენზე ვაღარ შეჯდება.

მატარებელში, გემში და თვითმფრინავში ყიბ-ლეს მხარეს დადგომა აუცილებელია

5 – ვაქით
(ნამაზის ლოცვის დრო)

ჰაზრეთი ფეიღამბერმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრძანა: **“ორი დღე ქაბბეში ჯებრა-ილი ჩემთან ერთად იყო და ორივემ გამ-თენიისას დილის ნანაზი, მზის შუბის ტარზე დადგომისას შუადღის ნამაზი, მზის გადადგომისას იქინდი ნამაზი, მზის ჩასვლისას სალამოს ნამაზი და დაბნელე-ბისას ღამის ნამაზი ვილოცეთ. მეორე დღესაც გამთენიისას დილის ნამაზი, დაცხომისას შუადღის ნამაზი, მზის გა-დადგომისას, როცა ყვე-ლაფერის ჩრდილი გაორმაგდა, იქინდი ნამაზი, მარხვის დარღვევის დროს სალამოს ნამაზი, ხოლო ღამის ერთი მესამედის გასვლის შემდეგ ღამის ნამაზი ვილოცეთ**. მის მერე ყველა მუსლიმანებმა ამ დადგენილ დროის შუალედებ-ში ილოცონ ნამაზი, მითხრა.”

ამ ხადისიდან გამომდინარე ნამაზის ლოცვის დრო ხუთია:

დილის ნამაზის დრო: არის დრო ცაზე სითეთრის დაწყებიდან მზის ამოსვლამდე.

შუადღის ნამაზის დრო: არის დრო როცა ჩრდილები დამოკლდება და გაზრდას დაიწყებს, იქედან დაწყებული ჩრდილების ორმაგად გაზრ-დამდე. პირველი იმამ ისუფისა და იმამი მუჰამ-მედის მიხედვით. მეორე იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მიედვით

იქინდი ნამაზის დრო: შუადღის დროის დამთავრებისას იწყება და მზის ჩასვლამდე გრძელ-დება.

1 – იმამ ებუ ისუფის და იმამ მუჰამმედის მი-ხედვით, ჩრდილის წარმომქმნის ტოლად როცა გაიზრდება მაშინ იწყება და მზის ჩასვლამდის გრძელდება.

2 – იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მიხედვით, ჩრდი-ლის ორ-

მაგად გაზდრიდან იწყება და მზის გაქრობამდის გრძელდება.

მაგრამ მზის გაყვითლების დაწყებისას ნამა-ზის ლოცვა არამია. ყელა ნამაზის ლოცვა ჰა-რამია ამიტომ იქინდის ნამაზის ლოცვა არ უნდა დავაგვიანოთ. თუ იქინდის ნამალოცი არაა მზის ჩასვლამდის ლოცვაა საჭირო.

საღამოს ნმაზის დრო: მზის ჩასვლიდან კარგად დაბ-ნელებამდეს გრძელდება. ე. ი. მზის სი-წითლის გაქრობამდე.

ღამის ნამაზის დრო: საღამოს ნამაზის მერე (მზის სი-წითლის გაქრობიდან) იწყება და დილის ნამაზის დროს დაწყებამდე გრძელდება. იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მიხედვით ცაში სითეთ-რის გაქრობისას იწყება. იქინდი ნამაზზეც ასე იყო. ორივე იმამის მიხედვით დროის მოსვლის შემდეგ სულ ცოტა ნახევარ საათსაც თუ მო-ვიცდით და ისე ვილოცავთ ორივე იმამის მიხე-დვით ნალოცი გვექნება.

ნამაზების დროის მოსვლამდე ლოცვა არ შეიძლება. (გაზეთ თურქეთის) მიერ მომზადე-ბული კალენდარი ნა-მაზის დროებს სწორად და ზუსტად გვაცნობებს.

სამ დროს ნამაზის ლოცვა მექრუჰია და არ შეიძლე-ბა. ესენია: მზის ამოსვლისას, ჩასვლისას და ზუსტად შუადღისას. ამ დროს არც თილავეთ სეჯდეს და არც მიცვალე-ბულის ნამაზის ლოცვა არ შეიძლება. მზის ჩასვლისას მხოლოდ იმ დღის იქინდი ნამაზის ლოცვა შეიძლება, მაგრამ ესეც მექრუჰია.

(განმარტება) პოლუსებზე ნამაზი

ყველა ქვეყნის ნამაზის დრო იმ ქვეყნის ეკვა-ტორი-დან დაშორებითა და წლის დროების მიხე-დვით იცვლება.

67 გრადუსზე ჩრდილოეთ პოლუსის, ჩრდი-ლოეთით მყოფ ცივ ქვეყნებში მზის დახრილო-ბის დიდ დროს, გან-თიადის დაკარგვამდის გან-თიადი იწყება. ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ნა-წილში ზაფხულში არ ღამდება, ღამისა და დი-ლის ნამაზების დრო არ იწყება.

ჰანეფი მეზებში დრო ნამაზის პირობა არა, მიზეზია. მიზეზი თუ არ არის ნამაზი ფარძი აღ-არ იქნება. აქედან გამოდინარე ასეთ ქვეყ-ნებში, მყოფ მუსლიანებზე ეს ორი ნამაზი (დი-ლის და ღამის) ფარძი არაა. სამხრეთით ყველგან ზღვის გამო ასეთი ქვეყნები არაა.

შაბანის ოცდამეათე ღამეს ერთ ქალაქში მთ-ვარის გამოჩენისას მთელ მსოფლიოში მარხვის დაწყება საჭიროა. (პოლუსებზე და მთვარეზე წამსვლელი მუს-ლიმანები, სეფერი თუ არ არის ამ თვეში მარხვის დაჭ-ერა საჭიროა. ოცდაოთხ საათზე უფრო დიდ დღეებში მარხვა საათით დაიწყება და საათით გაიტეხება. იქ სადაც ასე-თი დიდი დღეები არ არის ჩვეულებრივი დროე-ბის მიხედვით იქნება. თუ მარხვას ვერ დაიჭე-რს, მოკლე დღეებიან ადგილზე მოსვლისას აღადგენს).

ეზანი და ყამეთი

ეზანი ნამაზის ყველასათვის შეტყობინებას ნიშნავს. ხუთი დროის ნამაზის, პარასკევს ჯუმა ნამაზის ლოცვის წინ ეზნის კითხვა მამაკაცი-სთვის სუნნეთი მუქ-ქედა. ქალების ეზანისა და ყამეთის კითხვა მექრუჰია. ეზანი ხმამაღლა იკი-თხება, რათა სხვებმაც გაიგონონ. ეზანი და ყა-მეთი ყიბლეს პირდაპირ იკითხება. მისი კითხვ-ის დროს მისალმებაზე პასუხის გაცემა ან ლა-პარაკი არ შეიძლება.

როდის იკითხება ეზანი და ყამეთი?

1 – მინდორში ან სხვაგან, ღია ცის ქვეშ, გავ-ლილი ნამაზის მარტო ან ჯგუფურად ლოც-ვის წინ, მამაკაცე-ბისთვის ეზანის კითხვა სუნ-ნეთია. თუ რამდენიმე გავლილ ნამაზს ერთ ად-გილას ვლოცულობთ, მხოლოდ ერთ ეზანს ვი-კითხავთ, ყამეთს კი თითოეული ნა-მაზისთვის ცალკ-ცალ-კე ვიკითხავთ.

2 – სახლში მარტო ან ჯემაეთით მლოცველ-თა მიერ ეზნის და ყამეთის კითხვა საჭირო არ-აა, რადგან მეჩეთში ნაკითხი ეზანი სახლსაც მოიცავს. მაგრამ კითხ-ვა უკეთესია. მეჩეთებში, დროის ნამაზების ჯგუფურად ლოცვის შემდეგ, თუ სხვები იგივე ნამაზის სალოცავად შევლენ, ეზანს და ყამეთს აღარ იკითხავენ. გზაში არსე-ბულ მეჩეთში, სადაც იმამი არ არის და არც ჯემაეთია ერთი და იგივა, ერთი ნამაზისთვის, სხვადასხვა ჯემაეთი ეზანსაც და ყამეთსაც იკი-თხვს. ასეთ მესჯიდში მარ-ტო მლოცველის ხმა-დაბლა ეზანსაც და ყამმეთსაც იკ-ითხავს.

3 – სტუმრად მისულებს შეუძლიათ ეზნის კი-თხვა, როგორც ჯემაეთით, ასევე მარტოდ ლოც-ვის წინ. ასევე მგზავრსაც შეუძლია ეზნის კით-ხვა, რადგანაც, მეჩეთში წაკითხული ეზანი მი-სად არ ითვლება. თუ მგზავრე-ბიდან ერთ-ერთი ეზანს იკითხავს სახლში, მისი მომდე-

ვნონი ნა-მაზს ეზნის გარეშე ილოცავენ.

ჭკვიანი ბავშვის, ბრმის ეზნის კითხვა ნება-და-რთუ-ლია. მაგრამ ქალების, უაბდესოების, მთვ-რალების და გონებრივად არასრულფა-სოვნების და დამჯდარი ეზა-ნის კითხვა თაჰრიმენ მექრუჰია. მიკროფონით (ხმის გამაძრიელებელით) ნაკითხი ეზანი ნადვილი არ არის.

ვინც ეზანს რიდით, პატივისცემით, ასოებისა და სიტყვების ზუსტი გამოთქმით კითხულობს, სამოთხეში პატივითა და მაღალი წოდებებით დაჯილდოვდება.

მაგრამ თუ ეზანი სუნნეთის მიხედვით არ იკი-თხე-ბა, მაგალითად სიტყვები დამახინჯებუ-ლია ან ნათარგმ-ნია ან მიკროფონიდან ისმის ხმა (რადგან მიკროფონიდან გამოსული ხმა იმა-მის ხმა არ არის) ამათიდან გაგო-ნილის არ-ცერთის სიტყვა არ გაიმეორება.

განმარტება (ეზანი მიკროფონით იკითხება?)

მინარეებზე დამონტაჟებული ხმის გამაძრიე-ლებელი მოეზინისთვის სიზარმაცის საბაბი და ეზანის სუნნეთ-ზე არ მიყოლით კითხვის მიზეზი გახდა. საუკუნეები ეზანი სუნნეთის მიხედვით იკითხებოდა.

ფეიღამბერმა ბრძანა: **“ვინც ეზნის გაგო-ნებისთანავე თვითონაც დაბალ ხმაზე აჰყვება წამკითხველს, თითო ასოსათვის ათასი მადლი მიეწერება და ათასი ცოდვა წაეშლებაო.”**

ეზანის გამგონმა, ყურანი ქერიმსაც რომ კით-ხულობ-დეს, გაგონილის ხმადაბლა გამეორება სუნნეთია. (ჰა-იაღალესელა) ს გაგონებისას **(ლა ჰევლე ველა ყუვვეთე ილლა ბილლაჰ)** იტყ-ვის. ეზანის შემდეგ სელავათი ითქმება. შემდეგ ეზანის დუა იკითხება. მეორე **(ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ)** თქმისას, ორი ცერა თითის ფრჩხილების კოცნის შემდეგ, ორივე თვა-ლზე წასვება მუსთაჰაბია. ყამეთის დროსსე არ გაკეთდება.

როგორ იკითხება ეზანი?

ალლააჰუ ექბერ.....4-ჯერ
ეშჰედუ ენ ლააა ილაჰე ილლელლააჰ.....2-ჯერ
ეშჰედუ ენნე მუხამმედენ რესუულულლააჰ.....2-ჯერ
ხაიიე ღალეს-სალააჰ.....2-ჯერ
ხაიიე ღალელ-ფელაახ.....2-ჯერ
ალლააჰუ ექბერ.....2-ჯერ
ლაააა ილაჰე ილლელლააჰ.....1-ჯერ

დილის ეზანის კითხვისას ხაიიე ღალელფე-ლაახ-ის მერე ორჯერ **"ეს-სალაათუ ხაირუნ მინენ-ნევმ"** იკითხება.

ყამეთის დროს კი ხაიია ღალელ-ფელაახ-ის მერე ორჯერ **"ყად ყაამეთის-სალააჰ"** იკითხება.

ეზანის სიტყვათა მნიშვნელობები:

ალლაჰუ ექბერ: ალლაჰი დიდებულია. მას არ-აფერი არ სჭირდება. ხალხის ღვთისმსახურების გარეშეც დიდებულია და მისთვის რაიმე სარგებ-ლობა არ გააჩნია. ამ მშვენიერი აზრის კარგად დასამახსოვრებლად ალლაჰუ ექბერს ოთხჯერ ვიმეორებთ.

ეშჰედუ ენ ლა ილაჰე ილლელლააჰ: ალლაჰს, მიუხედავად იმისა რომ არავის ღვთისმსახურება არ სჭირდება, უნდა ვემსახუ-როთ, ვადიდოთ და უნდა ვაღიაროთ მხოლოდ ის ერთადერთი. ვაღიარებ რომ ალლაჰი არის უდიდებულეს და მას ვერავინ ვერ შეედრება.

ეშჰედუ ენნე მუხამმედენ რესუულულ-ლაჰ: ვირწმუნე და ვაღიარებ, რომ მუხამმედი არის რესული დიდებუ-ლი ალლაჰისა, რომ ალ-ლაჰი მისი სასუალებით გვაც-ნობებს ყოველივეს.

ხაიიე ღალეს-სალააჰ, ხაიიე ღალლელ-ფელაახ: ამ ორი წინადადებით მოუწოდებს მუს-ლიმანებს ნამაზის ლოცვისაკენ რაც მათ ბედნიერებისა და გადარჩენის საშუალებაა.

ლაა ილაჰე ილლელლაააჰ: ალლაჰის გარდა სხვა ღვთაება (ილაჰი) არ არსებობს. სიტყვები აგრძნობინებს მუს-ლიმანს თავის სიმწირეს დიდებული ალლაჰის მიმართ. ვერც ვინმე შეს-ძლებს შეასრულოს დიდებული ალლაჰის საკად-რისი ღვთისმსახურება და არც ვინმე არის ღირ-სი გარდა ალლაჰისა, მორჩილებისა და აღიარე-ბისა.

ნამაზის ლოცვის დროს შეტყობინებისათვის შერჩეული ამ სიტყვების მნიშვნელობა კარგად უნდა გავიაზროთ.

6 – ნიეთი
(გადაწყვეტილების მიღება)

ნამაზის სალოცავად დადგომის წინ, რომელ ნამაზსაც ვლოცულობთ იმ ნამაზის ნიეთი გუ-ლით უნდა გავი-აზროთ. ნიეთის გულით შეს-რულება ფარძია. მაგ. დილის ნამაზის ნიეთს ასე ვიტყვით: "ნიეთი ვქენით, ალლაჰის ხათრისთვის დღევანდელი დილის ნამაზის ფარძის (თუ სუნნეთს ვლოცულობთ, სუნნეთის სალოცავად." ნიეთის თქმის შემდეგ "ელლააჰუ ექბერ" ვამბო-ბთ და ვდგებით ნამაზის სალო-ცავად.

იმამმა ნიეთის წარმოთქმისას "ჩემი მიმყო-ლების გავხ-დი იმამი", თქმა აუცილებელი არ არის მაგრამ ჯემაეთით ნალოცი ნამაზის მადლს ვერ მოიგებს. თუ იტყვის მაშინ ამ მადლსაც მოიგე-ბს. იმამის ქალების იმამი გავხდი თქმა აუცილებელია.

(იბადეთისას) ღვთისმსახურებისას მხოლოდ ენით წარმოთქმულ ნიეთს ნიეთი არ ეთქმის, თუ გულით ჩაუთქვით და არ გაითავისეთ, ღვთისმ-სახურება ქმედ-ითად არ ითვლება

7 – იფთითახ თექბირი
(პირველი თექბირი)

ნიეთის თქმის შემდეგ ხელები ყურებთან ავი-ტანოთ და "ალლააჰუ ექბერ" ვიტყვით. "ალლა-აჰუ ექბერ" (ალლაჰი უდიდესია) თქმას თექბირი ეწოდება. იფთითახ თექბირი ნამაზის პირველი თექბირია და ამის თქმა ფარძია. ე.ი. ეს თექბირი რომ არ ვთქვათ ან სხვა სიტყვა ვთქვათ ნამაზი ქმედითად არ ჩაითვლება. ზოგიერთი ალიმების (სწავლულების) მიხედვით იფთითაჰ თექბირი ნა-მაზის ლოცვისას შესასრულებელი ფარძია. ამ-ათ მიხედვით შართებიც და რუქნებიც ექვს-ექვსია

ლოცვისას შესასრულებელი ფარძები

ნამაზის ლოცვილას შესასრულებელ ფარძებს **(რუქნ)** ეწოდება სულ ხუთია.

1 – ყიამ (ფეხზე დგომა)

ნამაზის ლოცვისას ფეხზე დგომას ნიშნავს. ავადმყოფ მჯდომარედ თუ დაჯდომა არ შეუძ-ლია მაშინ ზურგზე დაწოლილი ნამაზს ილო-ცავს სახე ყიბლისკენ უნდა ჰქონდეს ამიტომ თა-ვქვეშ რაღაცა დაიდება. ფეხები მოხრილი უნდა იყოს ყიბლეს მიმართ არ გაიშლება. ფეხზე დგ-ომისას ფეხებს შუა ოთხი თითის ტოლი ადგილი უნდა რჩებოდეს.

მჯდომარე ნამაზის ლოცვა შეუძლიათ მხოლ-ოდ მათ, ვისაც ფეხზე დგომა უჭირს, ვინც ავად არის და მრავალი ტკივილი აწუხებს, ვინც შარ-დს ვერ იკავებს, ვისაც მტრის თავდასხმის საფ-რთხე ემუქრება, ანდა ფეხზე დგომისას სასირც-ხვილო ადგილი გამოუჩნდება. მჯდომარე ნამა-ზის მლოცველი რუქუღის დროს ცოტათი დაიხ-რება. თუ სეჯდეს დროს მოხრა რუქუღზე უფრო

დიდი არ არის, ნამაზი ქმედითად არ ითვლება. სეჯდეს შესასრულებლად სკამის, ან სხვა რაღა-ცის დადება არ შეიძლება, მექრუჰია.

2 – ყირაათ
(ყურანის კითხვა)

ნამაზის ლოცვისას ფეხზე დგომისას, ყურანი ქერიმ-იდან რომელიმე ერთი აეთის კითხვა ფარ-ძია. მოკლე სურეს კითხვა უფრო მადლია.

სუნნეთი, ვითრის ყველა მუხლზე და ფარძე-ბის ორ მუხლზე ფათიჰას და ფათიჰას გარდა ერთი სურეს ან სამი აეთის კითხვა ვაჯიბია. ფა-რძებში პირველ ორ მუხლზე, ფათიჰას და ზამმი სურეს კითხვა ვაჯიბი ან სუნნეთია. ფათიჰა სურის წინ კითხვაც ვაჯიბია. ხუთი ვაჯიბიდან რომელიმე დავიწყებული თუ იქნა სევნი სე-ჯდეა გასაკეთებელი. ყირაათში ყურანი ქერიმის ნათა-რგმნიდან კითხვა არ შეიძლება.

იმამის მიერ ჯუმის და ბაირამ ნამაზის გარ-და ყველა ნამაზზე, პირველ მუხლზე ნაკითხი სურე, მეორე მუხლზე ნაკითხზე ორჯელ მეტის კითხვა სუნნეთია. მარ-ტო ლოცვისას ყველა მუხლზე ერ-თნაირად კითხვა შეი-ძლება. იმამის მიერ ერთიდაიგივე ნამაზში, ერთიდაიგივე მუხლზე ერთიდაიგივე სურეს კითხვა და ამის წესად შე-მოღება, მუქრუჰია. პირველ და მეორე მუხლზე ერთი-დაი-გივეს კითხვა თენზიჰენ მექრუჰია. მეორე მუ-ხლზე, პირველ მუხლზე ნაკითხ სურის მომდე-ვნო სურის გამო-ტოვება და მის შემდეგი სურის კითხვა მექრუჰია. ყუ-რანი ქერიმის რიგის მიყოლით კითხვა, ყო-ველთვის ვა-ჯიბია

4 – რუქული
(წელში მოხრა)

ნამაზის ლოცვისას ყიამისა და ყირაათის შესრულების შემდეგ რუქუღის შესრულება, წელში მოხრა ფარძია. თექბირს ვიტყვით და წელში მო-ვიხრებით. რუქუღის დროს მამაკაცები ხელის თითებს გაშლიან და მუხლებზე დაიწყობენ, ხო-ლო თავს და ზურგს გამართულად დაიჭერენ. ქალები კი ოდნავ მოიხრებიან, ხელებს, ფეხებს, გამართული არ დაიჭერენ. ქალები თითებსაც არ გაშლიან. რუქუღზე მინიმუმ სამჯერ **"სუბხანე რაბბიელ ღაზიიმ"** ვამბობთ. ერთჯერ თქმის ტოლი დროით წელში მოხრილად ყოფნა ფარძია.

წელში გამართვისას **"სემიღელლააჰუ ლი-მენ ხამიდჰ"** ვიტყვით. ასე თქმა სუნნეთია. წელში გამართულ მდგომარეობაში კი **"რაბბენა ლექელ ხამდ"** ვამბობთ. ჯემაეთით ლოცვის დროს იმამი "სემიღელლაჰუ ლიმენ ხამიდჰ", მიმყოლები კი "ღაბბენა ლექელ ხამდ" იტყვიან. მის შემდეგ კვ-ლავ თექბირს ვიტყვით და დავეშვებით ძირს, სე-ჯდის შესას-რულებლად.

5 – სეჯდე
(შუბლის ძირს დადება)

სეჯდეს დროს ხელის თითები ერთმანეთზე მიტყუპებულია, ყიბლეს პირდაპირაა, თავი ორი ხელის შუაა მოქცეული. ამ დროს თავის სუფთა ადგილას დადება ფარძია, ცხვირის დადება ვა-ჯიბი. თუ საპატიებელი მიზეზი არ არის მხო-ლოდ ცხვირის მიწაზე დადება ნებადართული არ არის. ხოლოდ შუბლის დადება მექრუჰია.

ორივე ფეხის ან ფეხის თითების მიწაზე და-დება ფარძი ან ვააჯიბია. თუ ასე არ მოხდა ნა-მაზი არ მიიღება და ქმედითად არ ჩაითვლება.

სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყიბ-ლეს მხარეს მიბრუნება სუნნეთია.

მამაკაცებს ხელები მუცლიდან ცალკე უჭირა-ვთ და მუხლები მიწაზე უწყვიათ, ეს სუნნეთია. ყიამის დროს ფეხები ოთხი თითის მანზილზეა დაშორებული, სეჯდეს დროს ქუსლები შეტყუ-პებულია, ეს სუნნეთია.

სეჯდეს შესრულებისას შარვალზე ზევით და-კიდე-ბა, მკლავებდაკაპიწებული, შარვლად აკე-ცილი ლოც-ვა, და მამაკაცების თავშიშველი ლ-ოცვა მექრუჰია. ამის არაფრად ჩაგდება ქუფუ-რია. ჭუჭყიანი ან სამუშაო ტანისამოსით ნამა-ზის ლოცვა მექრუჰია.

6 – ყაღდე-ი აახირე
(ბოლო დაჯდომა)

ნამაზის ბოლო მუხლის ლოცვის შემდეგ "ეთ-თეხი-ათუს" კითხვის ტოლი დროით დაჩოქი-ლი ჯდომა ფარძია. ჯდომისას ხელებს მუხლებზე დავიწყობთ, თითე-ბი გაშლილია. ხელის თითებით მინიშნება არ შეიძლე-ბა. მამაკაცები მარც-ხენა ფეხის თითებს, მარჯვნივ მი-ბრუნებულს ძი-რს დააწყობენ და ფეხზე ზე-მოდან ჯდე-ბიან. მარჯვენა ფეხი გამართულად უჭირავთ. თითები მიწას ეხება და ყიბლეს მი-მართაა მიქცეული. ასე ჯდო-მა სუნნეთია.

ქალები ძირს ჩვეულებრივად ჯდებიან. თეძო-ები ერთ-მანეთთან ახლოს უჭირავთ. მარჯვენა ფეხს მარჯვენა მხრიდან გარეთ გამოყოფენ, მა-რცხენა ფეხი მარჯვნივ მიმართული ფეხის თი-თებითურთ დაბლა დარჩება.

როგორ ილოცება ნამაზი?

მარტო მლოცველი მამაკაცის ნამაზის ლოცვა:

მაგალითად დილის ნამაზის სუნნეთი ასე ილო-ცება:

1 – ჯერ ყიბლეს მხარეს მიტრიალდება. ფეხები პარალელურად და ოთხი თითის მანძილზე მოშორებით გვიჭირავს. ნიეთს ვიტყვით: **“ნიეთი ვქენი ალლაჰის ხათრისთვის დღე-ვანდელი დილის ნამაზის სუნნეთის სალოცავად, დავდექ ყიბლისაკენ”** ხელებს მაღლა ავწევთ, ცერი თითებით ყურის ბიბილოს ვეხებით, ხელის გულები ყიბლეს მიმართ გაშლილი გვიჭირავს, **ალლაჰუ ექბერ** -ს ვიტყვით და მუცელზე (ჭიპის ქვეშ) ხელებს დავიწყობთ: მარჯვენა ხელი მარცხენას გარედან უნდა იყოს.

2 – თვალებს სეჯდეს ადგილს არ ვაცილებთ და ა) “სუბხანექქს” ვკითხულობთ. შემდეგ ბ) ელუზუ ბისმილას შემდეგ ფაათიხას, გ) შემდეგ ზემმისურეს ვკითხულობთ. ზამმისურეს კითხვის წინ ბისმილას აღარ ვამბობთ. (შაფი მეზებში იკითხება)

3 – ზამმისურეს კითხვის შემდეგ **ალლაჰუ ექბერ** ვიტყვით და რუქუღის შესასრულებლად წელში მოვიხრებით. რუქუღზე ხელებს მუხლის თავებზე ვიწყობთ, წელში მართი კუთხით ვართ მოხრილი, თვალებს ფეხის თითებიდან არ ვაცილებთ და არანაკლებ სამჯერ **“სუბხანე რაბბიელღაზიმ”** ვამბობთ. ამის თქმა 5-ჯერ ან 7-ჯერაც შეიძლება.

4 – შემდეგ **“სემი ღელლაჰუ ლიმენ ხამი-დეჰ”** ვამბობთ და წელში ვიმართებით. ზუსტად წელში გამართვის შემდეგ **“ღაბბენა ლექქელ ხამდ”** ვამბობთ. (ამ სწორ დგომას ყავმე ეწოდება).

5 – ფეხზე დიდხანს არ ვჩერდებით, **ალლაჰუ ექბერ** ვიტყვით და სეჯდეზე წავალთ. ამ დროს ჯერ მარჯვენა მუხლი შემდეგ მარცხენა, მერე მარჯვენა ხელი შემდეგ მარცხენა, მერე ცხვირი და შუბლი ძირს ეხება. ფეხის თითებს ვხრით ყიბლეს მიმართულებით. თავს

ორ ხელს შუა ვდებთ, ხელის თითები ერთმანეთზე შეტყუპებუ-ლია. ხელის გულებს მიწაზე ვაბჯენთ, ხოლო იდაყვებს არა. ასეთ მდგომარეობაში სულ ცოტა სამჯერ **"სუბხანე რააბბიელ აღლა"** ვიტყვით.

6 – ალლაჰუ ექბერს ვამბობთ და თავს მაღ-ლა ვწევთ. მარცხენა ფეხს მიწაზე გავშლით, თითები მარჯვენა ფეხისკენაა, მარჯვენა ფეხის თითები ყიბლეს მიმართულებით იხრება და მარ-ცხენა გაშლილ ფეხზე ვჯდებით, ხელებს მუხ-ლის თავებზე ვიწყობთ, ხოლო თითები თავისუ-ფალ ბუნებრივ მდგომარეობაშია.

7 – დიდხანს არ ვჩერდებით, თექბირს ვიტყ-ვით და ისევ ერთი სეჯდე მეორდება. (ორ სეჯ-დეს შორის სეჯდეს გაკეთებას ჯელსე ჰქვია).

8 – აქაც ისევ სულ ცოტა სამჯერ, **"სუბხანე რააბბიელ აღლა"** ვიტყვით. მერე თექბირს ვიტყვით და ფეხზე წამოვდგებით. წამოდგომისას ხე-ლებს არ დავეყრდნობით და სხეულს არ შე-ვათამაშებთ. სეჯდეჯან ადგომისას მიწას ვაშო-რებთ ჯერ შუბლსა და ცხვირს, მერე ხელებს და ბოლოს მუხლებს.

9 – ფეხზე ავდგებით ბისმილას ვიტყვით, ფა-ათიხას, მერე ზამმისურეს ვიკითხავთ, თექბირს ვიტყვით და წელში მოვიხრებით.

10 – ამის შემდეგ მეორე მუხლიც პირველი მუხლის მსგავსად სრულდება, მხოლოდ მეორე მუხლზე სეჯდეს შესრულების შემდეგ ფეხზე აღარ წამოვდგებით, მარცხენა ფეხზე დავჯდე-ბით და ვიკითხავთ შემდეგ ლოცვებს (დუებს): **ეთთეხიიათუ, ალლაჰუმე სალლი, ალლაა-ჰუმე ბაარიქ, ღაბბენა ათინა,** მის მერე მისალმებას ვასრულებთ ჯერ მარჯვნივ: **"ესსელლამუ ღალეიქუმ ვე რახმეთულ-ლააჰ"** და მეორე მარ-ცხნივ: **"ესელლამუ ღალეიკუმ ვე რახმეთულლააჰ"**.

ამის მერე წარმოვთქვამთ სიტყვებს: **“ალლაჰუ-მმე ენთესსელამ ვე მინქესსელამ თებარექთე იაა ზელჯე-ლაალი ველიქრაამ”**. და მაშინვე ფარძის სალოცავად წამოვდგებით. რაგდან სუნნეთსა და ფარძ შორის ლა-პარაკი ნამაზს არ შლის, მაგრამ მადლს აცოტავებს.

ნამაზის შემდეგ სამჯელ მთლიანი ესთაღფი-რულლაჰ იკითხება. მერე ვკითხულობთ: **“აიეთ-ელ ქურსს”** 33-ჯერ “სუბხაანელლაჰ”, 33-ჯერ “ელხემდულილლაჰ”, 33-ჯერ “ალლააჰუ ექბერ” ვამბობთ და ამის მერე **“ლა ილაჰე ილლალ-ლაჰ ვაჰდეჰუ ლა შერიქელეჰ, ლეჰულ-მულქუ ვე ლეჰულ ჰამდუ ვე ჰუვე ღალა ქულლი შეინ ყადირ”**. [ეს-ენი ხმადაბლა უნდა იკითხებოდეს, ხამაღლა კითხვა ბიდათია]. შემ-დეგ (დუას) ვიზამთ. დუის შესრულებისას მამა-კაცები ხელებს მკერდის სიმაღლეზე იკავებენ, იდაყვებს არ ხრიან, ხელისგულებს შლიან და ცას მი-აჰყრობენ, რად-განაც როგორც ნამაზის ყიბლე ქაბე არის, ისევე დუის ყიბლე ცაა. დუის დასრულების შემდეგ, ყველა ბისმილათი 11 იჰ-ლასი, 2 ყულ ეღუზუ და 67 **(ესთეღფირალ-ლაჰ)** კითხვა მუსთაჰაბია. ბოლოს ფაათიხას ვიკითხავთ და ხელებს სახეზე გადავისვამთ.

ოთხმუხლიანი ნამაზების ლოცვისას, მეორე მუხლის შემდეგ დავჯდებით, მხოლოდ “ეთთეხი-ათს” ვიკითხავთ და მესამე მუხლის სალოცავად წამოვდგებით. სუნნეთე-ბის მესამე და მეოთხე მუხლზეც ფათიჰას მერე ზამ-მისურე იკითხება. ფარძების მესამე და მეორე მუხლზე კი, ზამმი-სურე არ იკითხება, მხოლოდ ფათიჰა იკით-ხება. სამმუხლიან ფარძი ნამაზის ლოცვისას პირველ და მეო-რე მუხლზე თან ფაათიხა თან ზამმისურე იკითხება. ვი-თირ ნამაზის სამივე მუხლზე ფათი-ჰა და ზამმისურეც იკითხება. შემდეგ ხელახლა თექბირი ითქმება და ქუნუთის დუები იკითხება. ღაირი მუექქედ სუნნეთების, იქინდის და ღამის ნამაზის პირველი სუნნეთის,

ლოცვისას მეორე მუხლის შემდეგ ეთთეჰიათზე ჯდომისას ალლა-ჰუმე სალლი და ბარიქიც იკითხება.

ქალის ნამაზის ლოცვა:

მაგალითად დილის ნამაზის სუნნეთები ასე სრულდება.

1 – სხეული იფარება ისე, რომ თავიდან ფეხე-ბამდე სხეულის ფორმა არ ჩანდეს. ხოლოდ სა-ხე და ხელები რჩება დაუფარავი. ნამაზის ლო-ცვა ზემოდმოყვანილი მამაკაცის ნამაზთან ერთ-ად და იგივეა. განსხვავებები მხოლოდ შემდეგია:

ხელები მამაკაცების მსგავსად ყურებამდე არ ააქვთ. მხრებამდე აწევენ, თექბირს იტყვიან და ხელებს მკერდზე დაიწყობენ. რუქუღის დროს წელში ოდნავ მოიხრებიან. ჯდომის დროს თე-ძოების ზემოდან დაჯდებიან, ე. ი. მარ-ჯვენა და მარცხენა ფეხებ მარჯვნივ მიქცეულია და ისე ზიან. ნამაზზე ქალებისათვის დახურვის ყველა-ზე კარ-გი ფორმა, ხელებსაც რომ დაფარავს ის-ეთი თავსახური, და ფეხებსაც რომ დაფარავს ისეთი კაბა.

ნამაზის ვაჯიბები

ნამაზის ვაჯიბები ესენია:

1 – ფაათიხას სურეს კითხვა.

2 – ფაათიხას მერე ზამმისურეს კითხვა.

3 – ზამმისურეს წინ ფაათიხას კითხვა

4 – ფაათიხას შემდეგ ფარძების პირველ და მეორე მუხლებზე, ხოლო სუნნეთების ყველა მუხლებზე ზამ-მისურეს კითხვა

5 – სეჯდეების თანამიმდევრობით შესრულე-ბა.

6 – სამ და ოთხ მუხლიანი ნამაზების ლოც-ვისას მეორე მუხლის შემდეგ ჯდომა. ბოლო ჯდომა (ყაღდეი ახირე) ფარძია.

7 – მეორე მუხლის შემდეგ ჯდომისას ეთ-თეხიათუს კითხვის შემდეგ დროის გაყვანის გა-რეშე მესამე მუხლის სალოცავად წამოდგომა.

8 – სეჯდეს დროს შუბლთან ერთად ცხვირის ძირს დადება.

9 – ბოლო ჯდომისას ეთთეხიათ-ის კითხვა.

10 – ნამაზის ყველა მუხლების როგორც საჭი-როა ისე ლოცვა. მას "თაღდილი ერქანი" (მოძ-რაობების გამოკვეთილად შესრულება) ეწოდება.

11 – ნამაზის დასასრულს **"ესსელამუ ღა-ლეიქუმ ვე რახმეთულლაჰ"**-ის წარმოთქმა

12 – ვითირ ნამაზის მესამე მუხლზე, ფაათი-ხასა და ზემმისურეს შემდეგ ქუნუთ დუების კი-თხვა.

13 – ბაირამ ნამაზების დროს თექბირის თქმა.

14 – დილის, ბაირამის, ჯუმა, თერავის, ვი-თირ ნამაზებისა და სადამოს და ღამის ნამაზე-ბის ჯგუფურად ლოცვის დროს, პირველ და მეორე მუხლზე იმამის მხრი-დან მაღალ ხმაზე კითხვა. მარტო ლოცვისას ხმამახლაც და ხმა-დაბლაც შეიძლება.

15 – შუადღის და იქინდი ნამაზების ყველა მუხლზე, სადამოს ნამაზის მესამე, ღამის ნამა-ზის მესამე და მეოთხე მუხლებზე იმამის მხრი-დან უხმოდ კითხვა. ამ მუხლებზე მარტო მლოც-ველმაც უხმოდ უნდა იკითხოს.

ყურბან ბაირამის წინა დღის დილის ნამა-ზიდან მოყოლებული ბაირამის მეოთხე დღის იქი-ნდი ნამაზამდე ფარძი ნამაზების ლოცვის შემდეგ თექბირები უნდა ვიკითხოთ. ამ თექბი-რებს "თეშრიყ თექბირები" ეწოდება და კითხვა ვაჯიბია.

სეჰივ სეჯდე

ნამაზის მლოცველს შეგნებულად ან შეუგნე-ბლად რაიმე ფარძი, რომ გამორჩეს ის ნამაზი მოიშლება. მაგრამ თუ ვაჯიბის გაკეთება და-ავიწყდა ნამაზის ბოლოს სეჰვი სეჯდე უნდა შე-ასრულოს. სხვანაირად ნამაზი სრულად არ ჩა-ითვლება. ნამაზის ლოცვისას რომელიმე სუნნე-თის გამოტოვების შემთხვევაში ნამაზი არ მო-იშლება და სეჰვი სეჯდეს შესრულებაც საჭირო არაა. სეჰვი სეჯდე ნამაზის ფარძის დაგვიანების, ვაჯიბის დაგვიანების ან გამოტო-ვების გამო გაიკეთება.

თუ ერთ ნამაზზე რამოდენიმე შეცდომა დაუშ-ვით, ნამაზის ბოლოს სეჰვი სეჯდეს ერთხელ შესრულება საკმარისია. იმამის დაშვებული შე-ცდომის მერეც სეჰვი სე-

ჯდეს შესრულება საჭი-როა. იმამზე მიმყოლი თავისით თუ შეცდება არ გააკეთებს.

სეჰვი სეჯდეს გაკეთებისთვის, ნამაზის ბოლო ჯდომაზე ეთეხიათს ჩავიკითხავთ, მხოლოდ მარ-ჯვენა მხარეს მივესალმებით, მერე ორ სეჯდეს გავაკეთებთ, დავჯდებით და კვლავ ეთთეხიათს, **ელლაჰუმმესელლს, ელლაჰუმმებარიქს, რაბბენას** ჩავიკითხავთ, სელამს მივცემთ და ნამაზს დავასრულებთ. ერთ ან ორ მხარეს მი-სალმების გარეშეც სეჰვი სეჯდეს შესრულება შეიძლება.

შემთხვევები როცა სეჰვი სეჯდე უნდა შევასრულოთ:

წამოდგომა ადგილიდან, სადაც ჯდომა საჭი-რო იყო. ჯდომა ადგილზე, სადაც უნდა წამოვ-მდგარიყავით. ხმამაღლა კითხვის ნაცვლად უხმ-ოდ კითხვა. უხმოდ კითხვის ნაცვლად ხმით კი-თხვა. დუის ნაცვლად ყურანი ქერიმის კითხვა, ყურანი ქერიმის ნაცვლად დუის კითხვა. მაგა-ლითად ფაათიხას ნაცვლად ეთთეჰიათუს კითხვა ანდა პირიქით. ასეთ დროს ფაათიხა გამო-ტოვებულად ითვლება. ნამაზის დამთავრებამდე მისალმება, ფარძ ნამაზებში მესამე და მეოთხე მუხლებზე ფაათიხას მერე ზემმისურეს კითხვა, ხოლო პირველ ორ მუხლზე ფაათიხას მერე ზემმისურეს წაუკითხაობა, ბაირამ ნამაზებზე თექბირების მიტოვება, ვითირ ნამაზის ლოცვისას ქუნუთის დუების მიტოვება.

თილავეთ სეჯდე: ყურანი ქერიმში არის 14 აეთი. მათ წამკითხველმა ანდა მსმენელმა, მნი-შვნელობა რომც ვერ გაიგოს, საჭიროა სეჯდე შეასრულოს. ამ სეჯდეს "თილავეთ სეჯდე" ეწო-დება. ვინც წერს ამ აიეთებს, მის მიერ სეჯდეს შესრულება საჭირო არ არის.

მთებიდან, მინდვრებიდან, და სხვა ადგილები-დან ექოს მოტანის ხმაზე თილავეთ სეჯდეს გა-კეთება ვაჯიბი არ არის. ადამიანის ხმა უნდა იყოს. რადიოდან. მიკროფონიდან, გაგონილი ხმა ადამიანის ხმა არ არის, მკითხ-

ავის მსგავსი ხმაა ამაზე ზემოთ არის ნაცნობი. ამიტომ რადიოდან, მიკროფონიდან გაგონილზე სეჯდეს გაკეთება ვაჯიბი არ არის. თილავეთ სეჯდე აბდესიანმა უნდა შეასრულოთ. ნიეთს ვიტყვით, ყიბლეს პირდაპირ ფეხზე დავდგებით, ყურებთან ხელების მიუტანლად **"ალლაჰუ ექბერ"** წარმოვთქვამთ და სეჯდეს შევასრულებთ. შეჯდეზე სამჯერ **"სუბ-ხანე რაბბიელ აღლა"** წარმოვთქვამთ, მერე **"ალ-ლაჰუ ექბერ"**-ს წარმოვთქვამთ, ფეხზე წამოვ-დგებით და თილავეთ სეჯდეც დასრულდება. ნიეთის გარეშე არ შეიძლება.

თუ ნამაზის ლოცვისას ყირაათის დასაწყისში ან შუაში სეჯდე აეთებს ვიკითხავთ, მაშინვე ერთ რუქურს და სეჯდეს ვასრულებთ, ფეხზე ვდგებით და ლოცვას ვაგრძელებთ. თუ ამ აიე-თებს ყირაეთის დასასრულს ვიკითხავთ, განსა-კუთრებით სეჯდეს აღარ შევასრულებთ, რადგა-ნაც უკვე ნამაზის სეჯდე უნდა შევასრულოთ, რაც თილავეთ სეჯდეს ადგილსაც დაიჭერს. ჯემაეთით ლოცვის დროს, იმამი სეჯდეს აეთს თუ წაიკითხავს, მიმყოლმა რომაც ვერ გაიგო-ნოს, იმამთან ერთად სეჯდეს გააკეთებს. ჯემაე-თეთით რუქუღზე ნიეთი უნდა გააკეთოს. ნამა-ზის შემდეგაც გაიკეთება.

მადლობის (შუქურ) სეჯდე: თილავეთ სეჯდეს მსგავსია. რაიმე დარდსა და გა-საჭირს გადარჩენილმა და თავდაღწეულმა ადა-მიანმა, ანდა რაიმე სასიხარულო ამბის მიმღებმა საჭი-როა მადლობის ნიშნად ეს სეჯდე შეასრულოს. მადლობის სეჯდე თილაავეთ სეჯდეს მსგავსად სრულდება.

ნამაზზე თადილ ერქანს ვინ პატივისცემით არ შეასრულებს, ყველა არსება ზიანს ნახავს. მის ცოდვის მიზეზით, არ გაწვიმდება, ანდა უდროო დროს გაწვიმდება და ყველაფერს ზიანს მიაყენებს. ნაბრძანებია.

ნამაზის სუნნეთები

1 – ნამაზის დროს ხელების ყურებთან მიტა-ნა.

2 – ხელის გულების ყიბლესკენ მიპყრობა.

3 – თექბირის შესრულების მერე ხელების შე-კვრა.

4 – მარჯვენა ხელის მარცხენას გარედან დადება.

5 – მამაკაცისთვის ხელების მუცლის ქვემოთ დადე-ბა, ქალებისთვის ხელების მკერდზე დადე-ბა.

6 – იფთითახ თექბირის მერე **სუბხანექქს** კითხვა.

7 – იმამის და მარტოდ ნამაზის შემსრუ-ლებლებისთვის **ელუზუბილლა**-ს კითხვა.

8 – ბისმილის კითხვა.

9 – რუქუღზე სამჯერ **“სუბხანე რაბბიელ ღაზიმ”**-ის წარმოთქმა.

10 – სეჯდეზე სამჯერ **“სუბხანე რაბბიელ აღლა”**-ს წარმოთქმა.

11 – ბოლო ჯდომისას ალლაჰუმმე სალლისა და ალ-ლაჰუმმე ბაარიქ-ის კითხვა.

12 – მისალმების დროს ორივე მხარეზე შეხედვა.

13 – პირველ მუხლზე მეორე მუხლთან შედა-რებით უფრო გრძელი ზამისურეს კითხვა.

14 – რუქუღიდან წამოდგომისას იმამისა და მარტოდ ნამაზის მლოცველების მიერ **“სემი ღა-ლლაჰუ ლიმენ ხამიდეჰ”**-ის წარმოთქმა.

15 – რუქუღიდან წამოდგომის შემდეგ **“ღაბ-ბენა ლექქელ ხამდ”**-ის წარმოთქმა.

16 – სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყი-ბლეს მხარეს მიქცევა.

17 – რუქუღისა და სეჯდეების შესრულებისას თექბირის წარმოთქმა.

18 – ხელების და მუხლების ძირს დადება.

19 – ფეხები ყიამის დროს ერთმანეთისგან ოთხი თითის დაშორებაზე, ხოლო სეჯდეს დრ-ოს შეტყუპებუ-ლი უნდა იყოს.

20 – ფაათიხას მერე **"ამინ"**-ის წარმოთქმა, რუქუღზე ადრე თექბირის შესრულება, რუქუღის დროს ხელის თითების გაშლა და მუხლისთავე-ბზე დაწყობა, სეჯდეს დროს თექბირის შესრუ-ლება, ჯდომისას მარცხენა ფეხ-ის დაბლა გა-შლა, მარჯვენა ფეხის სწორად დაჭერა და ასე ჯდომა, ორ სეჯდეს შუა ჯდომა.

სადამოს ნამაზის დროს მოკლე სურეები იკი-თხება ღამისა და დილის ნამაზის დროს კი გრ-ძელი სურეე-ბი. იმამზე მიმყოლი ფათიხას და ზემისურეს არ იკითხ-ავს. სუბჰანეს იკითხავს. თქბირებს იტყვის, სალავათებს იკითხავს. შუბ-ხანე რაბბიელ ღაზიიმ" თქმის ტოლი დროით წელში მოხრილი გაჩერება.

ნამაზის მუსთეჰაბები

1 – ნამაზის ლოცვისას სეჯდეს ადგილზე ცქ-ერა.

2 – რუქუღის შესრულების დროს ფეხებზე ყურება.

3 – სეჯდეს დროს ცხვირის წვერზე ყურება.

4 – ეთთეჰიათზე ჯდომისას მუხლისთავებზე ყურე-ბა.

5 – ფათიჰის მერე დილის და შუადღის ნამა-ზე-ბზე გრძელი, საღამოს ნამაზებზე მოკლე ზამმისურეს კითხ-ვა.

6 – იმამზე მიმყოლების თექბირის ჩუმად თქ-მა.

7 – რუქუღზე თითების გაშლა და მუხლებზე დაწყო-ბა.

8 – რუქუღის დროს თავისა და კისრის გა-მართული დაჭერა.

9 – სეჯდეს გაკეთებისას ჯერ მარჯვენა, შემ-დეგ მარცხენა მუხლის ძირს დადება.

10 – სეჯდეს დროს თავის ორ ხელს შუა და-დება.

11 – სეჯდეს შესრულებისას, ჯერ ცხვირის, შემდეგ შუბლის დადება.

12 – ნამაზზე ყოფნისას, დამთქნარების შემ-თხვევაში პირის ხელის ზურგით დაფარვა.

13 – სეჯდეს დროს, მამაკაცების ინდაყვების ზემოთ დაჭერა, ქალების მთლიანი მკლავის ძირს შეხება.

14 – სეჯდეს დროს მამაკაცების ხელების და ფეხების მუცლისგან მოშორებით დაჭერა.

15 – რუქუღსა და სეჯდეზე სამჯერ თესბიჰის თქმის დროით გაჩერება.

16 – სეჯდეს დროს თავის წამოწევის შემდეგ, ხელების აწევა

17 – ხელების წამოწევის შემდეგ, მუხლების წამოწევა.

18 – ჯდომის დროს ხელების თეძოებზე და-ლაგება, თითების ყიბლეს მიმართ სწორედ და-ჭერა, არც მოხრა და არც თამაში.

19 – მარჯვნივ და მარცხნივ მისალმების დრ-ოს თავის მიბრუნება და მობრუნება.

20 – მისალმებისას მხრისთავებზე ყურება.

ნამაზის მექრუჰები

1 – ტანსაცმლის ჩაცმის მაგივრად, წამოხურ-ვა და ისე ლოცვა.

2 – სეჯდეს შესრულების ქვედაბოლოს და შარვლის ტოტების აკეცვა.

3 – შარვლის, ქვედაბოლოსა და მკლავების დაკაპი-

წება და ისე ნამაზის შესრულება.

4 – უსარგებლო და ფუჭი მოქმედებების შეს-რულება.

5 – სამუშაო ანდა უფროსების გვერდით ჩა-საცმელად უხერხული ტანსაცმლით ლოცვა.

6 – პირში კითხვის დამაბრკოლებელი რაიმის ჩადება (ამ დროს ნამაზი ირღვევა).

7 – თავდაუხურავად ნამაზის ლოცვა.

8 – ტვალეტში გასვლის საჭიროების შემთხ-ვევაში აბდესი არ მოიშალოსო არ გასვლა და ისე შეწუხებული აბდესით ლოცვა.

9 – ნამაზის დორს სეჯდეს ადგილიდან ქვის ან მიწის ხელით მოცილება.

10 – ნამაზის დროს თითების გატკაცუნება.

11 – ნამაზის დროს ხელის მუცელზე გვერდი-დან დადება.

12 – თავის მარჯვნივ მარცხნივ მიტრიალება, იქ მყოფთა დათვალიერება. (მკერდის მიმართუ-ლების შეცვლის შემთხვევაში ნამაზი ირღვევა).

13 – ჯდომისას მარცხენა ფეხზე არ ჯდომა.

14 – სეჯდეს დროს მამაკაცის მკლავების ძი-რს დადება.

15 – ადამიანების სახის პირდაპირ და ხმამაღ-ლა მოლაპარაკეთა პირდაპირ ნამაზის ლოცვა.

16 – ვინმეს მისალმებაზე ხელის ან თავის და-ქნევით პასუხის გაქცემა.

17 – ნამაზის ლოცვისას დამთქნარება. (დამ-თქნარება ყოველთვის მექრუჰია).

18 – ნამაზის ლოცვისას თვალების დახუჭვა.

19 – იმამის მიჰრაბის გარეთ დგომა

20 – მიმყოლებისაგან განცალკევებით იმამის ნახევარ მეტრზე მეტ სიმაღლეზე დგომა.

21 – მიმყოლებისაგან განცალკევებით იმამზე ძალიან დაბლა დგომა.

22 – წინა რიგებში, ადგილების შემთხვევაში, უკანა რიგებში განცალკევებით დგომა.

23 – რაიმე ცოცხალი არსების გამოსახულე-ბის მქონე ტანსაცმლის ჩაცმა.

24 – კედელზე ან რაიმე თვალსაჩინო ადგი-ლზე სურათის ჩამოკიდება და ნამაზის ლოცვა.

25 – ცეცხლის პირდაპირ ნამაზის ლოცვა.

26 – ნამაზის დროს აეთების ხელით გადათ-ვლა.

27 – თავიდან ფეხებამდე ერთი ფეშტემლის ჩაცმა და ნამაზის ლოცვა.

28 – თავის შუა ადგილის დაუფარავად ნამა-ზის ლოცვა.

29 – პირისა და ცხვირის წმენდა.

30 – საპატიებელი საბაბის გარეშე პირიდან ნახველის ამოღება.

31 – ხელების მოძრაობა და შეთამაშება.

32 – ნამაზის რომელიმე სუნნეთის მიტოვება.

33 – აუცილებლობის გარეშე ნამაზის დაწყე-ბა, მაგ. როდესაც კალთაში ბავშვი გიზით.

34 – გულის მისავალი რამეების, მაგ. მორ-თულ მოკაზმული ნივთების, მუსიკა გართობის, ანდა გემრიელი საჭმლის გვერდით ნამაზის ლოცვა.

35 – ფარძების შესრულების დროს აუცი-ლებლობის გარეშე კედელზე ან რაიმე საყ-რდენზე მიყრდნობა.

36 – რუქულის შესრულებისას და წამოდგომი-სას ხელების ყურებთან მიტანა.

37 – რუქულზე მოხრის დროს ზამმისურის კი-თხვის დასრულება.

38 – სეჯდესა და რუქულის შესრულებისას იმამზე ადრე თავის დადება და წამოწევა.

39 – ნამაზის ლოცვა იმ ადგილებზე, სადაც სიბ-ინძურის არსებობის შესაძლებლობაა.

40 – სასაფლაოს პირდაპირ ნამაზის ლოცვა.

41 – ეთთეხიათის კითხვისას სუნნეთის შე-უს-აბამოდ დაჯდომა.

42 – პირველთან შედარებით მეორე რუქულზე უფრო გრძელი აიეთების კითხვა.

ნამაზის გარეთ მექრუჰი ქცევები

1 – ტუალეტში და ყველგან ყიბლეს პირ-დაპირ აბ-დესის მოშლა.

2 – მთვარისა და მზის პირდაპირ აბდესის მო-შლა.

3 – პატარა ბავშვების ყიბლეს პირდაპირ და-ყენება და მოშარდვინება. ეს საქციელი ბავშვის ხელში დამჭ-ერ უფროსს ცოდვა ედება. რადგან მისი გამკეთებელი უფროსია.

4 – ყიბლეს პირდაპირ აუცილებლობის გარე-შე ფეხე-ბის ან ერთი ფეხის გაშლა.

5 – ყურანი ქერიმისა და რელიგიური წიგნე-ბის მხარეს ფეხების გაშლა. თუ წიგნები მაღალ ადგილზე დევს, მაშინ მექრუჰი არ არის.

ნამაზის მომშლელი ფაქტორები

1 – აუცილებლობის გარეშე დახველება ან ყელის გაწმენდა დახველებით.

2 – ცხვირის დაცემინების დროს “ელხემდუ-ლლილ-ლაჰ” თქმა.

3 – ნამაზის მარტოდ მლოცველი გვერდით ჯგუფუ-რად მლოცველების იმამს თუ რაიმეს შე-უსწორებს, მისი ნამაზი მოიშლება, თუ იმამიც მიიღებს ამ შესწორებას მაშინ იმამის ნამაზიც მოიშლება.

4 – ნამაზის დროს “ლა ილააჰე ილლელლაჰ” თქმისას თუ მლოცველის მიზანი ამ სიტყვებზე პასუხის მიღებაა, მისი ნამაზი ირღვევა. თუ მი-ზანი მხოლოდ სხვებისთვის შეტყობინებაა არ დაირღვევა.

5 – სასირცხვილო, (აკრძალული) ადგილის გამოჩე-ნა.

6 – ტკივილის ან სხვა მისი მსგავსი მიზეზის გამო ტირილი. თუ ტირილის მიზეზი რაიმე ლო-ცვაა (დუაა), მაშინ ნამაზი არ დაირღვევა.

7 – სიტყვებით ან ხელით ვინმეზე მისალმება.

8 – გავლილი ნამაზები თუ ხუთზე მეტი არ არის და ნამაზის დროს გაგახსენდება.

9 – ნამაზის დროს ისეთი მოძრაობების შეს-რულე-ბა, რომლებიც სხვას ნამაზისთვის საჭი-როს არადა, სხვა მოძრაობას აფიქრებინებს.

10 - ნამაზის დროს რაიმეს ჭამა ან დალევა.

11 – ნამაზის დროს ლაპარაკი.

12 – იმამის გარდა სხვა ვინმეს გასწორება.

13 – ნამაზის დროს ხმამაღალი სიცილი.

14 – ნამაზის დროს ოხვრა და კვნესა.

ნამაზის მოშლა შესაძლებელია (მუბაჰია) შემდეგ შემთხვევებში:

1 – გველის მოსაკლავად (თუ საფრთხეს გვი-ქმნის).

2 – გაქცეული ცხოველის დასაჭერად.

3 – ფარის მგლისაგან გადასარჩენად.

4 – გადმოსული ქვაბის ჩასაქრობად.

5 – დროის საკმარისობის შემთხვევაში ნამა-ზის დამრღვევი. რამისგან გადასარჩენად დარ-ღვევა. მაგ. პატარა სიბინძურის გასასუფთავებ-ლად აბდესის აღება, ანდა უცნობი ქალისათვის ხელის შეხების გახსენება და ამისათვის აბდე-სის აღება.

6 – აბდესის ან ბუნებრივი აუცილებლობის (ტუალეტის) შემთხვევებშიც ნამაზის დარღვევა ნებადართულია.

შემთხვევები, რომლის დროსაც ნამაზის მოშლა ფარძია:

1 – რათა გადავარჩინოთ ჭაში ჩავარდნილი ვინმე, დაწვის საფრთხისას პირდაპირ მდგარ ვი-ნმე, დახრჩობის პირას მისული ვინმე ანდა "მი-შველეთო" მოყვირალი. ვინმე.

2 – დედის, მამის, ბებიისა და ბაბუის დაძახე-ბის შემთხვევაში ფარძი ნამაზის დარღვევა ვა-ჯიბი არ არის, ნება დართულია მაგრამ, თუ აუ-ცილებლობა არ არის, არ უნდა მოვშალოთ. ნა-ფილე ნამაზებისა და სუნნეთე-ბის მოშლა შეიძ-ლება. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს თქვე-ნი დახმარება და შველა სჭირდებათ, ფარძი ნა-მაზის ლოცვაც უნდა შეწყვიტოთ და დავეხმა-როთ.

ჯემაეთით, ჯგუფურად (მრევლი) ნამა-ზის ლოცვა

თუ მინიმუმ ორი კაციდან ერთი იმამია ეს უკვე ჯემაეთით ნამაზია. მამაკაცებისათვის ფარ-ძი ნამაზის ჯემაეთით ლოცვა სუნნეთია. ჯუმა და ბაირამ ნამაზების ჯემაეთით ლოცვა კი ფა-რძია. ჰადისებში სწერია:

“ჯემაეთით ნალოცი ნამაზის მადლი მარტოდ ნალოც ნამაზზე 27-ჯერ უფრო მეტი მადლიანია”.

“სრულყოფილი აბდესის აღების შემდეგ მეჩეთში ჯემაეთით ნამაზის სალოცავად წამსვლ-ელს ალლაჰი ყოველი ნაბიჯისათ-ვის თითო მად-ლს დაუწერს, თითო ცოდ-ვას წაუშლის და სამოთხეშიც მის წოდე-ბას აამაღლებს”.

ჯემაეთით ნამაზი მუსლიმანებს შორის ერთი-ანობას უზრუნველყოფს, სიყვარულსა და პატი-ვისცემას ზრდის. ჯგუფი ერთად იკრიფება და ერთმანეთის დარდსა და სატკივარს იზიარებს. ეს ჯგუფები არის ყველაზე ნათელი მაგალითი მუსლიმანების ერთ სისხლად და ერთ სხეულად, ერთ მუშტად შეკვრისა და გაერთიანებისა. ვად-მყოფების, ხეიბრების და დასუსტებულების ჯგუფთან ერთად ნამაზის შესრულება სავალდებულო არ არის.

ჯემაეთით ნამაზის დროს ადამიანს, რომელსა-ც მიჰყვება და ჰბაძავს ჯგუფი **იმამი** ეწოდება. ჯემაეთით ყოფნასაც და იმამობასაც პირობები აქვს.

იმამობისათვის საჭირო პირობები:

იმამობისათვის ექვსი პირობაა საჭირო. აქედან ერთიც რომ აკლდეს იმ იმამის ნამაზი ქმედი-თად არ ითვლება.

1 – მუსლიმანობა. იმამი მუსლიმანი უნდა იყ-ოს. ებუ

ბექრის და ომერ – ულ ფარუქის (რა-დი-ელლაჰუანჰუ-მა) ჰალიფობის არ დამჯერებე-ლი, მირაჯის და საფლავის ტანჯვის არ დამჯერე-ბელი იმამი ვერ იქნე-ბა.

2 – სექსობრივად მოწიფულობა.

3 – ჭკვიანი უნდა იყოს. მთვრალი და გიჟი იმ-ამი ვერ გახდება.

4 – მამაკაცი უნდა იყოს. ქალი მამაკაცების იმამი ვერ გახდება.

5 – მინიმუმ ფაათიხასა და ერთი აიეთის სწო-რად წაკითხვის უნარი. ერთი აიეთის დამზეპირ-ებელი თუ იმ აიეთს სწორად ვერ წარმოთქვამს ყოვნდება ან იბნევა ის იმამი ვერ გახდება.

6 – რაიმე ხეიბრობის უქონლობა. ხეიბარი ჯა-ნმ-რთელების იმამი ვერ გახდება.

საერთო თვალსაზრისით, იმამმა საჭიროა სწორად და გამართულად წაიკითხოს ყურანი ქერიმი. ლამაზი ყუ-რანი, სწორად წაკითხული ყურანია. ნამაზის პირობე-ბის მიმართ უპა-ტივცემულო ადამიანის უკან ნამაზი არ ილოცე-ბა. **(ღვთისმოშიშ და ბიწიერების უკან ნა-მაზი ილოცეთ)** ეს ჰადისი ჯუმის მლოცველ მართველებზეა და არა ჯამის იმამებზე

იმამობისათვის ყველაზე შესაფერისი ადამია-ნი რე-ლიგიური კანონები,სა და წესების ყველა-ზე კარგად მცოდნეა. მათ შორისაც ყურანი ქერიმის ყველაზე უკეთე-სად წამკითხავი აირჩევა. თუ აქ-აც თანასწორობა, თაქ-ვა (ღვთისმოშიშობა) მეტი ვისაც აქვს ის იქნება ესეც თუ თანასწორი იქ-ნება, ასაკობრივად უფროსს უპირატე-სობა მიენ-იჭება.

მონის, ბედუინის, ბრმის, მრუშობიდან ნაყო-ლი შვილის, იმამობა მექრუჰია. იმამმა მლოც-ველთა მომაბეზრებლად ნამაზი დიდხანს არ უნდა გააჭიანუროს.

მარტო ქალების ჯემაეთით ლოცვა მექრუჰია. თუ ნამაზს იმამი და ერთი კაცი ლოცულობენ, მლოცველი იმამის ცოტა უკან დადგეს. თუ მლ-ოცველები ორი ან ორზე მეტი არიან იმამი მათ წინ გავა. კაცების ბავშვებზე და ქალებზე მიყო-ლა არ შეიძლება.

იმამის უკან მამაკაცები რიგში დგებიან, მათ უკან ბავშვები და მათ უკან ქალები.

თუ ერთ რიგში ქალები და მამაკაცები არეუ-ლი არიან, მამაკაცების ნამაზი მოიშლება. დამ-ჯდარი, ფეხზე მდგომის, მგზავრი ადგილობრი-ვის, ფარძის მლოცველი ნაფილეს მლოცველის იმამი რომ გახდეს, შეიძლება. ნაფილეს მლოც-ველი ფარძის მლოცველის იმამი ვერ გახდება. ნამაზის დასრულების შემდეგ თუ ვინმე შეიტყობს, რომ იმამი უაბდესო იყო, ნამაზი ხელა-ხლად უნდა ილოცოს.

რეღაიბის, ყადირის და ბერათის ნამაზების ჯემაეთით ლოცვა მექრუჰია.

ვინც იმამს რუქუღზე მიუსწრებს და მიჰყვება, ის მუხლი ჩაითვლება, რუქუღის შემდეგ თუ მი-უსწრობს და მიჰყვება ის მუხლი აღარ ჩაეთვ-ლება.

იმამზე ადრე რუქუღზე წასვლა, სეჯდეზე წას-ვლა და სეჯდედან თავის აწევა თაჰრიმენ მექ-რუჰია. ფარძი ნამაზების შემდეგ ადგილის შეც-ვლა მუსთაჰაბია.

თუ მუსლიმანი დღის ყველა ხუთ ნამაზს ჯე-მაეთთან ერთად ილოცავს ისეთ მადლს მოიგე-ბს, თითქოს ნამაზი ფეიღამბერთან ერთად შეეს-რულებინოს.

ჯემაეთით ნამაზს ძალიან ბევრი სარგებლო-ბე-ბი გააჩნია, ამიტომ უმიზეზოდ არ უნდა მივატოვოდ. ხუთივე ნამაზის ჯემაეთთან ერთად ლოცვას უნდა ვცდილობდეთ. წარღვნის დღეს დიდებულმა ალლაჰმა მიწის შვიდი ქვესკნელი და ცის შვიდი წყება და ყველა ცოცხალი არსე-ბები სასწორის ერთ მხარეს რომ და-

დოს და მეორე მხარეს კი ჯემაეთით შესრულებული ნა-მაზების მადლი დადოს, ამ ნამაზების მადლი უფრო დიდი იქნება და სასწორს გადასწონის.

იმამზე მიყოლისათვის ათი პირობაა საჭიროა:

1 – იფთითახ თექბირის აღებამდე იმამზე მი-ყოლისათვის ნიეთი გულში უნდა გაივლოთ სი-ტყვები **“მივყვები მზად მყოფ იმამს”**.

2 – საჭიროა იმამმა ქალებისათვის ცალკე ნი-ეთი თქ-ვას თუ მიმყოლებს შორის ქალებიც არი-ან. მამაკაცე-ბისათვის ცალკე ნიეთის გაკე-თება საჭირო არ არის. მარგამ იმამი ჯემაეთის მად-ლს ვერ მოიგებს.

3 – მიმყოლები იმამზე უკან უნდა იყვნენ, არა ნაკლებ მიმყოლების ქუსლები იმამის ქუს-ლების უკან უნდა იყოს.

4 – იმამმა და მიმყოლებმა ერთი და იგივე ნა-მაზი უნდა ილოცონ.

5 – იმამსა და მიმყოლებს შორის ქალების რიგი არ უნდა იყოს.

6 – იმამსა და მიმყოლებს შორის მანქანის გა-სავლელი გზა ან ნავის გასაცური მდინარე არ უნდა იყოს.

7 – იმამი ან ჯგუფის რომელიმე წევრი არ უნდა იმყ-ოფებოდეს ისეთ ადგილზე, საიდანაც იმამს ვერ ხედავს და მისი ხმა არ ესმის.

8 – იმამი რაიმე შესაჯდომი ცხოველის ზუ-რგზე, მიმყოლები მიწაზე ანდა პირიქით მდგო-მარეობაში არ უნდა იყოს.

9 – იმამი და ჯემაეთი ორ ერთანეთზე გა-დაუმბელ გემებზე არ უნდა იმყოფებოდენ.

10 – სხვა მეზების იმამზე მიმყოლი ჯემაეთის ნამაზის ქმედითად ჩათვლისთვის ორი რივაეთი (გადმოცემა, ვერ-სია) არსებობს. პირველი ვერ-სიის მიხედვით, მიმყოლ-მა თავის მეზებში აბ-დესს თუ ტეხავს ის იმამს აქვს მიმყოლმა ეს არ უნდა იცოდეს. მეორე, თავის მეზების მიხედვით არანაირი ნაკლი თუ არ აქვს, ასეთ იმამს სხვა მეზების წარმომადგელნებიც მიყვებიან. ამ ვერ-სიის მიხედვით გადაკრული და დაპლომბილი კბილის მქონე იმამზე მიიყოლება.

ჯემაეთი თუ ერთ კაციანია, ის კაცი იმამის მარ-ჯვნივ დადგება. მარცხნივ დადგომა მექრუ-ჰია, უკან დადგომაც მექრუჰია. ფეხის ქუსლი იმამის ქუსლის უკან უნდა იყოს, რათა ნამაზი ქმედითად ჩაითვალოს. თუ ჯემაეთი ორი ან ორ კაცზე მეტია ისინი იმამის უკან დადგებიან.

იმამთან შესრულებული ნამაზი ცალკე შეს-რუ-ლებულ ნამაზის მსგავსია, მაგრამ იმამმა რომც ხმამაღ-ლა წაიკითხოს რაიმე მიმყოლები ხმამა-ღლა არ წაიკ-ითხავენ. როდესაც იმამი ფაა-თიხას ხმამაღლა კითხ-ვას დაამთავრებს მიმყო-ლები ხმ-ადაბლა აამინს იტყ-ვიან. რუქუღიდან წამოდგომისას იმამი იტყვის: **“სემი ღალლაჰუ ლიმენ ხამიდეჰ”** მიმყოლი იტყვის: “რაბბენა ლექელ ხამდ”. შემდეგ ალლაჰუ ექბერს წარ-მოთქვამენ და მიმყოლები იმამთან ერთად სეჯდეს შეასრულებენ. რუქუღის, სეჯდეების და ჯდომის დრ-ოს მიმყოლებს ცალკე შესრულებული ნამაზების მსგავსად კითხვა შეუ-ძლიათ.

რამაზნის თვეში ვითირ ნამაზი ჯემაეთის ერთად უნდა ვილოცოდ სხვა დროს ცალკე ვი-ლო-ცავთ.

იმამზე მიმყოლები ოთხი ჯგუფისაა. ესენია. **მუდრიქი, მუქთედი, მესბუქი, ლაჰიქ**.

მუდრიქი, იფთითაჰ თექბირი იმამის ერთად ამ-ღებს ჰქვია.

მუქთედი, იფთითაჰ თექბირზე ვერ მიმსწრებს ჰქვია.

მესბუქი, პირველ მუხლზე ვერ მიმსწრებს ჰქ-ვია

ლაჰიქ, იფთითაჰ თექბირი იმამის ერთად აღებულს და შემდედ აბდესის მოშლის გამო აბსესის აღების შემდეგ ისევ იმამზე მიმყოლს ჰქვია. ეს როგოც ადრე ჩვეულე-ბრივად იმამს მიყვება. ასევე ამქვეყიური რამე არ უნდა დაი-ლაპარაკოს. მაგრამ აბდესის ასაღებად ჯამის ახ-ლოს უნდა აიღოს, თუ შორსაა ნამაზიც მო-იშლება.

მესბუქი, ანუ პირველ მუხლზე ვერ მიმსწრე-ბი, იმამის ორივე მხარეს სელამის მიცემის შემ-დეგ, წამოდგება და გამოტოვებულ მუხლებს ილოცა-ვს.

ამ ხუთ რამეს თუ იმამი არ აკეთებს მიმყოლებიც არ გააკეთებენ:

1 – თუ იმამი ქუნუთ დუებს არ წაიკითხავს ჯემაეთ-იც არ წაიკითხავს.

2 – თუ იმამი ბაირამის ნამაზებზე თექბირებს არ შეასრულებს ჯემაეთიც არ შეასრულებს.

3 – თუ იმამი ოთხმუხლიანი ნამაზის დროს მეორე მუხლზე არ დაჯდება, ჯემაეთიც არ დაჯ-დება.

4 – თუ იმამი სეჯდეს აიეთს წაიკითხავს და თილავეთ სეჯდეს არ შეასრულებს ჯემაეთიც არ შეასრულებს.

5 – თუ იმამი სჰივ სეჯდეს არ შეასრულებს ჯემაეთ-იც არ შეასრულებს.

ამ ოთხ რამეს თუ იმამი გააკეთებს ჯგუფი არ გააკეთებს:

1 – თუ იმამი ორზე უფრო მეტ სეჯდეს შეასრულებს, ჯგუფი არ შეასრულებს.

2 – თუ იმამი პირველ მუხლზე ბაირამის თქ-ბირს სამზე მეტს შეასრულებს ჯგუფი არ შეა-სრულებს.

3 – თუ იმამი მიცვალებულის ნამაზის დროს ოთხზე მეტ თექბირს შეასრულებს, ჯგუფი არ შეასრულებს.

4 - თუ იმამი მეხუთე მუხლზე ადგება ჯგუფი არ ადგება, იმამს დაელოდება და ნამაზის დას-რულებისათვის სელამს ერთად მიცემენ.

ამ ათ რამეს იმამი თუ არ გააკეთებს, ჯემაეთი გააკეთებს:

1 – იფთითახ თექბირის დროს ხელების მაღ-ლა აწ-ევა.

2 – სუბხანეს კითხვა.

3 – რუქუღზე წასვლისას თექბირის თქმა

4 – რუქუღზე “სუბხანე რაბბიელ ღაზიმ”-ის კითხვა.

5 – სეჯდეს დროს თავის ძირს დადებისას და აწე-ვისას თექბირის წარმოთქმა.

6 – სეჯდეს დროს “სუბხანე რაბბიელ აღლა” კითხ-ვა.

7 – “სემიღელლაჰუ ლიმენ ხამიდჰ”-ის თქმის გარეშე “რაბბენა ლექელ ხამდ”-ის თქმა.

8 – ეთთეხიათ-ის ბოლომდე კითხვა.

9 – ნამაზის დასასრულს სელამის მიცემა.

10 – ყურბან ბაირამის დროს 23 ფარძის მერე მისალმებისთანავე თეშრიე თექბირის კითხვა.

იფთითახ თექბირის მნიშვნელობა და მადლი

თუ ადამიანი იფთითახ თექბირს იმამთან ერთ-ად აიღებს ისე ჩამოსცვივდება მთელი ცოდვები, როგორც შემოდგომის ხეებს ფოთლები სცვივა.

ერთხელ როდესაც ფეიღამბერი ნამაზს ლო-ცულობ-და, მასთან მივიდა ერთი კაცი, რომელ-მაც დილას ნა-მაზის იფთითახ თექბირს ვერ მი-უსწრო და უთხრა: მე დილას იფთითახ თექბირს ვერ მივუსწარი, მაგრამ ამის მერე ერთ მონას თავისუფლება ვუბოძე და მაინტერე-სებს თექბი-რის მადლი დავიმსახურე თუ არაო. მაშინ ფეი-ღამბერი მიუბრუნდა ებუ ბექირს და ჰკითხა: შენ რას იტყვი ამ საკითხზე. ებუ ბექირმა კი მიუგო: მე რომ ორ-მოცი აქლემი სულ თვალ მარგალიტით გატვირთული მყავდეს და ორმო-ცივე რომ ღარიბებს ვაჩუქო, იფთი-თახ თექბირის მადლს მაინც ვერ დავიმსახურებ.

შემდეგ ფეიღამბერი ომერს შეეკითხა შენ რას იტყვი ამ საკითხის შესახებ? ომერმა მიუგო: რაც მექქე-სა და მედინეს შორის გზებია, იმათი გამვსები თვალ-მარგალიტით დატვირთული აქლ-ემები რომ მყავდეს და ყველა ისინი ღარიბებს დაურიგო, იმათთან ერთად შეს-რულებულ იფთი-თახ თექბირის მადლს მაინც ვერ გაუ-ტოლდება და მაინც ვერ დავიმსახურებო.

ამის შემდეგ ფეიღამბერი ოსმანს შეეკითხა შენ რაღას იტყვი ამ საკითხზეო? ოსმანმა მიუ-გო: მთელი ღამე ორი მუხლი ნამაზი, რომ ვილ-ოცო და თითოეულ მუხლზე ყურანი ქერიმი თავიდან ბოლომდე რომ ვიკითხო, მაინც იმათ-თან აღებული იფთითახ თექბირის მადლის ღირ-სი ვერ გავხდებიო.

ბოლოს ჰაზრეთი ფეიღამბერმა იგივე კითხვა ალის დაუსვა. ალიმ უპასუხა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ადგილი ურწმუნოებით სავსე რომ იყოს, ალლაჰმა ძალა მომცეს, ვებრძოლო მათ და დავამარცხო, მაინც იმამთ-თან ერთად შესრულებულ იფთითახ თექბირის მადლს

ვერ დავიმსახურებო.

ამის მერე ფეიღამბერმა თავის მრევლს ასე მიმართა: **“მორწმუნენო! იცოდეთ, რომ მიწისა და ცის შვიდ-შვიდი ქვესკნელი ქაღალდად და მთე-ლი წყლები მელნად, რომ იქცეს და ყველა მელეიქი ჩამწერ მდივნებად იქცნენ და წარღვნის დღემდე სწერონ, მაინც ვერ დაამთავრებენ იმ დიდ მადლის წერას, რასაც იმამთან ერთად იფთითახ თექბირის ამღები იმსახურებს”**.

სასახლეში გაკეთებული მეჩეთი

იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მოსწავლე, იმამი ებუ ისუფი, ჰარუნ რეშიდის მართველობის დროს ყა-დი იყო. ერთ დღეს ჰარუნ რეშიდთან ყოფნი-სას, ერთი პიროვნება მეორედან მომჩივარი გახდა. ჰა-რუნ რეშიდის ვეზირმა მე მოწმე ვარ უთხრა. იმამ უბუ ისუფმა არ დათანხმდა. ჰალიფემ უარის მიზეზი ჰკითხა. იმამ ებუ ისუფმა, ერთ დღეს მას რაღაც საქმე უბრძანეთ, მანაც თქვენი მონაორჩილი ვარ მოგმართათ, ეს თუ მართალია მონის მოწმობა არ შეიძლება და თუ ტყუილია ტყუილისმთქელიდან მოწმე არ შეიძლება. ალი-ფამ მე ვიქნები მოწმე. თანახმა იქნებით? არა, არ ვიქნები. რატომ? შენ ნამაზს ჯემაეთით არ ლოცულობ. ჰალიფამ სიმართლეს ამბობ და სასახლეში მეჩეთის გაკეთება ბრძანა. ამის შემდეგ ნამაზი ყოველთვის ჯემაეთით ილოცა.

ჯუმა ნამაზი

ალლაჰუ თეალამ პარასკევი დღე მუსლიმანებს განუკუთვნა. პარასკევს შუადღისას ჯუმა ნამაზის ლოცვა ალლაჰუ თეალას ბრძანებაა.

ალლაჰუ თეალა ჯუმას სურეს მე-9 და მე-10 აეთებში ბრძანებს: **“ეი მორწმუნენო, პარას-კევობით შუადღის ეზანის გაგონებისთა-ნავე ჯუმა ნამაზის სალოცავად**

მეჩეთები-საკენ იჩქარეთ! ვაჭრობას თავი მიანებეთ, რადგან ჯუმა ნამაზი თქვენთვის უფრო სასარგებლოა. ნამაზის მერე შეგიძლიათ მიუბრუნდეთ თქვენს საქმეებს, რათა იპოვოთ პური არსობისა ხშირად მოიხსე-ნიეთ ალლაჰი რათა გადარჩეთ".

ნამაზის მერე ვისაც უნდა თავის საქმეს გა-აგრძელებს, ვისაც უნდა მეჩეთში დარჩება და ლოცვებ-სა და ყურანი ქერიმს წაიკითხავს. ჯუმა ნამაზის დროს ვაჭრობა და სხვა საქმეების გა-კეთება ცოდვად ითვლე-ბა.

ჰაზრეთი ფეიღამბერი (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლ-ემ) სხვადასხვა ჰადისებში ბრძანებს:

(თუ კი მუსლიმანი პარასკევობით ღუს-ლის აბდესს აიღებს, მერე მეჩეთში ნამაზს ილოცავს ერთი კვირის ცოდვები მიიეტევება და ყველა გა-დადგმული ნა-ბი-ჯისათვის მადლი დაეწერება)

(პარასკევობით ნამაზის გამომტოვებელ-თათვის დიდი ალლაჰი საკუთარ გულს საგულდაგულოდ ჰგმანავს და კეტავს)

(დღეთა შორის პარასკევი ყველაზე მადლიანია, ბაირამის დღეებზეც კი პა-რასკევი დღე ამქვეყნად და სამოთხეში მუსლიმანთა ბაირამია)

(ვინც უმიზეზოდ სამ ჯუმა ნამაზს არ შეასრულებს მათთვის დიდი ალლაჰი გუ-ლის კარებს კეტავს, ესეი-გი მათ სიკეთეს და დახმარებას აღარ გაუწევს)

(ჯუმა ნამაზის მერე არის წამი, როდე-საც ლოცვა (დუა) აუცილებლად შესმე-ნილი და მიღებული იქნრბა)

(ჯუმა ნამაზის მერე, ვინც შვიდჯერ იჰლასს და მუავვიიზეთეინ-ს იკითხავს ალლაჰუ თეალა ერთი კვი-რა ცუდ საქმეებისგან, უბედური შემთ-ხვევებისაგან დაი-ფარავს)

(როგორც შაბათი დღე ებრაელებს, ხო-ლო კვირა დღე ქრისტიანებს ებოძათ. ასევე პარასკევი დღე მუსლი-

მანებისაა. ამ დღეს მუსლიმანთა-თვის, სიკეთე ხვავი და ბარაქა მოაქვს)

პარასკევობით შესრულებული ღვთისმსახურე-ბის სამაგიერო მადლი სხვა დღეებში შესრულე-ბულს მინიმუმ ორჯერ აღემატება ასევე პარას-კევ დღეს ჩადენილი ცოდვა ორჯერ მეტად ჩა-ითვლება.

პარასკევი სასაფლაოების მონახულების დღეა ამ დღეს სასაფლაოს ტანჯვა შეჩერებულია. ზო-გი ბრძენის მიხედვით მუსლიმანთა ტანჯვა მეტი აღარ დაიწყება, ხოლო ურწმუნოთა ტანჯვა რა-მაზნის თვისა და პარასკევის გარდა წარღვნამდე გაგრძელდება. რამაზნის თვეში და პარასკეობით გარდაცვლილი მუსლიმანები სასაფლაოს ტანჯვას არ გაივლიან. პარასკეობით ჯოჯოხეთიც ძალიან ცხელი არის, ალლაჰმაც ადემ ფეი-ღამბერიც პარასკევ დღეს გააჩინა, სამოთხიდან პარასკევს განდევნა, სამოთხის მკვიდრნი დიდებულ ალლაჰს პარასკეობით იხილავენ.

ჯუმა ნამაზის ფარძები

ჯუმა (პარასკევ) დღეს 16 მუხლი ნამაზი ილო-ცება. აქედან ორი მუხლის ლოცვა ფარძია. შუადღის ნამაზიდან უფრო ძლიერი ფარძია. ჯუმა ნამაზი ფარძი რომ იყოს ორი სახის პი-რობაა საჭირო:

1 – ედა პირობები.

2 – ვუჯუბ პირობები

ედა პირობებიდან ერთიც ნაკლი, რომ იყოს ნა-მაზი მიღებულად არ ჩაითვლება. ვუჯუბ პი-რობებიდან, რომ აკლდეს ნამაზი ჩაითვლება.

ედა (ანუ ჯუმა ნამაზი მიღებული რომ იყოს) შესასრულებელი პირობა შვიდია:

1 – ჯუმა ნამაზის ქალაქში, რაიონში, სოფე-ლში ლოცვა.

2 – სახელმწიფო მეთაურის ან გუბერნატო-რის ნებართვით ლოცვა. მათ შეუძლიათ უფლებამო-სილებანი სხვასაც გადასცენ.

3 – შუადღის ნამაზის მოსვლის დროს ლო-ცვა.

4 – ხუთბის წაკითხვა. [ისლამის სწავლულებს ჯუ-მის ჰუთბის კითხვა ალლაჰუ ექბერ თქმის მსგავსია. ანუ მარტო არაბულად იკითხება. იმა-მი ჩუმად ეღუზუს იკ-ითხავს შემდეგ ხმამახლა სელავათს, ქელიმეი-შე-ჰადეთს, სალათუ სელამს იკითხავს. შემდეგ მადლისა და ტანჯვის გამომ-წვევ მიზეზებს გამახსენებელ და აეთს იკითხა-ვს. დაჯდება, ადგება და მეორე ჰუთბეს წაი-კითხავს, ვაიზის მაგიერ დუას გააკეთებს. ოთხი ჰალიფეს სახ-ელის თქმა მუსთაჰაბია. ჰუთბეზე ამ ქვეყნიდან ლაპარა-კი ჰარამია. ჰუთბეს მოკლე კი-თხვა სუნნეთია, გრძლად კითხვა მექრუჰია].

5 – ნამაზზე ადრე ხუთბის წაკითხვა.

6 – ჯუმა ნამაზის ჯემაეთით შესრულება.

7 – მეჩეთის კარების ყველასათვის გაღება.

ჯუმა ნამაზის ვუჯუბ (აუცილებელი) პირობები

1 – მგზავრად არ ყოფნა. მგზავრებისთვის ფა-რძი არ არის.

2 – ჯანმრთელი ადამიანისათვის. (ავადმყოფე-ბისათვის, ავადმყოფების მომვლელთათვის და ძალიან მოხუცებულებისათვის ფარძი არ არის).

3 – თავისუფალი ადამიანისათვის.

4 – მამაკაცისათვის. (ქალებისათვის ფარძი არ არის).

5 – ჭკვიანი და მოწიფული ადამიანისათვის.

6 – მხედველობის მქონე ადამიანისათვის. (გზ-აზე წამყვანიც, რომ ჰყავდეს ბრმათათვის ფარძი არ არის).

7 – სიარულის უნარის არ მქონეთათვის. (გა-დაადგ-ილების საშუალება რომც ქონდეს ინვა-ლიდთა და ფეხე-ბის არმქონეთათვის ფარძი არ არის).

8 – მათთვის, ვინც პატიმარი არაა და მათთ-ვის ვისაც მთავრობისა და მტრის შეზღუდვა არ აქვს.

9 – მეტისმეტი თოვლის ქარიშხლის ტალახი-სა და სიცივის შემთხვევაში ფარძი არ არის.

ჯუმა ნამაზი როგორ ილოცება?

პარასკევ დღეს შუადღისას ეზნის კითხვის შე-მდეგ 16 მუხლი ნამაზი ილოცება. თანამიმდევ-რობით ასეთია:

1 – ჯუმა ნამაზის ოთხი მუხლი **"პირველი სუნნეთი"** უნდა ვილოცოთ. ეს სუნნეთი შუად-ღის ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად ილოცება. ნიეთი ასეთია: "ნიეთი ვქე-ნი ალლაჰის ხათრისათვის ჯუმა ნამაზის პირ-ველი ოთხი მუხლი სუნნეთის სალო-ცავად".

2 – შემდეგ მეჩეთში ეზანი და ხუთბე იკითხე-ბა.

3 – ხუთბის შემდეგ ყაამეთი იკითხება და ჯგ-უფუ-რად ორ მუხლი ჯუმა ნამაზის **ფარძს** ილო-ცება.

4 – ამის შემდეგ ოთხი მუხლი ჯუმა ნამაზის "ბოლო სუნნეთი" ილოცება. ბოლო სუნნეთიც შუადღის ნამაზის პირველი სუნნეთის მსგავსია.

5 – ამის შემდეგ ოთხი მუხლი **"ზუხრი აახირ"** ფარძ ნამაზს ვლოცულობდ. ნიეთს ასე ვამბობთ: ნიეთი ვქენი ალლაჰის ხათრისათვის სულ ბოლოს გავლილი (გამო-ტოვებული) შუად-ღის ნამა-ზის ფარძის სალოცავად.

ესეც შუად-ღის ნამაზის ფარძის მსგავსად ილოცება.

6 – ამის შემდეგ ორი მუხლი **"დროის სუნ-ნეთი"** უნდა ვილოცოთ, ნიეთს ასე ვამბობთ: ესეც დილის ნამაზის სუნნეთის მსგავსად ილოცება.

7 – ამის შემდეგ აეთელქურსი იკითხება და დუა გაკეთდება.

პარასკევ დღეს შესასრულებელი სუნ-ნეთები:

1 – პარასკევის ხუთშაბათი დღიდან შეგებება.

2 – პარასკევ დღეს ღუსლის აღება.

3 – თმების შეკრეჭა, წვერისაგან ზედმეტი სი-გრძის შემოკლება და ფრჩხილების დაჭრა სუფ-თა ტანსაცმლის ჩაცმა.

4 – ჯუმა ნამაზზე შეძლებისდაგვარად ადრე წასვლა.

5 – მეჩეთში წინა რიგებში გადასვლისათვის ჯგუფის წევრთა მხრებს ზემოდან გადაუბიჯებ-ლობა.

6 – მეჩეთში ნამაზის მლოცველებზე წინიდან გაუვლელობა.

7 – ხუთბის კითხვისას ლაპარაკის შეწყვეტა და სხვა მოლაპარაკესათვის ჟესტებითაც კი პა-სუხის გაუცემლობა. ეზანის გაუმეორებლობა.

8 – ჯუმა ნამაზის მერე ფაათიხას ქააფირუ-ნის, იხლასის, ფელეყისა და ნაასის სურეების შვიდჯერ ჩაკითხვა.

9 – ნაშუადღევამდე (იქინდამდე) მეჩეთში დარ-ჩენა ლოცვა და ხვთისმსახურება.

10 – ეჰლი სუნნეთის ალიმების (სწავლულე-ბის) დარიგებების მოსმენაში, წიგნების წაკით-ხვაში გატარება.

11 – მთელი პარასკევის დღის ლოცვაში ალ-ლაჰზე

ვედრებაში გატარება.

12 – პარასკევ დღეს სალავათის ბევრი კით-ხვა.

13 – ყურანი ქერიმისა და განსაკუთრებით ქეფის სურის კითხვა.

14 – მოწყალების სადაყის გაცემა.

15 – დედმამის ან მათი სასაფლაოების მო-ნახულე-ბა.

16 – სახლში ბევრი და ტკბილი საჭმელების გაკეთე-ბა.

17 – ბევრი ნამაზის ლოცვა. გავლილი ნამა-ზების მქონეების, გავლილი ნამაზების ლოცვა.

ბაირამ ნამაზები

რამაზან ბაირამისა და ყურბან ბაირამის პირ-ველ დღეს მზის ამოსვლის შემდეგ ბაირამ ნამა-ზის ლოც-ვა მუსლიმანი მამაკაცებისათვის ვა-აჯიბია.

ბაირამის ნამაზის პირობები ჯუმა ნამაზის პი-რობე-ბის მსგავსია, განსხვავება ისაა, რომ ბაირამ ნამაზზე ხუთბე სუნნეთია და ნამაზის მერე იკითხება.

რამაზან ბაირამის ლოცვამდე ჯერ ტკბილის ჭამა, ღუსლის შესრულება, მისვაქის ხმარება და საუკეთესო ტანსაცმლის ჩაცმა, ფითრის გაცემა ნამაზის ლოცვის წინ და გზაში ნელ ნელა თე-ქბირის კითხვა მუსთეჰაბია.

ხოლო ყურბან ბაირამის დროს ნამაზამდე უჭ-მელობა, ნამაზის მერე კი თავდაპირველად ყურ-ბანის ხორცის ჭამა, ნამაზზე წასვლისას ხმამა-ღლა ან ხმა დაბლა თექბირის შესრულება მუს-თეჰაბია.

ბაირამის ნამაზები ორ მუხლიანია. ჯემაეთით (ჯგუ-ფურად) სრულდება, ცალკე არ ილოცება.

ბაირამ ნამაზი როგორ ილოცება?

1 – ჯერ ნიეთი უნდა ვთქვათ: "ნიეთი ვქენი ვაჯიბი რამაზან ან ყურბან ბაირამის სალოცა-ვად მივყვები იმამს". შემდეგ იფთითახ თექბირს ავიღებთ და **"სუბხანექს"** ვიკითხავთ.

2 – ამის შემდეგ სამჯერ ხელების მაღლა აწ-ევით თექბირს შევასრულებთ (ხელებს ყურებთან მივიტანთ და ჩამოუშვებთ), მესამე თექბირის შე-მდეგ მუცლის ქვემოთ შეკრული დავიკავებთ. იმ-ამი ჯერ ფაათიხას მერე ზა-მმისურეს წაიკითხა-ვს რუქული, სეჯდე შესრულდება და მეორე მუხ-ლის სალოცავად ავდგებით.

3 – მეორე მუხლზე იმამი ჯერ ფაათიხას მერე ზამ-მისურეს წაიკითხავს მერე მაღლა ხელებს ავწევთ სამჯერ თექბირს შევასრულებდ მეოთხე თექბირის მერე ხელები ყურებთან აღარ უნდა ავიტანოთ რუქულზე უნდა დავიხაროთ. უფრო მოკლედ ამ მოძრაობებს ასე იზეპირებენ ხოლმე: **ორჯერ ჩამოუშვი ერთხელ შეაერთე, სამჯერ ჩამოუსვი ერთხელ მოიხარე!**

თეშრიყ თექბირი:

ყურბან ბაირამის წინა დღის დილის ნამაზი-დან მოყოლებული მეოთხე დღის იქინდი ნამა-ზამდე ჰაჯზე წამსვლელების, წაუსვლელების, კაცები, ქალები ჯემაეთით იქნება თუ მარტო ფარძი ნამაზის ლოცვის შემდეგ ერთხელ **თე-შრიყ თექბირი** უნდა ვიკითხოთ. თეშრიყ თექ-ბირის კითხვა ვაჯიბია.

თეშრიყ თექბირი მიცვალებულის ნამაზის მერე არ წაიკითხება. ნამაზის შემდეგ დალაპარა-კების ანდა მეჩეთიდან გამოსვლის შემდეგ წაკი-თხვა საჭირო არ არის.

თუ იმამს თეშრიყ თექბირი დაავიწყდება მიმ-ყოლები თექბირს იტყვიან მამაკაცებს ხმამაღლა თქმა შეუძლიათ ქალები დაბალ ხმაზე წარმოს-თქვამენ. თეშრიყ

თექბირი ასე იკითხება:

“ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილ-ლელლაჰუ ველლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ ვე ლილ-ლაჰი ხამდ”.

მზადება სიკვდილისთვის

სიკვდილის ხშირად გახსენება ყველაზე დიდი რჩე-ვაა. ყველა მორწმუნისთვის სიკვდილის ხში-რად გახსენება სუნნეთია, რადგან სიკვდილის გახსენება იწვევს ალლაჰის ყველა ბრძანების შესრულებას და ცოდვებისაგან განდგომას, ჰა-რა-მი საქმის ჩადენის გამბე-დაობას სპობს. ფეი-ღამბერმა ბრძანა: **“ხშირად გაიხსენე სიკ-ვდილი, რომელიც ანადგურებს ცხოვრებისეულ სიტკბოს და ბოლოს უღებს გართობა-მხიარულებას!”** დიდ ევლიებს შორის ზოგიერთს სიკვდილის ყოველ-დღი-ური გახსენება წესად ჰქონდა დადგენილი. ხოლო დიდი ევლია მუხამმედ ბუჰარა, თავის თავს მკვდარსა და საფლავში ჩადებულს წარ-მოიდგენდა.

გადჭარბებული ამქვეყნის სიყვარული დიდხ-ანს სიც-ოცხლის სურვილს ნიშნავს. ლოცვასა და ღვთისმსახ-ურებისთვის დიდხანს სიცოცხლის სურვილი კი ამას არ ნიშნავს. ვისაც გულში ამ-ქვეყნისადმი გადაჭარბებული სიყვარულის ცეც-ხლი უნთია, ღვთისმსახურებას საჭირო დროს არ ასრულებენ, მონანიებას თავს ანებებენ და გულები უქვავდებიან. სიკვდილი აღარ ახსენდე-ბათ, რჩე-ვა-დარიგებებში სასიკეთოს ვერაფერს ნახულობენ. ასეთი ადამიანი ამქვეყნიური ქონებისა და საკუთრების მოსაპოვებლად მთელ სი-ცოცხლეს ხარჯავს. საიქიოს ივიწყებს, მარტო ქეიფს, დროსტარებას და სიამოვნებას მისდევს.

ხადისებში ვკითხულობთ:

“მოკვდით სიკვდილზე ადრე. სანამ ან-გარიშწორებას წარუდგებოდეთ, თქვენვე აგეთ პასუხი საკუთარ თავთან!”

“ცხოველებს რომ ცოდნოდათ, თუ რა ელოდებოდათ სიკვდილის შემდეგ, მაშინ თქვენს საჭმე-ლად ხორცის მქონე ცხოველს ვერ ნახავდით.”

“ვინც დღე და ღამე სიკვდილს იგონებს, წარ-ღვნის დღეს შეჰიდების გვერდით მოხდება.”

“სიკვდილი ხშირად გაიხსენეთ ხოლმე, სიკვდი-ლის გახსენება ადამიანს ცოდვების ჩადენი-საგან იცავს და საიქიოშიც მავნებელი რამეები-საგან შორს დადგომის საბაბი ხდება.”

რა არის სიკვდილი?

სიკვდილი გაქრობას არ ნიშნავს. სიკვდილი სულის და სხეულის განცალკევებაა, სულის მი-ერ სხეულის და-ტოვებაა. სიკვდილი ადამიანის ერთი მდგომარეობის მეო-რეთი შეცვლაა, ერთი სახლიდან მეორეში გადაბარგე-ბის მსგავსია. ომერ ბინ აბდულაზიზმა ბრძანა: “თქვენ მარა-დიულობისთვის ხართ შექმნილნი, მაგრამ ერთი სახლიდან მეორეში გადაინაცვლებთ”. სიკვდილი საჩუქარია, ჯილდოა მუსლიმანისთვის. ცოდვილ-თათვის კი საშინელი უბედურებაა. ადამიანი სი-კვდილს არ ისურვებს, მაშინ როცა სიკვდილი არასწორი გზით სვლაზე უფრო სამადლო და სასიკეთოა. ღირსეული მორწმუნე სიკვდილის მერე ამქვეყნიური ტანჯვისა და დაღლილობისაგან თავისუფლდება. ხოლო სასტიკი ადამიანების სიკვდილის მერე ქვეყანა და ადამიანები ბე-დნიერებასა და მშვიდობას ეზიარებიან ხოლმე. აი ერთი ძველი ფრაზა, რომელიც სასტიკი ადა-მიანის სიკვდილის შესახებ არის ნათქვამი:

“არც თვითონ მოისვენა, არც ხალხი მოასვენა, აღიგავა პირისაგან მიწისა, გაუძლოს მას საფლავმა.”

მუსლიმანის სხეულიდან სულის მოცილება პატიმ-რობას ჰგავს, მუსლიმანი სიკვდილის მერე ამქვეყნად დაბრუნებას აღარ ინატრებს. სიკვდი-ლი მუსლიმან-

ისთვის საჩუქარია. მისი სასაფ-ლაოს ცხოვრება კი სამოთხის ბაღებს, ურწმუ-ნოსი კი ჯოჯოხეთის ჯურ-ღმულებს წააგავს.

სიკვდილი სინამდვილეა

განა სიკვდილისაგან გადარჩენა შესაძლებელ-ია? რა თქმა უნდა არა ადამიანს თავისი სიცო-ცხლის ერთი წამითაც კი გაგრძელება არ შეუ-ძლია. დრო როცა მოვა მოკვდება. ეს დრო ზუს-ტი და სწრაფია. და როგორც ყურანი ქერიმის აიათი ამბობს: **“სიკვდილის დრო როცა მოვა, საათებს ერთი საათით წინ ან უკან ვერარ გადაწ-ევენ.”**

ადამიანი კვდება იქ, სადაც და როდესაც ალლაჰი სჭიროდ მიიჩნევს. კვდება და ტოვებს ქველაფერს; ქონებას, საკუთრებას, ოჯახსა და შვილებს.

ალლაჰუ თეალამ იცის თუ რამდენჯერ ამო-ვისუნ-თქავთ დღეში. არ არსებობს რაიმე, რაც მან არ იცოდეს. და თუ ცხოვრებას ღვთისმსახ-ურებაში გავატარებთ, დასასრულიც ბედნიერი იქნება, რადგან ალლაჰუ თეალა აზრაილს უბრ-ძანებს: **“ჩემს მოყვარეებს (მორ-წმუნეებს) სული ადვილად და უმტკივნეულად ამოართვი, მტრებს (ურწმუნოებს) კი ძნელად”**. რა სასიხარულოა ეს ცნობა მორ-წმუნეთათვის და რა სამწუხაროა ურ-წმუნოთათვის.

მიცვალებულის ნამაზი

ადამიანის გარდაცვალებისას მისი ახლობელი მა-მაკაცებისთვის და თუ მამაკაცი არ ჰყავს ქა-ლებისათვის მიცვალებულის ნამაზის ლოცვა ფარძი ქიფაიეა. ეს არის ნამაზი ალლაჰისათვის და ლოცვა (დუა) მიცვალებუ-ლისათვის.

მიცვალებულლის ნამაზის პირობები:

1 – მიცვალებული მუსლიმანი უნდა იყოს.

2 – დაბანილი უნდა იყოს. თუ დაუბანელი მკ-ვდარი საფლავში ჩადეს, და თუ ჯერ მიწა მიყ-რილი არ აქვს, ამოიღებენ, დაბანენ და ნამაზს ილოცავენ. მიცვალებულისა და იმამის ადგილი სუფთა უნდა იყოს.

3 – მიცვალებულის სხეულის ნახევარი და თავის ნახევარზე მეტი ნაწილი სახეზე უნდა იყ-ოს.

4 – მიცვალებული მიწაზე, ან მიწასთან ახ-ლო ადგილზე, ქვაზე დადებული ან ხელში და-კა-ვე-ბული უნდა იყოს. მისი თავი იმამის მარჯვნივ, ფეხების მარცხნივ უნდა იყოს. პირი-ქით გაკე-თება ცოდვაა.

5 – მიცვალებული იმამის წინ გამზადებული უნდა იყოს.

6 – მიცვალებულისა და იმამის ავრეთი ადგ-ილები დაფარული უნდა იყოს.

მიცვალებულის ნამაზის ფარძები:

1 – ორჯერ თექბირის შესრულება.

2 – ფეხზე დგომა.

მიცვალებულის ნამაზის სუნნეთები:

1 – სუბხანექქ-ს კითხვა.

2 – სელავათის კითხვა.

3 – მიცვალებულისთვის, და ყველა მუსლი-მანის შეწყალების და ცოდვებისაგან პატიების-თვის გადმოცემული ლოცვებიდან (დუებიდან) რომელიმეს კითხვა.

მიცვალებულის ნამაზი მეჩეთში არ შესრულ-დება.

ცოცხლად დაბადებულ ბავშვს სიკვდილის მერე სახელი დაერქმევა, დაიბანება,სუდარაში გაეხვევა და ნამაზი შესრულდება.

მიცვალებულის ტარების დროს ოთხი ადგი-ლიდან უნდა გვეჭიროს. ჯერ მიცვალებულის თავის მხარე, მარჯვენა მხარზე, შემდეგ ფეხის მხარე მარჯვენა მხარზე, შემდეგ ფეხების მხა-რე, მარცხენა მხარზე დადებით ათიოდე ნაბი-ჯს ატარებენ. სასაფლაოზე მისვლისას მიცვა-ლებულის მხრებიდან ძირს ჩამოდგმამდე დაჯდომა არ შეიძლება. დამარხვის შემდეგ ხალხი ჩამოსხდებიან.

როგორ სრულდება მიცვალებულის ნამა-ზი?

მიცვალებულის ნამაზის ოთხი თექბირიდან ყოველი ერთი მუხლის მსგავსია. პირველ თე-ქბირზე ხელები ყურებთან მიიტანება. დანარჩენ სამ თექბირზე კი არა.

1 – პირველი თექბირის მერე, ხელებს შევაე-რთებთ და სუბხანექეს ვიკითხავთ **"ვეჯელლე-სენააუქე"**-ს ერთად.

2 – მეორე თექბირის მერე **ელლაჰუმმე სალსა** და **ელლაჰუმმე ბარიქს** ვიკითხავთ.

3 – მესამე თექბირის მერე მიცვალებულის ლოცვა (დუა) იკითხება. ასევე **"რაბბენაა ათინა**, ან მარტო **ალლაჰუმელფილი"** ითქმე-ბა, ან **ფაათიხას** კითხვაც შეიძლება.

4 – მეოთხე თექბირის დამთავრებისთანავე მარჯვნივ და მარცხნივ სალამი მიეცით და მი-სალმებისას წარმოიდგინეთ რომ მიცვალებულ-სა და იქ მყოფ ხალხს ესალმებით.

ოთხ თექბირსა და ორივე მხარეს მისალმებ-ას მხოლოდ იმამი წარმოთქვამს. სხვები უხმოდ წარმოსთქვამენ.

ნამაზის ლოცვის შემდეგ მიცვალებული გვერდზე დუის გაკეთება არ შეიძლება. მექ-რუჰი იქნება.

თერავის ნამაზი

თერავის ნამაზი რამაზნის თვეში ყველა ღამ-ეს სრულდება და ქალებისა და მამაკაცებისთვ-ის სუნნეთია. ჯემაეთით ლოცვა სუნნეთი ქიფა-ეა. ღამის ნამაზის შემდეგ და ვითირ ნამაზამ-დისაა. ვითრის შემდეგაც ილოცება. მაგ: თერა-ვის ნამაზის ლოცვას მთლიანს ვინც ვერ მიუს-წრებს, იმამით ვითრს ილოცავს და შემგედ გა-მოტოვებული თარავსაც ილოცავს. თერავი ნამა-ზის ყაზა (გავლილი) არ ილოცება. თერავის გა-ვლილი თუ ილოცა თერავი არ იქნება ნაფილე ნამაზი გამოვა.

თერავის ნამაზი ოცი მუხლია.

როგორ სრულდება თერავის ნამა-ზი?

ვითირ ნამაზი მხოლოდ რამაზნის თვეში ჯე-მაეთით (ჯგუფურად) სრულდება.

თერავი ნამაზი ორ-ორი მუხლად, ათი სელამ-ით და ყველა მეოთხე მუხლზე ცოტა მოცდა და სელავათე-ბის კითხვა მუსთეჰაბია. გავლილი ნა-მაზების მქონემ თავისუფალ დროს, ხუთი დრ-ოის ნამაზის სუნნეთე-ბის და თერავის ადგილზე გავლილები უნდა ილოცოს. რაც შეიძლება მა-ლე უნდა დაამთავროს გავლილების ლოცვა და შემდეგ ამ ნამაზების ლოცვა უნდა დაი-წყოს. თერავი ნამაზის როგორც ჯამეში ასევე სახ-ლშიც ილოცება. მაგრამ ჯამეში ნალოცი ნამა-ზი უფრო დიდი მადლია. თუ სახლში ჯემაეთით ილოცავს მარტო ნალოცზე ოცდაშვიდჯელ მეტ მადლს მოიგებს. ყველა იფთითაჰ თექბირზე ნი-ეთის თქმაა უფრო კარ-გია. ღამის ნამაზს თუ ჯემაეთით ვერ ილოცავს ვერც

თერავს ჯემაღე-თით ილოცავს, ფარძი მარტო უნდა ილოცოს და შემდეგ შეუძლია თერავი ჯემაეთის ერთად ილოცოს.

მეხუთე ნაწილი
ნამაზი მგზავრობისას

ჰანეფი მეზებზე მიმყოლი ვინმე ვინც თხუტ-მეტ დღეზე ნაკლები დროით ასთოთხმეტ კმ.-ზე შორს წავა მგზავრად ითვლება.

მგზავრი ოთხმუხლიანი ფარძი ნამაზების მხო-ლოდ ორს, პირველ და მეორე მუხლს ლოცულ-ობს. ოთხ მუხლს ილოცავს მხოლოდ მაშინ, რო-ცა ჯემაეთით (ჯგუფურად) ლოცვისას არამგზა-ვრ იმამს მიჰყვება. თუ მგზავრი არამგზავრების იმამი გახდება, თვითონ ორი მუხლის შემდეგ ლოცვას დაასრულებს, მიმყოლები (ადგილობრივები) კი მესამე და მეოთხე მუხლებს იმამის გარეშე ილოცავენ და ლოცვას ისე დაასრულებენ.

მგზავრს მესთზე სამ დღესა და ღამეს მესჰის შესრულება და მარხვის დარღვევა შეუძლია, მაგრამ მარხვის დაურღვევლობა უკეთესია. მგ-ზავრისთვის ყურბნის დაკვლა ვაჯიბი, ხოლო ჯუმა ნამაზის ლოცვა ფარძი არ არის.

ნამაზის დროის დასასრულს, ვინე მგზავრად თუ წავა, ნამაზი თუ არ ულოცია ორ მუხლს ილოცავს. მაგრამ ნამაზის დროის დასასრულს ადგილზე მომსვლელი ოთხ მუხლს ილოცავს.

(ნი'მეთი ისლამში) ამბობს, რომ: ვისაც ფეხზე დგომა არ შეუძლია, ნაფილე ნამაზების ლოცა დამჯდარი ყოველთვის და ყველგან შეიძლება. რუქუღს გაკეთებისთვის ტანით მოიხრება, სეჯ-დეს გასაკეთებლად, თავს ძირში დადებს. თუ ფეხზე დგომა შეუძლია და დამჯდარი ლოცულობს მაშინ ფეხზე დგომის ნახევარ

მადლს მოიგებს. ხუთი დროის ნამაზის სუნნეთი, თერავი ნამაზი, ნაფილე ნამაზებია. გზაში ანუ სოფლის გარეთ ნაფილე ნამაზის ცხოველზე შეჯდარი ლოცვა შეიძლება. ყი-ბლეზე შებრუნება, რუქუღსა და სეჯდეს გაკეთება საჭირო არ-აა. რუქუღს გაკეთებისთვის სხეულით ცოტას მოიხრება, სეჯდეს გაკეთებისთვის დიდად მოიხ-რება. ცხოველზე მეტი სიბინძურის არსებობა ნა-მაზს არ ავნებს. ძირში ნაფილე ნამაზი მლოცველი თუ დაიღ-ლება, ჯოხზე დაყრდნობით, კედელზე დაყრდნოფით ლოცვა შეიძლება. სიარულ-ში (თვითონ მლოცველი ვინცაა, თუ დადის) ნა-მაზის ლოცვა არ შეიძლება. თუ აუცილებლობა არ არის ფარძის და ვაჯიბი ნამაზის ლოცვა ცხოველზე შეჯდარი ლოცვა არ შეიძლება. მხო-ლოდ საჭიროების მდგომარეობაში შეიძლება. აუცილებლობის საბაბები შემდეგია: ქონების, ცხენის, სიცოცხლის საფრთხის არსებობა, ბა-რგის მოპარვის შესაძლებლობა, მტრისა და მტა-ცებელი ცოველების საფრთხე, ტალახი, წვიმა, მგზავრის ავადმყოფობა, გზაზე მარტო დარჩენის საფრთხე, ცხენზე დამოუკიდებლად შეჯდომის უუნარობა. თუ შესაძლებელია უნდა ჩამოქვეით-დეთ და ყიბლეს მხარეს მდგომარემ ნამაზი შეა-სრულოთ. თუ ვერ ჩამოდით ცხენი ყიბლეს მხა-რეს მიაბრუნეთ, თუ ესეც შეუძლებელია ცხენის მიმართულების მიხედვით ილოცეთ.

როდესაც ჯაფერ თაიარი ეთიოპიაში გემით მიდიოდა. ფეიღამბრისგან ნასწავლი გაიმეორა: მოძრავ გემში ფარძის და ვაჯიბი ნამაზის ლო-ცვა შეიძლება. გემზე ჯემაეთითაც ნამაზი ილო-ცება. მოძრავ გემში, რუქუღი და სეჯდეს გაკე-თება სავალდებულოა. ნამაზის დაწყებისას ყიბ-ლეს მხარეს დგომაა საჭიროა, ასევე სიბინძურის გასუფთავებაც საჭიროა. იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მიხედვით მოძრავ გემში ფარძების მჯდომა-რედ შესრულებაც ნებადართულია.

შუა ზღვაში ღუზა ჩაშვებული გემი თუ ძა-ლიან

ქანაობს მოძრავი, თუ არ ქანაობს გაჩე-რებული გემის მსგავსია. ნაპირზე მდგომ გემში მჯდომარედ ფარძი ნა-მაზის ლოცვა არ შეიძლე-ბა. თუ ნაპირი ახლოსაა მი-წაზე ჩამოსვლაა სა-ჭირო, თუ გემის წასვლის ან ქონებისა და სი-ცოცხლის დაკარგვის საფრთხეა, მაშინ გემზევე ფეხზე მდგომარედ ლოცვა შეიძლება.

(იბნი აბიდინი) ამბობს რომ: (ორ ბორბლია-ნი ეტლი ცხოველზე გამომბის გარეშე სწორად ვერ დგება, ადგ-ილზეც და მოძრაობაშიც ნამა-ზის ლოცვა ცხოველზე შეჯდარი ლოცვის მსგავსია. ოთხ ბორბლიანი ეტლი დგომისას მაგიდის მს-გავსია, მოძრაობისას, ზემოთ ჩამოთ-ვლილი აუ-ცილებლობის შემთხვევებში, შიგნით ფარძი ნა-მაზი ილოცება, ეტლი გაიჩერება და ყიბლეს მხ-მხარეს გასწორდება. გაჩერება თუ შეუძლებე-ლია მოძრავ გემის მიხედვით ილოცე-ბა). მოძრა-ობაში ყიბლეს მხარეს თუ დაბრუნება შეუძლე-ბელია მაშინ შაფი მეზე-ბზე მიყოლით ორ ნა-მაზს ჯემს გააკეთებს. სკამზე დამჯდარი ნამაზის ლოცვა არავისთვის არ შეიძლება. ავტობუ-სში, თვითფრინავში ნამაზის ლოცვა ავტომო-ბი-ლში ლოცვის მსგავსია.

თუ აუცილებლობა არ არის ფარძი და ვააჯი-ბი ნა-მაზები ჩამოქვეითებულად უნდა ვილოცოთ. ტრანსპორტი გავაჩეროთ და მდგომარედ შევას-რულოთ. ამიტომ ამ ყვე-ლაფრისთვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ.

მგზავრი მატარებელში და გემში ყიბლეს მხა-რეს დადგება, გვერდით კომპასს დაიდებს, გემის შე-ბრუნებისას თვითონ ყიბლეს მხარეს უნდა შემოტრი-ალდეს. მკერდი თუ ყიბლიდან სხვაგან შებრუნდა ნა-მაზი მოიშლება. შაფი მეზებში ოთ-ხმოცი კილოეტრზე მეტი მგზავრობისას, იქინდის ნამაზი შუადღის ნამაზის დროს და ღამის ნამაზი საღამოს ნამაზის დროს ანდა შუადღის, იქინდის ნამაზის და საღამოს და ღამის ნა-მაზის დროს (ჯემი გაკეთდება) ერთად ლოცვა შეი-ძლე-

ბა. ამიტომ ჰანეფი მეზებს მიმყოლი, მგზავ-რობისას აუ-ცილებლობის შემ-თხვევაში შაფი მეზებზე მიყოლით ნა-მაზებს ზემოთ როგორცაა მოხსენებული ისე ილოცავს. გზავრობის დამთა-ვრებისას ორი ნამაზი ერთად აღარ ილოცება.

ავადმყოფობის დროს ნამაზი

აბდესის დამრღვევი რამე თუ სხეულიდან მუ-დმივად მოედინება (ოზრ) საპატიო მიზეზი ეწო-დება, მაგ. სისხლდენა, მშობიარობის შემდეგი სისხლენა, შარდი, ჩირქი, წყალი, ცრემლები და სხვა. წამლის ან სხვა საშუალებით ამის შეჩე-რება საჭიროა. საჭიროა ბამბა ან ტამპონი ვიხ-მაროთ რათა აბდესი არ დავარღვიოთ და შარ-დმა თეთრეულზე არ გამოჟონოს, ბამბა კი შარ-დს შეიწოვს და აბდესი არ დაირღვევა. მაგრამ შარდ-მა თუ ბამბიდანაც გამოჟონა აბდესი და-ირღვევა. ქალებ-მა წინა მხარეს ყოველთვის ბა-მბა უნდა გამოიყენონ. დენა თუ არ შეჩერდება, ყოველი ნამაზისთვის ახალი აბდესი აიღება და ნამაზი ისე ილოცება. საპატიო მიზეზის მქონეს ერთი აბდესით, ფარძი, გავლილი ნა-მაზი და ნა-ფილეც შეუძლია ილოცოს. ასევე ყურანი ქე-რიმი ხელში აიღოს. ნამაზის დროის დასრულე-ბისას აბ-დესიც ირღვევა. შეიძლება უცაბედად ცხვირის ნესტოე-ბიდან სისხლი გამოვიდეს, ასეთ დროს აბდესი ირღვე-ვა. ცოტა ხანს დავიცდით, თუ სისხლდენა არ შეწყდე-ბა და ნამაზის დრო იწურება აბდესს ავიღებთ და ვილო-ცავთ, მაგრამ იმ აბდესით მეორე ნამაზს ვეღარ ვილო-ცავთ. საპატიო მიზეზისთვის, აბ-დესის დამრღ-ვევი რაც იქნება ნამაზის დროს მუდმივად უნდა სდიოდეს. აბდე-სის აღებით ნამაზის ფარძს თუ ლოცულობს მაშინ საპ-ატიო მიზეზის მქონე ვერ იქნება. მალიქი მეზების მიხედ-ვით ერთი წვეთიც რომ გამოდინდეს საპატიო მიზეზის მქონე გახ-დება. საპატიო მიზეზის მქონეს ამ მიზეზის

გამომწვევი ნეჯასეთი (სიბინძურე) თანსაცმელ-ზე ეცხო-ბა, ეს თუ მიდმივად არ ხდება გარეც-ხვაა საჭირო.

ავადმყოფობის, გაძლიერების შიშის მქონე ღუსლის აბდესის მაგიერ თეიმუმს შეასრულებს. მაგრამ ამ საფრთხის, შიშის შესახებ გამო-ცდილი მუსლიმანის ან მუსლიმანი ექიმის რჩე-ვაა საჭირო. ზოგჯერ უსახლკა-რობა და სიცი-ვეც ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი ხდება. ჰანეფი მეზების მიხედვით ერთი თეიმუმით რამ-დენიც გინდა იმდენი ფარძი ნამაზი ილოცება. შაფი და მალიქი მეზების მიხედვით კი ყველა ახალ ფარძ ნამაზზე ახალი თეიმუმის აღებაა საჭირო.

თუ სხეულზე ბევრი ჭრილობაა, თეიმუმი სრუ-ლდე-ბა. თუ ჭრილობები ნახევარზე ნაკლებია, ჯანმრთელი ადგილები დაიბანება და ჭრილობა-ზე მესჰი სრულდე-ბა. ღუსლის აღე-ბისას სხეუ-ლი ერთ ორგანად ითვლე-ბა ამი-ტომაც, მთელი სხეულის ნახევარი თუ ჭრილო-ბიანია მაშინ მესი გაკეთდება. თუ მესჰი ჭრი-ლობე-ბისათვის მავ-ნებელია, სახვევის ზემოდან სრულდება, თუ ეს-ეც მავნებელია არ შეასრულებს. თუ აბდესის და ღუსლის დროს თავზე მესჰი მავნებელია არ შეასრულდე-ბა. თუ ხელი ჭრილობიანი ან ეგზე-მიანია და წყალს ვერ ხმარობთ თეიმუმი შე-ასრულეთ. ვისაც ხელები და ფეხე-ბი არ აქვს და თუ სახეც ნაი-არევია უაბდესოდ ნამაზის ლოცვა შეუძლია. ბავშვები, მონები, დაქირავებული მო-სამსახურეები იძულებულები არიან აბდესის აღ-ებაში ავადმყოფს დაეხმარონ. დახმარება სხვებ-საც შეუძლი-ათ, მაგრამ ისინი იძულებულნი არ არიან. ცოლ-ქმარი არ არის იძულებული აბდესი აღებაში დაეხმარონ ერ-თანეთს.

თუ ჭრილობები ბევრია და მათი დაბანა შეიძ-ლება, რომ მავნებელი იყოს სახვევის ზემოდან ერთხელ მესჰის შესრულდება. თუ სახვევის მოხ-სნა მავნებელია მის ქვეშ ჯანმრთელი ადგილე-ბიც არ დაიბანება აბდესის მერე

სახვევი აუცი-ლებელი არ არის. თუ სახვევი მესჰის მერე შე-იცვალა, მასზე ახალი მესჰი საჭირო არ არის.

ფეხზე ვერ მდგომმა ან ფეხზე დგომისას გა-უარესე-ბულმა ავადმყოფმა ნამაზი დამჯდარმა ილოცოს. რუქულისთვის ცოტა მოიხაროს. მერე გაიმართოს და ორ-ჯერ სეჯდე გააკეთოს. თავის, თვალის, მუხლის ტკივილიც ავადმყოფობად ით-ვლება. დაჯდეს ისე რო-გორც ეიოლება. უხლე-ბზე (ეთთეხიათის მსგავსად), ფეხმოკეცით, ფეხ-მორთხმით. ფეხზე დგომისას მარხვის ან აბდე-სის დამრღვევმაც დამჯდარმა ნამაზი შეასრუ-ლოს. რამეზე მიყრდნობით თუ შეუძლია ისე ილოცოს. ფეხზე ძნელად მდგომმა იფთითახ თე-ქბირი შეასრულოს და მერე დამჯდარმა გაგ-რძელოს.

ვინც ძირს სეჯდეს ვერ აკეთებს რუქუღი და სეჯდე დამჯდარმა შეასრულოს, სეჯდეზე უფრო მეტად მოიხაროს. ვინც სხეულს ვერ ხრის თა-ვი მოხაროს. რამის ზემოდან სეჯდეს შესრულე-ბა მექრუჰია. თუ მჯ-დომარედ შესრულება შეუძ-ლია, დაწოლილი შესრულე-ბა ნებადართული არ არის. ფეიღამბერმა ერთი ავადმყ-ოფი მოინა-ხულა, რომელსაც ბალიში აეღო და ზემოდან სეჯდეს ასრულებდა. ფეიღამბერმა ბალიში გამ-ოართ-ვა, მაშინ ავადმყოფმა შეშა აიღო, ფეიღამ-ბერმა ისიც გამოართვა და უთხრა: **“თუ ძალა შეგწევს სეჯდე მი-წაზე შეასრულე, ქვე-მოდან რაიმე არ დაიდო და სეჯდე ისე არ შეასრულო, სეჯდეზე რუქუღთან შედარე-ბით უფრო მეტად მოიხარე.”**

ვინც ჯემაეთით მეჩეთში ნამაზს ფეხზე დამ-დგარი ვერ ილოცავს, სახლში ყოფნისას ფეხზე მდგარმა ილო-ცოს. მეჩეთში წაუსვლელობისთვის რამოდენიმე მიზეზი არსებობს: წვიმა, მაგარი სიცხე ან სიცივე, თავდამსხმელის ან მტრის შიში, მარტო დარჩენის შიში, უკუნი სიბნელე, ღარიბი მოვალის დაპატიმრების შიში, სიბრმავე, დამბლა, ხეიბრობა, მოხუცებულობა,

სიარულის შეუძლებლობა, მეცნიერული გაკვეთილის გამოტოვების შიში, საყვარელი საჭმელის გამოტოვების შიში, მგზავრობისათვის გზაში ჩადგომა, მძიმე მისახედი ავადმყოფის ყოლა, ქარიშხალი, ძალიან მოხუცებულობის გამო სიარულის შეუძლებლობა წაუსვლელობისათვის საპატიო მიზეზებია. მეჩეთში ფეხით წასვლა, ტრანსპორტით წასვლაზე უფრო სასარგებლოა. მეჩეთში სკამზე დამჯდარი ლოცვა არ შეიძლება. ისეთი იბადეთის გაკეთება, როგორსაც ისლამი არ გვამცნობს **(ბიდათი)** (სიახლის შემოტანა) იქნება. ბიდათის გაკეთება დიდი ცოდვაა.

თუ ავადმყოფს წამოწევა არ შეუძლია,ზურგზე დაწოლილი, თუ ესეც არ შეუძლია გვერდზე დაწოლილი, ნამაზი შეასრულოს. თუ ყიბლესაკენ ვერ ტრიალდება, რომელ მხარესაც ეიოლება იმ მხარეს ილოცოს. ზურგზე მწოლიარეს თავქვეშ რაიმე შემოუდეთ. მუხლების მოხრა სასურველია. მინიშნებითაც თუ ნამაზს ვერ ლოცულობს ყაზაზე დატევა შეიძლება. ნამაზის დროს შეუძლოდ შექმნილი სანამდეც ძალა ეყოფა ნამაზს გააგრძელებს. ძირში დამჯდარი ნამაზის მლოცველი თუ კარგად გახდება ფეხზე მდგომი გააგრძელებს. გონება დაკარგული ნამაზს ვერ ილოცავს, ხუთი დროის ნამაზი გასვლამდე გონება-ზე თუ ოვიდა ყაზას გააკეთებს. ექვსი ნამაზი თუ გავიდა არ გააკეთებს.

გამოტოვებული ნამაზის სასწრაფოდ ანაზღაურება ფარძია. აუცილებელია. სიკვდილის მოახლოებამდის თუ გავლილი (ყაზა) ნამაზების ლოცვას ვერ დაასრულებს, ისქათისთვის დატოვებული ქონებიდან (ფიდიეს) გამოსასყიდის მიცემისთვის ანდერძის დატობება ვაჯიბია.

გავლილი (ყაზა) ნამაზები

რადგანაც ნამაზი სხეულით შესასრულებელი იბადეთია, იგი ყველამ თვითონ უნდა შეასრუ-ლოს, სხვა ვერ შეასრულებს. ნამაზის დროულ-ად ლოცვას **"ედა"** ეწოდება, ნალოცი ნამაზის ხელახლა ლოცვას **(იადე), ხოლო** დროის გასვ-ლის შემდეგ ლოცვას კი "ყაზა" ანუ გავლილი ნამაზი ეწოდება.

ხუთი დროის ნამაზების ლოცვისას და ასევე გარუნებულის ლოცვისას რიგის დაცვაა საჭი-რო. ხუთ ნამაზზე მეტი გავლილის არ მქონეს (თერთიბი საჰიბი) ჰქვია. ჯუმის ფარძის ლოცვა იმ დღის შუადღის ნამაზის დროზე ლოცვაა საჭირო. დილის ნამაზზე თუ ჩაეძინა და ვერ ილოცა, ჰუთბეს კითხვისას თუ გაახსენდა, მაშინვე ყაზა უნდა გააკეთოს. ერთი ნამაზი ნალოცი თუ არ არის მის შემდეგ მოსული ხუთი ნამაზის ლოცვა არ შეიძლება ჰადისში. "ერთი ნამაზის ძილში გამრუნებელი, ან დამვიწყებელი, **შედეგი ნამაზის ჯემაეთით ლოცვისას, თუ გაახსენდა, ჯემაეთით ნამა-ზი დაამთავროს და წინა ნამაზი ილოცოს! მის შემდეგ ჯემაეთით ნალოცი ნამაზი ხელახლა ილოცოს"**.

გავლილი ფარძი ნამაზების ლოცვა ფარძია. ვაჯიბი ნამაზის ლოცვა ვაჯიბია, სუნნეთი ნამა-ზების ლოცვა კი ნაბრძანები არ არის. ჰანეფი მეზების ალიმები (სწავლულები) გვამცნობენ რომ: (სუნნეთი ნამაზების ლოცვა მხოლოდ თა-ვის დროზეა ნაბრძანები. დროზე არ ნალოცი სუნნეთები ადამიანს ვალად არ დაედება. ამი-ტომაც გავლილი სუნნეთი ნამაზების ლოცვა ნაბრძანები არ არის. გამონაკლისია მხოლოდ დი-ლის სუნნეთი, ვაჯიბთან ახლოსაა. თუ დი-ლის ნამაზი მზის ამოსვლამდე (თავის დროზე) ვერ ვილოცეთ და თუ მზის ამოსვლის შემდეგ შუ-ადღემდე უნდა ვილოცოთ, ფარძთან ერთად სუნ-ნეთსაც ვილოცავთ, თუ შუადღის მერე უნდა ვი-ლოცოთ, სუნნეთს აღარ ვილოცავთ. **(იბნი აბი-**

დინში) და **(თერღიბ-უს-სალათში)** 162 – ე გვერდზე ამბობს რომ: (სუნნეთების დამჯდარი ლო-ცვა შეიძლება. საერთოდ არ ლოცვა ცოდვაა. არძების თუ საპატიო მიზეზი აქვს დამჯდარი ლოცვა შეიძლება).

ფარძი ნამაზის უსაბაბოდ, სიზარმაცით და შეგნებულად მიტოვება დიდი ცოდვაა. როულად შეუსრულებელი ნამაზების შემდეგში ლოცვა საჭიროა. ფარძისა და ვაჯიბის ნამაზების თავის დროზე ულოცველობისათვის ორი საბაბი არსე-ბობს: პირველი, მტრის პირისპირ ყოფნა. მეორე, მგზავრის შიში ქურდის, მტაცებელი ცხოველისა და მტრის მიმართ. დანარჩენ შემთხვევაში ნამაზის სამომავლოდ გადადება არ შეიძლება. დავი-წყებისა და ძილის დროს გავლილი ნამაზები როცა გაგვახსენდება, მაშინ უნდა ვილოცოთ. ასევე სასიკვდილოდ განწირულის დახსნის გამო ნამაზის გადავადება ნებადართულია. მაგრამ კრ-იტიკული ვითარების დამთავრებისსავე უნდა ვი-ლოცოთ. სამი მექრუფი დროის გარდა, ბავშ-ვებისა და ოჯახისათვის საჭირო საკვების შოვნამდე ნამაზის ლოცვის დაგვიანება ნებადართუ-ლია. უფრო თუ დაგვიანდება ცოდვა იქნება. მით უფრო, რომ უსაყვარლესმა ფეიღამბერმა და მეომრებმა ხენდეკის ბრძოლის დროს ოთხი ნა-მაზი ვერ ილოცეს, მაგრამ სადამოს მიუხედავად იმისა რომ მეომრები დაჭრილი და დაღლილ-და-ქანცულები იყვნენ, ოთხივე ნამაზი ჯემაეთით ილოცეს. ნამაზების ლოცვის შემდეგ ფეიღამბე-რმა ასე ბრძანა: **"ორი ფარძი ნამაზის ერთდ-როულად შესრულება ცოდვაა"**. (ე.ი ერთი ფარძის მეორე ფარძის მოსვლამდე დაგვიანება და ერთად ლოცვა დიდი ცოდვაა. ყველა ნამაზი თა-ვის დროზე უნდა ვილოცოთ). სხვა ხადისებში ვკითხულობთ: **"ნამაზის გამომტოვებელსა და მისი დროის გასვლის მერე შემსრულებელს, დიდებული ალლაჰი ოთხმოცი ჰუქბეს განმავლობაში ჯოჯოხ-ეთში დატოვებსო"**. ერთი ჰუქბე იმქვეყნის 80 წელიწადის ტოლია, იმქვეყნის ერთი დღე,

ამქვეყნის ათას წელს უდრის. ეს იმის სასჯელი ვინც მხოლოდ ერთი ნამაზი არ ილ-ოცა, სრულიად არ მლოცველის სასჯელი კი დასაფიქრებელია.

ჰაზრეთი ფეიღამბერი ბრძანებს რომ: **“ნამაზი რწმენის საყრდენია, ნამაზის მლოცველი რწმე-ნის გამაძლიერებელია, ნამაზის დამრღვევი კი რწმენის გამანადგურებელი”**. ერთ-ერთ ჰადისში ნაბრძანები: **“წარღვნის დღეს რწმენის შესახებ მიცემული კითხვის მეორე კითხვა ნამაზის შესახებ იქნება”**. მაშინ დიდებუ-ლი ალლაჰი ადა-მიანს უბრძანებს: -ე.ი,ადამიანო! თუ ნა-მაზის ან-გარიშწორებასა და გამოცდას გაივლი, შენ გად-არჩები, სხვა გამოკითხვებსაც გაგიადვილებო.” ხოლო ანქებუთის სურე 45-ე აეთში ალლაჰუ თე-ალა ბრძანებს: **“უნაკლოდ შესრულებული ნამაზი ადამიანს ბოროტი და ბინძური საქ-მეებისგან იცავს”**.

ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა. - **“ადამიანის ალლაჰუ თეალასთან ყველაზე მეტად მი-ახლო-ვების დრო, ნა-მაზის შესრულების დროა”**.

მუსლიმანის ნამაზის დროულად შეუსრულებ-ლობა ორი სახისაა:

1 – ზემოთ აღნიშნული საპატიო მიზეზით ვერ შეს-რულება.

2 – ნამაზის აუცილებლობის ცოდნის მიუხე-დავად სიზარმაცემ გადასძლია.

ფარძი ნამაზის დროის გასვლის შემდეგ და უსაბა-ბოდ გადავადება არამი და დიდი ცოდვაა. ეს ცოდვა შემდეგში ლოცვით არ ეპატიება. ავ-ლილი ნამაზის ლოცვის გვერდით განსაკუთრე-ბით მონანიებაც საჭიროა. ამის შემდეგ პა-ტი-ების იმედი გექნება. თუ ადამიანს აქ საშუალება აანაზღაუროს გავლილი ნამაზები და თუ ამას არ აკეთებს მძიმე ცოდვების ჩამდენი ხდება. ეს ცოდვა ერთი ნამაზი ლოცვის დროის გასვლას-თან ერ-

თად იზრდება. რაგდანაც გავლილი ნა-მაზის პირველი შესაძლებლობისთანავე ანაზღა-ურება ფარძია. გავლილი ნამაზის არაფრად ჩამგდები უსასრულოდ განადგურდე-ბა. (უმდეთ-ულ-ისლამ) და (ჯაი-ულფეთევა) ში ამბობს რომ: (მტრის პირისპირ ყოფნისას თუ ფარძი ნამაზის ლოცვის შესაძლებლობისას არ ლოცვა, შვიდა-სი დიდი ცოდვის ჩადენის ცოდვა მიეცემა). ყაზა ნამაზის გადავადება, დროზე ულოცველობიდან უფრო დიდი ცოდვაა. ერთი გარუნებული ნამაზის, პირველი გარუნებ-ული ნიეთის გაკეთებითა და ლოცვით ეს ცოდვები ეპატიება.

განმარტება (სუნნეთების ადგილზე გავლილი (ყაზა) ილოცება?)

აბდულქადირ ჯეილანი (ფუთუჰ-ულ ღაიბ) წიგნში ამ-ბობს რომ: მუ'მინმა ჯერ ფარძები უნდა შეასრულოს. შემდეგ სუნნეთი. მის შემდეგ ნაფილეები. თუ ფარძები შესასრულებელია მაში სუნნეთების შესრულება ბრიყვული საქციელია, რადგან ვისაც ფარძი გარუნებ-ული აქვს და ყა-ზაც არ აქვს შესრულებული მისი ნალოცი სუნნეთი მიღებული არ იქნება. ალი იბნი ები თალიბი გადმოგვცემს რომ: ჰაზრეთი ფეიღამ-ბერმა (სალ-ლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: **"ვისაც ფარძი ნამაზე-ბი შესასრულებელი აქვს ყაზას შესრულებამდის მისი ნალოცი ნამაზი თყუილად წვალება იქნება, ალ-ლაჰუ თეალა მის ნაფილე ნამაზებს მიღებულად არ ჩათვლის"**. ჰანეფი მეზების ალიმებიდან აბდულქადირ დეჰლევი ბრ-ძანებს რომ. ეს ჰადისი შერიფი ვისაც ფარძის შესას-რულებელი აქვს მათი ნალოცი სუნნეთი და ნაფილე ნა-მაზი მიღებული არ იქნება. ქუდუ-სის მუფტი მუჰამმედ სადიქ ეფფენდი ასე გად-მოგვცემს დიდი ალიმს იბნი ნუ-ცეიმს შეეკ-ითხეს (ყაზაზე დატოვებული ნამაზები დილის შუადღის, იქინდის საღამოს და ღამის, ნამაზის

სუნნეთები, გარუნებულის ნიეთის გაკეთებით რომ ილოცოს ამ დროს სუნნეთები მიტოვებული ითვლება თუ არა? პასუხად. სუნნეთები მიტოვე-ბულად არ ეთვლება, რაგდან ხუთი დროის ნა-მაზის სუნნეთების ლოცვის მიზანი იმ დროს ფარძი ნამაზის გარდა სხვა ნამაზის ლოცვაა. შეითანს ნამაზის ლოცვა საერთოდ არ სურს. ფარძიდან სხვა ნამაზის ლოცვა კი შეითანის სურვილის საწინააღმდეგო იქნება შერცხვენა იქნება. სუნნეთის ადგილზე ყაზის ლოცვით სუნნეთებიც ნალოცი ჩაითვლება. ვისაც ფარძი შესასრულებელი აქვს, სუნნეთის ადგილზე გავლილის ლოცვაა საჭირო. რადგან ვისაც ფარძი ნამაზი შესასრულებელი აქვს და სუნნეთებს ლოცულებს ჯოჯოხეთში წავლენ. მაშინ როდესაც სუნნეთების ადგილზე გავლილი ნამაზის მლოცველი სამოთხეში წავა.

როგორ სრულდება გავლილი ნამაზები?

გავლილი ნამაზი სასწრაფოდ უნდა შე-ვასრულოთ და მოვინანიოთ, რათა დიდი ცოდვე-ბის გამო სასჯელისგან გადავრჩეთ. ამიტომ სუ-ნნეთის ადგილზეც (ყაზა) გავლილი ნამაზები უნდა ვილოცოთ. სიზარმაცით წლებით ნამაზის არ მლოცველებმა, ნამაზის დაწყებისას სუნნე-თის ლოცვისას იმ ნამაზის პირველად გარუნებული ნამაზის სალოცავად ნიეთი უნდა გააკე-თოს. ასე გაკეთება ოთხივე მეზებში საჭიროა. ჰანეფი მეზებში ნამაზის არ ლოცვა (ექბერი ქებაირია) დიდი ცოდვაა. ეს დიდი ცოდვა ერთი ნამაზი რომ ილოცება იმდენი დროის გასვლის შემდეგ ცოდვა უფრო ემატება. რადგან თავისუ-ფალ დროს გავლილი ნამაზების მაშინვე შეს-რულება ფარძია. შუადღის ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის ლოცვისას ყველაზე პი-რველი გარუნებული შუადღის ნიეთი უნდა გა-აკეთოს, ბოლო ორი მუხლის ლოცვისას პირვე-ლად გარუნებული დილის ნამაზის,

იქინდის ოთხი მუხლი სუნნეთის ლოცვისას პირველად გარუნებული იქინდის, საღამოს ნამაზის სუნ-ნეთისას, პირველი გავლილი საღამოს ნამაზის, ღამის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის ლოც-ვისას, პირველად გარუნებ-ული ღამის ფარძის, ბოლო სუნნეთის ლოცვისას პირვე-ლად გარუნე-ბული ვითრის ნიეთი უნდა გააკეთოს და ისე უნდა ილოცოს. გარდა ამისაც თავისუფალ დრ-ოს გავლილი ნამაზები უნდა შესრულდეს. თე-რავი ნამაზის ლოცვისას გავლილი ნამაზები უნდა ილოცოს. ყაზა ნა-მაზების დამთავრების შემდეგ სუნნეთების და ნაფილე ნამაზის ლო-ცვა უნდა დაიწყოს.

მეექვსე ნაწილი
ვინც ნამაზს არ ლოცულობს

ჰაზრეთი ებუ ბექირმა ბრძანა: "დღეში ხუთ-ჯერ ნამაზის დროს მელეიქები ასე ამბობენ: (ეი, ადამიანთა მოდგმავ! წამოდექით! და თქვენს დასაწვავად გამზადებული კოცონი ნამაზის ლოც-ვით ჩააქრეთო)!" ერთ-ერთ ხადისში ფეი-ღამბერი ბრძანებს: **"მუსლიმანის ურწმუნოსგან განმასხვა-ვებელი ქცევა ნამაზის ლოცვაა,"** ე.ი მუსლიმანი ნამაზს ლოცულობს, ურწმუნო კი – არა, ხოლო მუნაფიყი (ორპირი) ზოგჯერ ლოცულობს, ზოგ-ჯერ – არა. მუნააფიყები ჯოჯოხეთში დიდ ტან-ჯვას გამოივლიან. ერთერთ ხადისში ვკითხულ-ობთ: **"ვინც ნამაზს არ ლოცულობს წარღვნის დღეს დიდებულ ალლაჰს განრისხებულს ნახა-ვს!"**

ჰადისის ალიმები (ბრძენები) ერთსულოვნად აცხადებენ, რომ (ნამაზის დროულად ვერ შემ-სრულებელი და ამის არაფრად ჩამგდები ურ-წმუნო გახდება) ან ურწმონუდ მოკვდება. და წა-რმოიდგინეთ რა მოუვა მათ ვინც ნამაზის ლო-ცვას თავის მოვალეობადაც კი არ თვლის? მას ვინც სიკვდილისას ურწმუნოდ კვდება?. ეჰლი სუნნეთის სწავლულები ერთხმად აბობენ რომ იბადეთები რწმენის ნაწილი არ არის. მარტო ნამაზის შესახებ ბრძენები რამდენიმე განსხვა-ვებულ აზრს გამოთქვამენ; მათ შორის ზოგიერ-თების **იმამი აჰმედ ბინ ჰან-ბელი, აბდულლაჰ იბნი მუბარექ, იბრაჰიმ ნეჰაი, ზუბეირ ბინ ჰარბ, ისჰაქ იბნი რაჰვეიჰ, ებუ ბექრ იბნი შეიბე, ეუბ საჰთიანი, ჰაქემ ბინ უთეიბე, დავუდ თაი** -ს აზრით, ნამაზის შეგნებულად დაუცველობა დი-დი ცოდვაა და ქაფირობის ნიშანია. მაშინ შენ, მორწმუნე ძმაო, არასოდეს არ მოდუნდე, არ იზარმაცო და ნამაზი არ გამოტოვო. შიყვარულ-ით ილოცე ნამაზი! რადგანაც დიდებული ალ-ლაჰი ყველა თქვენგანს ჯილდოსა და სასჯელს საკუთარი ქცევების მიხედვით მოგცეს რას გააკეთებ?

ჰანბელი მეზების მიხედვით ის, ვინც ნამაზს ყოველ-გვარი მიზეზის გარეშე არ ილოცავს, ურწმუნო გახდე-ბა: სიკვდილის შემდეგ არ დაი-ბანება, სუდარაში არ შეიხვევა და მისი ნამაზი არ ილოცება. მუსლიმანთა სასაფლაოზე არ და-იმარხება,სადღაც მთაზე ერთ თხრილში ჩა-აგდებენ და საფლავის ადგილი სამუდამოდ გა-ურკვეველი დარჩება.

ნამაზის არ მლოცველი შაფი მეზების მიხე-დვით მურთედი არ ხდება მარგამ სასჯელი სიკ-ვდილია. მალიქი მეზების მიხედვით ნამაზის არ მლოცველის კანონები და შაფი მეზების მსგა-ვსია.

ჰანეფი მეზების მიხედვით, ნამაზის დაწ-ყებამდის ციხ-ეში ჩაიგდება ან სისხლის გამოდ-ენამდის იცემება.

ვინც ხუთ რამეს არ გააკეთებს, ხუთ რამეს ვერ ელირსება:

1 – ვინც ქონების ზექათს არ გასცემს, ქონე-ბის სიკეთეს და სარგებლობას ვერ ელირსება.

2 – ვინც მოსავლის ზექათს (ოშურს) არ გას-ცემს, მოგებისას ხვავსა და ბარაქას ვერ ელირ-სება.

3 – ვინც მოწყალებას (სადაყას) არ გასცემს, იმისი სხეული ჯანმრთელობას ვერ ელირსება.

4 – ვინც ალლაჰუ თეალას არ შეევედრება, საწადელის მიღწევას ვერ ელისება.

5 – ვინც ნამაზის დროის მოსვლისას მის შე-სრულე-ბას არ მოინდომებს, სიკვდილისას ქელი-მეი შეჰადეთის თქმას ვერ ელირსება.

ჰაზრეთი ფეიღამბერი ბრძანებს:

“ნამაზის უმიზეზოდ უგულებელყოფელს დიდებული ალლაჰი თხუთმეტ სატანჯველს დაუწესებს. ამათგან ექვსს ამქვეყნად, სამს სიკ-ვდილის დროს, სამს

საფლავში, და სამსაც წა-რღვნის დღეს, საფლავიდან წამოდგომის დროს გამოსცდისო”.

ამქვეყნად განსაცდელი ექვსი ტანჯვა:

1 – ვინც ნამაზს არ ასრულებს ცხოვრებაში ხვავსა და ბარაქას ვერ ნახავს.

2 – სახეზე არასოდეს ექნება ის სილამაზე და მომხიბვლელობა, რომელიც ალლაჰის რჩე-ულ ადამიანებს აქვთ.

3 – მას არანაირი სიკეთის სამაგიეროდ მად-ლი არ დაეწერება.

4 – მისი ლოცვები (დუები) არ შეის-მინება.

5 – იგი არავის არ ეყვარება.

6 – სხვა მუსლიმების კეთილი ლოცვები მას სიკეთესა და სარგებლიანობას არ მოუტანს.

სიკვდილის დროს განსაცდელი სამი ტანჯვა:

1 – საშინლად, ცუდად, წვალებით და მტკი-ვნეულად მოკვდება.

2 – მშიერი მოკვდება.

3 – ძალიან ბევრი წყალიც რომ დალოს მაინც მწყურვალი და დატანჯული მოკვდება.

საფლავში განსაცდელი სამი ტანჯვა:

1 – საფლავი მისთვის ვიწრო იქნება, მოუჭერს და ძვლები სივიწროვისაგან ერთმანეთში გადა-იხლართება.

2 – საფლავი ცეცხლით აივსება და დღე-ღა-მის განმავლობაში მუდმივად დაწვავს.

3 – ალლაჰუ თეალა მის საფლავში ძალიან დიდ გველს გააგზავნის. იგი ჩვეულებრივი ამქვ-ეყნიური გველებისნაირი არ იქნება. გველი ყო-ველ დღეს და ყველა ნამაზის დროის მოსვ-ლისას მას უკბენს, წამითაც არ მოასვენებს.

საფლავიდან წამოდგომისას განსაცდელი სამი ტანჯვა:

1 – მას ჯოჯოხეთისაკენ გამქაჩავი ჯოჯოხეთის მელეიქები არასოდეს მო-ასვენებენ.

2 – ალლაჰუ თეალას განრისხებულს იხილავს.

3 – ანგარიშსწორება სასტიკი იქნება, ჯოჯოხეთში ჩააგდებენ.

ნამაზის მლოცველთა მიღებული სარგებლობანი

არსებობს მრავალი ჰადისი შერიფი, სადაც მოთხრობილია ნამაზის ლოცვის მადლისა და სარგებლობის შესახებ. აბდულჰაქ ბინ სეიფუდ-დინ დეჰლევის **(ეში-ათ-ულ-ლემეათ)** წიგნში ჰადისებს გვამცნობს:

1 – ებუ ჰურეიერე (რადიელლაჰუან) გადმოგ-ვცემს ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა: **"ხუთი დრ-ოის ნამაზი და ჯუმა ნამაზი მომავალ პარასკევამდე, ხოლო რამაზნის მარხვა მომავალ რამაზნის მარხვამდე ყველა ცოდვებს გამო-ისყიდის და დიდი ცოდვებისგან შორს მდგომ ადამიანების პატარა ცოდვების მიტევების საბაბი გახდება."** პატარა ცოდვების მიტევების შემ-დეგ, მათ პატრონებს დიდი ცოდვებიც თუ გააჩ-ნიათ, იმათ სამაგიეროდ დაწესებული ტანჯვა და სასჯელი შეუმსუბუქდებათ, დიდი ცოდვების მიტევებისათვის მონანიებაც საჭიროა. თუ დიდი ცოდვები არ გააჩნია, მაშინ წოდება აუმაღლდე-ბა, ხოლო მათ, ვისაც ხუთი დროის ნამაზებში ნაკლოვანებები აქვთ ჯუმა ნამაზის ლოცვის სა-მაგიეროდ მიეტევებათ, თუ ჯუმა ნამაზიც ნაკ-ლოვანია, მაშინ რამაზნის მარხვის სამაგიეროდ მიეტევებათ. პატარა ცოდვების პატიებით დიდ ცოდვების შემსუბუქების საბაბი გახდებიან დი-დი ცოდვების საპატიებლად თევბეს გაკეთება-ცაა საჭირო ეს ჰადისი შერიფი, (მუსლიმ)-შიც არის დაწერილი.

2 – აბდულლაჰ იბნი მესუდი ამბობს: ფეიღამ-ბერს შევეკითხე, რომელია დიდებული ალლაჰის ყველაზე საყ-ვარელი საქმე? ასე მიპასუხა: **"დრო-ულად ნამაზის ლოც-ვა"**. ამის მერე კი ალლაჰის ყველაზე საყვარელი საქმე დედ-მამის სიყვარული და პატივისცემაა, ამის მერე ალ-ლაჰის გზა-ზე ბრძოლა (ჯიჰადი).

ისლამის დასაწყის პერიოდში ყველაზე რჩე-ული საქმე ჯიჰადი იყო. ხლანდელ დროში კი ენითა და კალმით ურწმუნოთა და ცოდვილთა წინააღმდეგ ბრძოლა ითვლება. ასეთი სახის ჯიჰადის მოქმედთ საქმით, ფულით, სიტყვით ან ქონებით ხელის შემწყობნიც ასე-თივე მადლს და სიკეთეს მიიღებენ. აეთი და ჰადისები გვიჩვენე-ბენ, რომ ნამაზი ზექათზე და მოწყალების გა-ცემაზე უფრო ფასეულია.

3 – დღეში ხუთჯერ ნამაზის ლოცვა დიდე-ბული ალ-ლაჰის ბრძანებაა. ვინც საფუძვლიანი აბდესის მერე ნა-მაზს დროულად წესების და-ცვით ილოცავს, იმას ალ-ლაჰუ თეალა პატი-ებასა და შეწყალებას ჰპირდება. ვინც ასე არ იქცევა მათ არაფერს არ ჰპირდება, თუ უნდა აპ-ატიებს, თუ არა ტანჯვაწამებას არ გამოულევს."

აშკარად ვხედავთ, რომ ნამაზის პირობების და წე-სების კარგად დაცვა აუცილებელია. იდე-ბული ალლაჰი თავისი სიტყვიდან არასოდეს არ გადაუხვევს და ნამაზის დროულად მლოცველ-ებს ცოდვებს მიუტევებს.

4 – "თქვენსა და ჩემს შორის დამაკავში-რებელი ხიდი ნამაზია, ნამაზის მიმტოვებელი ურწმუნო გახდება." ე.ი. ჩანს, რომ ნამაზის მლ-ოცველი მუსლიმანი არის, ხოლო ვინც ნამაზს უპირველეს მოვალეობად არ თვლის ურ-წმუნოა.

5 – ებუ ზერი გადმოგვცემს: ერთხელ, შემოდ-გომისას ჰაზრეთი ფეიღამბერთან ერთად ქუჩაში გავედით, ფო-თოლცვენა იყო. ფეიღამბერმა ხის ორი ტოტი მოტეხა და ტოტებს უმალვე ფოთ-ლები დასცვივდა, მაშინ ფეიღამბერმა ბრძანა: **"ეი, ებუ ზერ! როგორც ამ**

ტოტებს ფოთლები დასცვივდა, ისევე ალლაჰის ხათრისთვის ნამაზის მლოცველ მუს-ლიმანსაც ცოდვები დასცვი-ვდება.”

როდესაც მუსლიმანი რიდითა და კრძალვით ასრულებს ნამაზს, მას ცოდვები მიეტევება. ე.ი. დიდებული ალლაჰი მას ყველა პატარა ცოდვებს მიუტევებს.”

ნამაზის შემსრულებელი წარღვნის დღეს ნათ-ლით მოსილი იქნება და აქედან გამომდინარე ჯოჯოხეთის ტანჯვას გადაურჩება. თუ ადამიანი ნამაზს არ ილოცავს ნათელი და სიკეთე არ მი-ეკარება და სიმშვიდეს ვერ მოიპოვებს, პირიქით, მისი ადგილი ქარუნთან, ფირავუნთან, ჰამანთან, უბეი ბინ ჰალეფთან და სხვა ურწმუნოებთან ერთად იქნება.

ვხედავთ, რომ ნამაზის ლოცვა სამუდამო ნა-თელს მოიყოლებს თან და თუ ნამაზის ლოცვას შევწყვეტთ ცოდვილთა გვერდით აღმოვჩნდებით, ე.ი. ჯოჯოხეთში დავიტანჯებით. ისლამის ბრძე-ნები იბადეთებს შორის მხოლოდ ნამაზის მი-ტოვებას მიიჩნევენ ურწმუნოდ გახდომის საფას-ურად.

6 – საჰაბე ებუ დერდა გადმოგვცემს: ფეიღამ-ბერმა ასე მითხრა: **“ცეცხლში რომ იწვოდე, და რომც დაგგლიჯონ კიდეც, არასოდეს ალლაჰი არ უარყო და არაფერს შეადარო! ფარძი ნა-მაზები არ მიატოვო, თორემ მუსლიმანობას დაკარგავ. ალკოჰოლი არ დალიო, რადგან ალკოჰოლი ყველა მავნებლობის გასაღებია.”**

ვხედავთ, რომ ნამაზის ულოცველი ურწმუნო ხდება, და თუ სიზარმაცის გამო მიატოვებს მძი-მე ცოდვილი ხდება. ყველა ალკოჰოლურ სასმე-ლს გონების დაკარგვამდე მივყავართ და უგუნუ-რი კაციც ყველა ბოროტების ჩამდენია.

7 – აბდულლაჰ იბნ მესუდ რადიალლაჰუ ანჰ ბრძანებს რომ, ალლაჰუ თეალას ყველაზე საყ-ვარელი საქმე რომელია რესულულლაჰ ვკითხე. **“დროულად ნალოცი ნამაზი”** ბრძანა. ზოგიერთ ჰადისი შერიფში კი

“ზუსტად დროის დაწყე-ბისას ნალოცი ნამაზი ყველაზე მეტად უყვარს” უბრძანებია. მის გარდა რომელი უყვარს ვკითხე. **“დედ-მამაზე კარგად მოქცევა”** ბრძანა. ამის გარდა რო-მელია ყველაზე საყვარელი ვკითხე. **“ალლაჰის გზაზე ჯიჰადის ბრძოლის გაკეთება”** ბრძა-ნა. ეს ჰადისი შერიფი ორივე სწორ ჰადისების წიგნში ბუჰარსა და მუს-ლიმშია დაწერი-ლი. სხვა ჰადისი შერიფში **“საქმეებიდან ყველა-ზე საუკეთესო, საჭმლის გაცეა”**. კიდევ სხვა ჰადისში, **“მისალმება”**. ასევე კიდევ სხვა ჰადისში, **“ღამით ყველას ძილის დროს ნამაზის ლოცა”** ბრძანა. სხვა ჰადისში “ყველაზე საუკეთესო საქმე, ხელიდან და ენი-დან ვინმეს შეუწუხებლობაა”.

8 – ერთ ჰადისი შერიფშიც, “ყველაზე საუკე-თესო საქმე, ჯიჰადია”. სხვა ჰადისი შერიფში, **“ყველაზე საუკეთესო საქმე, ჰაჯობის გაკე-თებაა”**. ანუ არანაირი ცოდვის ჩადენით გაკეთე-ბული ჰაჯობაა ბრძანებდა. (ალ-ლაჰუ თეღალაზე ზიქრის გაკეთებაა) და (ყოველსვის გასაკეთებე-ლი საქმეა) ჰადისიშერიფებში გვხდება. კითხვის დამსმელების მდგომარეობების შესაბამისად, სხ-ვადასხვა პასუხი გაუცემია. თუნდაც დროის მიხ-ედვით პასუხი გაუცემია. მაგალითად, ისლამის დასაწყისში, საქმეების ყველაზე საუკეთესო ჯიჰადი იყო. დღეს-დღეისობით, საქმეებიდან ყველა-ზე საუკეთესო, წერილო-ბით, სიტყვიერად, ქააფი-რებზე, არასწორი ითიადის მქონეებზე პასუხის გაცემა, ჯჰლი სუნნეთის და მისი წეს-დებულების გავრცელებაა. ამდაგვარი ჯიჰადის შემ-სრულებ-ლებზე, ფულით, ქონებით, სხეულით, დამხმარე-ები ამ მადლის მეწილეები გახდებიან. აიათი ქე-რიმე-ბი, და ჰადისი შერიფები, ნამაზს, ზექათი-დან და სადაყი-დან უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი რომ არის გვაჩვენებს. მაგრამ, სასიკ-ვდილო მდგომარეობაში მყოფს რაიმეს მიცემით თუ გადვარჩენთ ეს ნამაზის ლოცვაზე უფრო ძვირფასი იქნება. აქედან გამომდინარე, სხვადა-სხვა მდგომარეობებში, სხვადასხვა პირობებში, სხ-ვადასხვა რამეები უფრო ძვირფასი ხდება.

9 – უბადე ბინ სამით რადიელლაჰუ ანჰ გვამ-ცნობს, რომ. ალლაჰუ თეალას რესული ბრძა-ნებდა, რომ **“ალ-ლაჰუ თეალამ ხუთი დროული ნამაზის ლოცვა ბრძანა. ვინმემ, ლამაზად აბდესის აღებით, ნამაზები დროულად თუ ილოცა და რუქუღები, ყველა მოძრაობები ზუსტად შეასრულა, ალლაჰუ თეალას, მისი პატიებისთვის სიტყვა აქვს მიცემული. ვინც ამათ არ ასრულებს მათთვის სიტყვა არ მიუცია. ეს თუ მოინდომა აპატიებს. თუ მოინდომა სას-ჯელს მისცემს”**. ეს ჰადისი შერიფი იმამი აჰმედ, ებუ დავუდ და ნისააიი-ში არის ნაცნო-ბები. აქედან იკვეთება რომ, ნამაზის პირობებზე, რუქუღებზე და სეჯდეებზე ყურადღების გამახვილება საჭი-რო. ალ-ლაჰუ თეალა სიტყვიდან არ დაბრუნდება. სწორად ნა-მაზის მლოცავთ აუცილებლად აპატიებს.

10 – ესჰაბი ქირამიდან ცნობილი ბურეიდე ესლემი რადიელლაჰუ ანჰ გვამცნობს. ჰაზრეთი ფეიღამბერი ბრძანებდა რომ, **“თქვენში ყველაზე უპირვე-ლესი რამ ნამაზია. ნამაზის მიმტოვებელი ქააფირი გახდება”**. იკვეთება რომ, ნამაზის მლოცავი მუსლიმანობას გამოხ-ატავს. ნამაზზე ყურადღების გაუმახვილებელი, ნამაზი პირველი შესასრულებელი რამ, არ აღიარებს და ამის გა-მო ნამაზს არ ილოცავს ქააფირი გახდება. ეს ჰადისი შერიფი, იმამი აჰმედ, ტირმიზი, ნესაი და იბნი მაჯე წიგნებშია ნაცნობები.

11 – ზეიდ ბინ ჰაალიდ ცუჰენიი გვამცნობს. ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა რომ, **“მუს-ლიმანმა, სწორად და გულდასმით ორი მუხლი ნამაზი რომ ილო-ცოს, ჩადე-ნილი ცოდვები ეპატიება”**. ანუ ალლაჰუ თეალა, მის პატარა ცოდვებს ყველას აპატიებს. ამ ჰად-ისი შერიფს იმამი აჰმედი გადმოგვცემს.

12 – აბდულლაჰ ბინ ამირ-ბინ აას გვაცნო-ბებს. ალ-ლაჰის რესული ბრძანებდა რომ, “ერთი ვინმე, ნამაზის ედას თუ გააკეთებს, ეს ნამაზი აღსასრულის დღეს სინა-თლეს და დამცველობას გაუწევს ასევე ჯოჯოხეთიდან გა-დარჩენის საბ-აბი გახდება. ნამაზს თუ არ დაიცავს,

სინათლე და დამცველობა არ ექნება. ქარუნთან, ფარაონ-თან, ჰაამაანთან და უბეი ბინ ჰალეფთან ერთად იქნება". ვხედავთ რომ, ერთი ვინმემ, ნამაზი ფა-რძების, ვააჯიბების, სუნნეთების და წესების შე-საბამისად თუ ილოცავს, ეს ნამაზი აღსასრუ-ლის დღეს სინათლეში ყოფნისთვის საბაბი გაუხდება. ასეთნაირად ნამაზის ლოცვას თუ არ გააგრძელებს, აღსასრულის დღეს ჩამოთვლილი ქაფირების სახელების ერთად იქნება. ანუ ჯო-ჯოხეთში საშინელ წვალებას გაივლის.

13 – ებუდერდა რადიელლაჰუ ანჰ ამბობს რომ, უზომოდ საყვარელმა მე მითხრა რომ, "ნა-წილ ნაწილად რო დანაწევრდე, ცეცხლში რომ დაიწვა კიდეც, ალლაჰუ თეალას საწინააღმდეგო არასდროს არაფერი გააკეთო! ფარძი ნამაზები არ მიატოვო! ფარძ ნამაზები განგებ მიმ-ტოვე-ბელი, მუსლიმანობიდან გავა. ალკოჰოლური სა-სმელი არ დალიო, ყველანაირი ცუდი საქმეების გასაღებია". ეს ჰადისი შერიფი იბნ მაჯე გვამ-ცნობს. ვხე-დავთ რომ, ფარძი ნამაზების მიმტ-ოვებელი, ქაფირი გახდება. სიზარმაცით ნამა-ზის მიმტოვებელი ქააფირი არა მაგრამ დიდი ცოდ-ვიანი გახდება. ღვინო და ალკო-ჰოლური სასმე-ლები ყველა ტვინს შლის და ადამიანი მდგომა-რეობიდან გამოყავს. ტვინის არ მქონე, ყველა-ნაირ ცუდ საქმეს ჩაიდენს.

14 – აბდულლაჰ იბნი ომერ რადიელლაჰუ ანჰ გვამ-ცნობს ალლაჰის რესულმა ბრძანანა რომ, "ნამაზების დროის მოსვლისთანავე მლოცველე-ბიდან ალლაჰუ თეალა კმაყოფილი გახდება. რ-ოის ბოლოსკენ მლოცველებსაც აპატიებს". ეს ჰადისი შერიფი ტირმიზ-მა გვამცნო.

15 – უმმი ფერვე რადიელლაჰუ ანჰა გვა-მცნობს. ყვე-ლაზე კარგი საქმე რომელია უკით-ხავთ., ჰაზრეთი ფეიღამბერმა ბრძანა **"საქ-მეებიდ-ან საუკეთესო, დროის მოსვლისთანავე ნალოცი ნამაზია"** ბრძანებდა. ეს ჰადისი შერიფი, იმამი აჰმედ, ტირმიზი და ებუ დავუდ გვამც-ნობენ. ნამაზი მსახურებების ყველაზე მაღლა მდგომია.

დროის მოსვლის თანავე ლოცვისას უფრო მაღალი ხდე-ბა.

16 – ჰაზრეთი აიშე (რადიელლაჰუანჰა) ბრძა-ნებს რომ, ფეიღამბრის დროის მიწურულს ნა-ლოცი ნამაზი მხ-ოლოდ ორჯერ ვნახე". ანუ მთელი სიცოცხლის მანძილზე, მხოლოდ ორჯერ დროის მიწურულს ნამაზი ულოცია.

17 – ჰაზრეთი აიშე ფეიღამბრის ნაფილე იბ-ადეთე-ბიდან ყველაზე მეტად ანუ უწყვეტლივ შე-სრულებული მსახურება საბაჰნამაზის სუნნეთი იყო ეს ჰადისი ბუჰარ-შიც და მუსლიმშიც არის დაწერილი. ვხედავთ, რომ ჰაზრეთი აიშე ხუთი დროული ნამაზის ერთად ნალოცი სუნნეთ ნა-მაზებზე, ნაფილე ნამაზს უწოდებს.

დიდი ისლამის სწავლული, ალლაჰის ადამი-ანების წინამძღოლი, ცოდვილებს, უმეზეოების საწინააღმდეგოდ ეჰლი სუნნეთის ყველაზე მნიშ-ვნელოვანი, ალლაჰუ თეალას შერჩეული რელი-გიის გამვრცელებელი, იმამი რაბბანი მუჯედ-დიდი ელფ-ი საანიი აჰმედ ბინ აბდულ-ეჰად ფა-არუუკი სერჰენდი "რაჰმეთულლაჰი ალეიჰ", ის-ლამის რწმენაში მსგავსის არ დამწერი, (მექთუუბათ) წიგნის პირველ ტომში, ოცდამეცხრე წე-რილში ამობს რომ:

ალლაჰუ თეღალას მოწონებული საქმეები, ფა-რძები და ნაფილეებია. ფარძების გვერდით ნა-აფილეებს არ-ავითარი ფასი არა აქვს. ერთი ფა-რძის დროულად შეს-რულება, ათასი წელი გაუ-ჩერებლივ ნაფილე ნამაზის ლოცვაზე მნიშვნე-ლოვანია. ყველა სახის ნაფილე ასე-თია, მაგა-ლითად ნამაზი, ზექათი, მარხვა სულ ასეა. ასევე ერთი ფარძის შესრულებისას, მისი სუნ-ნეთებიდან ერთი სუნნეთი და წესებიდან ერთი წესის გაკეთებაც, სხვა ნაფილეების გაკეთება-ზეც სართულ სართულ უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ჰაზრეთი ომერი ერთ დღეს საბაჰ ნამაზის ლოცვინებისას, ჯგუფში ერთ-ერთის შე-უმჩნევლობის გამო საბაბი მოიკითხა, ის ყოვ-

ელ ღამე ნაფილე ნამაზებს ლოცულობს. შესაძლე-ბელია ძინავდეს და მაგის გამო ვერ მოვიდა უთ-ხრეს. (მთელი ღამე ეძინა და საბაჰ (დილის) ნა-მაზი ჯემაეთით ერთად ელოცა, უფრო კარგი იქნებოდა) უბრძანებია. ვხედავთ რომ ერთი ფარ-ძის შესრულებისას, წესებიდან ერთი წესის გა-კეთება და ერთი მექრუფიდან მორიდება, ზიქ-რიდან უფრო ძვირფასია.

ხოდა, იმ კარგი საქმეების გაკეთებით და მექრუფებიდან მორიდების ერთად რომ გაკეთდეს, რათქმაუნდა უფრო სარგებლიანი იქნება. მაგრამ მათ გარეშე თუ გაკეთდება, მნიშვნელობა არ ექ-ნება. ამის გამო, ერთი ლარი ზექათის მიცემა, ათასობით ლარის ნაფილე სადაყის მიცემაზე უფრო უკეთესია. იმ ერთი ლარის მიცემისას ერ-თი თავაზიანობის გათვალისწინებით, მაგალი-თად, ახლო ნათესავზე მიცემაც იმ ნაფილე სა-დაყიდან უფრო კარგი იქნება. იმამი რაბბანი, 1034 /მ. 1624/ წელში, ინდოეთში, ქალაქ სერ-ჰენდში გარდაიცვალა.

ნამაზის ჭეშმარიტება

ისლამის დიდ ალიმი (ბრძენთმთავართაგან) აბდულლაჰ დეჰლევი თავის ნაშრომში **(მექათ-იბ-I შერიფე)** წიგნის 85-თე წერილში ასე წერს:

ნამაზის ჯემაეთით ლოცვა, და რუქუღის გას-წორება, ორ სეჯდეს შორის დაჯდომა ჩვენ ალ-ლაჰის რესულებმა გვამცნობეს. ყველაფერს თა-ვისი ფუნქცია აქვს: რუქუღს, ფეხზე დოგმას, სე-ჯდეს, წამოდგომას, დაჯდომას და სხვა. ამათი კარგად და ფაქიზად შესრულებაა საჭირო. ყვე-ლაფერს ნამაზი მოიცავს: ყურანი ქერიმის წაკი-თხვას, მისალმებას, ცოდვების მონანიებას და ყველა სათხოვარის დიდი ალლაჰისათვის შევე-დრებას. ხეები და ბალახები როგორც ნამაზის მლოცველები წელში გამართულნი დგანან, ცხო-ველებიც რუქუღს მდ-

გომარეობაში, და უსულ-ოები თითქოს ეთთეჰიათზზე ზიან ისე განლა-გებულან. ნამაზის ლოცვა მირაჯის ღამეს ფარძი გახდა. ნამაზის დამცველი რჩეულ ფეიღამბე-რებს და თვითონ ყოვლისშემზლე ალლაჰს უახ-ლოვდება, ემორჩილება რა მათ ბრძანებებს. ალ-ლაჰ-მა დააწესა რა ნამაზის შესრულება, მუსლი-მანებისათვის დიდი მოწყალება გაიღო. ამიტო-მაც მრავალი მადლო-ბა და დიდება ალლაჰს. ჩვ-ენ ყოველთვის მივესალმებით ალლაჰის საყვა-რელ ფეიღამბერებს და გვწამს მათი. ნა-მაზის ლოცვისას საოცარ სიმშვიდესა და სიმყუდრო-ვეს მოვიპოვებთ ხოლმე.

ნამაზის ლოცვისას, მართალია ალლაჰის და-ნახვა შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია ვი-ლოცოთ ისე თითქოს მას ვხედავდეთ, ამბობს ერთერთი ალიმი. ამ აზრის საუკეთესოობაში ყველა ისლამის ალიმები ერთსულოვანნი არიან. ბაყარას სურაში ასეა ნაბრძანები: **"დიდებული ალლაჰი ლოცვებს და ღვთისმსახურებას არ დაგიკარგავთ!"** გვატობინებს, რომ არცერთი ნა-მაზი წყალში არ იყრება. აქედან გამომდინარე ნამაზის არას-წორად ლოცვა ღვთისმსახურების წაყლში ჩაყრის ტოლფასია. ჰაზრეთი ფეიღამბერიც ასე ბრძანებ-და: **"ორივე თვალის სინათლე და გემო ნამაზშიაო."** აქედან სხვა აზრიც გამოდის: ყოვლისშემძლე ალლაჰი თავის უდიდე-ბულესობის მადლსა და ნათელს ნამაზში ურე-ვს და ჩვენი სული და თვალებიც შვებასა და ბედნიერე-ბას შეიგრძნობს. ვინც ნამაზის გარდა სხვა რამეში ეძიე-ბა შვებას და ბედნიერებას ის უგუნურია და ჭეშმარი-ტი მორწმუნე არ არის, რადგანაც ნამა-ზის გამო-ტოვებით, იგი ყველა სხ-ვა ღვთისმსახურებას უმ-ნიშვნელოდ და ტყუილ-უბრალოდ აქცევს.

უპირატესობანი ნამაზის შესრულებისას

იმამი რაბბანი წიგნში "მექთუბათი" პირველი ტომის 261-ე წერილში ასე ეწერს:

"აუცილებელია იცოდეთ, რომ ნამაზის ლოცვა ის-ლამის ხუთი პირობიდან მეორეა. ნამაზი ყვე-ლაფერს ერ-თად შეიცავს და ის-ლამის ერთი მე-ხუთედიც რომ იყოს, უკვე მუსლიმანობისათვის საკმარისია. ნამაზი არის ყვე-ლაზე ჭეშმარიტი იმ საქმეებიდან, რომლებიც ადამიანებს ალლაჰთან აახლოვებენ და სამოთხეში მოსახვედრად ერთ-ერთი ძლიერი წინაპირობაა. ჰადისში ვკითხულ-ობთ: **"ნამაზი მუსლიმანების მირაჯია!"** ასევე: **"ადამიანი ალ-ლაჰუ თეალასთან ყველაზე მიახ-ლოვებული ნამაზის ლოცვის დროს არისო!"** საერთო წარმატებებსა და გამარჯვებებში ნამაზის ლოცვისას ადამიანები ბევრი ალლაჰისეუ-ლი რამის ხილვას შეძლებენ ხოლმე. ნა-მაზის ლოცვა რომ არ დაწესებული-ყო, ადამიანები ჭე-შმარიტ და მშვენიერ მიზნებს როგორ მიაგნებდნენ? სიყ-ვარულსა და სიკეთეს როგორ ისწავ-ლიდნენ? ნამაზი დარდიან სულებს შვებას ჰგვ-რის, ავადმყოფობების განკურნებას ხელს უწყო-ბს. გულის მკურნალი ნამაზია. ჰაზრეთი ფეიღამ-ბრის სიტყვები: **"ნამაზი გულის სიხარული და თვალის ჩინიაო"** რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონეა. სათავეც ყველაფრისა რაც ხდე-ბა და მოხდება დიდებული ალლაჰის ნებაა, ნამაზი კი მისი ბრძანებაა. ამქვეყნიური სიამოვნებები უმნი-შვნელო და უაზრო რჩება ნამაზის დიდებულე-ბის გვერდით. მნიშვნელოვანი საიქიოში მოხ-ვედ-რის შემდეგაც მადლისა და სიკეთის დამსახურ-ებაა. ჭეშმარიტად ღირე-ბულ ბედნიერებისა და შვებას იქ მოიპოვებთ. რადგანაც ბევრი ამქვეყნი-ური ღირებულება საიქიოში გადაფასდე-ბა და ჭეშმარიტად ფასეულიც იმქვეყნად ირკვევა. საიქიოშიც მოსვენებისათვის მირაჯი საჭიროა და მუს-ლიმანებისათვის ეს მირაჯი ნამაზის ლოც-ვაა. რადგან

ფეიღამბერმა (სალლაჰუ ალეიჰი ვე-სელლემ) ბრძანა: “მი-რაჯის ღამე ამქვეყნიდან წავიდა, საიქიოს მოხვდა სამოთხეში, მთლიანი ბედნიერებითა და ჭეშმარიტი შვებით იქ დამკ-ვიდრდა. ო, დიდებულო ალლაჰ! შენ ნება მოგ-ვე-ცი და შეგვაძლებინე მოვიმოქმედოთ მირაჯის საკადრისი საქველმოქმედო და ღირებული საქ-მეები. ყველა ფეიღამბრებს მადლი და სიკეთე არ მოაკლო, რადგანაც ისინი შენი რჩეულები არიან და შენი ბრძანებების სწორად შესრულე-ბაში ჭეშმარიტ გზას გვიჩვენებენ.

ყველამ, შეცდომით გზას მიჰყვება ეს გზა შეგნებუ-ლად როდი აირჩია, მათ უბრალოდ არ გააჩნდათ სწორი აზრი და ინფორმაცია ნამაზის ჭეშმარიტი მადლისა და უპირატესობების შესა-ხებ და ამიტომაც ბედნიერებას სხვა რამეებში ეძებდნენ. სხვა მიზნებისაკენ ისწრაფოდ-ნენ, თა-ნაც ნამაზის ამ მიზნებისაკენ მიმყვან გზად არც მიიჩნევდნენ. ზოგმაც ნამაზის ღირებულება და შვება მუსიკაში, თრობაში, საკუთარი თავისა და გონების დაკარგვაში ეძება. მიზანი ლამაზი ფა-რდების მიღმა, მუსიკისა და გართობის მიღმა ეძება. ცეკვასა და მხი-არულებას მიჰყვა, მაშინ როდესაც ყოვლისშემძლე ალ-ლაჰმა ბრძანა: **“არ-ამ საქმეში ხსნა და შვება არ ეძე-ბო-თო!”** დიახ, გამოუცდელი მოცურავე დახრჩობას რომ გადა-ურჩეს, ყველანაირ ფესვსა და ბალახს მოე-ბღაუჭება, ხანაც რაიმეს მეტისმეტი გა-ტაცებით ყრუ-ვდე-ბა და ბრმავდება. ამათ ნამა-ზის რაიმე მად-ლიც რომ სცხებოდეთ, ამ მავნე-ბელ საქმეებს, ხელს არ მიაკარებდ-ნენ, გემოს არ გაუსინჯავდნ-ენ და ფიქრშიც კი არ გაი-ვლებდნენ.

ალლაჰუ თეალას მიერ ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი ღვთისმსახურების (იბადეთის) სიამოვნებით შესრულება და ლოც-ვით არასოდეს დაღლაა. მხოლოდ ასეთ ადამი-ანებს სძალუძთ შეიცნონ ნამაზის ნამდვილი გე-მო და ფასი. განსაკუთრებით კი

ფარძი ნამაზე-ბისა.

[ფარძი ნამაზის გარდა ყველა დანარჩენი ნაფი-ლე ნამაზია]

შაკმარისია, ადამიანმა იგემოს ნამაზის საუც-ხოო გემო, რომ მაშინვე პირიდან ეს სიტყვები ამოხდება: ო, ყოვლისშემძლე ალლაჰო, რა სას-ჳაულია, გმადლობ რომ გვჳამლობ და მჳუხარე სულებს გვიკურნავ. ეს ჭეშმარიტი ბედნიერებაა.

კარგად იცოდეთ, რომ ნამაზის სამაგიერო ჳო-დება, სამოთხეში მაღალია, ამქვეყნად ადამიანი ალლაჰუ თეალას ყველაზე მეტად ნამაზის ლო-ცვისას უახლოვდება, იმქვეყნად კი მისი დანახ-ვისას. ყველა ღვთისმსახურება ადამიანებში ნა-მაზის ლოცვის სურვილის გაღვიძებას ემსახ-ურება, რადგანაც საბოლოო და მუდმივი ბედნი-ერების მიღწევა მხოლოდ ნამაზის ლოცვით არ-ის შესაძლებელი.

ნამაზი ყველაფერ სხვაზე და მარხვაზეც კი ფასეულია. **ნამაზი** გატეხილ გულებს ამთლი-ანე-ბს, **ნამაზი** ცოდვების მიტევების საბაბია, ადამიანს ბოროტებისაგან იცავს. ჰადისში ვკითხუ-ლობთ: **"ნამაზი გულის სიხალისე და სიხარულს სათავეა"**. ნამაზი მჳუხარე სულებს ნაღველს გა-უქარვებს, **ნამაზი** სულის საკვებია, **ნამაზი** გულის განმკურნებელია, რადგანაც დიდებულ ალ-ლაჰთან მიახლოების ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა".

იმამი რაბბანი, (მექთუუბაათ) წიგნის 1 ნაწილის, 266-ე წერილში ამბობს რომ:

რელიგიის და მრწამსის გათვითცნობიერების შემდეგ, ფიქჰის (მოძღვრება მუსლიმანური სამა-რთლის შესახებ) მითითებების ანუ რელიგიაში ნაბრძანები და აკრძალული საქმეების შესწავლა აუცილებელია. ფარძების, ვაჯიბების, ალალი და ჰარამის, სუნნეთი და მექრუფების ცოდნა და ამ ცოდნით მოქმედებაა საჭირო. ფიქჰი

წიგნების სწავლა ყველა მუსლიმანისთვის საჭიროა. (ამ წიგნების უცოდინრობით მუსლიმანობა შეუძლე-ბელია.) უზენაესი ალლაჰის ნაბრძანების შესრუ-ლებით, მისი მოწონებული ცხოვრების მსგავსად ცხოვრება. მისი ყველაზე მეტად მოწონებული და ნაბრძანები, დღეში ხუთი დროის ნამაზის ლოცვაა. ნამაზი რწმენის საყრ-დენი ბოძია, ნამა-ზის დიდი მნიშვნელობიდან და თუ რო-გორ ილ-ოცება რამოდენიმე მინიშნებას მოგაწვდით. ყურ-ისდაგდებით მომისმინეთ! ჯერ, სუნნეთზე (ანუ ფიქჰის წიგნებში დაწერილის) ზუსტად მიყოლ-ით აბდესი უნდა აიღოთ. აბდესის აღებისას სხე-ულის დასაბანი ნაწ-ილების სამსამჯერ გულდა-სმით უნდა დაიბანოთ. ამდაგვარად სუნნეთზე დაყრდნობით აბდესის აღება გამოვა. თავზე მე-სჰის გაკეთებისას, თავის ყველა ნაწ-ილზე ხელი უნდა გადაისვათ. ყურები და კაჩაც უნდა დავი-სველოთ ანუ მესჰი უნდა გააკეთოთ. ფეხის თი-თების დაბანისას (ანუ ფეხის თითების შუალე-დების გაწმენდისას) მარცხენა ხელის ნეკა თითით ფეხის თითე-ბის ქვეშა მხარეები უნდა გამოიბანოთ. ეს მუსთაჰაბი (მოსაწონი) საქმეა და მიტოვება არ შეიძლება, ესენი ალ-ლაჰუ თეალას საყვარელი და მოწონებული საქმეებია.

ნამაზი მორწმუნეების მირაჯია, ანუ მირაჯის ღამეს ფეიღამბერზე (სალლაჰუ ალეიჰი ვესსელ-ლემ) ნაჩუქ-ბი სიძვირფასეები, ამ ქვეყანას მის მიმყოლებს მხოლოდ ნამაზიდან შეუძლიათ ისი-ამოვნონ. კაცები, ნამაზების ჯემაეთით ლოცვის-თვის უნდა ისწრაფოდნენ, უფრო მეტ-იც იმამის პირველი აღებულ თექბირი არ უნდა გამო-ტო-ვონ. [ქალების თუ გინდ ჯემაეთით ნამაზის ლო-ცვა იყოს, თუგინდ ყურანზე მოსმენა ანდა მევ-ლუდის მოსას-მენად, ჯამეებში კაცების გვერდით შერევა და ჯუმა ნა-მაზებზე წასვლა ცოდვაა].

ნამაზების დროულად ლოცვა (და დროულად ლოცვის ცოდნა) სავალდებულოა. (მარტოდ ლო-ცვისას ყველა ნა-მაზი დროის მოსვლისთანავე უნდა ილოცებოდეს,

იქინდი ნამაზი და იათსი (ღამის) ნამაზი იმამი აზამის მიხედვით უნდა ილოცებოდეს. ნამაზი რამდენადაც დაგვიანებით ილოცება იმდენად მადლი ცოტაა. მუსთეჰაბის მქონე დროები, ჯემაეთით სალოცავად, ჯა-მეში წასასვლელად წოდებული დროებია. ნამაზის ლოცვამდე დრო თუ გაივლის, ადამიანის მოკ-ვლისნაირი დიდი ცოდვა იქნება. ყაზის (გავ-ლილის ლოცვით) გაკეთებით ეს ცოდვა ნაპატი-ები არ იქნება. მხოლოდ ვალის მოხდაში ჩაით-ვლება. ამ ცოდვის საპატიებლად თევბე-ი ნასუჰ გაკეთება ანდა ჰაჯი მებრურის გაკეთებაა საჭი-რო. **(იბნი აბიდინ)**.

ნამაზის დროს ყურანი ქერიმი სუნნეთით მოწ-ოდებული რაოდენობით უნდა იკითხებოდეს. ღუ-ქუღზე და სეჯდეზე გაუნძრევლად დგომა, რათ-ქმაუნდა საჭიროა. იმიტომ რომ, ფარძი ანდა ვა-ჯიბია. რუქუღდან ადგომისას ისე უნდა გასწო-რდეს რომ ძვლები ადგილებში უნდა ჩაჯდეს. ამის შემდეგ, ამ მდგომარეობაში განსაზღვრული დროით დგომა ფარძი ან სუნნეთი ან ვაჯიბია უთქვამთ. ორ სეჯდეს შორის ჯდომაც ამის მსგ-ავსია. ამათზე რათქმაუნდა ყურადღების გათვალისწინებაა საჭირო. რუქუღზე და სეჯდეზე თე-სბიჰი სულ ცოტა სამ-სამ ჯერაა, უმეტესი კი შვიდი და თერთმეტია. იმამისთვის კი ჯემაღე-თის მიხედვითაა. ჯანმრთელი ადამიანისთვის, მარტო ლოცვისას თესბიჰის სულ ცოტა რაოდენობით გაკეთება რაოდენ სასირცხო საქციელია. სულ რომ არა ხუთჯერ მაინც უნდა თქვას. შე-ჯდეს გაკეთებისას ჯერ მუხლები, შემდეგ ხე-ლები, მერე ცხვირი და შუბლი დაიდება. მუხლებიდნ და ხელებიდან პირველად მარჯვენა მხარე დაიდება. ადგომის პროცესი დაჯდომის საპირისპიროდ განხორციელდება (ანუ შუბლით ცხვირით დაიწყება). ფეხზე დგომისას, სეჯდის ადგილზე, რუქუღზე ყოფნისას ფეხებზე, სეჯ-დეზე ყოფნისას ცხვირის მოპირდაპირედ, ჯდომისას კი ხელების შუაში ანდა მუხლებზე ყურე-ბაა

საჭირო. თვალის იქეთაქეთ ტრიალით არა და ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებზე ყურებით ნამაზის ლოცვა გულით ანუ ამქვეყნიურობაზე მოწყვეტით მხოლოდ ალლაჰზე მინდობით ნამა-ზის ლოცვად ჩაითვლება. ანუ სულით გულით ნამაზის ლოცვა გამოგვივა. ჰაზრეთი ფეიღამ-ბერს უბრძანებია რომ: ხელის თითების რუქულზე გაშლა და სეჯდეზე ერთმანეთზე შეტყუპება სუნნეთია. ამათაც დაკვირვება ესაჭიროება. ისლ-ამის პატრონი ჰაზრეთი ფეიღამბერი ამ მოქმე-დებების სარგებლიანობაზე ფიქრით ასე გაუკე-თებია. ჩვენთვის კი, ისლამის პატრონზე, მიყო-ლაზე სხვა დიდი სარგებელი არ არის. ეს ჩვენი ნათქვამი ფიქჰის წიგნში მოცემული კანონების შესრულებისათვის წამახალისებელი მაგალითე-ბია. ალლაჰუ თეალამ ჩვენც და თქვენც ისლა-მის ნაჩვენები სწორი გზით ცხოვრება გვარგუ-ნოს! ფეიღამბერების, წინამძღოლი, ბატონი, ყვე-ლაზე საუკეთესო, ყველაზე დიდი პატივისცემის-თვის “ალეიჰი ვე ალეიჰიმ ვე ალაა აალი ქულ-ლინ მინესსელავათი ეფდალუჰა ვე მინე თესლი-მათი ექმელუჰა” ეს დუა მიღებულ იქნას! აამინ.

იმამი რაბბანი "რაჰმეთულლაჰი ალეიჰი" (მექთუბათ) წიგნის ისევ მეორე ნაწილის 69 -ე წერილში ამბობს რომ:

ალლაჰუ თეალას მადლობა! მის რჩეულ, მოწ-ონებულ მორწმუნეებს სალამი, სიმშვიდე ჰქონო-დეთ!. თქვენი წერილი მოვიდა. მეგობრების, ნა-თესავების, სწორი გზით სვლის მიხვედრით, ძა-ლიან გაუხარდა. ალლაჰუ თეღალამ, სისწორე და სწორ გზაზე მყოფნელი ამრავლოს! ეგობ-რებთან ერთად მოცემულ პასუხისმგებლობების განხორციელებას ვაგრძელებთ. ხუთ დროულ ნა-მაზს ორმოცდაათი სამოცი კაცით ვლოცულო-ბთ, ამბობთ. ამის გამო, ალლაჰუ თეალას დიდი მადლობა! გული ალლაჰუ თეალასთან, სხეული, საქციელი და სამართალი, ალლაჰზე დამოკი-დებულებით შესრულება როდენ დიდი საჩუ-ქარია. დღესდღეიობით ადამიანების უმრავლე-სობა ნამაზის ლოცვას გულგრილობით ეკიდებიან. ამის გამო თქვენი სიყვარულისთვის ამ წე-რტილის გამოაშკარავებისთვის აუცილებლობა ვიგრძენი. თადილ ერქანს მნიშვნელობას არ ანი-ჭებენ. კარგად მომისმინეთ! ფეიღამბერი **"ყველა-ზე დიდი ქურდი საკუთარი ნამაზის მომპარავია"** ბრძანებდა. ეი ალლაჰის რესულო! ერთი ვინმე, საკუთარი ნამაზს როგორ მოიპარავს? უკითხა-ვთ. **"ნამაზის რუქუღს და სეჯდეს ვინც სრულყოფილად არ გააკეთებს"** ბრძანა. ერთხელ ბრძანა რომ: **"ნამაზის ლოცვისას რუქუღზე და სეჯდეზე გარკვეული დროით წელში მოხ-რილი ვინც არ გაჩერდება ალლაჰუ თეალა მის ნამაზს არ ჩათვლის"**. ჩვენი ფეიღამბერი ერთ ვინმეს ნამაზის ლოცვისას, რუქუღი და სეჯდეს სრულყოფილად შეუსრულებლობას დაინახავს, **"შენ ნამაზების ასეთი ლოცვისათვის მუჰამმედის რწმენის გარდა სხვა რწმენით სიკვდილის არ გეშინია?"** უბრძანებია. ისევ ბრძანებდა რომ, **"თქვენიდან ერთერთი ნამაზის ლოცვისას, რუ-ქუღდან ადგომისას, სწორად გაუჩერებლად და ფეხზე დგომით, სხეულის ყველა ნაწილის ად-**

გილზე დაუბრუნებლად, ნამაზი სრულყოფილად არ ჩაითვლება”. ერთხელაც უთქვამს რომ, “ორ სეჯდეს შორის წელში გამართულად დაუჯდომლად, ნამაზი სრულყოფილი არ იქნება”. ჰაზრეთ ფეიღამბერს ერთერთი ნამაზის ლოცვი-სას დაუნახავს, რომ ნამაზის მოძრაობების, სუნ-ნეთების მუსთეჰაბების დაუკვირვებლად, რუქუღიდან ადგომისას გაუჩერებლივ ისევ რუქუღზე წასულა, ორ სეჯდეს შორის არ დამჯდარა და უთქვამს: **“თუ ნამაზების ასეთნაირად ლოცვას გააგრძელებ და მოკვდები, წარღვნის დღეს შენ ჩემი უმმეთიდან (მიმყოლებიდან) არ ჩაგთვლ-იან”**. ებუ ჰურეირე (რადიელლაჰუ ანჰ) ამბობდა რომ, (სამოცი წელი, ყველა ნამაზის მლოცავი, და არცეთი ნამაზი ჩათვლილი რომ არაქვს, ასეთი ვინმეები რუქუღის და სეჯდეების სრულყო-ფილად რომ არ ასრულებდნენ ისინი არიან). ზეიდ იბნ ვეჰბ ერთერთი ნამაზის ლოცვისას რუქუ და სეჯდეს სრულყოფილად შეუსრულე-ბლობა დაინახა. მასთან მიიხმო, რამდენი ხანია ასეთნაირად ნამაზს ლოცულობ, ჰკითხა. ორმო-ცი წელია პასუხის თქმისას, შენ ორმოცი წელ-ია ნამაზი არ გილოციაო. რომ მოკვდე რესუ-ლულლაჰის სუნნეთის ანუ რწმენით მომკვდარ-ად არ ჩაითვლრბიო.

თაბერანი (რაჰმეთულლაჰ თეღალა ალეიჰი) **(ევსაათ)**-ში გვაცნობებს რომ, ვინმე მორწმუნე ნამაზს ლამაზად ილოცავს რუქუღს და სეჯდ-ეებს ლამაზად თუ გააკეთებს, ნამაზს გაუხარდ-ება, და ნური აინთებაო. მელაიქები, იმ ნამაზს ცაში აიტაცებენ, ის ნამაზი, ნამაზის მლოცავს კარგ დუას გაუკეთებს და შენ, ჩემი, შეცდომე-ბისგან დაცვის მსგავსად, ალლაჰუ თეალაც, შენ დაგიცავსო. ნამაზი თუ სრულყოფილად არ ილ-ოცება შავი იქნება. მელაიქებს ის ნამაზი შეეზიზღებათ, ცაში არ აიტაცებენ, იმ ნამაზის მლო-ცავს, ნალოცი ნამაზი შესაფერის დუას გაუკეთებს, შენ როგორც მე შეცდომით ნაკლოვანე-ბებით დამტოვე, ალლაჰუ თეალამაც მასეთი ნა-კლოვანი დაგტოვოსო, ეტყვის. ამის მიხედვით

ნამაზების სრულყოფილად ლოცვისთვის უნდა ვისწრაფოდეთ. სხვების შეცდომით ლოცვის და-ნახვისას უნდა ვუთხრად და თუ საჭირო იქნება ვასწავლოდ. მუსლიმანე-ბის უმრავლესობა ამ სა-პატივცემულო მოქმედებებიდან შორს რჩებიან, ეს შესაძლებლობები კი ხელიდან გაურბით. ჰაზრეთი ფეიღამბერი ბრძანებს რომ **"მივწყ-ყებული სუნნეთის გამომაშკარავებელი, ასი შეჰიდის მადლს მიიღებს"**.

ჯემაეთით ნამაზის ლოცვისას რიგების სწო-რად და მჭიდროდ დაკავებასაც დიდი მნიშვნე-ლობა აქვს. ჰაზრეთი ფეიღამბერი ჯერ რიგებს დაალაგებდა გაასწორებდა და ნამაზს მერე და-იწყებდა. **"რიგების გასწორება ნამაზის ლოცვის ერთერთი ნაწილია"** ბრძანებდა. ყველა ჩვენგანი სწორი გზიდან არ დაგვაშორო!

მუსლიმანის: ამქვეყნის სიძვირფასეების და იმ-ქვეყნიურობის მოგება თუ უნდა, საკუთარ თავში ეს სამი ჩვევა უნდა წაშალოს:

ქმნილებებიდან (კერპები და სხვა) არანაირი რამის დალოდება. მუსლიმანებზე ცილის წამება. სხვისი ახის (საკუთრების) აღება.

ნამაზის საიდუმლო

იმამი რაბბანი **(მექთუბათ)** წიგნის პირველი ნაწილის, სამასმეოთხე წერილში ბრძანებს რომ:

ალლაჰუ თეღალას დალოცვის და ფეიღამბერ-ის სელავათის თქმის შემდეგ, უსასრულო სიმშ-ვიდის მოპოვებისთვის დუას ვაკეთებ. ალლაჰუ თეღალა სხვადასხვა აიათი ქერიმში, სამადლო საქმეების გამკეთებელ მუ'მინებს სამოთხეში შე-სვლას გვამცნობებს. ეს სამადლო საქმეები რო-მლებია, ყველა კარგი საქმე თუ მათგან რამო-დენიმე? თუ, კარგი საქმეე-

ბიდან ყველას მოი-ცავს მაშინ მას ვერავინ გააკეთებს. მათგან რა-მოდენიმე თუ არის, ნეტავ რომლებია? ჩვენ-და სასიხარულოდ ალლაჰუ თეღალამ საჩუქრის გა-კეთებით ასე გვამცნობა რომ, სწორი საქმეები, ისლამის ხუთი პირობაა. ისლამის ამ ხუთი პირ-ობის, გულდას-მით უშეცდომოდ შესრულებისას, ჯოჯოხეთიდან გადარჩენის ძლიერი მტკიცებუ-ლებაა. იმიტომ რომ ეს-ენი, თავისთავად სწორ საქმეებად ითვლება, ადამიანს ცოდვებისგან და ცუდი საქციელებისგან იცავს. ყურანი ქერიმში ანქებუთ სურეში ორმოცდამეხუთე აიათის გან-მარტებით **(უშეცდომოდ ნალოცი ერთი ნმაზი, ადამიანს ბინძურ, ცუდ საქმეების ჩადენიდან იცავს)** ბრძანებს. რომელი პი-როვნებას, ისლამის ხუთი პირობის შეს-რულება თუ ერგუნება, სიძვი-რფასეების მადლი მიღე-ბუ-ლად ექნება. იმიტომ რომ თვითონ, ნისა სურას ასორ-მოცდამეექვსე აიათში განმარტებით **(თუ ირწმუნებთ და უმად-ლიერებთ, ტანჯვას არ მოგგვრით)** ბრძანებს. ამის გამო, ისლამის ხუთი პირობის, შესრულე-ბისთვის სულითა და გულით ბრძოლაა საჭირო.

ამ ხუთი პირობიდან ყველაზე საუკეთესო, ნამ-აზია რადგან რწმენის საყრდენი ბოძია. ნამაზის პატივებიდან ერთერთი პატივი ნამაზის გაუვლ-ელად ლოცვაა. ნამაზი უშეცდომოდ თუ ილ-ოცება, ისლამის მთავარი და დიდი საძირკველი ჩაყრილი იქნება. ჯოჯოხეთიდან გადასარჩენი ძლიერი ძაფი ხელში დაჭერილი იქნება. ალლა-ჰუ თეალამ ყველას სწორი ნამაზის ლოცვა გვარ-გუნოს!

ნამაზზე დადგომისას, **(ალლაჰუ ექბერ)** თქმა, (ალ-ლაჰუ თეღალას, არცერთი არსების, მისდამი მსახურე-ბის საჭიროებას არ წარ-მოადგენს, არც-ერთი მხრიდან მას საჭიროება არ აქვს, ადამიან-ების ნამაზებიდან მას სარგებელი არ აქვს) გვაცნობებს. ნამაზის შიგ-ნით თექბირები კი, (ალლაჰუ თეღალას წინაშე შესაფერისი მსახურების შესრულებისა, ღირსების და ძლიერების არ ქონლობას) გამოხ-ატავს. რუქუღში ნათქვამი თექბირე-

ბიც ამ მნიშ-ვნელობის ქონის გამო, რუქ̌ულის შემდეგ თე-ქბირის თქმა ნაბრძანები არ იქნა. თუმცა, სეჯდეს დროს თესბიჰის შემდეგ გაკეთება ნა-ბრძანები იქნა. Iმიტომ, რომ ამის გაკეთებისას, გულით სულით ზუსტად შესრულ-ებულ მსახ-ურებად ჩაითვლება. ამ ფიქრების გა-საქარ̌ყლებლად, სეჯდეებზე, მოხრა ადგომისას, თექბირის თქმა სუნნეთის მსგავსად, სეჯდის თესბიჰში **(ღალა)** თქმა ნაბრძანებ იქნა. ნამაზი მორ̌მუნეების ამაღლებისთვის, ნამაზის ბოლოს ფეიღამბერის მირაჯის ღამეს დაჯილდოვებული სიტყვების, ანუ **ეთთეჰიათუს** კითხვა ნაბრძანე-ბი იქნა, იმის მიხედვით ნამაზის მლოცავი ვინმე, ნამაზი თავისთვის მირაჯად უნდა აქციოს, ალლაჰუ თეალას სიახლოვე ნამაზში უნდა ეძიოს.

ჰაზრეთი ფეიღამბერი (სალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრძანებდა რომ, **(ადამიანის, ალ-ლაჰუ თეალასთან ყველაზე ახლოს ყოფნის დრო, ნა-მაზის ლოცვის დროა)**. ნამაზის მლოცავი ვინმე, ალლაჰუ თეალასთან ლაპარაკით, მასზე ვედრე-ბით და მისი სიდი-ადით, ძლიერებით და რომ მის გარდა სხვა ყველაფერი, არაფერია აშკარად ხედავს. ამის გამო ნამაზის დროს შიში, თავ-ზარდაცემულობა, ნამაზის ბოლოს ორჯერ სა-ლამის მიცემა ნაბრძანები იქნა.

ჰაზრეთი ფეიღამბერს ერთერთ ჰადისი შერიფ-ში **(ფარძ ნამაზის მერე 33 ჯერ თესბიჰი, 33-ჯერ თაჰმიდი, 33-ჯერ თექბირი და ერთხელაც თეჰლილი)** უბრძანებია. ამის მიზ-ეზი, ნამაზში დაშ-ვებული შეცდომები თესბიჰით დაიფარება. ღირ-სეული იბადეთის ვერ გაკეთებას აცნობებს. (თაჰმიდ)-ით ნამაზის ლოცვით პატივცემული (თექბირის) გაკეთებით, მის გარდა იბადეთის გა-კეთების ღირსი არა-ვინაა

ნამაზის პირობების და მასზე გამოხატული პატივისცემით ლოცვის და შეცდომების ამ სახ-ით დაფარვით, ნამაზის მიღებისთვისაც მადლ̌ერების გამოხატვით, ქლიმეი თევჰიდის წარ-მოთქმით, ეს ნამაზი მიღებულად ჩაითვლება. ეს ვინმე, ნამაზის მლოცველებიდან და

გადარ-ჩენილებიდან იქნება. ეი ალლაჰ! ფეიღამბერების ყველაზე დიდი პატივისცემისთვის “ალეიჰი ვე ალა აალ-იჰიმუსსალევაათუ ვეთოესლიიმაათ” ჩვ-ენ ნამაზის მლოცველთაგან და გადარჩენილ ად-ამიანებიდან გვამყ-ოფნე! აამინ.

იმამი მუჰამმედ მასუუმი (მექთუბათ)ის, მეორე ნაწ-ილის, მეთერთმეტე წერილში ბრძანებს რომ:

